# შოთა ჩართოლანი

# შ რ ო მ ე ბ ი

თბილისი 2010

UDC (უაკ) 902.2 (479.22)
ჩ - 237

ნაშრომში წარმოდგენილია სვანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელის დოქ. შოთა ჩართოლანის მიერ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული წერილები, თეზისები, ანგარიშები და სხვ. ქართულ და უცხო ენებზე.

განხილულია სვანეთსა და დასავლეთ საქართველოს მთიანეთში მიკვლეული ბრინჯაოს ხანის, ანტიკური ეპოქისა და შუა საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები და არტეფაქტები. მოცემულია მათი ტიპოლოგიურ-ქრონოლოგიური ინტერპრეტაცია, ძეგლების გავრცელების რუკა და ა.შ. განხილულია უძველესი პერიოდის სამთამადნო წარმოების საკითხები.

ნაშრომი განკუთვნილია არქეოლოგების, ისტორიკოსებისა და საქართველოს ისტორიით დაინტერესებული ფართო საზოგადოებისათვის.

რედაქტორ გამომცემელი: **ჯუანშერ ამირანაშვილი**
არქეოლოგი, ისტ. მეცნ. დოქ.

© შოთა ჩართოლანი 2010.
© ჯუანშერ ამირანაშვილი 2010.

ISBN 978-9941-0-2649-2

თქვენს ნინაშეა გამოჩენილი ქართველი არქეოლოგის. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის. სპორტის ოსტატის. საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთ. ლორთქიფანიძის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის უფროსი მეცნიერ თანამშრომლის *შოთა გამრეკლის-ძე ჩართოლანის* მიერ. სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული ნაშრომების კრებული. რომელიც ძირითადად სვანეთის არქეოლოგიურ ძეგლებს ეძღვნება.

თუ არ ჩავთვლით სვანეთში ჩატარებულ ეპიზოდურ დაზვერვით არქეოლოგიურ გათხრებს. შოთა ჩართოლანი სვანეთში ფაქტიურად არქეოლოგიური კვლევა-ძიების დამფუძნებელია. მას უდიდეს დახმარებას უნევდნენ ჯერ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის. არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი. შემდეგ კი არქეოლოგიური კვლევის ცენტრი. რომელსაც ხელმძღვანელობდა აკადემიკოსი ოთარ ლორთქიფანიძე. ზრუნვას არ აკლებდნენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. საქართველოს მაშინდელი მთავრობა და სხვადასხვა უწყებები.



სვანეთის არქეოლოგიური ბაზა-ფონდსაცავი. მესტია

ბატონი შოთას დიდი ძალისხმევით დაბა მესტიაში. არქეოლოგიური ექსპედიციების მიერ მოპოვებული სხვადასხვა პერიოდის არტეფაქტების დასამუშავებლად არქეოლოგიური კვლევის ცენტრის სვანეთის რეგიონალური განყოფილების არქეოლოგიური ბაზა-ფონდსაცავი აშენდა.

შოთა ჩართოლანის მიერ ჩატარებული კვლევა-ძიების შედეგად სვანეთსა და ზემო აფხაზეთში 200-მდე არქეოლოგიური ძეგლია მიკვლეული. ეს მონაპოვარი ფაქტიურად კაცობრიობის ცხოვრების უდიდეს დიაპაზონს. დანყებული ახალი ქვის ხანიდან. დამთავრებული გვიანი შუა საუკუნეებით მოიცავს. ამ ძეგლების მეცნიერული შესწავლის შედეგია მის მიერ 50-მდე



არქეოლოგიური ფონდის ერთ-ერთი დარბაზის ხედი.

ნაშრომისა და 4 მონოგრაფიის გამოქვეყნება საქართველოში, რუსეთსა და გერმანიაში. სადაც დასავლეთ საქართველოს მთიანეთის, უძველესი, ძველი და შუა საუკუნეების ისტორიისა და კულტურის მთელი რიგი პრობლემები ახლებურად არის გადაწყვეტილი.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მისი ნაშრომების გერმანიაში გამოქვეყნება. ამ ნერილებში იგი მიმოიხილავს სვანეთსა და ზემო აფხაზეთში ბრინჯაოს მეცადლურგიის საკითხებს, რომელთაც სამეცნიერო წრეებში დიდი გამოხმაურობა მოჰყვა. ამის გამო იგი მინვეულ იქნა გერმანიაში, სვანეთის ძეგლების შესახებ ინფორმაციის გაცნობისათვის და სამეცნიერო ურთიერთობის დასამყარებლად.

აქვე უნდა გავიხსენო თანამედროვე არგონავტების ხელმძღვანელის ციმ სევერინისა და არქეოლოგიური ჯგუფის დირექტორის ოთარ ლორთქიფანიძის ვიზიტი სვანეთში, რომლის დროსაც მათ მოინახულეს ძეგლები და არქეოლოგიური მონაპოვარი, რამაც სტუმარში უდიდესი ინტერესი და გაოცება გამოინვია.

განსაკუთრებულია მოთა ჩართოლანის ღვაწლი საქართველოს ალპინიზმის განვითარებაში. იგი იყო კავკასიონზე, პამირსა და ტიანშანზე საქართველოს ალპური კლუბის მიერ ჩატარებული ექსპედიციების თანაორგანიზატორი და მონაწილე. დაპყრობილი აქვს მნვერვალები: კავკასიონზე – უშბა, თეთნულდი, შხარა, იალბუზი, მყინვარი; პამირზე – ტიანშანის უმაღლესი მნვერვალები. მათ შორის ერთი 7000 მეტრის სიმაღლის. 1958 წელს საქართველოს ნაკრები მზად იყო მსოფლიოს უმაღლესი მნვერვალის– ევერესტის დასალაშქრავად და ამ გუნდის ერთ-ერთი ღირსეული ნევრი მათი გახლდათ. სამწუხაროდ, ექსპედიცია არ შედგა (ამონარიდი საქართველოს მთამსვლელთა ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტის სახელით გივი ქართლიშვილის საგაზეთო სტატიიდან. გაზ. „ლელო“, 2002 წ. 13 დეკემბერი).



ახალი არგონავტების ხელმძღვანელი ტიმ სევერინი, არქეოლოგიური კვლევის ცენტრის დირექტორი აკად. ოთარ ლორთქიფანიძე, აკად–ის სვანეთის რეგიონალური განყოფილების გამგე და ექსპედიციის ხელმძღვანელი შოთა ჩართოლანი ეკონომიან სვანეთში აღმოჩენილი ახალი მონაპოვარს. მესტია 1984 წ.



შოთა ჩართოლანი ალპინიადაზე.

გვანუზომელია შოთა ჩართოლანის ღვაწლი საქართველოს არქეოლოგიაში, სადაც მან განსაკუთრებული ადგილი დაიმკვიდრა.

. . .

შოთა ჩართოლანი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, სპორტის ოსტატი, დაიბადა 1932 წლის 15 აგვისტოს, ზემო სვანეთის რაიონის დაბა მესტიაში.

1951 წელს ნარჩინებით დაამთავრა მესტიის საშუალო სკოლა, ხოლო 1956 წელს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი. 1963 წლამდე ენეოდა ჰიდროგეოლოგიურ მოღვაწეობას სვანეთში, შემდეგ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურა არქეოლოგიის განხრით. 1966 წლიდან დღემდე მუშაობს საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთ. ლორთქიფანის არქეოლოგიის ცენტრში და ხელმძღვანელობს სვანეთის რეგიონალურ არქეოლოგიურ განყოფილებას. 1974 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე– „ბრინჯაოს ხანის სვანეთის არქეოლოგიური ძეგლები“, ხოლო 1989 წელს– სადოქტორო დისერტაცია: „К истории нагорья Западной Грузии доклассовой эпохи“.

მისი სამეცნიერო მიმართულება და შესწავლის საგანია – „საქართველოს ძველი კულტურა ისტორიული კოლხეთის მთიანეთში". იკვლევს ნეოლითის, ბრინჯაოს, ანტიკური და შუა საუკუნეების არქეოლოგიურ ძეგლებს, აგრეთვე უძველეს სამთამადნო წარმოებას.

გამოქვეყნებული აქვს 60-მდე ნაშრომი, მათ შორის 4 მონოგრაფია თბილისში, მოსკოვსა და გერმანიაში. მონაწილეობდა ყაზბეგის, თეთრიწყაროს, რაჭის, ბედენის, ენგურისა და სვანეთის არქეოლოგიურ ექსპედიციებში.

1965 წლიდან დღემდე ხელმძღვანელობს სვანეთის არქეოლოგიურ ექსპედიციას, რომელმაც დაიწყო და დღემდე აგრძელებს მდ. კოდორის, ენგურისა და ცხენისწყლის ხეობათა მთიანი ზოლის ინტენსიურ არქეოლოგიურ შესწავლას.

საფუძვლიანად აღმოჩენილი აქვს 200-მდე ძეგლი, რომელთა უმრავლესობა შ. ჩართოლანის ძალისხმევით დაცულია სახელმწიფოს მიერ.

შ. ჩართოლანის ინიციატივით მესტიაში დაარსდა „სვანეთის არქეოლოგიური ბაზა-ფონდსაცავი", რომელიც არქეოლოგიური მუზეუმის ფუნქციასაც ასრულებდა.

სვანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის სახით, საქართველოს ეროვნული მუზეუმის აკად. ოთ. ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ინსტიტუტი ერთადერთი სამეცნიერო ინსტიტუტია, რომელიც უკანასკნელი 16 წლის მანძილზე აგრძელებს ამ რეგიონში საველე და მეცნიერულ მუშაობას. სრულიად თამამად შეიძლება ითქვას, რომ შ. ჩართოლანი დღემდე სვანეთის ძეგლთა მეთვალყურე და მცველია.

შ. ჩართოლანმა ოპონირება გაუწია ორ სადოქტორო და სამ საკანდიდატო დისერტაციას. იყო არქეოლოგიური კვლევის ცენტრის სამეცნიერო საბჭოს წევრი 1984-2007 წწ.

მიღებული აქვს საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის გრანტები:

1. 2002-2003 წწ. „ანტიკური ხანის ძეგლები სვანეთში". № 19.34.02.
2. 2004-2005 წწ. „სამთო მეტალურგიული წარმოება საქართველოს ტერიტორიაზე ძვ.წ. II-I ათასწლეულებში, № 19.32.94.

3. მონაწილეობდა რუსთაველის ფონდის მიერ 2008 წ. გამარჯვებულ და დაფინანსებულ გრანტში – საქართველოს ეროვნული მუზეუმის პროექტში: „უძველესი მეტალურგია და სამთო საქმე საქართველოში ძვ.წ. VI-III ათასწლეულებში" (ხელმძღვანელი დოქ. ირ. ღამბაშიძე), რომელიც მიმდინარე წელს (2010) ნიგნად გამოიცა და სადაც „სამთამადნო წარმოების უძველესი ძეგლები კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთ ფერდზე – აფხაზეთი და სვანეთი" შ. ჩართოლანს ეკუთვნის.

ნაყოფიერი სამეცნიერო და საზოგადო უანგარო მოღვაწეობისათვის შოთა ჩართოლანი დაჯილდოებულია მრავალი ჯილდოებით, მათ შორის აღსანიშნავია „ღირსების ორდენი" (1998 წ.) და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უხმიდესი და უნეტარესი ილია II „დალოცვის სიგელი" (1999 წ.).

ჯუანშერ ამირანაშვილი
არქეოლოგი, ისტ. მეცნიერებათა დოქტორი.

# ლარილარის სამაროვანი*

სვანეთი არქეოლოგიურად საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებად შესწავლილი კუთხეა. იქ შემთხვევით აღმოჩენილი მდიდარი არქეოლოგიური მასალა, რომელიც მესტიის მხარეთმცოდნეობის, საქართველოს სახელმწიფო და სსრ კავშირის სხვა მუზეუმებში და კერძო პირებთან ინახება, საფუძველს გვაძლევს წარმოვიდგინოთ მდინარე ენგურის შუა და ზემო წელზე მოსახლე ქართველი ტომების უძველესი მატერიალური კულტურის განვითარების, მართალია, არასრული, მაგრამ საკმაოდ უწყვეტი სურათი.

ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სადაზვერვო-არქეოლოგიურმა ექსპედიციებმა ზემო სვანეთში 1950, 1961, 1964, 1965 წწ. მიაკვლიეს არაერთ მნიშვნელოვან ძეგლს, რომელთა სათანადო შესწავლა ცხადყოფს, რომ ენგურის ხეობის სამეურნეო ათვისება უნდა მომხდარიყო არა უგვიანეს ადრეული ლითონის ხანისა, და იქ შემდგომაც აღარ შეწყვეტილა ინტენსიური სასოგადოებრივი, პოლიტიკური და სამეურნეო ცხოვრება. მხარის ფიზიკურ-გეოგრაფიულმა პირობებმა ნაწილობრივ განაპირობეს კიდეც სასოგადოებრივი განვითარებისა და მეურნეობის ხასიათი. არქეოლოგიური მასალის ერთი ნაწილი, რომელიც ასახავს ამ სასოგადოების განვითარების ერთ-ერთ საფეხურს, მოპოვებულია ლარილარის[1] სამაროვანზე,რომელიც მდებარეობს ჭუბერის თემში, მდინარე ნენსკრას ანუ ჭუბერულას მარცხენა ტერასზე, ზღვის დონიდან დაახლოებით 900 მეტრის სიმაღლეზე.

მდინარე ნენსკრა ენგურის უდიდესი მარჯვენა შენაკადია. იგი გამოდის ცენტრალური კავკასიონის დონღუზორუნისა და დალარის მყინვარებიდან, მერიდიანული მიმართულებით მიედინება 46 კმ. სიგრძეზე და უერთდება მდ. ენგურს სოფ. ხაიშს ზემოთ 3 კმ. დაშორებით. სათავის (2688 მ. ზღვის დონიდან) და შესართავის (700 მ.) დონეთა სხვაობა ქმნის ხეობის მრავალფეროვან კონტრასტულ ლანდშაფტს. ნენსკრის აუზი გარშემოსღუდულია დასავლეთით აფხაზეთ-სვანეთის, ჩრდილოეთით—ცენტრალური კავკასიონისა და აღმოსავლეთით—უთვირის ქედებით. ხეობა გამოირჩევა სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგების—მესაქონლეობისა და მიწათმოქმედების განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობებით: ხშირი ტყეებითა და ერცელი ალპური საძოვრებით, სახნავი და სათიბი ფართობით, მეხილეობისა და თეით მევენახეობისათვის ვარგისი ნაკვეთებითაც კი; მინერალური და ჩვეულებრივი წყაროს წყლებით, სარწყავად გამოსადეგი ნაკადულებით, კარგი სანადირო ადგილებითა და სხვა ბუნებრივი სიკეთით. არაფერს ვამბობთ, ჯერჯერობით გეოლოგიურად შეუსწავლელ წიაღისეულ სიმდიდრეზე, რომლის არსებობას ალბათ მოწმობს ბრინჯაოსა და

* გამოქვეყნებულია - კრებულში: „საქართველოს, ამიერკავკასიისა და წინააზიის ისტორიის საკითხები“. თბილისი 1968 წ. გვ. 300-318.

[1] „ლ ა რ ი ლ ა რ ი“ პატარა სათიბებს ნიშნავს.

განსაკუთრებით რკინის ძველი წარმოების მანიშნებელი მრავალრიცხოვანი ძეგლი[2].

მრავალი საუკუნის განმავლობაში, გასული საუკუნის შუა ხანებამდე, ჭუბერის ხეობა მთლიანად დაფარული იყო უღრანი ტყეებით. როგორც ჩანს ნადირობისა და შემოხვევითი მგზავრობისას „ჩუბე ჭეველმა“ სვანებმა საფუძვლიანად გაიცნეს ეს მხარე და მე-19 საუკუნის 50-იან წლებში მოაწყვეს დროებითი სამოსახლოები, ხოლო 1880 წლიდან იწყება თაურალის, ფარის, ნაკისა და სხვა სოფლებიდან გადმოსულთა ბინადარი ცხოვრება.

დღემდე უცნობია, თუ როდის და რა ისტორიული მოვლენის მიზეზით მოხდა ჭუბერისა და მისი მოსახღვრე ადგილების გაერანება. წერილობითი წყაროები უშუალოდ ამ საკითხზე არავითარ პასუხს არ გვაძლევს. ამ მხრივ ძალზე ღარიბია სეპირი გადმოცემებიც. უკანასკნელი წლების არქეოლოგიური დაზვერვების შედეგად, ჭუბერის ხეობაში მიიკვლიეს ერთი ციკლოპური და ქვიტკირის რამდენიმე საფორტიფიკაციო ნაგებობათა ნაშთები, რომელთაც თვალსაჩინო სტრატეგიული მდებარეობა უკავიათ. ერთ-ერთ მათგანში, რომელიც მდინარის ყველაზე ვიწრო კალაპოტის მარჯვენა კიდეზე, "მოკლე ხიდთან" მდებარეობს, ნაპოვნია ადრეფეოდალური ხანის რკინის ისრისპირი (ტაბ. 3-12). შეიძლება ვიფარაუდოთ, რომ ჭუბერის მხარე მტერმა დაახლოებით იმ დროს ააოხრა. ამ ვარაუდს თითქოს მხარს უჭერს ზოგიერთი ბიზანტიელი მწერლის ცნობა ადგილობრივი მოსახლეობის (მისიმიელები) სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაზე დამპყრობელთა (ბიზანტიელები, ირანელები) წინააღმდეგ VI საუკ. მეორე ნახევარში[3]. იგივე წყაროები მოწმობს ბიზანტია-ირანს შორის სვანეთის თაობაზე დიპლომატურ და სამხედრო შეტაკებებს. ახლად აღმოჩენილი ძეგლების შემდგომი შესწავლა ამ საკითხებს კიდევ უფრო მეტ შუქს მოჰფენს.

ჭუბერის ხეობის ხელახალი სამეურნეო ათვისების პროცესში ელინდება უძველესი მატერიალური კულტურის მრავალი ნაშთი. შემთხვევით აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლების, განსაკუთრებით მონეტების, დიდი უმრავლესობა, სამწუხაროდ, მეცნიერებისთვის დაკარგულია, მცირე ნაწილი და ისიც ხშირად არასწორი ცნობების თანხლებით, დაცულია სხვადასხვა მუზეუმში. ზოგი რამ დღემდე ხელთ აქვთ ადგილობრივ მკვიდრთ[4].

ჭუბერის მოსახლეობისათვის ადრიდანვე ცნობილი ლარილარის სამაროყანი არქეოლოგებმა პირველად 1964 წელს გაიცნეს[5]. სამაროვნის ფართობიდან დღეისათვის გათხრილი და შესწავლილია დაახლოებით

[2] Б. Е. Дегени-Ковалевский, К истории железного производства Закавказья, ИГАИМК, вып. 120, Л., 1935.

[3] ს. ყაუხჩიშვილი, მისიმიელთა ტომი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 1936, ტ. 1, გვ. 277.

[4] ს. მაკალათია, 1920-1924 წწ. საქართველოში აღმოჩენილი ზოგიერთი ნეკროპოლის დათარიღებისათვის, საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე, IV, 1928, გვ. 165.

[5] გ. გობეჯიშვილი, შ. ჩართოლანი, სვანეთის არქეოლოგიური დაზვერვა 1964 წ. სამეცნიერო სესია, მიძღვნილი 1964 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი, მოკლე ანგარიშები, თბილისი, 1965, გვ. 31-38.

70 კვ. მ. მოსახლეობა მიუთითებს და სამაროვანზე მიმოფანტული ძვლების ნაშთებიც მოწმობენ, ინჰუმაციური სამარხების არსებობას, მაგრამ სადღეისოდ გამოკვლეული ფართობი საკრემაციო მოედანია, რომელზედაც ხანგრძლივი დროის მანძილზე ხდებოდა მიცვალებულისა და თანმიტანებული ინვენტარის სრული ან ნაწილობრივ დაწვა, რის შედეგადაც წარმოშობილია 25–65 სმ. სიმძლავრის ნაცროვანი ფენა. იგი უხვად შეიცავს ერთმანეთთან შედუღებულ ლითონის,მინის,თიხის ჭურჭლის,ძვლისა და ქვის დამწვარი ნატეხებისაგან შედგენილ კონგლომერატებს; სიმხურვალისაგან მეტ-ნაკლებად გადარჩენილ მრავალფეროვან იარაღებს, სამკაულსა და კერამიკულ ნატესებს. ყურადღებას იპყრობს შემთხვევით გადარჩენილი ქსოვილის (შალის) ნაფლეთებიც.

კრემაციის შედეგად წარმოქმნილ მასაში, გამოირჩევა ერთმანეთისაგან განსხვავებული სამი ფენა: რუხი ნაცროვან-ძვლოვანი (ტაბ. I-3), შავნაცროვანი (ტაბ. I-4) და შავი ნაცროვანი ფენა (ტაბ I-5).

პირველ, შედარებით სუსტად დამწვარ ფენაში, ბევრია წვრილად დაფშვნილი დამწვარი ძვლები, ქვისა და მინის მძიებები, შედარებით ცოტაა კერამიკული მასალა და ლითონის ნივთები.

მეორე, შავნაცროვან ფენაში განსაკუთრებით ბევრია თიხის ჭურჭლის ნატეხები. ნაკლები რაოდენობით ვხედებით ლითონის ნაწარმს და მძიებს. შეიმჩნევა ძლიერი ცეცხლის კვალი. ორივე ფენა ზემოდან დაფარულია ჰუმუსური და თიხნარ-კენჭოვანი ნიადაგით,

სტრატიგრაფიულად თითქოს ორივე ერთ დონეზე დევს და სხვადასხვა მონაკვეთში ცვლიან ერთმანეთს (ტაბ. I-3, 4), მაგრამ მათი შეერთების ხაზზე შავი ნაცროვანი ფენა დაბლაა მოქცეული, უფრო ძლიერია და ძირითადად დედაქანამდე აღწევს. რუხ ძვლოვან ფენას ყოველთვის ცვლის მესამე, შავი ნახშიროვანი ფენა. მესამე, შავი ნახშიროვანი ფენა, რომელიც უშუალოდ ყამირზე დევს გამოსახულია ბუდეების სახით. ეს ფენა მცირე რაოდენობით შეიცავს კერამიკულ ნაწარმს და მძიებს,სამაგიეროდ,მდიდარია ლითონის მრავალფეროვანი სამკაულით, რომელიც არაოანაბარი რაოდენობითაა სხვადასხვა ბუდეებში განაწილებული.

საეროდ უნდა აღინიშნოს, რომ ცალკეული ფენებისათვის დამახასიათებელი მასალა ძალიან ხშირად გადადის ერთმანეთში და კრემაციული მასის ყველა ფენა ზოგადად ერთი კულტურული მოვლენაა.

ლარილარის განათხარი მასალიდან შეიძლება გამოვყოთ ნივთების სამი ძირითადი ჯგუფი: 1. კერამიკული ჭურჭელი, 2. იარაღსაჭურველი და 3. სამკაული.

1. კერამიკული ჭურჭელი ყველაზე დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი. ის ძლიერ არის დამსხვრეული, მაგრამ შედარებით უკეთესად გადარჩენილი ნაწილების მიხედვით საშუალება გვეძლევა დავადგინოთ ჭურჭლის წამყვანი ფორმები, დამზადებისა და მხატვრული გაფორმების ტექნიკა და სხვა დამახასიათებელი ნიშან-თვისებები. ყველა ჭურჭელი დამზადებულია ადგილობრივი, მსხვილ-მარცვლოვანი ქარსნარები თიხისაგან. ჭურჭლის უმრავლესობა მორგვისა ნაკეთები, მას დახვეწილი

ფორმა და სიმეტრიულობა ახასიათებს. სცოდნიათ მაგარი იარაღის ზემოდან ქვეყით ჩამოსმის გზით ჭურჭლის ზედაპირის მოპირკეთება. ზედაპირს მოწითალო, ლეგა ნაცრისფერი ან შავი ელფერი აქვს. მოწითალო ფერი უფრო დამახასიათებელია სქელკეციანი მოზრდილი, ლეგა ნაცრისფერი თხელკეციანი მცირე ჭურჭლისათვის. დამაკმაყოფილებელია გამოწვის ხარისხი.

შედარებით ცოტაა ხელით ნაძერწი, შავპრიალაზედაპირიანი ჭურჭელი. მოყვანილობისა და დანიშნულების მიხედვით შეიძლება გამოვყოთ მრავალფეროვანი სამზარეულო და სუფრის ჭურჭელი კოლხური ტიპის დიდი სამეურნეო დერგები და დოქები, შემკული რელიეფური, ნაკაწრი, ნაჭდევი ან შერეული ორნამენტით (ტაბ. II).

საყურადღებო მრავალგვარობას ქმნიან ჭურჭლის სახელურები (ტაბ. II. სურ. 4, 5, 6, 8, 9), რომელთა შორისაც ჭარბობს ზოომორფული, ბრტყელი სადა ან მერცხლისბოლოსებური შეერილი ყურები; არის მსხვილფეხა ცხოველების თავკისრის სკულპტურული გამოსახულებების მსგავსი და სხვანაირი ზოომორფული ნიმუშები. ორ შემთხვევაში ყურზე მიძერწილია გველის რელიეფური გამოსახულება (ტაბ. II, სურ. 5), რაც ყოველდღიურ სახმარ ჭურჭელზე, წეულებრივ, არ გვხვდება ხოლმე.

ლარილარის კერამიკა მოყვანილობისა და მხატერული გაფორმების ზოგადი თუ ცალკეული ნიშნებით ყველაზე ახლო დგას მდ. ენგურის ქვემო წელზე მდებარე სოფ. პალოურში 1964 წელს აღმოჩენილ, ძვ. წ. VI-V სს.[6], აგრეთვე სოხუმის მთის წინარეანტიკური ხანის[7], დაბლაგომის ადრეანტიკური ხანის ქვევრსამარხებისა და ნაოხვამუს კოლხურ კერამიკასთან[8]. გარკვეული მსგავსება შეინიშნება ფოთსა და ქუთაისში 1964 წელს მოპოვებული მასალების იმ ჯგუფთან, რომელსაც არქეოლოგები ო. ლორთქიფანიძე და თ. მიქელაძე ძვ. წ. VI-IV სს. ათარიღებენ[9].

ადგილობრივი კერამიკის მეორე ნაწილი დაკავშირებულია მეტალურგიასთან და წარმოდგენილია საბერველის საქშენი მილისა და ბათქაშის რამდენიმე ნატეხით.

მეტად საყურადღებოა ნაცროვან-ძველოვანი ფენის ზედა დონეზე შავლაკიანი ჭურჭლის ფრაგმენტების აღმოჩენა. ისინი სხვადასხვა ჭურჭლის ნაწილებია, ერთი მათგანი (ინვ. №74) მუცლის ნატეხია. მას გარეთა ზედაპირზე შემოუყვება მაღალი რელიეფური წიბო, რომლის

[6] რ. აბრამიშვილი, თ. მიქელაძე, რ. რამიშვილი, მ. ბარამიძე, 1964 წ. ენგურის არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიში, ხელნაწერი, ინახება არქეოლოგიის სექტორში.

[7] ალ. ქალანდაძე, სოხუმის მთის არქეოლოგიური ძეგლები. სოხუმი, 1954, ტაბ. XV-1, 2, 4, 5; XVI; XII-1, 3; XVIII, 1, 3, 5.

[8] Б. А. К у ф т и н, Материалы к археологии Колхиды, Тбилиси, 1950, გვ. 39, 40, 46.

[9] ო. ლორთქიფანიძე, ქუთაისის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1964 წელს ჩატარებულ მუშაობის პირითადი შედეგები. თ. მიქელაძე, ფოთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1964 წლის ჩატარებული მუშაობის შესახებ. სამეცნიერო სესია, მიძღვნილი 1964 წლის საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი მოკლე ანგარიშები. თბილისი, 1965, გვ. 45-51. 20. საქ., კაკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები

სედა ნაწილი ჰორიზონტულია, ხოლო ქვედა – დაქანებული. ზედაპირი დაფარულია შავი ლითონისებრი მბზინავი ლაკით. ნატეხი ნაძერწია სუფთა წერილმარცვლოვანი თიხისაგან, გამომწვარია კარგად, გადანატეხში მოვარდისფროა. აღნიშნული ნატეხი შეიძლება მიეკუთვნოთ კანთაროსის მუცლის ნაწილად. შაელაკიანი ჭურჭლის სხვა ნატეხები გარედან შეღებილია მურა–მოშავო ლაკის თხელი ფენით, სუსტადაა გამომწვარი. სოგიერთი მათგანი (ინვ. №78, 90) შეიძლება მივაკუთვნოთ დახურულ ჭურჭელს.

სვანეთში ბერძნული ლაკიანი ჭურჭლის აღმოჩენის სხვა შემთხვევებიცაა ცნობილი. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ინახება ძვ. წ. IV საუკუნის წითელფიგურიანი ლეკითოსი, რომელიც შემთხვევით უპოვნია სოფ. ლენჯერში.

2. ი ა რ ა ღ – ს ა ჭ უ რ ე ე ლ ი შედარებით ცოტაა. ლითონის ნივთების უმეტესი ნაწილი დამსხვრეული და დეფორმირებულია, მაგრამ გადარჩენილი ნიმუშები მათი ტოპოლოგიური დაჯგუფების საშუალებას გვაძლევს. რკინის ცულებიდან გამოირჩევა ოთხწახნაგა და ყუაკვერიანი ფორმები (ტაბ. V, სურ. 2); დანის პირებიდან – სწორი და მოხრილი ნიმუშები; საღად გადარჩენილი ერთადერთი მასრიანი შუბის წვერი მხრებდაქანებული და ვიწროპირიანი (ტაბ. V, სურ. 1); ზოგიერთი ნატეხი კი უფრო ფართოპირიან და მკვეთრქედიან შუბისწვერებს ეკუთვნის. ამ ჯგუფში უნდა გაეროიანდეს აგრეთვე რკინის მუჯრის წვერი, ცხენის ლაგმები, სამთითა ჩანგალი და ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული ბრილური ტიპის ქარქაში (ტაბ. V, სურ. 4), რომელიც რელიეფური ორნამენტითაა შემკული და სქემატურად გამოსახავს ცხოველის თავ-კისერს.

ჩვენში დღეისათვის ცნობილ, განვითარებული რკინისა და აღრეანტიკური ხანის სხვა ძეგლების მსგავსად, ლარილარშიც ნაკლებადაა ბრინჯაოს იარაღები. ბრინჯაოს ორიოდე ისრისპირიდან ერთი მასრიანია, მეორე დამსადებულია ბრტყელი ფირფიტისაგან და მოგვაგონებს სამთაეროს ორმოსამარხების ე. წ. ნესტარისებურ ისრისწვერებს[10], აგრეთვე ბრილისა და გროზნოს ოლქის - ნესტოროვისა[11] და ჩრდილო ოსეთის - რუთხის[12] ძვ. წ. I ათასწლეულის შუახანებით დათარიღებულ სამარხებიდან მომდინარე იარაღებს.

ლარილარის კომპლექსშია კაჟის ერთი ცალი ქუსლამოღარული ისრისპირი[13] (ტაბ. III. სურ. 13) და შავი ობსიდიანის დანის ნატეხი. ამ ტიპის იარაღები, ჩვეულებრივ, უფრო ადრეული ხანის ძეგლებისთვისაა დამახასიათებელი, ვიდრე ლარილარის სამაროვანია. განათხარში ბევრია სალესი ქვები, რომელთა დიდ უმრავლესობას კარგად ეტყობა ხმარების კვალი.

ლარილარის საბრძოლო იარაღების პარალელების ძიებას კვლავ კოლხეთის მთა და ბარში მოვყავართ. სოხუმის მთაზე ანალოგიური

[10] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა ს სახ. საქ. სახ. მუზეუმის ფონდი 12-54/1921.

[11] Е. И. К р у п н о в, Древняя история Северного Кавказа, М., 1960, გვ. 283, სურ. 487, 8.

[12] იქვე, ტაბ. – XI 8.

[13] სოფ. კალაში აღმოჩენილი ასეთივე ისრისპირი ინახება მესტიის მუზეუმში.

შუბისწვერები ბევრია №2 სამარხეულ კომპლექსში[14]. გარკვეული მსგავსება შეინიშნება აგრეთვე რკინის ცულებს შორის. უახლოესი ანალოგები განსაკუთრებით ბევრია მთიან რაჭაში, გ. გობეჯიშვილის მიერ აღმოჩენილ და გათხრილ ძეგლებში, რომელთაც ავტორი ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებითა და მომდევნო საუკუნეებით ათარიღებს[15].

ლარილარის სამაროვნის პირველი თხრილის ე/5 კვადრატში, რკინის საბრძოლო-სამეურნეო იარაღების მთელი კომპლექსი (შუბისწვერი, ცული, დანები, ლითონის ქარქაში და სხვა.) აღმოჩნდა. აქვე ეწყო ბრინჯაოს მშვილდსაკინძი, ბალთები, დოლისებური საკიდები, ბრტყელი და მასიური სამაჯურები. ადგილზე დაკვირვებით იქმნება შთაბეჭდილება, რომ იარაღ-სამკაულის ეს კომპლექსი ერთ მიცვალებულს უნდა ეკუთვნოდეს.

3. ს ა მ კ ა უ ლ ი. ლითონის, მინის, პასტის, ქვისა და სხვა მასალისაგან დამზადებულ სამკაულს განათხარში წამყვანი ადგილი უჭირავს, როგორც რაოდენობრივ, ისევე მხატვრული გაფორმების ნაირსახეობით. თვალშისაცემია ბრინჯაოს ოთხკუთხა, ბრტყელი და მრავალგანივკვეთიანი სამაჯურების სიმრავლე. ზოგი მათგანი, კერძოდ მრავალგანივკვეთიანი სამაჯურები, სადა და გლუვსედაპირიანია. უკლებლივ ყველა ბრტყელი სამაჯური გრავირებულია, როგორც გეომეტრიული ისე ცხოველური სახეებით; მათი გახსნილი თავები უმეტესწილად ქვეწარმავლის (გველის) თავ-კისერს მოგვაგონებს. რიგ შემთხვევაში, სამაჯურის ბოლოებზე რელიეფური ორნამენტით არის გამოყვანილი რომელიღაც ცხოველის თავის გამოსახულება (ტაბ. III, სურ. 3).

სხვადასხვა სახეებით შემკულ ბრინჯაოს მშვილდსაკინძებიდან ყურადღებას იქცევს ეროი მშვილდსაკინძი, რომლის გარერკალზე დატანებულ ნახვრეტებზე ჩამოკიდებულია ფრინველის ქანდაკებები (ტაბ. III, სურ. 8). მორკალული მშვილდი და საკიდები შემკულია ორნამენტებით. ანალოგიური სამკაული ჩვენთვის უცნობია, ტიპოლოგიურად ახლო დგას თბილისის სახ. უნივერსიტეტში დაცული მშვილდსაკინძი (ინვ. №7-48/2), რომელიც 1920 წელს შემთხვევითაა ნაპოვნი გუდაუთის რაიონში.

მრავალრიცხოვანი ბრინჯაოს საკიდები უმეტეს შემთხვევაში ადგილობრივ ფაუნას ასახავს (ტაბ. III, სურ 4, 5, 6, 9). ყურადღებას იქცევს აკაშმელი ცხენის, ფრინველების, ვერძის, თხის, ძაღლის, ჯიხვისა და სხვა სკულპტურული გამოსახულებები. მათი მხატვრული გაფორმებისათვის გამოყენებულია გრეხილი, წნული, ზსნური და ბაფთისებური სახეების ერთობლიობა. ასეთივე სახეებითაა შემკული მრგვალი სათასმე ბალთები (ტაბ. IV) და მძივი (ტაბ. III, სურ. 11) სამკაულების შესამკობად და სახეების გამოსაყვანად ხშირად მიუმართავთ ჭვირული ორნამენტისათვის ერთ შემთხვევაში ჭვირული ბალთა ჯიხვის ბრტყელ ქანდაკებას გამოსახავს (ტაბ. III, სურ. 9).

---

[14] ა. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე, სოხუმის მთის არქეოლოგიური ძეგლები, სოხუმი, 1954, გვ. 28-29, ტაბ. VIII -3-7; Л. М. Т р а п ш, Итоги археологического исследования в Сухуми, СА, XXIII, 1955, გვ. 207, სურ. 1, 3.

[15] გ. გ ო ბ ე ჯ ი შ ვ ი ლ ი, განვითარებული რკინის ხანის ძეგლები რიონის სათავეში, საქართველოს არქეოლოგია, სახელმძღვანელო, თბ., 1959, გვ. 190-202.

სამაროვანზე აღმოჩენილი ბრინჯაოს ზარაკების აბსოლუტური უმრავლესობა მცირე ზომისაა (ტაბ. IV, სურ. 2). ისინი ჩამოსხმულია სამკუთხა ყუნწთან ერთად და ზედაპირი შემკული აქვთ მწყობრი შეკული ღარებით. ზოგიერთი მათგანი გვერდშეჭრილია. მცირე მოცულობის გვერდშეჭრილი და ჭეირული ზარაკები ანტიკურ ხანაში დამახასიათებელია საქართველოსა და საერთოდ კავკასიისათვის.

ლარილარის პაწია ზარაკები ყველაზე ახლო დგანან კოლხეთის დაბლობზე და ზემო რაჭაში ადრეანტიკური ხანის სამარხებში აღმოჩენილ ნიმუშებთან[16].

სხვადასხვა სათითე ბეჭდებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია ბრინჯაოს სათითე-საბეჭდი ბეჭედი (ტაბ. III, სურ. 10). მისი ფარაკი და რკალი ლიტონის ერთი ნაჭრისაა. ბრტყელი, გახსნილი რკალები უშუალოდ გადადიან მრგვალ, ბრტყელ ფარაკში. მასზე ამოჭრილია გაქცეული ირემი, რომელსაც ზურგში მოხვედრილი აქვს, ალბათ, მონადირის ნატყორცნი ისარი ან შუბი.

საერთო მოყვანილობითა და გახსნილი რკალებით ლარილარის ბეჭედი განეკუთვნება, ძვ. წ. V-IV სს. გავრცელებულ ბრინჯაოს, ვერცხლისა და ოქროს საბეჭდავების ჯგუფს[17], მაგრამ ფარაკზე ამოჭრილი გამოსახულების სიუჟეტით იგი განსხვავდება მათგან. საქართველოში დამზადებულ საბეჭდავებზე მოთავსებული რეალური თუ ფანტასტიკური გამოსახულებანი, უმრავლეს შემთხვევაში, დაკავშირებულია რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებთან. ლარილარის საბეჭდავებზე მოცემული გამოსახულება თითქოს ყოფაცხოვრებისეულ (ირემზე ნადირობის) სიუჟეტს ასახავს.

ირმის გამოსახულება ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მოტივია კავკასიაში მოსახლე ტომების მცირე ხელოვნებისათვის ანტიკური და მის წინარე ხანებში და ამდენად ლარილარის საბეჭდავის ავტორი ადგილობრივ ტრადიციას მისდევს. ამასთან, ჭუბერულ ოსტატს ან დამკვეთს, ირმის სამეურნეო მნიშვნელობისა თუ საკულტო წარმოდგენისათვის საფუძველს აძლევდა ამ მხარეში ირმის უძველესი დროიდან გავრცელების ფაქტი[18].

აღნიშნული ბეჭედი შეიძლება გამოგვადგეს მისი შემცველი ფენის დამთარიღებლად ძვ. წ. V ს. მიწურულით და IV ს. დასაწყისით.

ბრინჯაოს სამკაულებიდან აღსანიშნავია აგრეთვე: გრეხილტანიანი ხატის უღელი, სასაფეთქლე რგოლები, ძეწკვები, ცილინდრული ხვიები,

[16] Б. А. Куфтин, Материалы ..., II, ტაბ. 15-12; М. М. Трапш, დასახ. ნაშრომი, სურ. 12; გ. გობეჯიშვილი, განვითარებული რკინის ხანის ძეგლები რიონის სათავეში, საქართველოს არქეოლოგია, სახელმძღვანელო, თბილისი, 1959, გვ. 195.

[17] Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, Тбилиси, 1941, გვ. 35, ტაბ. XI. მისივე, Материалы к археологии Колхиды, I, Тбилиси, 1949, გვ. 55, ტაბ. VI; მისივე, Материалы II, სურ. 11, გვ. 44-45. С. И. Придик, Новые Кавказские клады, Материалы археологии России, 1914, Я. Н. Смирнов, ахалгорийский клад, Тиф., 1934; მ. ლორთქიფანიძე, საქართველოს სახ. მუზ. გემები, II, თბილისი, 1961; ი. გაგოშიძე, ადრეანტიკური ხანის ძეგლები ქსნის ხეობიდან, თბ., 1964.

[18] ჭუბერის ხეობაში ახლა ირემი არაა, მაგრამ აქ ხშირად პოულობენ რქებს, რამდენიმე მათგანი დაცულია მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

ნახეარსფერული ღილები და სხვა წვრილმანი, რომელთა განხილვას აქ არ შეეუდგებით.

ლითონის სამკაულების დახასიათებასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ სამაროვანზე აღმოჩენილ კერამიკულ და ლითონისის ნაწარმს შორის შეინიშნება ორნამენტაციის სიახლოვე, რაც უეჭველად მიუთითებს მხატვრული სტილის ადგილობრივ საწყისებზე.

ლითონის სხვა ნაწარმიდან საყურადღებოა მიცვალებულის თვალებსა და ტუჩებზე დასაფარებელი ბრინჯაოს ფირფიტები (ტაბ. III, სურ. 1, 2). ასეთი ნივთების გავრცელების ქრონოლოგიური და ტერიტორიული არეალი მეტად დიდია. მაგალითად. კუნძულ კვიპროსზე ანალოგიური დანიშნულების ნივთები დამოწმებულია ბრინჯაოს ხანის დასასრულს[19], ტელ-ხალაფზე – ძვ. წ. II ათ წლეულის მეორე ნახევარში[20], ხერსონესში – რომაულ ხანაში[21], ჩრდილო კავკასიის გვიანსკვითურ სამარხებში[22], მაკედონიაში[23] და ა. შ. ჩვენში ანალოგიური ფირფიტები საკმაოდ გავრცელებულია ანტიკურ ხანაში; ალგეთის ხეობაში ელექტრუმის საფარებს მოიცავდა აქემენიდური ხანის სამარხეული კომპლექსი[24]. ყერჩხლისაგან დამზადებული აღმოჩნდა ყანჩაეთის ადრეანტიკური ხანის სამარხებში აღმოჩენილი ფირფიტები[25]. საკმაოდ ტიპის ნივთების აღმოჩენა უფრო ხშირია გვიანანტიკურ ხანაში: მცხეთაში[26], კლდეეთში[27], ურბნისში[28]. ყველა სემოჩამოთვლილი ფირფიტა, გარდა კლდეეთისა, დამზადებულია ძვირფასი ლითონისაგან და აღმოჩენილია წარჩინებულთა სამარხებში.

ლარილარის სამაროვანი მდიდარია ხელოვნური მასისაგან და ბისერი მინერალებისაგან დამზადებული მძივ-სამკაულებით (ტაბ. VI). მათ შორის გამოირჩევა მარტივი და მხატვრულად გაფორმებული ნიმუშები. ასეთი კლასიფიკაცია ძირითადად ემთხვევა კიდეეც მათი წარმომავლობის ხასიათსაც. ადგილობრივი წარმოების პროდუქტად უნდა მივიჩნიოთ კერამიკული და მინისებური მასისაგან (პასტა) დამზადებული სალტისებრ ამობურცული ლურჯი და ყავისფერი მძივები. მათთვის დამახასიათებელია არაპროპორციული ფორმები და არასრული ლღობის მაუწყებელი ნიშნები მოწმობს დამზადების ტექნიკის დაბალ დონეს. აღნიშნული სამკაულების ქიმიურ-ლაბორატორიულმა ანალიზებმა გვაჩვენა, რომ ნაირი ფერების მისაღებად გამოყენებულია კობალტი, მაგნიუმი, ტყვია, ანთიმონი, რკინისა

[19] Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, გვ. 39-40, სურ. 37.

[20] M. Oppenheim, der tell Halaf, Leipzig, 1931, გვ. 166.

[21] ОАК за 1891, გვ. 140, 144 ჟა 1892, გვ. 110.

[22] Б А. Куфтин, დასახელებული ნაშრომი, გვ. 39.

[23] P. Amandry, Obiets der et darrant, Collection Héléne stathatos, III, Strasburg, 1963.

[24] Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრომი, გვ. 39-40, ტაბ IX, 7.

[25] ი. გაგოშიძე, ადრეანტიკური ხანის ძეგლები ქსნის ხეობაში, გვ. 15. ტაბ. I, 8.

[26] ალ. კალანდაძე, მცხეთის 1956 წ. არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიში. ხელნაწერი ინახება ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიის სექტორში.

[27] გ. ლომთათიძე, კლდეეთის სამაროვანი, თბილისი, 1957, გვ 112.

[28] ი. გაგოშიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 19.

და სპილენძის ჟანგეულები და სხვა კომპონენტები[29], რომელთა წარმოება და გამოყენება თავის მხრივ დაკავშირებულია მეტალურგიის განვითარებასთან. ჭუბერის ხეობაში კი მისი არსებობა, საეჭვო არ უნდა იყოს.

ხელოვნური მასალისაგან დამზადებული უცხოური სამკაულებიდან ყურადღებას იქცევს ლურჯი მინის ფერადი ზოლებით შემკული მძივები; ფერადი მინისაგან თეთრ-ლურჯი თვლებიანი მძივები; ყვითელი, ლურჯი და ყავისფერი პასტის ფერადი ინკრუსტირებული და სხვა სახის მძივები. სხვადასხვა ფერის მინისაგანაა ნამზადი მრავალრიცხოვანი მძივსაკიდი, რომელთა მოყვანილობა ხშირად სარაკებს, ამფორისკებს, დოქებსა და სხვა ნივთებს მოგვაგონებს. ამ ჯგუფის სამკაულის ტექნიკური და მხატვრული გაფორმების თავისებურებანი, პირველ შეხვედრისთანავე ცხადყოფს, რომ იგი განეკუთვნება ძვ. წ. I ათასწლეულის შუა და მომდევნო ხანებში აფრიკის, აზიისა და ევროპის უმთავრეს ქვეყნებში მასობრივად გავრცელებულ მინისა და პასტის სამკაულთა ჯგუფს, რომლის სამშობლოდ მიიჩნევენ ეგვიპტესა და სირიას. ან კიდევ ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპირო'ზე მდებარე ფისიკურ ქალაქებს – თებეს, მემფისს, ხოლო შემდეგ ნაკრატისს,ალექსანდრიას,და სხვა კულტურულ ცენტრებს[30]. ლარილარის ზემოაღნიშნული სამკაულებისათვის, უამრავი პარალელი მოგვეპოვება, როგორც კავკასიაში, ასევე მის ფარგლებს გარეთაც. მაგრამ ამჯერად დავასახელებთ უახლოეს ანალოგებს დაბლაგომის, ზუგდიდის, ქუთაისის[31] და ბრილის[32] სამარხეული კომპლექსებიდან, სადაც სხვაც მრავალი პარალელი მოგვეპოვება ლარილარის განათხარი მასალისათვის.

გულმოდგინედაა დამუშავებული ოპალის, ქალცედონის, კვარცის, აქატის, სარდიონისა და სხვა ბუნებრივი მინერალების მძივ-საკიდები[33].

სარდიონის ქვის სამკაულები უფრო ხშირია კრემაციული მასის ქვედა ჰორიზონტზე, სხვა დანარჩენები, როგორც ზემოთ აგვღნიშნეთ, განსაკუთრებით ბევრია ზედა ნაცროვან-ძვლოვან ფენაში. მაგრამ ყველა ისინი ხასიათდებიან ტექნიკური დამუშავების ერთიანი ნიშნებით; მძივების უმრავლესობა სფერულია, სხვადასხვა მოცულობის. გეხვდება აგრეთვე ბრტყელი, ოვალური, ე. წ. „ცრემლისებური“ და სხვა ფორმები. ძაფის გასაყრელი ნახვრეტები გაყვანილია მოპირდაპირე მხრიდან, ან ცალმხრიდან გაყვანილი კონუსური მილი მეორე ბოლოში ამოჭრილ ფესოს უერთდება. სარდიონის მძივებზე ხშირად შეინიშნება ბურღის ასხლეტის თავიდან ასაცილებლად დატანებული ნაჭდევი. ამ და სხვა ნიშნებით, ლარილარის

---

[29] მინისა და პასტის მძივების ქიმიური ანალიზი გაკეთებულია ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახ. მუსეუმის ქიმიურ-სარესტავრაციო ლაბორატორიაში,ქიმიის მეცნ. კანდიდატის რ. ბახტაძის მიერ.

[30] Neuburg, Glass in Antiquity, London, 1949; A. Kusa, Das Glasim Altertume, Leipzig, 1908; Е. И. Крупнов, Новые данные по археологии Северного кавказа, СА 1958 №3.

[31] Б. А. Куфтин, Материалы ..., II, П, გვ. 41,51-53.

[32] გ. გობეჯიშვილი,დასახ. ნაშრომი,გვ. 198.

[33] მძივების პეტროგრაფიული ანალიზი გაკეთდა საქ. მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგიის ინსტიტუტში, პროფ. გ. გვახარიასა და უმცრ. მეც. თანამშრ. თ. მალაშვილის მიერ. აგრეთვე ს. ჯანაშიას სახ. საქ. სახ. მუსეუმის გეოლოგიის განყოფილებაში, გეოლოგიურ მეცნ. კანდ. მ. ხუჭუას მიერ.

ნიმუშები უახლოვდებიან სამთავროს ორმოსამარხების მძიებს, რომელთაც გ. ლემლეინი, საოგადად ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრით ათარიღებს[34].

ხელოსანი განსაკუთრებული ყურადღებით მოჰკიდებია სამკაულის შედაპირულ მოპირკეთება-გაშლიფვას. მინერალის ფერადი ძარღვები ოსტატის მიერ მოხერხებულადაა გამოყენებული სამკაულზე მხატვრული სახეების გამოსაყვანად და ეფექტის გასაძლიერებლად. გარდა ამისა, შედაპირზე ხშირად შაბიამნისფერი ჭიქურია გადასმული.

ლარილარის ქვის სამკაული ტიპოლოგიურად და მხატვრული სტილით, უახლოეს ანალოგებს კელაე კოლხეთის ადრეანტიკური ხანისაა და აღმოსავლეთ საქართველოს „აქემენიდური" დროის ძეგლებში პოულობს.

ამ ჯგუფის სამკაულის სადაურობის შესახებ, ძნელია დამაჯერებელი მოსაზრების გამოთქმა, მაგრამ მხედველობაში მისაღებია ის გარემოება, რომ გამოყენებული ნედლეული: ქალცედონი, ოპალის სეკრეციები და კვარცის ჯგუფის წარმონაქმნები,უხვად მოიპოვება სევანეთის პალეოზოურ და მეზოზოურ კირქვებსა და პორფირიტულ წყებებში. გამორიცხული არ არის შესაძლებლობა მძივ-სამკაულის ადგილობრივად დამზადებისა შემოტანილი (სარდიონის მძივები) ნიმუშების მიხედვით.

ლარილარის სამარხეული ინვენტარი ძირითადად, სამეურნეო, საბრძოლო და საპარადო დანიშნულებისაა, მაგრამ ბეცრი მათგანი, განსაკუთრებით კი სამკაული, მთლიანად ან მხატვრული გაფორმების მოტივებით, წარმოდგენას გვაძლევს დამამზადებელი და მომხმარებელი საზოგადოების რწმენა-ჩვეულებებზე: საკიდებად და ავგაროზებად გამოყენებული ბრინჯაოს მინიატურული ზარაკები, ცხოველისა და ფრინველის გამოსახულებები, შემკულობის სოომორფული მოტივები და სხვა ნიუანსები მათ საკულტო-საპარადო დანიშნულებაზე მიუთითებს. მაგალითად, ბრინჯაოს ზარაკები ერთ-ერთი წამყვანი კომპონენტია ადრეანტიკური ხანის სამარხების კომპლექსებში. შემთხვევით როდია, რომ ზარების უმეტესობა (ახალგორი, ყაზბეგი, დაბლაგომი[35]) შემკულია რელიეფური ან ჭვირული ორნამენტით. ბრილში და სოხუმის მთაში აღმოჩენილ ზარაკებზე არწივის გამოსახულებებია[36]. როგორც ჩანს, ზარს სიმბოლური მნიშვნელობა ენიჭებოდა მიცვალებულის დამარხვისა თუ 'იმქვეყნიური ცხოვრების" პროცესში. ამ შემთხვევაში, ბრინჯაოს ზარაკები უფრო სამგლოვიარო დანიშნულებისაა, ვიდრე საპარადო. სოგიერთი მკვლევარის აზრით, ზარებს აპოტროპიული დანიშნულება ენიჭებოდათ, მათ მიცვალებული უნდა დაეცვათ აეი სულებისაგან[37].

---

[34] Г. Г. Л е м л е и н, Каменные бусы самтаврского некрополя, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 29, 1951, გვ. 188.

[35] Я. И. С м и р н о в, ахалгорийский клад, Тиф., 1934, გვ. 58. A. M. Talgren, Tie Kasbek Treasure B. Euras Sert. Ant. V, Helsinki, 1930, გვ. 134; Б. А. Куфтин, Материалы ..., II, გვ. 41, სურ. 9-3, ტაბ 15-12.

[36] გ. გ ო ბ ე ჯ ი შ ვ ი ლ ი,რაჭის არქეოლოგიური ექსპედიცია, 1951, ანგარიში; ალ. კალანდაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 53, სურ. 23.

[37] H. M. K a s s e l, Kaukasische Geokchen in Samos, Marburgen Studien, 1938, გვ. 156.

რელიგიურ წარმოდგენებთანაა დაკავშირებული მიცვალებულის ტუჩთვალზე დასაფარებელი ფირფიტების გამოყენება. ცხენის ლაგამის ჩატანება და სხვა მოვლენები. ასევე, რელიგიურ-სარიტუალო ცერემონიებთან უნდა იყოს დაკავშირებული კერამიკული ჭურჭლებისა და სამკაულის მხატვრული გაფორმებისას ცხოველის, ქვეწარმავლის, ფრინველის, ასტრალური და სხვა მოტივების სიუხვე, რაც თავის მხრივ შეიძლება დაუკავშირდეს უძველეს მითოლოგიურ რწმენებს.

როგორც ითქვა, ლარილარის სამაროვანზე აღმოჩენილი ადგილობრივი და ინპორტული მასალა შეიცავს სამეურნეო-საბრძოლო, სარიტუალო და ფუფუნების საგნებს. მათი ერთი ნაწილი, იარაღ-საჭურველი, მამაკაცის საკუთრება ჩანს, სამკაულის უმრავლესობა კი სადიაცო უნდა იყოს. ნაცროვანის ძირა ფენაში (ყამირზე) გამოვლენილ ცალკეულ ბუდეებში, ერთ შემთხვევაში აღმოჩენილი კომპლექსი, ძირითადად, სავაჭაცო იარაღებს აერთიანებდა. მეორე შემთხვევაში კი მხოლოდ სამკაულებს. ცალკეულ ბუდეებში თავმოყრილი მასალა განსხვავდება, როგორც დამიშნულების, ასევე რაოდენობისა და მხატვრული გაფორმების მხრივ, რაც საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ სამაროვანი განეკუთვნება ქონებრივი მდგომარეობით განსხვავებული წევრებით შედგენილ საზოგადოებას. ამ მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს აგრეთვე ბრინჯაოს საბეჭდავი ბეჭდის აღმოჩენა, რაც თავის მხრივ კერძო საკუთრების უფლების განმტკიცებასთანაა დაკავშირებული.

ლარილარის სამაროვანი მრავალი არქეოლოგიურ ძეგლს უახლოვდება თვით მიცვალებულის დასაფლავების წესითაც. გვამის სრული ან ნაწილობრივი კრემაცია, ინჰუმაციასთან ერთად, საკმაოდ გავრცელებული მოვლენა იყო მთელ რიგ ქვეყნებში ადრეული ხანიდან ვიდრე ქრისტიანული რელიგიის გავრცელებამდე. შავი ზღვის – ჩრდილო და ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე დაკრძალვის ეს წესი ცნობილია ოლვიაში, ხერსონებში, პანტიკაპეასა და სხვა ბერძნულ კოლონიებში[38], ამიერკავკასიის სამხრეთ რაიონებში – განჯაში, შუშენსკოეში[39], იგდირში[40] და სხვა. ქართველი ტომებისათვის მიცვალებულის დაწვის წესი, ზოგიერთი ცნობით დამოწმებული ჩანს ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანაში (სამგორისა და თრიალეთის ყორღანების მიხედვით[41]). მთიან რაჭაში (ბრილი) – ძვ. წ. X-V სს.[42], სოხუმის მიდამოებში VI-V სს.[43], ეშერში – ელინისტურ ხანაში[44],

---

[38] М. И. Ростовцев, Скифы и боспор, Л., 1929.

[39] Э. А. Реслер, О раскорке близ Ходжалы, ОАК за 1899, გვ. 80 за 1895, გვ. 50-53; за 1897, გვ 151.

[40] Б. А. Куфтин, Урартский колумбарий у подошвы Арарата и Куро-Араксский энеолит, საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე, თბილისი, 1943, XIII, გვ. 4-84.

[41] Б. А. Куфтин, археологические раскопки в Триалети, გვ. 81.

[42] გ. გობეჯიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 190.

[43] ალ. კალანდაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 56; М. М. Трапш, დასახ. ნაშრომი, გვ. 219-223.

[44] Б. А. Куфтин, Материалы .., I, стр. 96.

ნხორუწყუში – ძვ. წ. III-I სს.[45], გულრიფშის რაიონის ს. ოლგინსკოეში – ახ. წ. III-IV საუკუნეებში[46] და ა. შ.

მიცვალებულის სრული ან ნაწილობრივი კრემაცია ცალკეულ ადგილებში განსხვავებული მეთოდით სრულდებოდა; ეშერში ჯერ გვამი დაუწვავთ სრულად, შემდეგ ფერფლი და სამკაული თიხის ჭურჭლებით ჩაუფლავთ მიწაში[47]. ანალოგიური მდგომარეობაა ს. ოლგინსკოეს ინდივიდუალურ სამარხებში[48], მალაქლუს კოლუმბარებში[49] და სხვაგან. სხვა შემთხვევაში, მიცვალებული და თანჩატარებული ინვენტარი, ნაწილობრივ ან მთლიანად დაუწვიათ საგანგებო ორმოსამარხებში[50].

ბრილში, მიცვალებულთა გვამები და ინვანტარი ერთად არის დამწვარი საამისო ერცელ მოედანზე[51]. ლარილარის სამაროვანი სტრუქტურულად სწორედ ბრილის სამაროვანისთვის ჩანს ყველაზე მახლობელი. ირკვევა რომ აქ მიცვალებულს ჩაცმულ-დახურულსა და იარაღ-სამკაულით მორთულს სწვავდნენ ერთიან ფართობზე, ამიტომაც ნაცროვან ფენაში ქაოსურად არის არეული სხვადასხვა პირების კუთვნილი იარღ-სამკაული. თუმცა როგორც ზემოთ აღნიშნეთ, უშეალოდ ყამირზე ნატარებული კრემაციის შედეგად შემოინახა ბუდეები, სადაც მეტ-ნაკლები სისრულით დაცულია ცალკეული პირებისთვის თანჩატანებული ნივთების დაჯგუფება.

ლარილარის სამაროვანის ეს მეტად სქემატური დახასიათება და პარალელების არასრული დასახლებაც კი საგფუძველს გვაძლევს მოვაქციოთ იგი ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებში და მის მიმდგომ საუკუნეებში კაეკასიაში გაერცელებული კულტურის, კერძოდ ადრეანტიკური კოლხეთის კულტურის წრეში. ძეგლის შესწავლის თანამედროვე დონე საფუძველს გვაძლევს დავათარიღოთ იგი ძვ. წ. VI-IV სს.

ლარილარის სამაროვანი განეკუთვნება ენგურის ხეობაში დამკვიდრებულ ქართველ ტომებს, რომლებიც მიუხედავად მკაცრი ბუნებრივი პირობებისა, კარგად იცნობდნენ იმ დროის მოწინავე კულტურისა და გააჩნდათ საკუთარი მრავალფეროვანი მეურნეობა.

ლარილარის სამარხეული ინვენტარის მიხედვით ძნელია სრულყოფილად დავახასიათოთ ამ კულტურის მატარებელი ხალხის მეურნეობის ყველა დარგი, მაგრამ იგრძნობა, რომ მათ ძირითად საქმიანობას მესაქონლეობა და ლითონის დამუშავება წარმოადგენდა. მართალია, განთხარში არ მოგვეპოვება სამიწათმოქმედო იარაღები, მაგრამ თუ

---

[45] Н. В. Хоштария, Могильник с трупосожением (захоронение в урнах) и остатки поселений, მასალები საქ. და კავკასიის ისტორიისათვის, 1941, II, გვ. 67-75.

[46] ი. გძელიშვილი, თიხის ჭურჭელში დაკრძალული კრემაციული ნაშთები აჭარაში, საქ. აკად. მოამბე, თბილისი, 1947, ტ. VIII, №1-2, გვ. 90-95.

[47] Б. А. Куфтин, Материалы..., I გვ. 96.

[48] Н. В. Хоштария, დასახ. ნაშრომი, გვ. 90.

[49] Б. А. Куфтин, Урартский колумбарий.., გვ. 4-6.

[50] ალ. კალანდაძე, დასახ. ნაშრომი,გვ 56-57; М. Трапш, დასახ. ნაშრომი,გვ. 222.

[51] გ. გობეჯიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 190.

გავითვალისწინებთ იმას, რომ მოსახლეობას ამ პერიოდში სჭირდებოდა მიწათმოქმედების საკუთარი პროდუქცია, რომ ჭუბერის ხეობაში საკმაო რაოდენობით მოიძებნებოდა სახნავ-სათესად ვარგისი მიწის ფართობი და აქვე არის აღმოჩენილი სხვადასხვა დროის ბრინჯაოს და რკინის სამიწათმოქმედო იარაღები (რომლებიც მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ინახება) შეიძლება ვიფიქროთ, რომ ჩვენთვის საინტერესო ეპოქაშიაც მიწათმოქმედება სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგი უნდა ყოფილიყო.

სამაროვან'ზე დიდი რაოდენობით გამოვლენილი ქანდაკებები, კერამიკული და ლითონის ნივთების მხატვრულ გაფორმებაში 'სიომორფული მოტივების სიუხვე მესაქონლეობის განვითარების მაღალ დონეს მოწმობს. ხოლო, სამკაულებად გამოყენებული ცხვრისა და თხის სკულპტურული გამოსახულებების სიმრავლე კი წვრილფეხა რქოსანი საქონლის მოშენების უპირატესობაზე უნდა მიუთითებდეს, ეს ბუნებრივიცაა, ვინაიდან ჯერ ერთი სვანეთის თავისებური. კლიმატურ-გეოგრაფიულ პირობებში უფრო ხელსაყრელია წვრილფეხა რქოსანი პირუტყვის მოშენება და მეორეც, ამ გზით ყველა'ზე იოლად შეიძლებოდა მთიელთა დაკმაყოფილება ხორცისა და რძის პროდუქტებით, შალით, ტყავით და სხვა პირველი მოთხოვნილების საგნებით.

სამეურნეო ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი უნდა სჭეროდა ნადირობასაც; დიდი რაოდენობით გამოვლენილი გარეული ფრინველების (არწივი, შურთხი, როჭო), ჯიხვის, ძაღლის გამოსახულებები, ლითონის ისრისპირები, აგრეთვე საბეჭდავის ფარაკზე მოცემული ირემზე ნადირობის სცენის დეტალი და სხვა ნიშნები, სწორად ნადირობის მასობრივ ხასიათზე უნდა მეტყველებდეს.

განათხარი მასალის ის ჯგუფი, რომელიც ადგილზევეა დამზადებული, მოწმობს მეთუნეობის, მეტალურგიის, ხელოსნობისა და სხვა დერგების განვითარების მაღალ დონეს; ოსტატის ფაქიზ გემოვნებასა და დახვეწილ ტექნიკაზე მიუთითებს სამკაულის მრავალფეროვნება, მინერალის ფერადი ძარღვების გამოყენება ქვის მძივებზე კომპოზიციური სახეების გამოსაყვანად. სახეითი ხელოვნება კარგად გადმოგვცემს ადგილობრივი ფაუნის წარმომადგენელთა დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს. რაც ხელოვანის მაღალ გემოვნებასა და ადგილობრივი ფაუნის ზედმიწევნით ცოდნაზე მიუთითებს.

ადგილობრივი მასალა, ტექნიკური ნიშნებით და მხატვრული სტილით გენეტიკურადაა დაკავშირებული არა მარტო საქართველოს ადრეანტიკური ხანის ძეგლებთან, არამედ, მჭიდროდ უკავშირდება ამავე პერიოდის ჩრდილო კავკასიის 'სემოთ დასახელებულ ძეგლებს. ეს ფაქტი თავისთავად აყენებს საკითხს ცენტრალური კავკასიონის სამხრეთ და ჩრდილო კალთის მოსახლეობის კულტურულ-ეკონომიური ურთიერთობის გზების დაზუსტების შესახებ.

როგორც ჩანს, კავკასიონის ქედი არა მარტო მიჯნავდა მის ჩრდილო და სამხრეთ კალთებზე მოსახლე ტომებს, არამედ გადასასვლელების საშუალებით აკავშირებდა კიდეც მათ სამეურნეო და კულტურული

ცხოვრების სფეროში. ამ მხარეების უეჭველ ტრადიციულ ურთიერთობაზე მეტყველებს, სვანეთში აღმოჩენილი, ამ წერილში განუხილველი სპილენძის არქაული იარაღების სიახლოვე ყუბანის ყორღანულ ძეგლებთან[52]. ასეთსავე კავშირზე მიუთითებენ, აგრეთვე, ფეოდალური ხანის სვანური ტიპის საფორტიფიკაციო ნაგებობანი (კოშკები), ქრისტიანული საკულტო ნაგებობანი და მათთან დაკავშირებული მრავალი გადმოცემა, რომელიც დღემდე შემორჩა როგორც სვანეთის, ისე ყაბარდო-ბალყანეთის მოსახლეობას[53].

საგანგებო მოსაღოდნელია, რომ სვანეთიდან ჩრდილოეთ კავკასიაში გადამავალი უღელტეხილები, ჩვენთვის საინტერესო ეპოქაში, წარმოადგენდა ჩრდილო და სამხრეთ კავკასიის დამაკავშირებელ ერთ-ერთ ხიდს, რომლითაც სარგებლობდნენ არა მარტო მთიელები, არამედ კოლხეთისა და შავი ზღვის ეკონომიურ რაიონებთან დაკავშირებული შერეული ქვეყნებიც. ეს მით უმეტეს, რომ დარიალისა და მამისონის მსოფლიო მნიშვნელობის სავაჭრო გზები ენგურის ხეობაში მოსახლე ტომებისათვის პრაქტიკულად უფრო ნაკლებად ხელსაყრელი უნდა ყოფილიყო, ვიდრე ჭუბერის თავზე მდებარე დონღუზორუნის ანუ "ბუბე ბევის" უღელტეხილი, რომელსაც სვანები ოდიდანვე და ამჟამადაც იყენებენ, როგორც საცხენოსნო და მსხვილფეხა საქონლის გადასაყვან გზას.

ამ მოსაზრებას მხარს უბამს ჩრდილო კავკასიის უძველესი კულტურის მკვლევართა, ა. იესენის, ე. კრუპნოვის, კრუგლოვის და სხვათა მოსაზრებანი იმის შესახებ, რომ ძვ. წ. VI-V სს. კოლხეთი წარმოადგენდა იმ შუალედ ცენტრს საიდანაც ჩრდილოეთში ვრცელდებოდა ახლო აღმოსავლეთის, სირიისა და ეგვიპტის სახელოსნოებში დამზადებული ფუფუნების საგნები.

ლარილარის სამაროვანზე, შემოტანილი საქონელი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არის ბერძნული შავლაკიანი ჭურჭელი და მრავალფეროვანი მინისა და პასტის მძივები. შავლაკიანი ბერძნული ჭურჭელი, მთიან რაჭაში აღმოჩენილი იქნა ძვ. წ. V ს-ის სამარხში. როგორც ჩანს, ბერძნული და წინააზიური იმპორტი არა მარტო კოლხეთის სღვისპრა სოლში, არამედ შიდა და მთიან რაიონებშიც აღწევდა, რასაკვირველია უფრო ნაკლები რაოდენობით.

ცნობილია, რომ როდესაც სხვადასხვა ტომებს შორის საფუძველი ეყრება გაცვლა-გამოცვლას, სამკაულები და ფუფუნების საგნები ხდება ამ პროცესის წამყვანი საგანი. ლარილარის სამაროვანზე ბერძნულ სამყაროდან შემოტანილი მასალების აღმოჩენა და ანტიკური წერილობითი წყაროების ცნობა კოლხეთის შესახებ, საფუძველს გვაძლევს სხვებთან ერთად ვამტკიცოთ ამ ორ ქვეყანას შორის ორმხრივი სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობის არსებობა, მითუმეტეს, რომ სვანეთი მდიდარი იყო ძვირფასი

[52] А. А. Иессен, К Вопросу о дрсвней металургии на Кавказе. ИГАИМК, в 120, М.-Л., 1935.

[53] В. Миллер, М. Ковалевский, В горских обществах Кабарды. Вестник Европы, 1884 IV, стр. 550-557; А. Робакидзе, К вопросу о форме поселения в Сванетии, Краткие соовщения института этнографии, АН СССР, т. 12, 1958.

ლითონებით, ხე-ტყით, ცვილით, ბეწვეულით, რომლებიც ბერძნებისათვის იმ პერიოდში ინპორტის საგანს შეადგენდა.

თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ძველი წელთაღრიცხვის პირველი ათასწლეულის მეორე ნახევრიდან სვანეტში უხვად შედის უცხოური მონეტაც (პანტიკაპეის, ალექსანდრე მაკედონელის სტატერები), ხოლო ჯერ კიდევ ახალი წ. აღ. დამდეგამდე ჩნდება მოთხოვნილება ადგილობრივ მონეტასაც, საფუძველი გვექნება ვიფარაუდოთ, რომ ენგურის ხეობა, საკლაე პერიოდში, ჩაბმული იყო მეზობელ და შორეულ ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობაში. თუ ეს ვარაუდი სწორია, მაშინ ამ ხეობაში მოსახლე ხალხის საზოგადოებრივი ცხოვრების სურათის აღდგენა შეიძლება ვცადოთ ვ. ი. ლენინის იმ ცნობილი დებულების შუქზე, რომ "...გაცვლის წარმოშობასთან ერთად ჩნდება კერძო საკუთრება, რომელსაც საფუძვლად უდევს საზოგადოებრივი შრომის უკვე დაწყებული სპეციალიზაცია და პროდუქტების გასხვისება ბაზარზე"[34].

ლარილარის განათხარი მასალა და სვანეთის ცალკეული არქეოლოგიური აღმოჩენები, საფუძველს გვაძლევს წარმოვიდგინოთ საკმაოდ დაწინაურებული, ქონებრივად და ალბათ სოციალურად დიფერენცირებული საზოგადოება, რომელსაც ახასიათებს მრავალფეროვანი კულტურული და სამეურნეო ცხოვრების ნიშნები.

[34] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. I, გვ. 268.

# ტაბულების აღწერილობა

ტაბ. I. თხრილის გეერდითი ჭრილი.


ტაბ. II. 1 – კოლხური დერგის პირ-ყელის ნატეხი.
2 – პარკეტული ორნამენტის ნიმუში.
3 – „ზენური“ ნაჭდევი ორნამენტის ნიმუში.
4 – ჭურჭლის ყური ცხოველის თავის გამოსახულებით.
5 – ჭურჭლის ყურებზე გეელის რელიეფური გამოსახულებით.
6 – ჭურჭლის ზოომორფული ყური.
7 – ჭურჭლის პირ-ყელის მოყვანილობისა და შემკულობის ნიმუში.
8 – ზოომორფული ყური წაქეთილი რქებით.
9 – ბრტყელი შეერილი ყური.


ტაბ. III. 1-2 – მიცვალებულის ბაგეზე და თვალებზე გადასაფარებელი ფირფიტები.
3 – ბრინჯაოს სამაჯური ქეეწარმაელის თავის გამოსახულებით.
4 – საკიდი ცხენის გამოსახულებით.
5 – საკიდი ფრინველის გამოსახულებით.
6 – საკიდი ეერძის გამოსახულებით.
7 – მშვილდსაკინძი.
8 – მშვილდსაკინძი - საკიდებიანი.
9 – ბალთა ჯიხვის გამოსახულებით.
10 – ბეჭედი ირმის გამოსახულებით.
11 – ბრინჯაოს მძივები.
12 – რკინის ისრისპირი.
13 – კაჟის ისრისპირი.


ტაბ. IV. 1 – ბრინჯაოს ბალთები.
2 – ბრინჯაოს ზარაკები.


ტაბ. V. 1 – რკინის შუბის წვერი.
2 – რკინის ცულები.
3 – რკინის დანის პირები.
4 – ბრინჯაოს ქარქაშის ფრაგმენტები.


ტაბ. VI. მინისა და ქვის მძივები.



ჰუმუსოვანი
თიხნარი, კენჭოვანი
შავი ნაცროვანი
რუხი ნაცროვან-ძეწოვანი
შავი ნახშიროვანი
უძრავი ქანი, გრუნტი








1
2
3
4



თანაავტორები: ბ. ბრიგოლია, მ. ბარამიძე, ნ. ოძროპირიძე,
ალ. რამიშვილი, ვ. ჯაფარიძე, ჯ. ჯღამაია.

# ენგურის არქეოლოგიური ექსპედიციის 1968 წ. მუშაობის შედეგები*

ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ენგურის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ 1968 წ. ფართო გათხრითი სამუშაოები ჩაატარა ენგურჰესის მშენებლობის ტერიტორიაზე სოფ. პალურსა და ლიაში. სოფ. პალურში შესწავლილი იქნა ადგილი „ენწერში“ გამოვლენილი საწარმოო უბანი და საძელეს სახელით ცნობილი ძეგლი. ეს უკანასკნელი წარმოადგენს 80 მ² მქონე სწორკუთხა მოედანს, რომელსაც სამი მხრიდან (სამხრეთის გარდა) შემოუყვება 1,2 მ. სიღრმისა და 3,5 მ. სიგანის თხრილი; თხრილი პირამდე ამოვსილი იყო რიყის ქვებით, რომელშიც უსისტემოდ ერეოდა კერამიკული ჭურჭლის ნატეხები, ლითონის სამკაულები და ადამიანის დამწვარ-დალეწილი ძვლები. მოპოვებული მასალის მიხედვით საძვლე საკულტო ხასიათის ძეგლი ჩანს, რომელიც არსებობდა ძვ. წ. XI-V საუკუნეებში.

სოფ. ლიაში ექსპედიციამ ნაწილობრივ გათხარა „დიდა ქირსას“ სახელით ცნობილი გორანამოსახლარის თხემზე აღმართული ფეოდალური ციხის მე-2 კოშკი და ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის რიყის ქვით ნაგები ნახევრად მიწური შენობის ნაშთი. აქვე გორის ფერდობებზე გაითხარა რომაული ხანის (I-II საუკ.) ხუთი ორმო სამარხი, რომელთაგან სამი მამაკაცს განეკუთვნება, ორი კი ქალს. მამაკაცთა სამარხეული ინვენტარი უმთავრესად რკინის საბრძოლო იარაღით არის წარმოდგენილი და მრავალმხრივ საინტერესოა.

გარდა ამისა, ექსპედიციამ სოფ. რეყეში, სოფ. გუდაუას დიუნებზე და მდ. ოქუმ-ერისწყლის შესართავთან ჩაატარა მცირე მაშტაბის დაზვერვითი სამუშაოები.

ამრიგად, ენგურის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ საანგარიშო წელს არა ერთი საყურადღებო ძეგლი გამოაელინა, რომელთა გამოწვლილვითი შესწავლა დიდ დახმარებას გაუწევს კოლხეთის ისტორიის მკვლევარებს.

---

* გამოქვეყნებულია - XVIII სამეცნიერო სესია, მიძღვნილი საქართველოში 1968 წელს წარმოებული საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი, მოკლე ანგარიშები, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი. გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1969, გვ. 8-9.

შ. ჩართოლანი

# სპილენძის ძველი სამთომადნო გამონამუშევრები მდ. ბზიფისა და კოდორის სათავეებში*

დღევანდელი აფხაზეთის ასსრ ტერიტორიაზე ფერადი ლითონებით მდიდარი გეოლოგიური ფორმაციების ძიება ჯერ კიდევ რევოლუციამდელ დროში დაიწყო[1] და განსაკუთრებული ინტენსიობით წარიმართა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. სპეციალური ლიტერატურის მიხედით, ამ მხარეში უკვე აღრიცხულია ფერადი ლითონების ორმოცამდე გამოსაყალი[2]. ზოგი მათგანი დიდი ხანია საგანგებო გამოკვლევის საგნად გახდა. ამ უკანასკნელ ხანებში საქართველოს სსრ გეოლოგიურმა სამმართველომ, სპილენძის მადნის სამრეწველო მარაგის გამოკვლევის მიზნით, დიდი მასშტაბის მუშაობა გაშალა ბზიფისა და კოდორის ხეობებში. „ჩხალთის გეოლოგიური პარტია" საძიებო წოლხვრელების გაყვანის დროს წააწყდა ადამიანის ხელით გამოკვეთილ მიწისქვეშა სიცარიელეებს და ქვის იარაღებს. გეოლოგიის პარტიის უფროსმა ვ. დუმბაძემ აღნიშნულის შესახებ წერილობითი ცნობა და ზოგიერთი ნივთიერი მასალა გამოგზავნა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში[3]. ამავე ინსტიტუტის ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანის განყოფილებამ ეს მასალა ღების (ზემო რაჭა) ძველ სამთომადნო მღვიმეებში აღმოჩენილი იარაღების[4] ანალოგებად მიიჩნია და მისანშეწონილად ჩათვალა მისი მოპოვების ადგილების არქეოლოგიური დაზვერვა, რომლის ჩატარება ჩვენ მოგვანდო.

1969 წლის აგვისტოში მოვინახულეთ მდ. ბზიფისა და კოდორის სათავეების ზოგიერთი ადგილი, სადაც მოსალოდნელი იყო ძველი გამონამუშევრების არსებობა.

---

* გამოქვეყნებულია - XVIII სამეცნიერო სესია, მიძღვნილი საქართველოში 1968 წელს წარმოებული საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი, მოკლე ანგარიშები, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი. გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი, 1969, გვ. 49-60, 168-175.

[1] Л. К. Капушевский. Отчет о геологических исследованиях в Сухумском округе в 1909, 1910, 1911 и 1912 гг. "Материалы для геологии Кавказа". Тифлис, 1915. Н. В. Фон Дервиз. Сохумский округ. Записки Кавказского отдела императорского Русского Географического Общества. Тифлис, 1906.

[2] Минеральные ресурсы ССР Грузии. Тифлис, 1936, стр. 539-541. В. Г. Семенов. Полезные ископаемые и минеральные воды Абхазии. Труды АБНИК, вып. II, 1934, стр. 114-116. Отчет о геологических исследованиях 1933 г. в Абхазии. Геолого-Петрографической экспедиции АН СССР.

[3] ის. გ. გობეჯიშვილი, გვიანდელი ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანა, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბ., 1967, გვ. 262.

[4] გ. გობეჯიშვილი, ძველი ქართული სამთომადნო და მეტალურგიული წარმოების ნაშთები სოფ. ღებთან. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XIII, №3, თბ. 1952 წ. გვ. 184-185.

დაზვერვის შედეგად, რომელშიც ფასდაუდებელი დახმარება გაგვიწია ჩხალთის გეოლოგიურმა პარტიამ[5], აღირიცხა სპილენძის ოცამდე ძველი გამონამუშევარი. ისინი განლაგებულია ზღვის დონიდან, საშუალოდ, 2.000 მ. სიმაღლეზე, ადგილ შხაბზიადან დაწყებული (მდ. ბზიფის სათავე), ვიდრე ტვიბრაშერამდე (მდ. კოდორის მარჯვენა შენაკადი), დაახლოებით 80 კმ. სიგრძეზე (ტაბ. I). მათი უმეტესობა თავმოყრილია მადნების მდიდარ სედაპირულ გამოსავალ ადგილებში შხაბზიაზე და ბაშკაცარაზე (ადანგეს უღელტეხილის დასაწყისთან), შედარებით ნაკლები რაოდენობით კი — პტიშზე და ტვიბრაშერაზე. აღნიშნული ტერიტორია გეოლოგიურად ეკუთვნის ფერადი ლითონებით (სპილენძი, დარიშხანი, ტყვია, თუთია) მდიდარ გეოლოგიურ ფორმაციას, რომელიც კავკასიონის მთავარ ქედს სამხრეთ ფერდობზე გაუყვება აფხაზეთის, სვანეთის და რაჭა-ლეჩხუმის სუბალპურ და ალპურ ზოლს.

ძველი გამონამუშევრები ძირითადად ორი ტიპისაა: ***დახურული*** და ***ღია***. დახურული გამონამუშევრების ანუ წოლხვრელების მიმართულება ჩვეულებრივ მადნის შემცველ ქანებს მისდევს, ან, იშვიათ შემთხვევაში, ფუჭი ქანების გადაკვეთით, უახლოესი მანძილით შედის მადნით მდიდარი ძარღვების კვანძებში და შემდეგ იტოტება. წოლხვრელების უმრავლესობა ფუჭი ქანების ნაყარითაა ამოვსებული და ამიტომ მათი ზუსტი სომისა და ურთიერთ მიმართების დადგენა ხშირად შეუძლებელი ხდება, თუმცა ჩვენს ხელთ არსებული საბუთების მიხედვით სოგიერთის სიგრძე 56 მეტრს მაინც ჭარბობს. ნიშანდობლივია ისიც, რომ ბაშკაცარას ერთ-ერთი გამონამუშევარი ორი იარუსისა და ოთხი ტოტისაგან შედგება, რაც გვანიშნებს ცალკეულ ადგილებში რთული წოლხვრელების არსებობას.

საგანგებო ყურადღებას იქცევს იმავე ბაშკაცარაზე მიკვლეული ერთი ერცელი მღვიმე. გარედან იგი მოგვაგონებს შეუღ კლდეში გამოკვეთილ მცირე გამოქვაბულს (ტაბ. II); მისი შესასვლელი ხვრელის განივკვეთი დაახლოებით 3X2,5 მ. უდრის. მღვიმის მაქსიმალური სიგრძე, სიგანე და სიმაღლე, შესაბამისად 43, 12 და 14 მ. აღწევს. მღვიმის კედლებში, სხვადასხვა სიმაღლეზე, მადნის ძარღვების გაყოლებით, მეტნაკლები ზომის ერდო-ხვრელებია შეჭრილი. სიღრმეში იატაკი მნიშვნელოვნად დაქანებულია და ფუჭი ქანების სქელი ნაყარითაა დაფარული. ეს ნაყარი მხოლოდ ნაწილია მადნის მონგრევის დროს დაგროვილი ფუჭი ქანებისა, რომელიც უმეტესად მღვიმის გარეთაა გატანილი და შესასვლელის ქვემოთ მისგან ვეებერთელა ყრილია წარმოქმნილი.

ღია, ანუ კარიერის ტიპის გამონამუშევრებიდან მხოლოდ ერთი დიდი მოცულობის ფარდული დავათვალიერეთ. იგი შხაბზიაზე მდებარეობს. დანარჩენები კლდეში ამოკვეთილ მომცრო სომის ორმო-ღრმულებს წარმოადგენს, რომელთა გარკვეული ნაწილი, ალბათ მადნის ძარღვის სიმძლავრის დასადგენი საძიებო ხვრელებია. ღია და დახურული

[5] ადგილზე დამატებითი ცნობების მიწოდებისა და დაზვერვების დროს გაწეული პრაქტიკული დახმარებისათვის დიდ მადლობას მოვახსენებთ ჩხალთის გეოლოგიური პარტიის უფროსს ვახტანგ დუმბაძეს და უბნის უფროსს აკაკი პირველს.

გამონამუშევრები შერეულად ერთსა და იმავე მიკრო უბნებში მდებარეობს და მათი გაყრცელების სხვა რაიმე კანონსომიერება შენიშნული არ ყოფილა.

სემოაღნიშნული სამთომადნო წარმოების ძეგლების დაზვერვის დროს ნაპოვნია მნიშვნელოვანი რაოდენობის ნივთიერი მასალები: ქვის უროები და ხელკეტრები, ხის ძელები, მადნის წიდები, ხის ნახშირი და სხვა. წამოვიღეთ აგრეთვე მადნის ნიმუშები, ლაბორატორიული წესით მათი ქიმიური შედგენილობის დასადგენად.

იარაღები დამზადებულია საგანგებოდ შერჩეული ქვის მაგარი ქანებისაგან (გრანიტი, გაბროდიაბაზი და სხვა). ისინი სხვადასხვა ზომა-წონისა[6] და მოყვანილობისა არიან (ტაბ. III). გაირჩევა ცალგვერდ-დაბრტყელებული, მრგვალი, მოკლე და წაგრძელებული უროები, რომლებსაც კარგად ეტყობათ ხის ტარზე თოკით ან თასმით დასამაგრებელი გარდი-გარდმო თითო ღარი (ჭირჭალი). მრავალგანიკვეთიან იარაღებს იგი უწყვეტად შემოუყვებათ, ბრტყელგვერდიან ნიმუშებს კი ამოღარული აქვთ მხოლოდ მომრგვალებული წიბოები. ქვის უროები და ხელკეტრები, მსგავსად სემო რაჭის მონაპოვრებისა, აქაც მაგარი ქანების დასანგრევად და მადნის საფხვნელად არის განკუთვნილი. მათ უმრავლესობას კარგად ეტყობა ხანგრძლივი გამოყენების კვალი. ქვის იარაღების განსხვავებული ზომა-მოყვანილობა განპირობებულ უნდა იყოს შესასრულებელი სამუშაოს კონკრეტული თავისებურებებით.

საყურადღებოა აღინიშნოს,რომ ამ ტიპის ქვის იარაღების აღმოჩენის შემთხვევები აფხაზეთისა და რაჭის გარდა, კავკასიის სხვა ადგილებიდანაც არის ცნობილი და მათი ფუნქციონალური მნიშვნელობა, ცალკეული ავტორების მიერ, სხვადასხვა მადნეულის შემცველი მაგარი ქანების ნგრევის პროცესთანაა დაკავშირებული. ამ მონაპოვართაგან საგანგებო ყურადღებას იქცევს იმავე დასავლეთ კავკასიონის ჩრდ. კალთაზე, მდ. ყუბანის სათავეებში ნაპოვნი ქვის ხელკეტრი[7], რომელიც ჰგავს შხაბსიაზე აღმოჩენილ ზოგიერთ იარაღს (ტაბ. III-6). ჩრდ. კავკასიური იარაღი, მკვლევართა სამართლიანი შენიშვნით, ლითონის მადნის მოსანგრევად არის განკუთვნილი[8]. ანალოგიური დანიშნულებისაა აგრეთვე აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში მარილის საძიებო მაღაროებში ნაპოვნი ქვის უროები[9].

აფხაზეთის ძველ მაღაროებში ნაპოვნი ხის მასალებიდან აღსანიშნავია სხვადასხვა ზომის ძელების ნატეხები, რომლებიც წოლხერელების კედლებისა თუ ჭერის გასამაგრებლად ჩანს უპირატესად გამოყენებული, გამოიცნობა წიფლის, არყისა და ზოგიერთი წიწვიანი ხის (ნაძვი, სოჭი) ჯიშები. რაც შეეხება ხის ნახშირს, იგი ფუჭი ქანების წერილ ნაყარშია გარეული და მაღაროების იატაკის მთელ ფართობზეა გავრცელებული. რაჭის ძველ გამონამუშევრებზე დამოწმებული ასეთივე მასალების შესწავლის შედეგად გ. გობეჯიშვილი ასკვნის, რომ ჩვენი წინაპარი

[6] მაქსიმალური სიგრძე – 0,22 მ. წონა – 0,5 კგ-დან 2,6 კგ-მდე.

[7] МАК. IX, გვ. 104, სურ. 62.

[8] იქვე, გვ. 153.

[9] Коллекции Кавказского Музея, т. V, Тифлис, 1902, стр. 192, тав. XII, №63-87. Я. Н. Гумель. Археологическая разведка на Киликдаче, Изв. Азерб. ФАН, 1938, №2, стр. 21.

მემთამადნენი მადნის მოსანგრევად ხმარობდნენ ცეცხლსა და წყალს – ცეცხლით ახურებდნენ ქანებს, ხედ წყალს ასხამდნენ და ამგვარად დანაპრალებულ კლდეს ქვის უროებით ანგრევდნენ[10]. ეჭვი არ არის, რომ ახლად აღმოჩენილ ძეგლში ნაპოვნი ხის ნახშირიც წარმოადგენს მადნის შემცველი ქანების გასახურებლად და ღეიმეების გასაშუქებლად დანთებული ცეცხლის ნაშთს.

ბზიფისა და კოდორის სათაეებში განლაგებული ძველი გამონამუშევრები და იქვე მოპოვებული მასალები ბევრი ნიშნით მოგვაგონებენ არქეოლოგებისათვის კარგად ცნობილ რაჭის სპილენძისა და ანთიმონის ძველ მღეიმეებსა და მათში აღმოჩენილ იარაღებს[11]. ასეთი სიახლოვე საფუძველს გვაძლევს, რომ აფხაზეთის ძველი სამთომადნო გამონამუშევრების ზოგად თარიღად ბრინჯაოს ხანა მივიჩნიოთ. ამ სამთომადნო საწარმოოს მოქმედების დასაწყისისა თუ დასასრულის ზუსტი თარიღების დადგენა კი მხოლოდ საგანგებო კელეფა-ძიების ჩატარების შედეგად გახდება შესაძლებელი. ამ საშუალებით გაირკვევა აგრეთვე გამონამუშევრების ყველაზე აქტიური ექსპლოატაციის პერიოდი და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.

აფხაზეთის მთიან ზოლში ძველი სამთამადნო გამონამუშევრების აღმოჩენის ფაქტი მხარს უბამს დასავლეთ კოლხეთის არქეოლოგიური კელეფა-ძიების შედეგებს. აფხაზეთისა და მის მომიჯნავე რაიონებში გამოელინებულია მეტად მდიდარი ნივთიერი მასალა, რომელიც ამ მხარეში ბრინჯაოს მეტალურგიის თანამიმდევრულ განვითარებას მიუთითებს. აქ დიდი რაოდენობითაა ნაპოვნი არა მარტო ბრინჯაოს მრავალფეროვანი იარაღ-სამკაული, არამედ სპილენძის გამოდნობა-ჩამოსხმასთან დაკავშირებული ნივთიერი ნაშთებიც. მათ შორის საგანგებო ყურადღებას იქცევს ალ. კალანდაძის მიერ, 1951 წ. სოხუმის მთაზე აღმოჩენილი და შესწავლილი სპილენძის სადნობი ღუმელი[12].

სოხუმის მთაზე და მის ახლო მდებარე მიდამოებში სხვადასხვა დროს ნაპოვნია აგრეთვე მეტალურგიული საწაროს კუთვნილი სხვა მასალები: ქვის უროები, ნაყარი წიდები, ღუმელის შენალესი ბათქაში, თიხის ტიგელების ნატეხები, სპილენძის ზოდები და სხვა ნახევარფაბრიკატები (უტილ-ნედლეული)[13]. ანალოგიური მასალა ჩვენთვის საინტერესო ტერიტორიაზე, როგორც უკვე ითქვა, სხვაც ბევრია ნაპოვნი, მაგრამ ამაზე სიტყვას აქ არ გავაგრძელებთ. აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ სპილენძის სადნობი ღუმელის ნაშთი აღმოჩენილია მდ. ენგურის ქვემო წელზე, ენგურჰესის კაშხალის მშენებლობის ტერიტორიაზე, ე. წ მაქსონიას გამოქვაბულში.

---

[10] გ. გობეჯიშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 185.

[11] გ. გობეჯიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 184-186. მისივე, ძველი სამთამადნო წარმოების ძეგლები, რაჭაში, ჟურნ. „ძეგლის მეგობარი", №6, 1966, გვ. 16-20.

[12] ალ. კალანდაძე, სოხუმის მთის არქეოლოგიური ძეგლები, სოხუმი, 1964 წ. 1957 წ. გვ. 106. ალ. კალანდაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 58-66.

[13] Б. Куфтин. Материалы к археологии Колхиды, II, стр. 278, таб. 69-3, Л. Соловьев, Диоскурия - Себастополись - Цхум, Труды Абх. Госмузея. вып. I.

მის სტრატიგრაფიულ ჭრილში დამოწმებულია მდ. ენგურის დანალექი მძლავრი სტერილური შრეებით ერთმანეთისაგან გამოყოფილი 3 კულტურული ფენა, რომლებში აღმოჩენილი მასალებიც მიუთითებენ გამოქვაბულის ინტენსიური გამოყენების ქრონოლოგიურ დიაპაზონს ადრებრინჯაოს ხანიდან (ძვ. წ. III ათასწ. დასაწყისი), ვიდრე ძველი წელთაღრიცხვის უკანასკნელ საუკუნეებამდე.

სპილენძის სადნობი ქურის ნაშთის შემცველი შუა ფენა ძირითადად გვიან ბრინჯაოს ხანისაა. ამ ფენის უდიდესი სიმძლავრე 0,65 მ. აღწევს და უპირატესად ლითონის წიდებისა და ძლიერი ცეცხლის ნაშთებისაგანაა წარმოქმნილი. როგორც ჩანს, აქ ხანგრძლივი დროის მანძილზე წარმოებდა ლითონის გამოდნობა. გათხრის პროცესში გაირკვა, რომ ამ დონეზე შემორჩენილი უნდა ყოფილიყო მეტალურგიასთან დაკავშირებული სხვა მასალაც, მაგრამ მისი შემცველი მოედნის მნიშვნელოვანი ფართობი სადნობი ქურის ნაწილითურთ უკვე განადგურებულია ენგურჰესის შენებასთან დაკავშირებული აფეთქებისაგან.

მაქსანიას სპილენძსადნობი ღუმელი ჯერ საგანგებოდ შესწავლილი არ არის, მაგრამ სავარაუდოა, რომ სოხუმის მთის ხემოხსენებული ძეგლის მსგავსად, იგი ლითონის ზოდების ჩამოსხმისათვისაც იყო განკუთვნილი.

დასავლეთ კოლხეთის მთასა და მთის წინა სოლში, ზემო აღნიშნულის გარდა მიუთითებენ სპილენძის დასამუშავებელი ქურებისა და ლითონსასხმელი სახელოსნოების არსებობას, რომელიც თუმცა მეცნიერულად შემოწმებული ჯერ არაა, მაგრამ ფრიად საეარაუდებელია. ამ მიმართულებით მომავალ კვლევა-ძიებას უთუოდ დადებითი შედეგები უნდა მოჰყვეს.

საკვლევ ტერიტორიაზე მეტალურგიული საწარმოების ნაშთების და ბრინჯაოს მზა ნაწარმის ძლიერ ხშირი აღმოჩენის საფუძველზე სოგიერთი მკვლევარი ადრევე ვარაუდობდა ამ მხარეში სამთომადნო გამონამუშევრების არსებობას. გ. გობეჯიშვილის აზრით, თუმცა მის მიერ შესწავლილი ღების სამთომადნო-მეტალურგიული წარმოების ძველი კერა ისე ძლავრი იყო, რომ „მისი პროდუქცია რაიონის სათაოების გარეთაც ერცელდებოდა, მაგრამ კავკასიის მეტალოგენურ სონებში სხვა კერების აღმოჩენასაც უნდა მოველოდეთ".[14] აფხაზეთში ძველი სამთომადნო წარმოების ძეგლთა აღმოუჩენლობას ალ. კალანდაძე 1954 წ. საძიებო-არქეოლოგიური მუშაობის უკმარისობით ხსნიდა[15].

ახლა, როგორც ზემოთ აღნიშნულიდან ჩანს, კავკასიის მთავარი ქედის სამხრეთ კალთაზე, სახელდობრ აფხაზეთში, სამთომადნო წარმოების მეორე ძველი კერა გამოვლინდა. რაკი სოხუმის მთაზე გამოვლინებულია მეტალურგიული წარმოების ნაშთებიც, ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ აფხაზეთში სპილენძის მადნის მოპოვება-დამუშავების კერების თანაარსებობა ამჟამად უკვე დასაბუთებული სინამდვილე გახდა.

ახლად აღმოჩენილი სამთომადნო წარმოების ძეგლების შესწავლილობის ღონეზე არა გვაქვს საშუალება ზუსტად განვსაზ-

[14] გ. გობეჯიშვილი, ძველი ქართული სამთომადნო და მეტალურგიული წარმოების ნაშთები სოფ. ღებთან, გვ. 190.

[15] ალ. კალანდაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 66.

ღეროთ მათი საწარმოო სიმძლავრე და იქ მოპოვებული ლითონის გაერცელების გეოგრაფიული საზღვრები, მაგრამ ის კი ცხადია, რომ გამონამუშევრების რაოდენობის შესახებ ზემოთ მოტანილი ციფრი არ არის სრული და საბოლოო. გამონამუშევრების რაოდენობა გაცილებით უფრო მეტი უნდა იყოს, მათი გაერცელება დასაელეთ კავკასიონის სამხრეთი ფერდობის მთის წინა ზოლშიაც არის საგულვებელი. ასეთ ვარაუდს მხარს უჭერს როგორც სპეციალურ ლიტერატურაში დაცული საბუთები[16], ისე არქეოლოგიური დაზვერვების დროს შეკრებილი ნიეთიერი მასალები და სეპირსიტყვიერი გადმოცემები.

ჩვენი წინასწარი ვარაუდით, ბზიფისა და კოდორის ხეობებში ამჟამად უკვე მიკვლეულ მაღაროებში მოპოვებული ლითონი ადგილობრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილების გარდა, უფრო შორსაც გადიოდა. ყოველ შემთხვევაში ამ სამთამადნო კერით შეეძლო ესარგებლა კოლხეთის მთისა და ბარის მნიშვნელოვან ნაწილს და მათ შორის ენგურის ხეობის მეტალურგებსაც. ამ ვარაუდის გამოთქმის საშუალებას იძლევა, ერთი მხრივ, აფხაზეთსა და სვანეთში აღმოჩენილი ბრინჯაოს იარაღების დიდი სიახლოვე, და მეორე მხრივ, მათი უშუალო ტერიტორიალური მეზობლობა და კოდორისა და ენგურის წყალგამყოფ ქედზე იოლად სავალი საუღელტეხილო გზების არსებობა. საყურადღებოა აღინიშნოს, რომ ბრინჯაოს ხანაში კავკასიელი მეტალურგები მაღალმთიანი გადასასვლელებით ახერხებდნენ მჭიდრო ურთიერთობას. ჩვენს ხელთ არსებული არქეოლოგიური მასალების მიხედვით, ასეთი ურთიერთობა ყუბანისპირეთისა და ენგურის ხეობის მოსახლეობას შორის ჯერ კიდევ ბრინჯაოს მეტალურგიის საწყის საფეხურებზე არის დამოწმებული. ადვილი შესაძლებელია, რომ მაქსანიას გამოქვაბულში აღმოჩენილი ლითონსადნობი ღუმელისათვის ნედლი მასალა სწორედ აფხაზეთის მაღაროებიდან მოეზიდათ[17].

აფხაზეთის გამონამუშევრების სრული აღრიცხვა, გეოლოგიური აღნაგობის დეტალური შესწავლა და წარმოების ზუსტი მასშტაბების დადგენა მომავალი კვლევა-ძიების საქმეა და ამიტომ აქ სიტყვას არ გავაგრძელებთ, საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ მხოლოდ ზოგიერთი გარემოება, რომელსაც შეეძლო გაეძლიერებინა ან დაებრკოლებინა მადნის მოპოვების ინტენსივობა. ამ საწარმოო პროცესის გამაადვილებლად უნდა მივიჩნიოთ გამონამუშევრების განლაგება მთავარი ქედის სამხრეთ ფერდობზე, სადაც უხვადაა მაღაროების გასამაგრებელი და საწვავი ხეტყის მასალა. მადნის ამოღებას უთუოდ აბრკოლებდა: მაღაროების განლაგების დიდი სიმაღლით (2000 მ.) განპირობებული რამდენადმე მოკლე სამუშაო სეზონი, დასახლებული ადგილებიდან მათი სიშორე. ძნელად მისადგომი, კარსტულ რელიეფზე გამავალი სახიფათო გზები, პრიმიტიული

---

[16] Минеральные ресурсы ССР Грузии. Тифл. стр. 539-541. В. Г. Семенов, დასახ. ნაშრომი, გვ. 114-116

[17] სემოაღნიშნული ვარაუდები, რა თქმა უნდა, არ გამორიცხავენ სვანეთისა და სამეგრელოს ტერიტორიაზე ძველი სამთომადნო ძეგლების აღმოჩენის შესაძლებლობას, პირიქით, საამისოდ მეტად საიმედო არგუმენტებიც მოგვეპოვება, მაგრამ წერილის რეგლამენტის სიმცირის გამო ამჯერად ამაზე არ ვილაპარაკებთ.

სატრანსპორტო საშუალებები და სხვა ფაქტორები. თუ გავითვალისწინებთ, რომ მადნის გამოდნობის საბოლოო პროცესები და ნივთების ჩამოსხმა მკაცრ სამოსახლო ადგილებზე წარმოებდა, ადვილად წარმოვიდგენთ სიძნელეებს, რომლებიც ახლდა მოპოვებული მადნის მეტალურგიულ სახელოსნომდე მიტანას და მის შემდგომ დამუშავებას. ამ რთული პროცედურის გამარტივების მიზნით მემთამადნენი გარკვეული სახის სამუშაოს უთუოდ მადნის კარიერებთან ახლოს ატარებდნენ. სოხუმის მთაზე აღმოჩენილი სპილენძის სადნობი ღუმელის განხილვასთან დაკავშირებით ალ. კალანდაძე იმოწმებს უძველესი მეტალურგიის ევროპულ მკვლევარებს კ. ცშოკეს და ე. პრეიშენს, რომლებიც მადნის გამოდნობა-მიღების შემდეგნაირ წესს ვარაუდობენ: ჯერ წარმოებდა ერთად თავმოყრილი მადნის გამოწვა, ხოლო შემდეგ გამომწვარი მადნის ორგანის გამოდნობა. პირველი დნობა ხდებოდა სადნობ ღუმელებში და ამრიგად მიიღებდნენ შტეინს, უკანასკნელი დნობა კი შესაძლებელია ტიგელებში და მაშინ მიიღებდნენ სპილენძს.., რომელიც გამოიყენებოდა ნივთის ჩამოსასხმელად[18].

ა. იესენის მოსაზრებით, ადრეულ ხანაში ა/კავკასიის მეტალურგები სპილენძის მისაღებად მიმართავდნენ ე. წ. „აზიურ წესს", რომელმაც მეცხრამეტე საუკუნემდე მიაღწია. ავტორი ფიქრობს, რომ შტეინის და სპილენძის მიღებას წინ უძღოდა მადნის ხანგრძლივი და მრავალგზისი გამოწვა დნობის დამაბრკოლებელი გოგირდის მოსაშორებლად[19].

გ. გობეჯიშვილმა, რაჭის სამთომადნო წარმოების ძეგლების შესწავლის საფუძველზე ნათელჰყო, რომ ჯერ ტარდებოდა მონგრეული მადნის პირველადი მექანიკური გამდიდრება, ანუ მადნისათვის ფუჭი ქანების მოცილება, შემდეგ მისი მიტანა საწვავი მასალით მდიდარ ტყის ზოლში, ბოლოს გამოწვა და საგანგებო ღუმელებში გამოდნობა[20].

ალ. კალანდაძის მოსაზრებით, სოხუმის მთის სპილენძსადნობი ღუმელი ლითონის წარმოების ხანგრძლივი პროცესისთვის, ე.ი. შტეინისაგან სპილენძის ოდებად ჩამოსხმისა და შემდეგ პროდუქციის დასამზადებლად იყო განკუთვნილი[21]. ანალოგიური დანიშნულება უნდა მივანიჭოთ მდ. ენგურის ხეობაში აღმოჩენილ სპილენძის სადნობ ქურასაც.

ნიშანდობლივია, რომ რაჭის მსგავსად ბაშკაცარაზე და შხაბზიაზე მოხილული ფუჭი ქანების ზოგიერთი ნაყარი, სწორედ პირველადი გამდიდრების პროცესში ჩანს წარმოქმნილი, ამასთან ყურადღებას იქცევს გეოლოგ ა. პირველისაგან მიღებული ცნობა და ნაწილობრივ ჩვენს მიერ დამოწმებული, კლდეზე გადასხმული ნაღვენთები, წიდები, ძლიერი ცეცხლის კვალი და სხვა ნიშნები, რომლებიც ბაშკაცარაზე მადნის გამამდიდრებელი ქურის არსებობას გვანიშნებს.

---

[18] K. Zschocke und E. Preuschen. Das urzeitliche Bergbaggebiet von Mühlbach-Bischofshofen. Materialen zur Urgeschichte österreichs, 6. Wien, 1932, S. 106.

[19] А. А. Иессен. Л. Н. К истории горного дела, СА, №1, 1935, стр. 304

[20] გ. გობეჯიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 186.

[21] ა. კალანდაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 64.

ყოველივე ზემოაღნიშნულის შემდეგ უფლება გვაქვს ვამტკიცოთ, რომ ბზიფისა და კოდორის სათავეებში შემონახულია სპილენძის (შესაძლოა ბრეოვე სხვა ფერადი ლითონების) მომპოვებელი სამთომადნო წარმოების კერა, რომელიც რაჭაში შემდეგ, მეორე უძველესი საწარმოო კულტურის ძეგლია საქართველოში. ამ ძეგლის სათანადო გამოკვლევა საქართველოს არქეოლოგებისა და სამთამადნო წარმოების ისტორიით დაინტერესებულ მკვლევართა საპატიო მოვალეობაა.

Ш. ЧАРТОЛАНИ

## ДРЕВНИЕ ГОРНОРУДНЫЕ ВЫРАБОТКИ МЕДИ В ВЕРХОВЬЯХ РЕК БЗЫБИ И КОДОРИ

Исследования геологической формации на территории современной Абхазии, богатой цветными металлами, начались до революции[1] и наиболее интенсивно развернулись после установления Советской власти специальная литература отмечает до сорока выходов цветных металлов[2]. Некоторые из них стали объектами специального исследования. Геологическое управление ГССР в последнее время развернуло большую работу по исследованию промышленного запаса медной руды в Бзыбском и Кодорском ущельях. Чхалтская геологическая партия, проводя штольни, наткнулась на высеченную рукой человека подземную пустоту и на каменные орудия. Заведующий геологической партией В. Думбадзе представил письменные сведения о вышесказанном в Институт истории, археологии и этнографии имени И. Джавахишвили[3]. Отдел бронзовой и раннежелезной эпохи того же института пришел к заключению, что эти орудия аналогичны находкам из древней пещеры в Геби (Верхняя Рача), Указанный отдел поручил нам произвести археологическую разведку в местах их добычи.

В августе 1969 г. мы осмотрели верховья рек Бзиби и Кодори, где предполагали существование древней выработки.

В результате разведок, в которой неоценимую помощь оказала нам Чхалтская геологическая партия[4], мы зафиксировали до 20 мест древних выработок меди.

---

[1] Л. К. Канушевский. Отчет о геологических исследованиях в Сухумском округе в 1909, 1910, 1911 и 1912 гг. Материалы для геологии Кавказа. Тифлис, 1915. Н. В. Фон Дервиз, Сохумский округ. Записки Кавказского отдела императорского Русского Географического Общества. Тифлис, 1906.

[2] Минеральные ресурсы ССР Грузии. Тифлис, 1936, стр. 539-541. В. Г. Семенов, Полезные ископаемые и минеральные воды Абхазии. Труды АБНИИК,вып. II, 1934, стр. 114-116. Отчет о геологических исследованиях 1933 г. в Абхазии. Геолого-Петрографигеской экспедиции АН СССР.

[3] См. Гобеджишвили. Позднебронзовая и раннежелезная эпоха, очерки истории Грузии, т. I, Тбилиси, 1970, стр. 146.

[4] Мы выражаем глубокую благодарность заведующему геологической партии Вахтангу Думбадзе и начальнику участка Акакию Пирвели за оказанную нам практическую помощь во время добывания дополнительных сведений и исследований на месте.

Они расположены в среднем на высоте 2000 м над уровнем моря от Шхабзи (в верховьях реки Бзыбь) до Твибрашери (правый приток р. Кодори) приблизительно на протяжении 60 км. (табл. I), Большинство из них сосредоточено в местах выхода на поверхность богатой руды в Шахбзя и Башкацари (западнее Адангского перевала). Сравнительно в малом количестве – в Птиши и Твибрашери. Указанная территория относится к геологической формации, богатой цветными металлами (медь, свинец, цинк), и протянута по субальпийской и альпийской зоне Абхазии, Сванетии и Рача-лечхуми.

Древняя выработка в основном была двух типов: закрытый и открытый типы. Направление закрытых выработок или штолен обычно следует за породами, содержащими руду и в редких случаях пересекает пустые породы, ближайшим расстоянием входит в прожилины узлов, богатые рудой, и затем разветвляется. Так как большинство штолен завалено насыпью пустых пород, установление точных размеров и взаимных связей часто невозможно, хотя по имеющимся у нас документам длина некоторых из них превышает все же 55 м. Замечательно и то, что одна из Башкацарских выработок двухъярусная и состоит из четырех ветвей, что указывает на существование в отдельных местах сложных штолен.

Особого внимания заслуживает также одна обширная пещера, обнаруженная в Башкацари. Снаружи она напоминает маленькую пещеру, высеченную в отвесной скале (табл. II). Поперечное сечение его входного отверстия равно приблизительно 3X2,65 м. максимальная глубина пещеры, ширина и высота достигают соответственно 43, 12 и 14 м; на стенах пещеры: вдоль рудных пород высечены отверстия разной величины. В глубине пол имеет значительный уклон и покрыт толстой насыпью из пустых пород. Эта насыпь составляет лишь часть пустых пород, скопленных во время разрушения, и которая большей частью вынесена за пещеру. Ниже входа от нее образованы громадные насыпи.

Из выработки открытого или карьерного типа мы осмотрели только один большой навес в Шхабзя. Остальные представляют совой маленькие ямы-углубления, высеченные в скале, определенная часть которых вероятно, является отверстиями, подлежащими исследовании для установления мощи рудоносных жил. Открытые и закрытые выработки смешаны между собой и находятся в одном и том же микрорайоне. Какая-нибудь другая закономерность их распространения не была замечена.

Во время разведки вышеуказанных памятников горного производства было найдено значительное число вещественных материалов: каменные молоты, ручные молотки, деревянные столбы, рудные шлаки, древесный уголь и др. Мы забрали также образцы руд для установления их химического состава лабораторным путем.

Орудия изготовлены из особо выбранных твердых пород (гранит, габродиабаз). Они разные по размерам и весу (таб. III). Отличаются круглые, односторонние плоские, короткие и удлиненные молоты, на которых заметны поперечные желоба для закрепления веревки или ремешком деревянных ручек. Круглосеченные орудия непрерывно опоясаны, на плоскосторонних образцах же выдолблены только округленные ребра. Каменные молоты и ручные молотки,

так же как и найденные в Верхней Рача, предназначены для ломки крепких пород и измельчения руды. На большинстве из них заметны следы их продолжительного использования. Отличительная мера форм должна быть определена конкретными особенностями работ.

Следует отметить, что находки каменных орудий этого типа известны, кроме Абхазии и Рачи, также и в других местах Кавказа. Отдельные авторы их функциональное значение связывают с процессами разрушения крепких пород, содержащих руду. Среди этих находок особого внимания заслуживают каменные ручные молоты, найденные в верховьях реки Кубани, на северных склонах Западного Кавкасиони[5]. Они похожи на некоторые орудия, найденные в Шхабзя (таб. III-6). Северокавказские орудия, по справедливому замечанию исследователей, предназначены для ломки руды[6]. Подобные молоты, найдены в соляных копях Восточного Закавказья[7].

Из деревянных материалов, найденных в шахтах древней Абхазии, следует выделить обломки брусьев разной величины, которые, как видно, использовались в основном для укрепления потолка и стен штолен. Выяснены породы дерева – бук, береза, некоторые хвойные деревья. Что касается древесного угля, он смешан с мелкой насыпы пустых пород и распространен по всей площади пола рудников. Древние выработки в Раче засвидетельствованы в результате изучения подобных материалов. Г. Гобеджишвили пришел к заключению, что наши предки для разрушения горных руд использовали огонь и воду. Огнем они обжигали породу и обливали ее водой и таким образом каменным молотом ломали треснувшие скалы[8]. Несомненно, что древесный уголь, найденный среди вновь обнаруженных памятников, является остатком зажженного огня для обжига твердых пород руд и освещения пещер.

Древние обработки и материалы, найденные в верховьях рек Кодори и Бзыби, многими чертами напоминают хорошо известные археологам древние пещеры с залежами меди и антимония Рачи с обнаруженными в нем орудиями[9]. Такая близость дает нам основание отнести выработку древних рудников к бронзовому веку. Точное установление даты, начало и окончание действия горного производства станет возможным в результате проведения особого исследования. Будет так же определены самый активный эксплуатационный период выработки и другие важные вопросы.

Факт находок древних горных выработок в нагорной полосе Абхазии связан с результатом археологических исследований Колхети. В Абхазии и в смежных с ней районах обнаружен довольно богатый вещественный материал, который указывает на последовательное развитие бронзовой металлургии в этом крае. Здесь обнаружены не только бронзовые разноцветные орудия – украшения, но и

---

[5] Максимальная длина 22 см. вес – от 065 кг. до 2,6 кг.

[6] Мак. IX, стр. 104, рис. 62.

[7] Там же, стр. 62

[8] Коллекции Кавказского Музея, т. V, Тифлис, 1902, стр. 192, тав. XII, №63-87. Я. Н. Гумель, Археологическая разведка на Киликдаче, Изв. Азерб. ФАН, 1938, №2, стр. 21.

[9] Г. Гобеджишвили, указан. сочин. стр. 185.

вещественные остатки, связанные с выплавкой – отливкой. Особого внимания заслуживает плавильная печь, найденная на Сухумской горе в 1951 г. Ал. Каландадзе и им изученная[10].

На Сухумской горе и в ее окрестностях найдены также и другие материалы металлургического производства: каменные молоты, насыпной шлак, штукатурка для печи, глиняные обломки тигля, медные полосы и другие полуфабрикаты и утильсырье[11].

На интересующей нас территории найдено было еще много аналогичных материалов, но мы не задержим на них своего внимания. Укажем только то, что медеплавильная печь обнаружена и на нижнем поясе реки Ингури, на территории Ингурской плотины, точнее в Максанской пещере. В его стратиграфическом разрезе засвидельствованны три культурных слоя, отделенных друг от друга мощными стерильными слоями отложений р. Ингури. Обнаруженный в культурных слоях материал указывает на длительный хронологический диапазон интенсивного использования пещеры с ранней бронзы до римской эпохи.

Средний слой с остатком медеплавильной печи в основном, позднебронзовой эпохи. Мощь этого слоя достигает 0,65 м. и в основном состоит из остатков металлического шлака и действия сильного огня. Заметно, что в течение долгого времени здесь плавили медь. В процессе раскопок выяснилось, что на этом уровне должны были сохраниться и другие материалы, связанные с металлургией, но значительная часть площади с остатками медеплавильной печи уничтожена от взрывов, связанных со строительством Ингури ГЭС.

Хотя Максанская медеплавильная печь не до конца изучена, можно предполагать, что так же, как и памятник с Сухумской горы, она предназначалась для отливки металлических полос.

Кроме вышеуказанных находок в нагорье и предгорье Западной Колхиды, некоторые сведения указывает на существование медеплавильных печей и мастерских по отливке металла. Эти сведения пока еще не совсем проверены и подлежат изучению. Исследования в этом направлении, несомненно, дадут положительные результаты.

На основе найденных остатков металлургического производства и готовых бронзовых изделий некоторые исследователи сделали предположение о существовании в этом крае горной выработки. По мнении Г. Гобеджишвили, древний очаг горнометаллургического производства в Геби был настолько мощным, что его продукция распространялась за пределы района, но он предполагал, что в металлургических зонах Кавказа еще будут обнаружены аналогичные памятники[12].

---

[10] Г. Гобеджишвили, указан. сочин. стр. 184-186. Его же Памятники древного горнорудного производства в Раче, журн. "Дзеглис мегобари" №6, 1906, стр.16-20 (на груз. яз.).

[11] А. Каландадзе, археологические памятники Сухумской горы. Сухуми, 1954 г. (на груз. яз.)

[12] Б. А. Куфтин. Материалы к археологии Колхиды, II, стр. 278, таб. 69. В. А. Солобьев, Диоскурия – Себастополис – цхум, труды Абх. Госмузея, вып. I. 1957, стр. 106. Ал. Каландадзе, цит. соч., стр. 58-66.

А. Каландадзе указывал, что многие памятники древнего горного производства в Абхазии еще не найдены из-за недостаточности исследовательско-археологической работы[13].

Таким образом, на южном склоне Кавказского хребта, в частности в Абхазии, обнаружился второй очаг горнорудной обработки, а на Сухумской горе остатки металлургического производства, которые свидетельствуют, что предположения об одновременном существовании очагов добывания и переработки медной руды в Абхазии ныне стали доказанной действительность.

На современном уровне изучения вновь найденных памятников горного-производства мы не можем точно определить их производственную мощь и географические границы распространения металла, но ясно, что вышеуказанные цифры о размере выработки не полны и не окончательны. Мы предполагаем, что выработки должны быть гораздо больше и распространены на южных склонах Западного Кавказского хребта. Такое предположение мы делаем на основе документов, опубликованных в специальной литературе, вещественных материалов и устных словесных преданий, совранных нами во время археологических разведок.

По нашему предположению, руда, добытая в шахтах ущелий Бзыби и Кодори, не ограничивалась удовлетворением местных потребностей. Во всяком случае, этим горнорудным очагом могли пользоваться металлурги значительном части Колхидской низменности и нагорья, в том числе и металлурги Ингурского ущелья. Мы делаем это предположение, основываясь на близости бронзовых орудий, найденных в Сванетии и в Абхазии, непосредственном территориальном соседстве, и существовании легко проходимых перевальных дорог через Кодорский и Ингурский водораздельный хребет. Следует указать, что в бронзовую эпоху кавказские металлурги осуществляли связь через высокогорные переходы.

Имеющиеся у нас под рукой археологические материалы свидетельствуют о таком взаимоотношении населения Кубани и Ингурского ущелья еще на начальных ступенях бронзовой металлургии. Легко допустить, что для металлоплавильной печи, раскопанной нами в Максанской пещере, сырьевой материал доставляли из абхазских рудников[14].

Полный учет выработки в Абхазии, детальное изучение геологического строения и установление точных масштабов производства – дело будущего исследования. Считаем необходимым указать на некоторые обстоятельства, которые могли способствовать или препятствовать интенсивности находок руды. учесть расположение выработок на южных склонах главного хребта, где обилен горючий материал и материал для укрепления. Добыванию руды, несомненно, мешал в известной мере короткий рабочий сезон, обусловленный высоким расположением шахт (2000 м.), их отдаленность от населенных пунктов, опасные дороги в труднодоступных местах, проходящие по карстовому рельефу, примитивные транспортные средства и другие факторы. Если учесть, что окончательные

[13] Г. Гобеджишвили, Памятники древнегрузинского горного дела и металлургии в окрестностях с. Геби, стр. 190.

[14] А. Каландадзе, цит. соч., стр. 66.

процессы выплавки руды и отливка вещей происходили по местожительству коренного населения, легко представить те трудности, которые были во время подвоза каменной руды до металлургических мастерских, его последующей обработки. Для упрощения этой сложной процедуры металлургии проводили определенные работы непосредственно около карьера.

В связи с рассмотрением медеплавильных печей. А. Каландадзе ссылается на труды европейских ученых К. Цшоке и Э. Преишена, которые предполагали следующий порядок выплавки руды: сначала всю сваленную руду обжигали, затем ее дважды выплавляли. Первый раз выплавляли в плавильных печах и таким образом получали штейн. Возможно, штейн получали и тиглях и таким образом получали медь, которая использовалась для отливки вещей[15].

По мнению А. Иессена, закавказские металлурги в раннюю эпоху для получения меди обращались к т. н. «азиатскому способу», который дошел до XIX века. Автор считает, что получению штейна и меди предшествовало продолжительное и многократное удаление серы из руды, т. к. она тормозила плавку[16].

Г. Гобеджишвили, изучивший памятники горного производства в Раче, указывает, что сначала происходило первоначальное, механическое обогащение разрушенной руды или удаление пустых для руды пород, затем руду доставляли в лесистую зону, где в конце концов, обжигали и выплавляли ее в специальных печах[17].

По мнении А. Каландадзе, горные медеплавильные печи в Сухуми были предназначены для длительного процесса производства металла, т. е. отливки медных полос из штейна, а затем – изготовления продукции. Аналогичное значение имел медеплавильный горн, найденный в ущелье реки Ингури.

Показательно, что некоторые насыпи пустых пород, осмотренные нами на Башкацари, были образованы в процессе первоначального обогащения.

Одновременно заслуживает внимания сведения, полученные от геолога Пирвели, частично подтвержденные нами, которые указывают, что вылитые на скалы шлаки, сохранившиеся следы огня и другие признаки подтверждают существование рудообогащающих печей на Бешекацари.

В заключение мы можем сказать, что сохранившиеся в верховьях Бзыби и Кодори залежи меди (возможно, и другой цветной руды) и очаги горно-добывающего производства является вторым после Рачи древним памятником горне – рудного производства Грузии.

Соответствующее исследование этого памятника – почетный долг археологов и исследователей, заинтересованных историей грузинского горного производства.


---

[15] Вышеуказанные продположения, конечно, не исключают возможность находок древних горных рудных памятников, наоборот, мы имеем для этого довольно надежные документы, но ввиду малого регламента данной статьи мы не останавливаем на этом свое внимание.

[16] K. Zschocke und E. Preuschen. Das urzeitliche Bergbaggebiet von Mühlbach-Bischofshofen. Materialen zur Urgeschichte österreichs, 6. Wien, 1932, s. 106.


[17] Л. А. Иессен. Л. Н. К истории горного дела, СА, №1, 1935, стр. 304.

ტაბ. I





გამონამუშევრების განლაგების რუკა.

ტაბ. II



ბაშკაცარა, (მღვიმეში შესასვლელი აღნიშნულია ისრით).




სამუშაო იარაღები.

შ. ჩართოლანი

# სპილენძის უძველესი იარაღები სვანეთიდან*

წინამდებარე წერილში განხილულია მდ. ენგურისა და ცხენისწყლის ხეობებში სხვადასხვა დროს გამოვლენილი მდიდარი არქეოლოგიური მასალების ერთი ყველაზე არქაული ჯგუფი – სპილენძის ორი ცული და ორი ყუნწიანი შუბისწვერი, რომლებიც ამჟამად მესტიისა და ქუთაისის მუზეუმების არქეოლოგიურ ფონდებში ინახებიან. აღნიშნული ნიმუშები სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში ნაკლებად არის ცნობილი და არც მათი ადგილია დაზუსტებული ქართულ არქეოლოგიურ ძეგლებს შორის. სამუზეუმო საბუთებში თითქმის არაფერია ნათქვამი მათი უმეტესობის აღმოჩენის პირობების შესახებ. ამიტომ ბუნებრივია, სათანადო მეცნიერულ დოკუმენტაციას მოკლებული მასალის გარშემო კატეგორიული მსჯელობისა და ფართე განზოგადოების საშუალება ჩვენ ამჟამად არა გვაქვს. საკელეე იარაღების ტიპოლოგიური და მეტალოგრაფიული ნიშან-თვისებების შეჯერება კავკასიაში და მის ფარგლებს გარეთ აღმოჩენილი ანალოგიური იარაღების შესაბამის ნიშნებთან, საფუძველს გვაძლევს მოვახდინოთ მათი ტიპოლოგიურ-ქრონოლოგიური კლასიფიკაცია და მივუჩინოთ სათანადო ადგილი კავკასიის სინქრონულ ძეგლებს შორის, გამოვთქვათ გარკვეული მოსაზრებანი ახლანდელი სვანეთის ტერიტორიის თავდაპირველი სამეურნეო ათვისებისა და მუდმივი დასახლების, მეურნეობის წამყვანი დარგების განვითარებულობის, მეზობელ და შორეულ ქვეყნებთან ურთიერთობისა და სხვა საკითხებზე.

საკელეე იარაღებს, მრავალ ანალოგიასთან ერთად, ერთმანეთისაგან განასხვავებული ნიშნებიც გააჩნიათ, ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია მათი ცალ-ცალკე განხილვა-დახასიათება და შესაბამისი პარალელების ძიება.

1. ცული სპილენძისა, ყუადაქანებული, ტაბ. VIII-1.
/მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდები. ინვ. №374/. ტანი პირისაკენ თანდათანობით ფართოვდება და თხელდება. მთელ სიგრძეზე გამყოლი ოთხი წახნაგი მსუბუქი რკალებით გადადის მოხრილ ფხაში, რომელიც საკმაოდ ბლაგვია და მხარეების ნიშნები მაინც და მაინც არ ეტყობა, სატარე ნაწილი წინა მხრიდან მნიშვნელოვნად აქვს შეჭრილი და შუბლის ხაზი შესამჩნევად მორკალული, ხოლო კაჩა-თანაბრად დახრილი. ორფეხა ყუის ქედი რამდენადმე მომრგვალებულია, მრავალგანიეკვეთიანი სატარე ნახვრეტს ეერტიკალური კვეთი 1,5 მმ-ით აღემატება ჰორიზონტალურ კვეთს.

---

* გამოქვეყნებულია - საისტორიო კრებული, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, ტ. II, თბილისი 1971 წ. გვ. 297-346.

ცულის საერთო სიმაღლე – 8,2 სმ.
პირის უდიდესი სიფართე – 4,5 სმ.
სატარე ნახერეტის უდიდესი დიამეტრი – 2,6 სმ.

2. ცული სპილენძისა, ყუადაქანებული, ტაბ. VIII-4.
/მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდები. ინვ. №224/, ტანი სოგადად ოთხწახნაგაა. სატარე ნაწილი წინა მხრიდან დიდად აქვს შეჭრილი, რის გამოც შუბლისთავი მკვეთრი რკალითაა გამოსახული. მოპირდაპირე მხარე – კაჩა თავიდან ბოლომდე სწორხაზოვანია და პერპენდიკულარული ფხის მიმართ, ამაღე მიმართულებაშია შუბლის ხაზიც. თანაბარი სიფართის სოლური პირი ქვევით თავდება მჭრელი, ბოლოებში ოდნავ მომრგვალებული სწორხაზოვანი ფხით. ძლიერ მოკლე ორფერდა ყუა /1,7 სმ/ ოდნავ მომრგვალებულია. სუსტი ყვრიმალები მეტნაკლებად ჩაჭყლეტილი აქვს მაგრამ ამ სახითაც სატარე სახერეტის მრგვალგანიკვეთიანობა საეჭვო არ არის. ცული ნაპოვნია იფარის თემში.
ცულის სიმაღლე – 10,5 სმ.
პირის სიგანე – 5 სმ.
სატარე ნახერეტის უდიდესი დიამეტრი – 3,2 სმ.

3. შუბისწვერი სპილენძისა, ყუნწიანი, ტაბ. IX-1.
/მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდები. ინვ. №403/, ხანგრძლივი დროის მანძილზე ხმარებისა და ნაგორაობის შედეგად ოდნავ მოღუნულია და თავდაპირველი სუსტი კონტურებიც რამდენადმე დაკარგული აქვს. ვიწრო და ბრტყელი პირი შუახაზზე სიგრძივ ოდნავ არის შესქელებული, ხოლო წვეროსა და კიდეებისაკენ თანდათანობით თხელდება, ფხა და წვერი თავისდროზე საკმაოდ ბასრი და ძლიერ ალესილი უნდა ყოფილიყო. გრძელი ღეროს სოგადად ოთხკუთხა განიკვეთიანია /ძლიერ მომრგვალებული წახნაგებით/, ყუნწზე გადასელის ადგილას ოდნავ მსხვილდება და სიმრგვალეში გადადის. მოკლე ნაკლული ყუნწი წვეროსაკენ სწრაფად ვიწროვდება. საერთოდ შუბისწვერი სედაპირულად საკმაოდ გლუვია და ერთმანეთში არა, მკვეთრად გარდამავალი კონტურებით ხასიათდება. იგი ერთიანად ჩამოსხმული და შემდეგ დამატებითი პირგამოკვერილი ჩანს.
შუბისწვერის სიმაღლე – 25,3 სმ.
პირის სიგრძე – 12,3 სმ.
ღეროს სიგრძე – 11 სმ.
ყუნწის სიგრძე /ნაკლული სახით/ - 3 სმ.
პირის უდიდესი სიფართე – 2,5 სმ.

4. შუბისწვერი სპილენძისა, ტაბ. X-2.
/ქუთაისის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდები, ინვ. №$\frac{3488}{11}$/, ნაკლული, მოტეხილი აქვს წვერო. გრძელი პირის ორთავე მხარეს, შუახაზზე მკვეთრი ქედი გასდევს, ნაპირებისაკენ თანდათანობით

თხელდება. ოთხწახნაგა, რომბულგანიკეთიანი მოკლე ღერყუნწზე ტეხილი ხახებით გადადის, ყუნწი ღეროსთან შეერთების ადგილზე რვაწახნაგა, წეროსაკენ კი ოთხწახნაგა ხდება და ღილისებურად ბოლოვდება. ეს დეტალი მცირე ზომისაა და აღმოჩენის შემდეგ ცივი ჭედვით დამახინჯებულ-გაბრტყელებული.

შუბისწვერის საერთო სიგრძე /ნაკლული სახით/ – 33 სმ.
ღეროს სიგრძე – 6 სმ.
ყუნწის სიგრძე – 7,5 სმ.
პირის უდიდესი სიფართე –5 სმ.

სპილენძის ორიეე ცული, როგორც ზემოთ აღნიშნავდით, შემთხვევით არის ნაპოვნი. მესტიის მუზეუმში დაცული ჩანაწერების მიხედვით, ერთი მათგანი /ტაბ. I-4/ იღარის თემში ყოფილა აღმოჩენილი და 1941 წელს მუზეუმს შეუძენია იფარის სას. საბჭოს სოფელ წვირმიში მცხოვრებ ს. თამლიანისაგან. მეორე ცულის /ტაბ. I-1/, შესახებ რაიმე წერილობითი ცნობა არ მოგვეპოვება. სიტყვიერი გადმოცემების მიხედვით იგი თითქმის ჭუბერის მხარეში ჩანს ნაპოვნი.

სვანეთის აღნიშნული იარაღები სპეციალური კვლევის საგნად ჯერ არავის გაუხდია, მაგრამ გაკვრით არაერთ მკვლევარს აქვს მოხსენებული:

ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატმა გ. გობეჯიშვილმა, 1961 წელს მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის არქეოლოგიური კოლექციების შესწავლის დროს, ყურადღება მიაქცია სპილენძის ერთ პრიმიტიულ ცულს /ინვ. №374/; და დაუკავშირა იგი „შიდა ქართლიდან ცნობილ, სოგიერთი მკვლევარის მიერ ენეოლითური ხანით დათარიღებულ ცულებს“[1]. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის არქეოლოგიისა და ერთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ 1964 წელს, სვანეთში მუშაობის დროს კვლავ გაამახვილა ყურადღება აღნიშნულ ცულებზე და მათ უახლოეს ორეულებად მიიჩნია, ერთის მხრივ აღმოსავლეთ საქართველოსა და სომხეთის უკომპლექსო მონაპოვრები, და მეორე მხრივ, მესოპოტამიის ძვ. წ. IV ათასწლეულის თიხის მოდელებით წარმოდგენილი ცულები[2].

სვანეთის №374 ცული უნდა ჰქონდეს მხედველობაში პროფ. ო. ჯაფარიძეს, როცა საჰესის არქაული ცულის ერთადერთ მსგავს ნიმუშს ასახელებს მესტიის მუზეუმიდან[3]. ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის დ. ქორიძის მოსაზრებით, სვანეთის №374 ცული და საჰესის ცული ფორმით იმეორებენ ერთმანეთს და განსხვავდებიან მხოლოდ ზომებით[4]. იგივე ავტორი შეეხო სვანეთის მეორე №224 ცულს და აღნიშნა, რომ ძნელია

[1] გ. გობეჯიშვილი, შუაკავკასიონის სამხრეთი კალთის ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური ექსპედიციის 1961 წელს ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. მოხსენებათა ანოტაციები. თბილისი, 1962 წ. გვ. 24.

[2] გ. გობეჯიშვილი, შ. ჩართოლანი, სვანეთის არქეოლოგიური დაზვერვა 1964 წ. XIV სამეცნიერო სესია, მიძღვნილი 1964 წლის საყველე არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი, მოხსენებათა ანტაციები, თბ., 1966, გვ. 37.

[3] ო. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 91.

[4] დ. ქორიძე, კოლხური კულტურის ისტორიისათვის, თბ., 1965 წ. გვ. 52.

მისი გარკვეულ ქრონოლოგიურ ჩარჩოებში მოთავსება, თუმცა ყულანურხვას გვიანბრინჯაოს ხანის ცულთან მსგავსების გამო, ავტორმა ფაქტიურად შესაძლებლად მიიჩნია მისი გვიანბრიბჯაოს ხანით დათარიღება[5].

როგორ აღნიშნეთ, სვანეთის №374 ცულს ზემო ავჭალის არქაული ცულის ანალოგად მიიჩნევენ. მათ მართლაც აახლოებთ ზოგადი მოყვანილობა, კაჩისა და შუბლის ხაზების რამდენადმე მსგავსი კონტურები და სხვა. მაგრამ საჰესის ცული განსხვავდება კიდეებაც უფრო დიდი, თითქმის ერთიორად მეტი ზომით, სატარე მილის შესაბამისად გარშემოწერილი, თანაბარი სისქის ყერიმალებითა და ყუით, თითქმის სწორხაზოვანი სამუშაო პირით /ფხით/ და სხვა დეტალებით; სვანეთის ცული უკიდურესად ეიწროებება ყუის თავზე, ზემო ავჭალისა კი – ყერიმალის არეში. ეს განსხვავება რათქმა უნდა არ გამორიცხავს მათ ტიპოლოგიურ ერთიანობას, მაგრამ ზოგადად, თუ ცალკეული ნაწილების მოდელირებით, სვანეთის ცულისათვის საჰესის ცულზე უფრო მახლობელი ჩანს ჩრდილო კავკასიური-მაიკოპის კულტურისათვის დამახასიათებელი სპილენძის ყუადაქანებული ცულების ზოგიერთი ნიმუში, კერძოდ – ნ. ი. ვესელოვსკის მიერ 1897-1898 წწ. გათხრითი კოსტრომსკაიას[6] და ნოვოსვობოდნაიას[7] ყორღანებში აღმოჩენილი ცულები. მოყვანილობის მიხედვით მათი მსგავსება ილუსტრაციებიდანაც კარგად ჩანს, მაგრამ სიახლოვე კარგად შეიმჩნევა აგრეთვე ზომებსა და ცალკეული დეტალების პროპორციებში:

1. სვანეთის ცულის სიმაღლე უდრის – 8,5 სმ.
   სატარე ნახვრეტის დიამეტრი – 2,4X2,5 სმ.
2. ნოვოსვობოდნაიას ცულის სიმაღლე – 10,6 სმ.
   სატარე ნახვრეტის დიამეტრი – 2,1X2,3 სმ.[8]
3. კოსტრომსკაიას ცულის სიმაღლე – 11 სმ.
   სატარე ნახვრეტის დიამეტრი – 2,2X2,4 სმ.[9]

სამივე შემთხვევაში, მრგვალ განიკვეთიანი სატარე ნახვრეტი ვერტიკალურ კვეთში და წინა მხრიდან, ჰორიზონტალურ კვეთთან შედარებით რამდენადმე უფრო დიდია.

ნიშანდობლივია ისიც, რომ სვანეთის ცულის ოდნავ განსხვავებული სამუშაო პირის /ფხის/ მოყვანილობა, დამატებით გამორკვევის შემთხვევაში სუსტად დაემთხვეოდა ნოვოსვობოდნაიას და კოსტრომსკაიას ცულების შესაბამის დეტალებს[10]. ამ შემთხვევაში მინიმუმამდე შემცირდებოდა აგრეთვე ამ იარაღების სიმაღლეში არსებული უმნიშვნელო სხვაობაც.

---

[5] დ. ქორიძე, კოლხური კულტურის ისტორიისათვის, თბ., 1965 წ. გვ. 146.

[6] ОАК за 1897 г., გვ. 16. სურ. 59.

[7] ОАК за 1898 г., გვ. 35-36, ტაბ. III-39, IV-51.

[8] П. Б. Попова, Дольмены станицы Новосвободной, Москва, 1963, გვ. 28.

[9] ОАК за 1898; გვ. 15.

[10] Т. Попова, დასახ. ნაშრომი, ტაბ. IX-6; М. Артамонов, Третий раземный курган станицы Костромской, С.А.X, 1948, სურ. 5-4.

სპილენძის ყუადაქანებულმა ცულებმა ჩრდილო კავკასიაში განსაკუთრებით ფართოდ გავრცელება ჰპოვეს მდინარეების ბელაიას და ლაბას აუზში მაიკოპის კულტურის ე. წ. ნოეოსეობოდნაიას სტადიაზე[11]. ასეთი იარაღი ერთეროი დამახასიათებელი მოვლენაა სტ. ანდრუკოვსკაიას[12], პსებებაისკაიას[13], ანასტასევსკაიას[14], მახოშევსკაიას[15] და სხვაა ყორღანების სამარხეული კომპლექსებისათვის. როგორც ჩანს, ჩრდილო კავკასიის მთის წინა ზოლიდან ამ ტიპის იარაღი თანდათანობით ვრცელდება უფრო ჩრდილოეთით-სტეპისაკენ, რასაც მოწმობს მათი შემთხვევითი, მაგრამ საკმაოდ ხშირი აღმოჩენები მდინარე ყუბანის აუზში და მის გარეთ ქ. ნალჩიკიდან დაწყებული, ვიდრე ტამანის ნახევარკუნძულამდე[16].

ყუბანის დიდი ყორღანების ცულების უმრავლესობისათვის დამახასიათებელია თანაბარი სიფართის სოლური ტანი, თითქმის სწორხაზოვანი პირი, კანა და სამუშაო პირი /ფხა/. ამ ნიშნებით ყუბანურ ცულებთან ახლო დგას სვანეთის მეორე ცული /ტაბ. VIII-4/. პროფ. ო. ჯაფარიძის დაკვირვებით, ანალოგიური თავისებურებებით ჩრდილო კავკასიის ნიმუშებს უკავშირდება მარნეულის რაიონის სოფ. ბრდაძორში აღმოჩენილი სპილენძის ყუადაქანებული ცული /ტაბ. IX-1/, რომელიც ვიწრო სატარე ნაწილითა და თანაბრად ფართე პირით, მსგავსია აგრეთვე სვანეთის ზემოთ დასახლებული ცულისა, თუმცა მასიურობით და ზოგიერთი დეტალის გაფორმებით ბრიაძორის ცული განსხვავდება კიდევაც მისგან /მსედველობაში გვაქვს რკალურად მოხრილი შუბლი და კანა, ტარისაკენ დამხრობილი ფხა და სხვა ნიშნები/.

სვანეთის მეორე ცულისათვის /ტაბ. VIII-4/, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პირდაპირი პარალელი ჩვენთვის არ არის ცნობილი, არქ. დ. ქორიძის სამართლიანი შენიშვნით, იგი მოგვაგონებს ყულანურხევის ბრინჯაოს ცულს[17], რომელსაც ა. იესენი ბიჭვინთისა და სოჭის ხეობაში აღმოჩენილ "კომპლექსი ცულებთან ერთად ცალკე ჯგუფში აერთიანებს და პირობითად გვიან ბრინჯაოს ხანას აკუთვნებს[18]. სვანეთისა და ყულანურხევის ცულები გარემოხაზულობით უახლოვდებიან ერთმანეთს, მაგრამ ყულანურხევას ცული მისგან განსხვავდება ოვალური სატარე ნახვრეტით, თხელი მორკალული ფხით, ფიგურულად მოდელირებული კანის შუახაზზე გამყოლი მკვეთრი ქედით და ტექნიკური თუ მხატვრული გაფორმების სხვა თავისებურებით. ეს კი ყულანურხევას ცულს აშკარად უფრო სრულყოფილ, განვითარებულ ნიმუშად წარმოადგენს. ჩვენის

[11] А. А. Иессен, К хронологии "Больших кубанских курганов", СА, ХП, 1950, გვ. 157-200.

[12] ОАК за 1895 г. стр. 26.

[13] ОАК за 1895 г. стр. 134; изв. ГАИМК, №110, рис. 128-3.

[14] А. А. Иессен, დასახ. ნაშრომი, გვ. 184.

[15] ი ქ ვ ე, გვ. 83, სურ. 184.

[16] A. Tallgren, Die Kypfer und Bronzezeit in Nord und Ostrussland, SMYA, XXV, Helsingissa, 1911, gv. 169.

[17] А. А. Иессен, Прокубанский очаг металлургий и металлообработки, МИА, 23, 1951, სურ. 33.

[18] ი ქ ვ ე, გვ. 93-101, სურ. 28, 1-3; 31-1.

ვარაუდით, უფრო მართებული იქნება, თუ სვანეთის ცულს ყულანურხვის ცულის პროტოტიპად მიეიჩნევთ. სვანეთის ცულის ასახსნელად ვერ გამოგვადგება აგრეთვე, ბიჭვინთისა და სოჭის ხეობაში ნაპოვნი, ზემოთ დასახელებეული იარაღები, რომლებიც აბსოლუტურად განსხვავდებიან სვანეთის ცულისაგან.

სვანეთის /ინვ. №224/ ცულის ახლო პარალელების ძიებას ჩვენ კვლავ ჩრდ. კავკასიაში მიეყვეართ. ტიპოლოგიურად მასთან განსაკუთრებით ახლო დგას სტანიკა პსებაისკაიას ყორღანში, სპილენძისავე ყუნწიან შუბისწვერთან ერთად აღმოჩენილი ცული /ტაბ. VIII-5/[19]. თანაბარი სიფართის სოლური პირით უახლოვდება აგრეთვე, ყუბანის დიდ ყორღანებში აღმოჩენილ სხვა ცულებსაც, რომელთაგანაც განსხვავდება კიდევაც ნაკლები მასიურობით. პირის მოყვანილობა და ვერტიკალური კაჩა აახლოვებს მას. თანამედროვე სომხეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილ სპილენძის უძველესი ცულების ნიმუშებთან. მხედველობაში გვაქვს 1937 წელს შენგავითის „ენეოლითური“ ნასახლარის ზედაფენაში ნაპოვნი ქვის ყალიბი[20] და მეორე ანალოგიური ფორმის თიხის ყალიბი, აღმოჩენილი გარნიში 1961 წელს, არქეოლოგ ე. ხანზადიანის მიერ[21]. გარნის ყალიბში ჩამოსხმული თაბაშირის ცული (ტაბ. VIII-6) სვანეთის ცულს უახლოვდება, როგორც მოყვანილობით ასევე, ზომითაც.

1. სვანეთის №224 ცულის სიმაღლე 10,5 სმ.
   სამუშაო პირის (ფხა) სიგრძე – 5 სმ.
   სატარე ნახვრეტის დიამტერი, დაახლ. – 3,2 სმ.
2. გარნის თამაშირის ცულის სიმაღლე 11 სმ.
   სამუშაო პირის (ფხის) სიგრძე – 4 სმ.
   სატარე ნახვრეტის დიამტერი – 2,8 სმ.

სპეციალისტ-მკვლევართა აღიარებით, სომხეთის უძველესი ცულები მჭიდროდ უკავშირდება შიდა და ქვემო ქართლში აღმოჩენილ სპილენძის ზემოაღნიშნულ ცულებს[22]. ა. მარტიროსიანი შენგავითისა და გარნის ყალიბებში ჩამოსხმული თაბაშირის ცულებისათვის პირდაპირ პარალელად მიიჩნევს, იმავე ზემოთ აღნიშნულ ბრდაძორის ცულს[23], ვ. ლუბინის გადმოცემით, გ. პიოტროვსკი საოცარ მსგავსებას ხედავდა შეგნავითის თაბაშირის ცულსა და ცხინვალის რაიონის სოფელ იალბუზში აღმოჩენილ სპილენძის ცულებს შორის[24]. იალბუსისა და ქულბაქების ცულებისათვის კი საუკეთესო პარალელად ლენინაკანის მუზეუმში დაცულ სპილენძის ყუადაქანებულ ცულს მიიჩნევენ[25] (ტაბ. IX-3).

[19] ИГАИМК, вып. 110 სურ. 128-3.

[20] Б. Б. Пиатровекий, Население медного века в Армении, С. А. XI, გვ. 172, სომხეთის დახ. მუზეუმის ფონდებიდან, 144 2/4.

[21] Э. Ханзадян, Культура Армиянского нагорья в III тисячелетии до н. э. (სომხურ ენაზე), გვ. 93, 97 სურ. 1-1.

[22] Э. Ханзадян, О металлургии древнебронзовой эпохи в Армении, С.А. №2, 1962 გვ. 93.

[23] А. Мартиросян, Армения в эпоху бронзы и раннего железа, Ереван, 1964 г. გვ. 27.

[24] В. Любин, დასახ. ნაშრომი, გვ. 16.

[25] А. Мартиросян, გვ. 25-26, სურ. 2ა.

ჩვენი ცულისათვის მახლობელ ჩანს აგრეთვე, აზერბაიჯანში ნახჭევანის ქიულ-თეფეს მეორე ფენის ქვედა დონეზე გამოვლენილი ტარგასაყრელი ცულის ჩამოსასხმელი თიხის ყალიბი[26], მსგავსი სომხეთის ყალიბებისა.

რომ უფრო დამაჯერებელი იყოს ჩვენი სამუშაო ჰიპოთეზა დასახელებულ ძეგლებთან სვანეთის ცულების დაკავშირების შესახებ, ყურადღება გვინდა მივაქციოთ კიდევ ერთ გარემოებას; როგორც ცნობილია, იარაღ-საჭურველის უძველესმა ფორმებმა განსაკუთრებულ სრულყოფას ლითონისაგან დამზადების შედეგად მიაღწიეს, მაგრამ ტექნიკური და მხატვრული გაფორმების ძველი ტრადიციები მომდევნო ხანაშიაც განაგრძობდა არსებობას. ე. ი. როცა ადამიანმა პირველად მიაგნო ლითონს და დაიწყო მისგან იარაღის დამზადება, იგი კვლავ მიმართავდა ძველ ფორმებს. ასეთი გენეტიკური კავშირი კარგად შეიმჩნევა კავკასიაში აღმოჩენილი ქვისა და სპილენძის უძველესი ცულების შედარების დროს. ასე მაგალითად: სოფ. იალბუზის სპილენძის ცული უახლოვდება ხიზანაანთგორის ენეოლითურ ფენაში აღმოჩენილ ქვის ცულს. ლენინაკანის სპილენძის ცულისა და შენგავითის ყალიბში ჩამოსხმული ნიმუშისათვის ახლო ანალოგიურია ლენინაკანის რაიონის სოფელ ქეთში აღმოჩენილი ქვის ცული[27] /ტაბ. IX-4/. აგრეთვე, სოფელ განლიჯისა და ეჩმიაძინის მუზეუმში დაცული ქვის ცულები, რომელთაც არქეოლოგი ე. ბაიბურთიანი ნეოლითური ხანით ათარიღებს[28]. ხოლო ე. ხანზადიანი „ქვის ყუადაქანებულ ცულებს“ უწოდებს[29]. რ. მურჩაევი, მაიკოპისა და ნოვოსვობოდნაიას სპილენძის ყუადაქანებული ცულების პროტოტიპებად მიიჩნევს ნოეო-არშტის ტიპის ქვის ცულებს[30]. საყალიბე დანიშნულებას ანიჭებს პროფ. ო. ჯაფარიძე ხიზანაანთ გორაზე აღმოჩენილ ქვის ცულს[31], რომელიც რ. მუნჩაევის აზრით, ძალიან ახლოს დგას იმავე ნოეოარშტის ქვის ცულთან[32].

სვანეთის ცულები ამ თვალსაზრისითაც ტრადიციული ჩანან და გენეტიკურად დაკავშირებული წინამორბედი ხანის ქვის ცულებთან. მეტად საინტერესოა №224 ცულის შედარება სოფ ქეთის ქვის ცულთან, სვანეთის ცულის სატარე ნაწილის თავისებური, მეტად ეიწრო მოყვანილობა მოგვაგონებს ქვის ცულის შესაბამის დეტალს. ასე, რომ სვანეთის ცულის სატარე ნაწილის თავისებური გაფორმება სრულიად კანონზომიერია და ასეთი ფორმა მიღებული აქვს მემკვიდრეობით, მსგავსად თანაბრად ფართე სოლური პირისა, რომლის არქაული ფორმა სადაო არ არის. ყურადღებას

---

[26] О. Абибулаев, К вопросу о древней металлургии Азербаиджан . . . . 125, 1965 გ. გვ. 68, ტაბ. II.

[27] А. Мартиросян, დასახ. ნაშრომი, სურ. 26.

[28] Э. Байбуртян, Новые находки каменного века в Армении, С. А. 1952, №3, გვ. 206-208.

[29] Э. Ханзадян, О металлургии древне-бронзовой века в Армении, С. А. 1952, №2, გვ. 96.

[30] Г. М. Мунчаев, Древнейшая культура Северо-Восточного Кавказа, МИА, 110, 1961, გვ. 55-57, სურ. 10, 11.

[31] ო. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 93.

[32] Г. М. Мунчаев, დასახ. ნაშრომი, გვ. 57.

იქცევს ისიც, რომ ჩვენი ცულისათვის დამახასიათებელი, წინა მხრიდან ძლიერ შეჭრილი ნაწილი რამდენადმე დამახასიათებელი ჩანს აგრეთვე, სოფელ ნაომარის ტიპის ცულებისათვის,რომელთაც სპილენძის ყველაზე არქაული ყუადაქანებული ცულების განვითარების შემდგომ "სტადიას" მიაკუთვნებენ და სხვა ნიშნებით ეშერისა და საჩხერის ვიწროტანიანი ყუადაქანებული ცულების პროტოტიპად მიიჩნევენ[33].

ამრიგად, სვანეთის ცულების მორფოლოგიური ნიშნების ანალიზი და მათი შეჯერება კავკასიაში აღმოჩენილი სპილენძის ყუადაქანებული ცულების უადრეს ნიმუშებთან, საშუალებას გვაძლევს შევნიშნოთ მათი სიახლოვის მრავალი სოგადი და კონკრეტული ნიშანი: ერთი მათგანი (ტაბ. I-1) ყველაზე ახლოს დგას. ჩრდილო კავკასიის სტ. კოსტრომსკაიას და სტ. ნოვოსვობოდნაიას სპილენძის ყუადაქანებულ ცულებთან, ხოლო შემდეგ, ზაპესისა და ნაწილობრივ შიდა და ქვემო ქართლის სხვა უძველეს ცულებთან. ზაპესის ცულთან შედარებით სვანეთის ცული ნაკლებ მასიურია და ტექნიკურადაც უფრო დახვეწილი ჩანს, რაც მათი კონკრეტული ფუნქციონალური მნიშვნელობის სხვადასხვაობით თუ არა, ლოკალური თავისებურებებით ან ქრონოლოგიური სხვაობით უნდა აიხსნას. საყურადღებოა ისიც, რომ სვანეთის აღნიშნული ცული განსაკუთრებით სიახლოვეს ავლენს ყუბანის დიდი ყორღანების არა ყველა, არამედ კოსტრომსკაიას და ნოვოსვობოდნაიას ცულების ორ ნიმუშთან.

რაც შეეხება სვანეთის მეორე /ტაბ. VIII-4/ ცულს, როგორც ეს სემოთ უკვე ითქვა, გაცილებით მეტი საერთო აქვს ჩრდილო და სამხრეთ კავკასიის და მათ შორის, საქართველოს სოლურპირიან ყუადაქანებულ ცულებთან, და არა ყულანურხვას და სხვა გვიანბრინჯაოს ხანით ცულებთან, როგორც ამას ზოგიერთი მკვლევარი ვარაუდობს.

აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ კავკასიაში აღმოჩენილი, სპილენძის არქაული, ყუადაქანებული ცულების გენეზისთან დაკავშირებით, ხშირად მიუთითებენ მესოპოტამიაში, ძვ. წ. V-IV ათას. მიჯნაზე გავრცელებულ სპილენძის ყუადაქანებულ ცულებზე, რომელთაც ჩვენამდე მხოლოდ თიხის მოდელების სახით მოაღწიეს. სპეციალისტთა შორის მოღებული მოსაზრებით, კავკასიაში ყუადაქანებული ცულების დამზადება ხშირ შემთხვევაში წინააზიური ნიმუშების მიხედვითაც ხდებოდა, ისე რომ ადგილზე მათ განსხვავებული, ლოკალური /თავისებური/ სახე მიიღეს.

სვანეთის ცულები ამ თვალსაზრისითაც არ წარმოადგენენ გამონაკლისს. პირიქით, №374 ცული მსგავსია ჯემდნეთ-ნასრის ტრაპეციული ცულებისა[34]. ხოლო მეორე /ინვ. №224/ ცული საყურადღებო მსგავსებას ავლენს კრეტაზე აღმოჩენილ ცულებთან[35]. ყოველივე აღნიშნულის შემდეგ, საშუალება გვეძლევა ვცადოთ სვანეთის ცულების ასაკის დადგენა სპეციალურ ლიტერატურაში დამკვიდრებული ტრადიციით, ყველა პარალელი, რომელიც სვანეთის ცულებს კავკასიაში თუ მის

[33] დ. ქორიძე, დასახ. ნაშრომი გვ. 52. ო. ჯაფარიძე დასახ. ნაშრომი, გვ. 145.

[34] Б. А. Куфтин, К вопросу о древнейших корнях..., сур. 2.

[35] Г. Чайлд, У истоков Европейской цивилизации, Москва, 1952, გე. 159, сур. 11-2

ფარგლებს გარეთ მოეძებნებათ, გაერცელებული იყო ბრინჯაოს მეტალურგიის განვითარების საწყის საფეხურზე. ამ ზოგად განსაზღვრებასთან ერთად, დასახელებული ტიპის იარაღის ცალკეული ნიმუშების ზუსტი ასაკის შესახებ არაერთ მკვლევარს აქვს თავისი მოსაზრება გამოთქმული:

ვ. ლიუბინმა და ბ. კუფტინმა ადრევე გამოთქვეს ვარაუდი იალბუზის ტიპის ცულების ენეოლითურ (მტკვარ-არაქსის) კულტურის ხანაში არსებობის შესახებ[36]. პროფ. ო. ჯაფარიძეს ისინი მიაჩნია ყუადაქანებული ცულების ყველაზე ადრეულ ფორმად, რომელიც ჩვენში გაერცელებული იყო ენეოლითიდან ბრინჯაოს ხანაზე გარდამავალ პერიოდში, რაც ქრონოლოგიურად ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრის დასაწყისს დაახლოებით 2400 წელს ემთხვევა[37]. მესამე ათასწლეულის პირველი ნახევრით /მეორე მოეთხედით/ ათარიღებს ზაჰესის და სვანეთის /ინვ. №374/ ცულებს თავისი უკანასკნელ ნაშრომში დ. ქორიძე[38]. ტ. ჩუბინიშვილი აღმოსავლეთ საქართველოს ცულებს ზოგადად ძვ. წ. III ათასწლეულის პირველ ნახევარს მიაკუთვნებს[39]. მესამე ათასწლეულის მეორე ნახევრიდან მიიჩნევს ა. მარტიროსიანი სომხეთში აღმოჩენილ ლითონის ცულს და ასეთივე ყალიბების შემცველ კომპლექსებს[40], ხოლო ნახჭევანის ქილთეფეს ფენა, რომელიც ცულის ჩამოსასხმელ ყალიბს შეიცავდა, უკანასკნელი გამოკვლევების მიხედვით, III ათასწლეულის პირველი ნახევრის პირველი მეოთხედით /4820 – 90წწ/ თარიღდება[41]. იმ განსხვავებული მოსაზრებიდან, რომელიც ყუბანის დიდი ყორღანების ქრონოლოგიურ ჩარჩოებს შეეხება, ა. იესენის და ფრ. ჰანჩარის ყველაზე პოპულარული ჰიპოთეზით, ჩვენთვის საინტერესო კომპლექსები ძვ. წ. III ათასწლეულის დასასრულითა და II ათასწლეულის დასაწყისით თარიღდებოდა[42], შემდეგში ა. იესენმა წინააზიის /ირანი, მესოპოტამია, სირია, ანატოლია/, ძეგლებთან შეჯერების საფუძველზე, ეს თარიღი რამდენადმე უკან გადასწია და ყუბანის დიდი ყორღანები ზოგადად ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარს მიაკუთვნა. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ზაჰესის ცულისათვის ყველაზე ახლობლად მიჩნეული მაიკოპის ყორღანი ცული, ამჯერადაც ყუბანის ყორღანების ყველაზე ადრინდელ – ძვ. წ. 2500-2400 წწ. ქრონოლოგიურ ჯგუფში მოაქცია, ხოლო სვანეთის ცულების მსგავსი იარაღები კოსტრომსკაიას, ნოვოსვობოდნაიას და პრებისკაიას კომპლექსებიდან ძვ. წ. 2300-2000 წ. წ. დაათარიღა[43].

[36] В. Любин, დასახ. ნაშრომი, გვ. 22; Б. Куфтин, Археологическая маршрутная экспедиция 1945..., გვ. 35.

[37] ო. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 91, 120.

[38] დ. ქორიძე, დასახ. ნაშრომი გვ. 146.

[39] ტ. ჩუბინიშვილი, მტკვრისა და არაქსის ორმდინარეთის უძველესი კულტურა, თბ. 1965 წ.

[40] А. Мартиросян, Армения в эпоху бронзы, გვ. 24-27.

[41] О. Абибулаев, К вопросу о древней металлургии Азербайджана, МИА, 125, 1955.

[42] А. А. Иессен, К хронологии больших кубанских курганов..., 162; მისივე, из истории древней металлургии меди на Кавказе, ИГАИМК, вып.1935 г.

[43] А. А. Иессен, Майкопская культура и ее датировка. Тезисы докладов на заседаниях, посвященных итогам полевых работ исследований 1951 г., Москва, 1962, გვ. 19-22.

ასეთი განსხვაებული თარიღები, სხვა ფაქტორებთან ერთად, ძირითადად განპირობებულია აღმოჩენათა ტოპოგრაფიით; არქეოლოგთა შორის მიღებული მოსაზრებით, ბრინჯაოს მეტალურგიის განვითარების ადრეული ეტაპი, ყველა გეოგრაფიული რაიონისათვის არ არის ერთდროული მოვლენა. იგი ქრონოლოგიურად უფრო ადრე ჩაისახა წინააზიაში, საიდანაც თანდათანობით გავრცელდა ჩრდილოეთ /მცირეაზია, ა/კავკასია, ჩრდ. კავკასია და ა. შ./.

კავკასიაში აღმოჩენილი სპილენძის უძველესი ცულებისაგან განსხვავებით, საქართველოს ცულები შემთხვევით და სხვადასხვა დროს არიან ნაპოვნი მაგრამ მიუხედავად ამისა, ისინი საკმაოდ კარგად არიან შესწავლილი და სპეციალურ ლიტერატურაში არაერთგზის გამოქვეყნებული. საქართველოს ტერიტორიაზე ამ ტიპის იარაღის გავრცელების ზოგადი თარიღის დადგენასთან ერთად, გამოყოფენ აგრეთვე ორ ქრონოლოგიურ ჯგუფს. ერთ ჯგუფში აერთიანებენ ყველაზე არქაულად მიჩნეულ სოფ. იალბუზის, ქულბაქების, ზაპესისა და ბრდაძორის ცულებს, რომელთაც ქრონოლოგიურად რამდენადმე ჩამორჩება მეორე ჯგუფის – მეჯვრისხევის, ყიზილაჯლოს, ნაომარის და ეშერის ფართეპირიანი ყუადაქანებული ცულები. ამ უკანასკნელს კი გარდამავალი ადგილი უჭირავთ, ყუადაქანებული ცულების განვითარების გზაზე, უმარტივესი – I ჯგუფის და ყველაზე განვითარებული – საჩხერული ტიპის,ევიწროტანიან ყუადაქანებულ ცულებს შორის[44]. ცულების ასეთ ქრონოლოგიურ კლასიფიკაციას შეესატყვისება მათი ტექნიკური სრულყოფის მაუწყებელი თავისებურებანიც. ყველაზე არქაული ჯგუფის ცულებისათვის დამახასიათებელია მასიური ტანი, თანაბარი სიფართის მოკლე სოლური პირი, სწორი ფხა, მრგვალგანივკვეთიანი სატარე ნახვრეტი და სხვა, მეორე ჯგუფის ცულებისათვის კი – ძლიერ დაქანებული ყუა, კაჩას მხრიდან რამდენადმე გაფართოებული, შედარებით თხელი და წაგრძელებული პირი, ტარისაკენ მიმართული /ხშირად მორკალული/ სამუშაო ფხა და სხვა. ტექნიკური დახვეწილობის ასეთი ტენდენცია კიდევ უფრო მკვეთრად ჩანს მათი განვითარების შემდეგ პროცესში, საჩხერული ტიპის ევიწროტანიან ყუადაქანებულ ცულებზე; ცულის ტანი თანდათანობით უფრო გრძელი, ევიწრო და ტარისაკენ მოქანდული ხდება. ჩნდება ამ ტიპის იარაღის სხვადასხვა ვარიაციები. იარაღის განვითარების ასეთი ტენდენცია საქართველოში მოპოვებული ძეგლების მაგალითზე კარგად შეიმჩნევა. ანალოგიური პროცესი კავკასიის სხვა ძეგლთა შორის, განსაკუთრებით კარგად ჩანს ჩრდილო კავკასიის ძეგლებში ა. იესენისეული კლასიფიკაციის მიხედვით[45].

სვანეთის ცულებისა და მათ პარალელებად დასახელებული იარაღების ტექნიკურ – მორფოლოგიური ნიშნების ურთიერთ შეჯერება მიგვითითებს, რომ სვანეთის ცულები თითქმის თანადროული ან ოდნავ

---

[44] Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, გვ. 16-17. ო. ჯაფარიძე, ქართველტომთა ისტორიისათვის, გვ. 93. დ. ქორიძე, დასახ. ნაშრომში, გვ. 51-52.

[45] А. А. Иессен, К хронологии больших кубанских курганов..., გვ. 192-164, ტაბ. I /ქრონოლოგიური სქემა/.

უფრო ახალგაზრდებია, ვიდრე საქართველოში აღმოჩენილი ყუადაქანებული ცულების ყველაზე არქაული ნიმუშები /სოფ. იალბუზის, ქულბაქევის, ზაჰესის და ბრდაძორის ცულები/, მაგრამ აშკარად წინ უსწრებს მეორე ჯგუფის /სოფ. ნაომარის, ყეზილ-აჯლოს და ეშერის/ ფართეპირიან ყუადაქანებულ ცულებს. რაც შეეხებათ, ყუბანისპირეთიდან მოტანილ პარალელებს, ისინი /კომპლექსებთან ერთად/ ასაკით უთუოდ ჩამორჩებიან სვანეთის ცულებს. ასე, რომ სვანეთის ცულების სავარაუდო თარიღად ძვ. წ. III ათასწლეულის შუახანები შეიძლება მოვიჩნიოთ.

რაც შეეხება სვანეთის ყუნწიან შუბისწვერებს /ტაბ. X–1, 2/, ისინი სპეციალურ ლიტერატურაში დღემდე გამოქვეყნებული არ არიან. ერთი მათგანი /ტაბ. X-1/ ნაპოვნია მდ. ენგურის სათაეებში, რომელიღაც დღემდე დაუსუსტებელ ადგილას და ინახება მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში /ინვ. №403/, მეორე შუბისწვერი კი /ტაბ. X-2/ ქვემო სვანეთში, მდ. ცხენისწყლის ხეობაში, სოფ. ჟახუნდერში. შუბისწვერი დიდი ხნის წინათ შეუძენია ქუთაისის მუზეუმს და ამჟამადაც იქვე ინახება /ინვ. №5488/11 [46]/.

სემო სვანეთის შუბისწვერს ხანგრძლივი დროის მანძილზე ხმარებისა და ნაგორაობის შედეგად ზოგიერთი დეტალის ზუსტი კონტური დაკარგული აქვს მაგრამ, როგორც ეს ზემოთ უკვე აღინიშნა, ამ სახითაც შეიძლება მისი ძირითადი ტექნიკური ნიშნების განსაზღვრა, სვანეთის შუბისწვერების ზუსტი ორეულები ჩვენთვის სადღეისოდ ცნობილი არ არის, მაგრამ ტიპოლოგიურად ისინი უნდა მივაკუთვნოთ საქართველოში შემთხვევით ნაპოვნ უძველესი შუბისებური იარაღების ჯგუფს, რომელშიც აერთიანებენ: საჩხერის ცარცის გორაზე[47], ზაჰესში /ხემო აეჭალა/[48], ცხინვალში[49], ბაგინეთში[50] ნაპოვნ იარაღებს. აღმოჩენის არაზუსტი მისამართებით ანალოგიური იარაღები დაცულია: ახალციხის მხარეთმცოდნეობისა[51] და საქართველოს სახელმწიფო მუზეუმებში[52], საქართველოდანაა წაღებული მოსკოვის ისტორიულ მუზეუმში დაცული ერთი შუბისწვერი /ტაბ. X-4/[53]. ერთი ამგვარი იარაღი აღმოჩნდა ხოლევში[54], სოლო ახალციხის ამირანის გორაზე – ჩამოსასხმელი ყალიბის ნატეხი[55].

---

[46] ამ იარაღს მუზეუმის ფონდებში პირველად მიაკელია და სათანადო ცნობები შეკრიბა ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატმა დ. ქორიძემ, რომელმაც ეს მასალები ჩვენ გადმოგვცა, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებთ.

[47] Б. А. Куфтин, Археологическая маршрутная экспедиция 1945 г. გე. 74, ტაბ. LIX.

[48] Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети..., გე. 11, სურ. 7ა.

[49] В. Любин, Археологическая раскопки в окрестностях г. Сталинири, КСИМК, вып. 60, Москва, 1952, გე. 22, სურ. 1, 9.

[50] ა. აფაქიძე, მცხეთა ქართლის სამეფოს ძველი დედაქალაქი, თბ., 1959 წ. გე. 65.

[51] Т. Чубинишвили, Т. Татишвили, О. Гамбашидзе, Археологические разведки в южных районах Грузии в 1953-1955 гг. СА. А4, 1957 წ. გე. 1-5, სურ. 8-10.

[52] ჯანაშიას სახ. საქართველოს სახ. მუზეუმის ფონდები. ინვ.

[53] Б. А. Куфтин, Археологические раскопки..., გე. 11, სურ. 9ბ.

[54] გ. გრიგოლია, ადრებრინჯაოს ხანის ყორღანი სოფ. ხოლესთან, ხელნაწერი.

[55] ტ. ჩუბინიშვილი, მტკვრისა და არაქსის ორმდინარეთის უძველესი კულტურა, თბ., 1965 წ. სურ. 18, 8.

ყველა ისინი ზოგადი მოყვანილობითა და პრაქტიკული გამოყენებით შეიძლება გავაერთიანოთ ერთ, საბრძოლო /სანადირო/ დანიშნულების საჩხელტ-საძგერებელი იარაღის ცალკე ჯგუფში. ტიპოლოგიურად აქვე შეიძლება მოვათავსოთ საჩხერის ხიშტისებური იარაღი[56] და მისი წინამორბედი იარაღი ქვა ცხელების სამოსახლოს C ფენიდან[57]. უკანასკნელ ხანებში აღმოჩენილ ნიმუშებიდან, განსაკუთრებით არსანიშნავია, საჩხერის რაიონის სოფ. "ბაზრის წყაროს" ნაპოვნი შუბისწვერი[58] და ლაჯანურჰესის ტერიტორიაზე ნაპოვნი იარაღი[59], ასევე არქეოლოგ მაჰმადოვის მიერ აზერბაიჯანში, ღესქორანის რაიონის სოფ. ტელმანში ასტარონის ყორღანზე 1966 წელს ნაპოვნი სპილენძის შუბისწვერი[60]. ამ ტიპის იარაღის საერთო ტექნიკური ნიშნებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ყველა მათგანისათვის დამახასიათებელი, ტარში ჩასამაგრებელი ყუნწი. ამასთან, ცალკეული ნაწილების მოყვანილობით მეტნაკლები დახვეწილობითა და სომებით ეს შუბისწვერები ერთმანეთისაგან საგრძნობლად განსხვავდებიან და გარკვეულ ნაირსახეობებს ქმნიან: არის სქელღეროიანი, სწორი, მოკლე ყუნწიანი /საჩხერის, ახალციხის, ცხინვალის და სხვა/ ნიმუშები და ბოლომოკაული წერილი ყუნწის მქონე შუბისწვერები, რომელთა ყუნწიც ღეროსაგან არ გამოიყოფა /ზაჰესის, ბაგინეთის და საქართველოს სახ. მუზეუმში დაცული იარაღები/. ერთ შემთხვევაში / საჩხერის შუბის წვერი/ ყუნწს ბოლოში ნასვრეტი აქვს დატანებული. ფოთლისებური მოყვანილობის პირებიდან გამოირჩევა შუახაზზე ოდნავ შესქელებული, მკვეთრქედიანი და ყართუ ქედიანი შუბები. აქვე შეიძლება შევნიშნოთ, რომ მოკაული ყუნწი ერთ შემთხვევაში სწორ და მსხვილ სქელღეროიან შუბისწვერსაც აქვს /მოსკოვის ისტორიულ მუზეუმში დაცული შუბისწვერი/ /ტაბ. X-4/.

საქართველოში აღმოჩენილი ყუნწიანი შუბისწვერების პირველ კლასიფიკაცია პროფ. ბ. კუფტინს ეკუთვნის, შემდეგში ამ ტიპის იარაღებს განსაკუთრებით ერცლად შეეხო პროფ. ო. ჯაფარიძე. მათი დაკვირვებით, ცალკეული ნაირსახეობის იარაღებს მრავალი ანალოგი მოეძებნებათ ძველი აღმოსავლეთის დაწინაურებული ქვეყნების უძველეს კულტურებში; სწორღეროიან შუბისწვერებს, გარდა შუმერული პროტოტიპებისა, ძლიერ უახლოვდება აგრეთვე კარქემიშის, იუდეიდეს, ჰოროსთეფეს[61], ნოეოსეობოდნაიას[62] და სხვა ნიმუშები. ღერომოკაული შუბისწვერები

---

[56] Б. А. Куфтин, Археологическая маршрутная экспедиция..., ტაბ. X - 2.

[57] ალ. ჯაფარიძე, ლ. ღლონტი, ურბნისი, 1962 წ. თბ., გვ. 27, ტაბ. IV, 267.

[58] ც. ლაშხი, არქაული შუბისპირი, საბჭოთა ხელოვნება, 1968 წ. №7, გვ. 81.

[59] შუბისპირის აღმოჩენის შესახებ ცნობა მოგვაწოდა არქ. დ. ქორიძემ.

[60] ამ შუბისწვერის აღმოჩენის შესახებ ცნობა და სათანადო მასალები მოგვაწოდა არქ. გ. მირცხულავამ, რომელიც ამ მასალის გაცნობის დროს სარგებლობდა გამთხრელის საველე ჩანაწერებითა და კონსულტაციებით.

[61] Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети..., გვ. 12, სურ. 9; მისივე, К вопросу о древнейших корнях Грузинсой культуры на Кавказе, საქართველოს მუზეუმის მოამბე, XII-3, 1944, გვ. 299.

[62] ОАК за 1892 г..., გვ. 34, ტაბ. IV-49.

მოგვაგონებს სამხრეთ სირიის, კვიპროსისა და ირანის მონაპოვრებს, საჩხერის ყუნწგახვრეტილი შუბისწვერი-რას-შამრას, თერგანთეფეს და სუსის შუბისწვერებს[63], ხოლო საჩხერის ხიშტისებური იარაღის ანალოგები წინა წინა აზიაში, შუბისწვერებთან ერთად გავრცელებული ჩანს ძვ. წ. III ათასწლეულის შუახანებიდან[64].

სხვადასხვა ავტორების მოსაზრებათა ანალიზის საფუძველზე, პროფ. ო. ჯაფარიძე ადგენს საქართველოს მონაპოვრების შეფარდების ქრონოლოგიას, რომლის მიხედვითაც, ახალციხისა და ცხინვალის მუზეუმებში დაცული სწორღეროიანი შუბისწვერები მიჩნეულია ყველაზე არქაულ - ძვ. წ. მესამე ათასწლეულის მეორე ნახევრის შუახანების ნიმუშებად. დაახლოებით ამავე პერიოდისაა ან ოდნავ უფრო ახალგაზრდა მოსკოვის ისტორიულ მუზეუმში დაცული თარიღი /ტაბ. X-4/. შედარებით გვიანდელია /ძვ. წ. III-II ათასწ. მიჯნა/ საჰესისა და საქართველოს მუზეუმში დაცული ღერომოკაული შუბისწვერები. II ათასწლეულის პირველ საუკუნეებს მიაკუთვნებს ავტორი ბაგინეთის მონაპოვარს. ამასთან, ის შესაძლებლად სთვლის მოგვიანო ხანებში ყველა ვარიანტის ერთდროულად არსებობას[65].

საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ სხვადასხვა დროს აღმოჩენილ შუბისებური იარაღების ტიპოლოგიურ ჯგუფს მიეკუთვნებიან სვანეთის იარაღებიც, როგორც ცალკეული დეტალების პროპორციების, ისე ტარის დაგების წესის მიხედვით; ზემოსვანეთის სუბისწვერს მოკლე უნწი აახლოებს ცხინვალისა და მოსკოვის ისტორიულ მუზეუმში დაცულ ნიმუშებთან, ხოლო ღეროვან ყუნწსე გადასელის მანერით, დასახელებული იარაღების გარდა, უახლოვდება სტ. ნოეოსეობოდნაიას[66], სომხეთის[67], ასრბაიჯანის[68],კარქემიშის[69] შუბისწვერებს და მათ შუმერულ პროტოტიპებს, რომელთაც აღნიშნული დეტალი მეტნაკლებად გამოსახული და დაქანებული მხრებით სვანეთის №403 შუბისწვერი მსგავსია აგრეთვე საჰესისა და საქართველოს მუზეუმში დაცულ ღეროკაულ შუბისწვერებისა; ძლიერი გრძელი ღერო და პირის ზოგადი მოყვანილობა მას აახლოვებს ცხინვალის, ახალციხის და მოსკოვში დაცულ თბილისურ შუბისწვერებთან, ასევე სომხეთის, ზერბაიჯანის, ნოეოსეობოდნაიას, პრებაისკაიას, კარქემიშის და შუმერის შუბისწვერებთან.

როგორც ირკვევა, ზემოსვანეთის შუბისწვერის უახლოეს ანალოგებად ჩაითვლება ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე გავრცელებული შუბისწვერების სწორღეროიანი ნაირსახეობა. ამასთან ყურადღებას იქცევს

---

[63] Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети..., გვ. 12. ო. ჯაფარიძე, ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე, თბ. 1961 წ. გვ. 155-156.

[64] ო. ჯაფარიძე, იქვე, გვ. 193.

[65] ო. ჯაფარიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 168, 154.

[66] ОАК за 1898, ტაბ. IV, სურ. 49.

[67] А. Мартиросян, Армения в эпоху бронзы и раннего железа, სურ. 4.

[68] აღმოჩენილია 1966 წელს, მაჰმუდოვის მიერ ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების დროს.

[69] Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети..., სურ. 9; Мисиве, К вопросу о дребнейших корнях..., სურ. 3.

ის გარემოება, რომ სვანეთის იარაღი, მათგან მნიშვნელოვნად განსხვავდება ნაკლებად დახვეწილი, პრიმიტიული ფორმით. ამიტომ სარწმუნოდ გვესახება მის ადრეულ ნიმუშად მიჩნევა, ერთერთ საამისო არგუმენტად ისიც შეიძლება მივიღოთ, რომ განვითარებული ნიმუშის შუბისწვერებისათვის დამახასიათებელი ყველა ტექნიკურ-მხატვრული ნიშანი, ზემოსვანეთის იარაღზე მოცემული გვაქვს საწყისი, განუვითარებელი სახით, რაც მათი უშუალო შედარების დროს დაახლოებით ამგვარად წარმოგვიდგება: სვანეთის შუბისათვის დამახასიათებელი მრგვალი ყუნწი განვითარებულ ნიმუშებთან უკვე დაწახნაგებულია, უფრო მკვეთრად აქვს გამოსახული ღეროდან ყუნწზე გადასვლის ადგილისათვის დამახასიათებელი შემსხვილება; ასევე, პირის ფორმა და პირისშუახაზზე გამყოლი ქედი. ცალკეული ნაწილების ასეთი მკაფიო გამოსახვით იარაღი თანდათანობით უფრო დეფერენცირებული ხდება და შესაბამისად მატულობს მისი ტექნიკური და მხატვრული ეფექტი. ამდენად, ზემოსვანეთის შუბისწვერი უფრო მარტივი და პრიმიტიულია, ვიდრე ზემოთ დასახელებული ყველა შუბისწვერი, გარდა ამირანის გორაზე აღმოჩენილი, ყალიბით წარმოდგენილი იარაღისა და აზერბაიჯანში, ასტარონის ყორღანზე აღმოჩენილი სპილენძის გრძელღეროიანი შუბისწვერებისა, რომელთაც გამთხრელები, კომპლექსებთან ერთად ძვ. წ. III ათასწლეულის შუახანებით ათარიღებენ[70]. მსგავსება ყველაზე მკაფიოდ ჩანს ღეროსა და ყუნწის გაფორმებაში, პროპორციებსა და ცალკეულ დეტალების ერთმანეთში გადასვლის მანერაში[x]. საყურადღებო მსგავსებაა აგრეთვე ქიმიურ შედგენილობაში, რაზედაც ქვემოდ გვექნება ლაპარაკი.

ქვემოსვანეთში ნაპოვნი შუბისწვერი /ტაბ. X-2/ პირგრძელი და მოკლეღეროიანი[71]. ასეთი იარაღის აღმოჩენის სხვა შემთხვევა ჩვენში არ ყოფილა, მაგრამ ტიპოლოგიურად, როგორც ეს ზემოთ უკვე ითქვა, იგი საქართველოში აღმოჩენილი უძველესი შუბისწვერების ჯგუფში უნდა გაეაერთიანოთ. პირის მოყვანილობით იგი ახლო დგას მოსკოვის ისტორიულ მუზეუმში დახულ თბილისურ შუბისწვერტან /ტაბ. X-4/. ხოლო რვაწახნაგა ყუნწით ცხინვალის რაიონის სოფელ ოსფრისში აღმოჩენილ შუბისწვერთან[72]. ზომით, საერთო მოყვანილობით, მხრების არეში მნიშვნელოვნად გაფართოებული პირით, მოკლე მრავალწახნაგა ღეროთი და ასევე წახნაგოვანი გრძელი ყუნწით მეტად საყურადღებო მსგავსებას ავლენს საჩხერეში "ბაზრის კალოზე" აღმოჩენილ შუბისწვერთან[73],

---

[70] ტ. ჩუბინიშვილი, მტკვრისა და არაქსის ორმდინარეთის კულტურა, თბილისი 1965 წ. გვ. 102; არქეოლოგ მაჰმუდოვის დღიურები.

[x] არქ. დ. ქორიძის გადმოცემით ზემოსვანეთის შუბისწვერთან მრავალ საერთოს პოულობს ლაჯანურში ნაპოვნი შუბისწვერი, მაგრამ ჩვენ, სამწუხაროდ არ მოგვეცა საშუალება ამ იარაღის უშუალოდ გაცნობისა.

[71] ყუნწის ღილაკიანი ბოლო დაბეჟილი და ორმხრივ გაბრტყელებულია ციეი ჭუდვის შეღებად, რაც მის აღმოჩენის შემდეგ უნდა იყოს გაკეთებული, ანალოგიურად დაუსიანებიათ აგრეთვე გადანატეხთან პირიც.

[72] В. Любин, დასახ. ნაშრომი, სურ. 19.

[73] ც. ლაშხი, დასახ. ნაშრომი, სურ 1, გვ. 81.

რომელიც სვანეთის იარაღთან შედარებით ბევრად უფრო პრიმიტიულია. ცალკეული ნაწილებისა თუ ზოგად მსგავსების არაერთი ნიშანი კაქასიის სხვა ადრეულ შუბისწვერებთანაც მოძებნება, მაგრამ უპირველეს ყოვლისა, მაინც მოგვაგონებს ურის მეფეთა სამარხებში აღმოჩენილ შუბისწვერებს[74] /ტაბ. I-3/. ერთად ერთი მკაფიო ნიშანი, რომელიც სვანურს შუმერული შუბებისაგან განასხვავებს, ესაა-ყუნწის ღილისებური დაბოლოება და რამდენადმე ფართე პირი, მაგრამ აღნიშნული ნიუანსებით სვანეთის იარაღი უკავშირდება წინა აზიის სხვა ქვეყნების შედარებით უფრო გვიანდელი დროის კულტურებს;ღილისებურ ყუნწიანი შუბისწვერები ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებული იარაღი იყო სირიაში, ანატოლიაში, კილიკიაში, კვიპროსსე, ირანში და სამხრეთ სხვა ქვეყნებში ბრინჯაოს მეტალურგიის ადრეულ საფეხურზე[75], მაგრამ სვანეთისაგან განსხვავებით, აღნიშნულ შუბისწვერებს ღილიანი ყუნწი მოღუნული აქვთ და ღილი ბევრად უფრო მკვეთრად გამოსახული. მათი სამუშაო პირები სხვადასხვანაირია: ეიწრო-ხიშტისებური, როგორიცაა, მაგალითად, ჰისარ-III /ირანი/[76] და სოლისში /კილიკია/[77] აღმოჩენილი იარაღები. ან ფართოპირიანი – ანატოლიაში[78], სირიაში /რასშამირაზე/[79], ტარზიში, იმავე ჰისარ-III და სხვა ძეგლებიდან ცნობილი შუბისწვერები[80].

ყურადღებას იქცევს ის მდგომარეობაც, რომ არცერთი დასახელებული შუბისწვერის სამუშაო პირის ფორმა არ ემთხვევა სვანეთის შუბისწვერის შესაბამის ნაწილს, მაგრამ პირის მოყვანილობით სვანურის მსგავსი, ულილო ყუნწიანი შუბისწვერები მცირეაზიაში /მაგალითად ტელბარსიბში და ყარახასანში/. ღილაკიანი შუბისწვერების გავრცელების პერიოდშივე ჩანს გავრცელებული[81]. აღნიშნული შუბისწვერები, დ. სტრონახმა. IV-V ტიპოლოგიურ ჯგუფებში გააერთიანა და ზოგადად ძვ. წ. მესამე ათასწლეულის დასასრულს მიაკუთვნა[82]. აეტორი იქვე შენიშნავს, რომ ქედმომრგვალებულ შუბისწვერთა ღილაკიანი ვარიანტი, ყუნწიან შუბისწვერთა განვითარებული და მოგვიანო ნაირსახეობაა. იგი პირველად სირიის სანაპიროზე და შემდეგ, კილიკიაში ჩნდება, ხოლო რომბულ

---

[74] L. Woolley, Ur Excavations, V, 11 New york, ტაბ. 189.

[75] Claude F. A. Schaeffer, Stratigraphie Comparée etchronologle de L'Asie Occidentale, L. 1948, გვ. 150, 269, 449; Gordon D. H. The Chronologie of the thirol Cultural period of Tepe Hissar, Irag, XII, P. I. L. 1951, გვ. 50-51. Schmidt, E. Excavations of Tepe Hissar Damghan, გვ. 203 Philadelphia, 1937. Stronach D. B. The development and diffusion of Metal Types in Early Bronze Age Anatolia. Anatolian Studies, 1957, გვ. 109-114. Б. А. Куфтин, К вопросу о древнейших корнях грузинскои культуры на Кавказа по данным археологии, საქართველოს მუზეუმის მოამბე, XII-B, 1941, გვ. 299.

[76] Schmidt, E. დასახ. ნაშრომი, გვ. 203, ტაბ 3229, 3231.

[77] Stronach, D. დასახ. ნაშრომი, გვ. 103, სურ. 8-3.

[78] იქვე, სურ. 6-4, 8-6.

[79] Schaeffer, F. A. დასახ. ნაშრომი, გვ. 35, ტაბ. 55.

[80] იქვე, გვ. 113, სურ. 8-4, 5.

[81] D. Stronach, The Developement..., გვ. 113, სურ. 8-4, 5.

[82] D. Stronach, The Developement..., გვ. 114.

განიკვეთიანი შუბისწვერები, ადრედინასტიურ პერიოდიდან (ძვ. წ. III ათასწლეულის პირველი ნახევარი და შუახანები) მომდინარეობენ[83].

სპეციალურ ლიტერატურაში დამკვიდრებულია მოსაზრება, რომ ყუნწის ღილისებური დაბოლოება იარაღის ტექნიკური და მხატვრული სრულყოფის ერთ-ერთი იმ ნიშანთაგანია, რომელსაც შუმერში პირველად გაჩენილი ყუნწიანი შუბისწვერი ჩრდილოეთის ქვეყნებში თანდათანობით გავრცელების გზასე იძენს. ძვ. წ. III ათასწლეულის ბოლო საუკუნეებში. რადგანაც ეს მართლაც ასეა, ამიტომ სვანეთისა და შუმერის იარაღების ასაკობრივი ტოლობა თავისთავად გამოირიცხება. სვანური შუბისწვერი შუმერულთან შედარებით ბევრად უფრო ახალგაზრდაა. მაგრამ მისი ასაკი არ შეიძლება გავუტოლოთ მცირე აზიის. ღილაკიანი შუბისწვერების ასაკსაც. სვანეთის მონაპოვარი რამდენადმე მაინც წინ უნდა უსწრებდეს მათ, ვინაიდან ამ უკანასკნელთაგან განსხვავებით, სვანეთის შუბისწვერს ღილაკი ჯერ კიდევ სუსტად აქვს გამოსახული, ყუნწი არ არის მოხრილი და, რაც მთავარია პირის, ღეროსა და ყუნწის გაფორმების სხვა მრავალი ნიშნებით, უფრო მეტ სურათს პოულობს შუმერისა და მცირეაზიის ადრეულ იარაღებთან. ასე, რომ სვანეთის შუბისწვერს ტექნიკური და მხატვრული ნიშანთვისებებით და მაშასადამე, ქრონოლოგიურადაც საშუალედო ადგილი უკავია შუმერულ და მცირეაზიულ (ღილიკიან) იარაღებს შორის, რაც ჩვენს ვარაუდით ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრის შუახანებზე უნდა მოდიოდეს.

მართალია აქ, ბუნებრივად ისმება კითხვა, თუ კი სვანეთის შუბისწვერი ქრონოლოგიურად წინ უსწრებს მცირეაზიის ყუნწღილაკიან შუბის – წვერებს, მაშინ საიდან გაჩნდა სვანეთის იარაღზე ყუნწის ღილისებური დაბოლოება? ამ კითხვაზე საბოლოო პასუხის გაცემა მომავალი არქეოლოგიური კვლევა-ძიების საქმეა. მაგრამ ჩვენი მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს ზოგიერთი გარემოება, კერძოდ ღილისებური ბოლო სვანეთის შუბისწვერზე, განსხვავებით მცირეაზიური იარაღებისა – მცირე, განუვითარებელი სახით არის მოცემული – მასზე არ შეინიშნება ყუნწის მოღუნვისა და სხვა ისეთი ელემენტები, რომელიც მცირეაზიის შუბისწვერების გვიანდელ ფორმებს გააჩნიათ და რომლითაც ისინი განსხვავდებიან, შუმერისა და სხვა ადრეული ხანის იარაღებისაგან, სვანეთის შუბისწვერს,საქართველოში ნაპოვნი უახლოესი პროტოტიპებისა და მეტალურგიის განვითარების კარგი ტრადიციების სახით, მოეძებნება კარგი ფონი, რომელიც მის აქვე დამზადებას მიუთითებს. რა თქმა უნდა, არ არის გამორიცხული, რომ ღილისებური დაბოლოება, რომელიმე ჩვენთვის უცნობი, ადრეული ნიმუშის სამხრეთულ იარაღიდან მიეღო, ან თვით იარაღი იყოს სხვაგან დამზადებული, მაგრამ ჩვენს ხელთ არსებული ფაქტორები, მისი აღმოჩენის ახლომახლო ტერიტორიაზე ჩამოსხმის სასარგებლოდ მეტყველებს. შესაძლებელია, ყუნწის დაბოლოების ღილისებურად გაფორმების წარმატებულ ცდას ჩვენთანაც ჰქონდა ადგილი.

სვანეთის მონაპოვართა არქაულობაზე მიუთითებს აგრეთვე მათი ქიმიური შემადგენლობა; ოთხიევე ნიეთი დამზადებულია დარიშხანიანი

[83] D. Stronach, The Developement..., გვ. 117.

სპილენძისაგან, სადაც სპილენძი ძირითადი ელემენტია, ხოლო დარიშხანის წილი 1,15%-დან 3,78%-მდე მერყეობს, მცირე მინარევის სახით მოცემულია აგრეთვე: ვერცხლი, ტყვია, ანტიმონი, სილიციუმი და სხვა კომპონენტები. ლითონში დარიშხანის ასეთი მცირე რაოდენობა დამახასიათებელია საქართველოში და კავკასიაში ნაპოვნ ლითონის უადრესი ნივთებისათვის, რომლებიც ზემოთ დავასახელეთ.

საინტერესო ჩანს სვანეთისა და კავკასიაში აღმოჩენილი,ამაეე ტიპის იარაღების ქიმიური ანალიზების შედარება:

| ნივთების დასახელება | ნივთის აღმოჩ. ადგილი | ნივთის № | Cu | As | Ag | Pb | ლაბ. № | შერწყმა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ცული | ზემოსვანეთი | 374 | 98,01 | 1,68 | 0,1 | 0,01 | 1 | I |
| ცული | " | 224 | 98,33 | 1,15 | 0,1 | კვ | 2 | I |
| შუბისწვერი | " | 403 | 95,54 | 3,78 | 0,1 | კვ | 6 | I |
| შუბისწვერი | ქვემოსვანეთი | 5488 II | ძირ.შემ | 1,48 | ცოტა | | 8 | II |
| ცული | ზაესი | 2-261 | 95,4 | 2,21 | | | 5 | III |
| ხიშტისებური იარაღი | ქვაცხელები | | 96,99 | 3,75 | ცოტა | 0,06 | 6 | IV |
| შუბისწვერი | ასტარონი | | 97,2 | 2,4 | - | - | - | V |
| ცული | სტ.ნოვოს-ეობოდნაია | | ძირ.შემ | 2,00 | 0,013 | 0,003 | 8 | VI |
| ცული | " | | " | 2,00 | 0,003 | 0,001 | 33 | VI |
| ცული | სტ.კოსტრომს-კაია | | 97,90 | 1,66 | 0,009 | 0,01 | 67 | VI |
| შუბისწვერი | სტ.ნოვოს-ეობოდნაია | | 96,60 | 2,70 | 0,013 | 0,002 | 44 | VI |

შენიშვნა: 1. ქიმიური ანალიზები გაკეთებულია ს. ჯანაშიას სახ. საქ. სახ. მუზეუმის ქიმიურ ლაბორატორიაში ნ. სარაჯიშვილის მიერ.

2. ქიმიური ანალიზი ეკუთვნის მეტალურგიის ინსტიტუტის ანალიზური ქიმიის ლაბორატორიას.

III. ც. აბესაძე, რ. ბახტაძე, თ. დვალი, ო. ჯაფარიძე, სპილენძბრინჯაოს მეტალურგიის ისტორიისათვის საქ.-ში, თბ. 1958 წ. ცხრ. №16.

IV. ალ. ჯავახიშვილი, ლ. ღლონტი, ურბნისი, თბ. 1962 წ. გვ. 48.

VI. Е. Черных, История древнейшей металлургии Восточной Европы, Москва, 1966, ტაბ. I-2, გვ. 79-103.

ცხრილში მოტანილი ანალიზები ეხება კავკასიის სხვადასხვა რაიონებში აღმოჩენილ ტიპოლოგიურად და ქრონოლოგიურად ახლობელ

იარაღებს. როგორც ჩანს, ყველა მათგანში თითქმის ერთნაირი პროპორციებითაა წარმოდგენილი უმნიშვნელოვანესი კომპონენტები – სპილენძი და დარიშხანი. ქიმიური შედგენილობის ასეთი მსგავსება, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ არის და მათი კულტურული ნათესაობის სასარგებლოდ მეტყველებს. სპეციალისტთა შორის მიღებული მოსაზრებით, დარიშხნიანი სპილენძის გამოყენება დამახასიათებელია 'მტკვარ-არაქსის" კულტურის ხანაში, როგორც ამ კულტურის გავრცელების ტერიტორიაზე, ასევე მის ფარგლებს გარეთაც. მაგრამ ერთიანი აზრი არ არსებობს ადრეული ხანის ლითონის იარაღების დამზადების ტექნოლოგიური პროცესების შესახებ; ავტორთა ერთ ჯგუფს მიაჩნია, რომ ამ პერიოდში ჯერ კიდევ არ იყო ცნობილი დარიშხანისა და სხვა ელემენტების გაელენა სპილენძის ფიზიკურ თვისებებზე, მაგრამ იცოდნენ დარიშხნიანი საბადოს მადნიდან მიღებული ლითონის ნიეთების უპირატესობა. და, ამდენად, დარიშხანის მცირე პროცენტი /დაახლ. 5%/ მადნის ბინებრიბ მინარევს წარმოადგენს ამავე ავტორთა მოსაზრებით, ამ იარაღების დასამზადებლად გამოყენებული ლითონი მიღებული უნდა იყოს სპილენძის თვითნაბადი და ჟანგეული მადნებიდან[84]. სომხეთის სპილენძის მადნებში დარიშხანის დიდი ხვედრითი წილის გამო, ანალოგიური მოსაზრება გამოთქვა აგრეთვე ს. სარდარიანმა[85].

რამდენიმე განსხვავებული მოსაზრება გამოთქვეს ფ. თავაძემ და თ. საყვარელიძემ. აღნიშნულ მკვლევარებს საქართველოში აღმოჩენილი სპილენძის არქაულ იარაღებში დარიშხანი ბინებრივ მინარევად მიაჩნიათ, როცა მისი წილი არ აღემატება 2%. ამ ზღვარს ზემოთ დარიშხანის შემცველობის ავტორები ხელოვნურ დანამატად მიიჩნევენ[86].

უკანასკნელი ათეული წლის მანძილზე გამოქვეყნებული სპეციალური ლიტერატურის თანახმად, ადრეული ხანის იარაღებში წარმოდგენილი დარიშხანი არ შეიძლება ჩაითვალოს ბუნებრივ მინარევად. კავკასიელმა მეტალურგებმა ძვ. წ. III ათეულის შუახანებში უკვე კარგად იცოდნენ დარიშხანიანი სპილენძის ხელოვნური შენაერთის მიღება-გამოყენება[87]. ე. ჩერნიხს, მართალია დასაშვებად მიაჩნია ამ ეტაპზე თვითნაბადი სპილენძის გამოყენებაც, მაგრამ არა უშუალოდ ნიეთის დასამზადებლად, არამედ მეტალურგიულ პროცესში ერთ-ერთ მთავარ კომპონენტად.[88] სპილენძისა და დარიშხანის მადნების ურთიერთ შერევისა და მათი ერთდროული გამოდნობით ხელოვნური შენადნობის მიღების შესახებ ანალოგიურ შეხედულებებს გამოთქვამენ აგრეთვე ი. სელიმხანოვი[89] და ო. ავიბულავევი[90].

---

[84] ც. ა ბ ე ს ა ძ ე, რ. ბ ა ხ ტ ა ძ ე, თ. დ ე დ ა ლ ი, ო. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, სპილენძ-ბრინჯაოს მეტალურგიის ისტორიისათვის საქართველოში, თბილისი, 1958 წ. გვ. 24, 127.

[85] С. Сардарян, Порвобытное общество в Армении, Ереван, 1967, გვ. 287.

[86] Ф. Н. Тавадзе, Т. Н. Сакварелидзе, Бронзы древней Грузии, 1959 г.

[87] Е. Н. Черных, История древнейшей металлургии Восточной Европы, М. 1966; И. Р. Селимханов, Историко-химические и аналитические исследования древних предметов из медных сплавов, Баку, 1960; А. А. Формозов, Каменный век и энеолит Прикубанья, Москва, 1965 г.

[88] Е. Н. Черных, დასახ. ნაშრომი, გვ. 86.

ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე დამზადებული ნივთების ქიმიური ბუნების შესახებ ასევე განსხვავებული მოსაზრებები აქვთ გამოთქმული საბჭოთა და უცხოელ მკვლევარებს, რომელთა დასახელებასაც ჩვენ აქ არ შევუდგებით.

კავკასიაში აღმოჩენილი ლითონის ჩამოსხმით დამზადებული ნივთების სახეობრივი და კონსტრუქციული მრავალფეროვნება „მტკვარ-არაქსის" კულტურის ადრეული საფეხურის ძეგლებზე გამოვლენილი, მეტალურგიასთან დაკავშირებული მასალების სიმძლავრე, იმას უნდა მიუთითებდეს,რომ საკვლევი ტიპის იარაღებში სპილენძისა და დარიშხანის თანაფარდობა საგანგებოდ არის დაცული. სპილენძ-დარიშხანის დაახლოებით ისეთი შენაერთი, როგორც ჩვენს ნიმუშებშია დადასტურებული, ლითონს ნორმალურად ამაგრებს,ზრდის მის მექანიკურ თვისებებს, კარგად იჭედება და შესაძლებელი ხდება მისი სრული ტექნიკური დამუშავება[91]. უნდა ვიფიქროთ, რომ სპილენძ-დარიშხნის პროპორციულ შემადგენლობას ხშირად ნივთის დანიშნულება და კონსტრუქცია განსაზღვრავდა. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს ის მდგომარეობაც, რომ ქრონოლოგიურად და კულტურულად ახლობელი ნიმუშების მიხედვით, დარიშხანის რაოდენობა შუბისწვერებში შესამჩნევად მეტია, ვიდრე ცულებში /შდრ. ზემოსვანეთის, ნოეოსვობოდნაიას ქვაცხელების და სხვა შუბისწვერები/. დარიშხანის ხვედრითი წონის /ამ ფარგლებში/ ზრდის შესაბამისად, როგორც ცნობილია, იზრდება მინარევის ე. ი. მისგან დამზადებული იარაღის სიბასრე და პლასტიკურობა. შუბისწვერების კონსტრუქცია და ფუნქციები ასეთ თვისებებს უთუოდ მოითხოვს, ვინაიდან ძლიერი ჩხვლეტისათვის განკუთვნილი გრძელი და ვიწრო იარაღი, რბილი ლითონისაგან დამზადების შემთხვევაში ადვილად იბლაგვება და იღუნება, ხოლო ზედმეტად მყიფე ლითონი ადვილად ტყდება და გამოდის ხმარებიდან. ამიტომ შეიძლება ვიფიქროთ, რომ შუბისწვერების დასამზადებლად განკუთვნილ ლითონში, იარაღის ტექნიკურ-ფუნქციური ნიშნების შესაბამისად, დარიშხანის რაოდენობა საგანგებოდ არის გაზრდილი. ჩვენი ვარაუდით, სვანეთში აღმოჩენილი სპილენძის უძველესი იარაღები სპილენძ-დარიშხანის მადნების ხელოვნური მინარევისაგან უნდა იყოს დამზადებული.

სვანეთის მონაპოვარს დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოში სპილენძ-ბრინჯაოს იარაღების ტექნიკური განვითარებისა და ტერიტორიული გავრცელების დიაგრამის ზოგიერთი ხარვეზის შესავსებად, როგორც ეს ზემოთ უკვე აღინიშნა. ჩვენში არსებული მოსაზრებით, სპილენძის ყუადაქანებული ცულების ყველაზე ადრეული ფორმები ძირითადად მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიისათვისაა დამახასიათებელი, ხოლო დასავლეთ საქართველოში გავრცელებულია გენეტიკურად თუმცა მათთან დაკავშირებული, მაგრამ გაცილებით უფრო

[89] И. Р. Селимханов, დასახ. ნაშრომი, გვ. 140, 160.

[90] О. А. Абибулаев, К вопросу о древней металлургии Азербайджана, МИА, 125, 1955 г., გვ. 70.

[91] Е. Н. Черных, დასახელებული ნაშრომი, გვ. 41-42. А. Вулли, История научного и культурного развития человечества, Вестник мировой культуры, I, 1957, стр. 101.

გეიანდული, სოფ. ნაომარში და ეშერში ნაპოვნი ბრტყელპირიანი ნიმუშები[92]. სვანეთის მონაპოვარს გარკვეული კორექტივი შეაქვს ამ მოსაზრებაში. რამდენადაც დავრწმუნდით, რომ ისინი აღმოსავლეთ საქართველოს სპილენძის არქაული ცულების თითქმის თანდართული, ან მათზე ოდნავ უფრო ახალგაზრდებია და ამავე დროს, წინამორბედი დასავლეთ საქართველოს ნაგომრის, ეშერის ბრტყელ პირიანი ცულებისა, რომელთაც ტიპოლოგიურად და ქრონოლოგიურად მოსდევს საჩხერული ტიპის ვიწროტანიანი ყუადაქანებული ცულები, მაშასადამე, ჩვენ საშუალება გვეძლევა დასავლეთ საქართველოს მონაპოვრების მიხედვით წარმოვიდგინოთ სპილენძის ყუადაქანებული ცულების ტიპოლოგიური ევოლუციის სქემატური, მაგრამ უწყვეტი სურათი, სადაც სვანეთის ცულები ყველაზე არქაულებია. მათ ტიპოლოგიურად და ქრონოლოგიურად მოსდევს ჯერ სოფ. ნაომარისა და ეშერის ფართეპირიანი ყუადაქანებული ცულები, ხოლო შემდეგ საჩხერული ტიპის ყუადაშეებულ-ყუამილიანი ცულები, ასევე დიდი რაოდენობით ნაპოვნი დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე-საჩხერეში, აფხაზეთში და თვით სვანეთში.

მართალია, მთლიანად დასავლეთ საქართველოს ტერიტორიისათვის არქაული ტიპის სპილენძის ფართეპირიანი ყუადაქანებული ცულების აღმოჩენათა რაოდენობა მაინცდამაინც ბევრი არ არის, მაგრამ ეს სრულიადაც არ არის უცნაური,ვინაიდან ჯერერთი - ამ ტიპის იარაღებმა საერთოდ ვერ ჰპოვა ჩვენში ხანგრძლივი გავრცელება და მალე დაუთმეს აღგილი უფრო განვითარებულ ფორმებს[93]. შემდეგ ამისა, აღმოჩენათა იშვიათობა, მსგავსად წინა ათწლისა, ნაწილობრივ აქაც შეიძლება გამოწვეული იყოს, ახალი ფორმის იარაღების ჩამოსასხმელად მათი ხელახალი გადადნობით. ე. ი. მათი ჯართად გამოყენების მიზეზით. ასეთი მასალა ალბათ მეტად ხელსაყრელი იყო ვიწროტანიანი ყუადაქანებულ-ყუამილიანი ცულების დასამზადებლად, რომლებიც ასევე დარიშხანიანი სპილენძისაგან არიან ჩამოსხმული.

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, სვანეთის ინვ. №403 შუბისწვერს ყველაზე აღრეულად მივიჩნევთ საქართველოში აღმოჩენილი ამ ტიპის იარაღებს შორის. ხოლო ქვემო სვანეთის შუბისწვერს შუმერისა და მცირე აზიის იარაღებს შორის საშუალო ტიპოლოგიური და ქრონოლოგიური ადგილი მივანიჭეთ. ამასთან, ეგულისხმობთ ამ იარაღის ადგილობრივ დამზადებასაც. საამისო არგუმენტად კი მივიჩნევთ ძვ. წ. III ათასეულის მეორე ნახევარში /რასაც ეს შუბისწვერი განეკუთვნება/ საქართველოში საკმაოდ მძლავრად განვითარებული მეტალურგიული წარმოების არსებობას; ამ შუბისწვერის დასამზადებლად ადგილობრივი ნაწარმისათვის დამახასიათებელი დარიშხანიანი ლითონის გამოყენებას და ამ ტიპის იარაღის უფრო არქაული ფორმების გავრცელების ფაქტს საქართველოში. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს საჩხერეში /„ბაზრის კალოზე“/ აღმოჩენილი შუბისწვერი. ჩვენის აზრით, ეს იარაღი ქვემო სვანეთის შუბისწვერისათვის ყველაზე უახლოესი და მათი წინამორბედია,

[92] ო. ჯაფარიძე, ქართველ ტომთა ისტორიისათვის..., გვ. 187.

[93] დ. ქორიძე, კოლხური კულტურის ისტორიისათვის..., გვ. 52.

რომელიც თავის მხრივ გენეტიკურად არის დაკავშირებული, ან შეიძლება, უშუალოდაც კი მომდინარეობს ზემოსვანეთში ნაპოვნი ყველაზე ადრეული ნიმუშის შუბისწვერისაგან, სვანეთის შუბისწვერების ფორმები მხარს უბამს სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებას საქართველოში სხვადასხვა სახეობის შუბისწვერების ერთდროული გავრცელების შესახებ. ამასთან,ავსებს დღემდე ცნობილ მასალას ამ ტიპის იარაღის ქრონოლოგიური და ტექნიკური განვითარების მაუწყებელი საუკეთესო ნიმუშებით.

ოთხივე იარაღი, როგორც ეს ზემოთ უკვე გაირკვა, ტიპოლოგიურად და კულტურულად მჭიდროდ უკავშირდება კავკასიის ორივე მხარეში აღმოჩენილ სპილენძის უძველეს იარაღებს, ისე რომ ცალკეული დეტალების გაფორმებით ხშირად განსხვავებულ ლოკალურ თავისებურებასაც ინარჩუნებს, რაც სრულიად ბუნებრივია, ვინაიდან კავკასიაში ამ ტიპის იარაღის გავრცელების ხანაში იგულისხმება არა ერთიანი, არამედ დიდ-პატარა სამოსახლოებზე განლაგებული მცირე მასშტაბის მეტალურგიული კერების არსებობა[94], სვანეთში სპილენძის იარაღების აღმოჩენის ფაქტი მნიშვნელოვნად ავსებს არამარტო იარაღთა სახეობით სურათს, არამედ უძველესი მეტალურგიული კერების ტოპოგრაფიულ რუქასაც, რაზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

საკვლევ იარაღებს დიდი მნიშვნელობა აქვთ აგრეთვე კავკასიისა და წინააზიის ქვეყნების კულტურული ურთიერთობის ზოგიერთი საკითხის გარკვევით დაინტერესებული მკვლევარისათვისაც. როგორც ცნობილია, სპეციალისტთა დიდი უმრავლესობა აღიარებს კავკასიში აღმოჩენილი ლითონის უძველესი იარაღების წამყვანი ფორმების სამხრეთულ წარმოშობას. მაგრამ ერთნაირი აზრი არ არსებობს იმის შესახებ, რომ შუმერიდან თუ წინააზიის რომელ კულტურიებიდან მომდინარეობს ცალკეულ იარაღთა ფორმები. როგორც ეს პარალელური ნიმუშების ძიების დროს დავინახეთ, ჩვენი იარაღები სარწმუნო ანალოგებს პოულობენ სამხრეთის სხვადასხვა ძეგლებში: ზოგადი მოყვანილობით სვანეთის ან №374 ცულის პროტოტიპად შეიძლება მიგვეჩნია ჯემდეთ-ნასრის ძვ წ. IV ათასწლეულის ტრაპეციული ყუადაქანებული ცულები[95]. ხოლო მეორე (№224) ცული საყურადღებო მსგავსებას ავლენს კრეტაზე არმოჩენილ ცულებთან[96].

ანალოგიურ სურათს გვაძლევენ შუბისწვერებიც. ორივე ნიმუშის ზოგადი მოყვანილობა და განსაკუთრებით კი ქვემოსვანეთის შუბისწვერის ტექნიკური და მხატვრული გაფორმება აშკარად უახლოვდება ურის მეფეთა სამარხებში აღმოჩენილ შუბისწვერებს. ქვემოსვანეთის შუბისწვერის ყუნწის ღილისებური დაბოლოება კი – მცირეაზიის ძუბისწვერების შესაბამის დეტალებს.

ყოველივე თქმულის შემდეგ ცხადია, რომ სვანეთის იარაღები გენეტიკურად პირველ რიგში ა/კავკასიისა და მათ წინამორბედ სამხრეთულ კულტურებს უკავშირდებიან, რაც სპეციალურ სამეცნიერო კვლევის

---

[94] Ф. Н. Тавадзе, Т. Н. Сакварелидзе, Бронзы древней Грузии, 1959 г. გვ 69. ტ. ჩუბინიშვილი, მტკვრისა და არაქსის ორმდინარეთის.., გვ. 130.

[95] Б. А. Куфтин, К вопросу о древнойших корнях..., სურ. 2.

[96] Г. Чайлд, У истоков Европейской цивилизации, Москва, 1952 г. карт. 11-2.

ტრადიციების მიხედვით საესებით კანონზომიერი ჩანს და ამიტომ აქ, ამაზე სიტყვას არ გავაგრძელებთ. რაც შეეხება ყუბანისპირეთის ზემოთ დასახელებულ ძეგლებთან ესოდენ დიდ სიახლოვეს, ამ რაიონებს შორის მდებარე კავკასიონის ქედის რთული რელიეფის გამო, მათი კავშირი ერთი შეხედვით თითქოს რამდენადმე დამაფიქრებელი ჩანს, მაგრამ არც ჩრდილოეთთან კავშირურთიერთობაა მოულოდნელი: ჯერ ერთი, ამ დროს კავკასიის ჩრდილო და სამხრეთ რაიონებს შორის გარკვეულ ურთიერთობას სხვა არქეოლოგიური ძეგლებიც ადასტურებენ, ისე მაგალითად, უკვე დადგენილად ითვლება "მტკვარ-არაქსის" კულტურის ძლიერი გავლენა ჩრდილო-კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილში. ნივთიერი მასალების /ლითონი, კერამიკა/ მიხედვით, გარკვეული მსგავსება შეინიშნება სანხერისა და მაიკოპის კულტურების სამარხეულ კომპლექსებს შორის, მაიკოპის ლითონის ინვენტარს მრავალი ანალოგი მოეძებნება აფხაზეთის დოლმენურ კულტურაში[97]. ნოეოსეობოდნაიას და კოსტრომსკაიას ყორღანებში სპილენძის ცულებთან ერთად აღმოჩენილი კაჟის იარაღები ჰგავს ხღუდრის გეერდზე ს. ნადიმაშვილის მიერ ენელითურ კერამიკის თანხლებით აღმოჩენილ კაჟის იარაღებს[98]. სამხრეთელი წარმოშობისაა ყორღანებში ნაპოვნი სამკაულის მნიშვნელოვანი ნაწილი /მძივები, საკიდები, ქინძისთავები და სხვა/[99]. ხოლო ოთხწახნაგა ყუნწიანი სატეხებისათვის საუკეთესოდ პარალელად მიიჩნევენ სოფ. ხეკარის სატეხს /მაიკოპსკის რაიონი/[100]. მდინარე ბელაიას სათაეეებში სამარხებსა და ნასახლარებზე გამოვლენილი ინპორტული კერამიკა ანალოგიურია ეორონცოეის გამოქვაბულში /აფხაზეთი/ აღმოჩენილი კერამიკისა[101] და ლითონის ზოგიერთ ინვენტართან ერთად, მცირე აზიის ძეგლებს უახლოვდება ან მათგან მომდინარეობს[102].

შემდეგ ამისა, სპეციალურ ლიტერატურაში დიდიხანია დამკვიდრებულია მოსაზრება, რომ წინააზიური ციეილიზაცია ჩრდილო კავკასიაში ამიერკავკასიის გზით აღწევდა[103]. ზოგიერთ ავტორს მიაჩნია, რომ ძვ. წ. აღრიცხვის III-II ათასწლეულში ამიერკავკასიისა და წინააზიის ციეილისებულ ქვეყნებიდან შემოჰქონდათ ლითონის მზა ნაწარმი და მისი დამზადებისათვის საჭირო ნედლეული /სპილენძი/, იძენდნენ მეტალურ-

[97] Г. М. Мунчаев, Древнейшая культура Северного Кавказа, 1961, стр. 15-17.
А. А. Формозов, Прикубанья, Москва, 1969 г. стр. 135

[98] Б. А. Куфтин, Археологическая маршрутная эксп..., стр. 36.

[99] Т. Б. Попова, Дольмены станции Новосвободной, стр. 44.

[100] Б. А. Куфтин, Археологические раскопки..., стр. 12. карт. 10-а.

[101] А. Н. Соловьев, Новый памятник культурных связей Кавказского Причерноморья в эпоху неолита и бронзы стоянки Воронцовской Пещеры. Труды Абхазского Института Языка, литературы и истории, вып. XXXIX, Сухуми, 1958 г. стр. 115.

[102] А. А. Формозов, Новое о южных связях Майкопской Культуры, КСИА, 93, 1963, стр. 35-37.

[103] А. Иоссен, К вопросу древнеишей металлургии меди..., стр. 86-90. Е. Крупнов, О древних связях СССР со странами древнего Востоки, "Востник истории мировой культуры" 1958, в , стр. 66. В. Марковин, Культура племен Северного Кавказа, МИА, №93, 1963, стр. 86-100.

გიული და ხელოსნური მუშაობის გამოცდილებას, რომ ადგილობრივი ინვენტარის დიდი ნაწილი სწორედ სამხრეთელი ნიმუშების მიხედვითაა დამზადებული. იგიეს მეტყველებს ნიეოების მეტალოგრაფიული შესწავლის შედეგები[104].

კ. ჩერნიხი ჩრდილო კავკასიის ადრეულ კულტურებში აღმოჩენილი ლითონის კომპლექსებიდან, ქიმიური შედგენილობის მიხედვით, გამოყოფს ნიკელიანი და დარიშხანიანი ნიეოების ორ ძირითად ჯგუფს /მაიკოპის I და II ანუ ყუბანის ჯგუფს/. აეტორის მოსაზრებით, I ჯგუფში გაერთიანებული ნიკელიანი /0,1-4%-მდე/ ნიეოების დასამზადებლად ჩრდილოკავკასიელ მეტალურგებს ნიკელიანი ლითონი წინა აზიის ქვეყნებიდან უნდა შემოეტანათ, ხოლო დარიშხანიანი სპილენძი-ამიერკავკასიიდან[105]. კავკასიის ქედს იქითა და სამხრეთი ქვეყნების ადრეული კულტურული ურთიერთობის ამსახველი ფაქტები, რომელთა ნაწილიც აქ მოვიყვანეთ მიგვითითებს, რომ მხარის გეოგრაფიული მდებარეობის თვალსაზრისით, ყუბანის სათაეებში და სვანეთში ანალოგიური იარაღების აღმოცენის ფაქტი სრულიადაც არ არის მოულოდნელი, მაგრამ დღემდე არ არის დაზუსტებული, თუ ყუბანის დიდი ყორღანების კულტურის მატარებელი მოსახლეობა გეოგრაფიულად, რომელი გზების გამოყენებით ახერხებდა სამხრეთის ქვეყნებტან ურთიერთობას. ამ საკითხის ასახსნელად საკმარისი არაა მარტო ის ავტორიტეტული მოსაზრება, რომ ჩრდ. კავკასიის აღმოსავლეთ რაიონში /დაღესტანში, ჩეჩნეთ-ინგუშეთში, ჩრდ. ოსეთში/, "მტკვარ-არაქსის კულტურა" დარუბანდის და კახეთ-ბელაქნის გზებით ჩანს შესული. აღნიშნული გზები ყუბანისპირეთისა და კოლხეთის მოსახლეობის ურთიერთობისათვის პრაქტიკულად მეტად მოუხერხებელი ჩანს და შეიძლება ითქვას, თითქმის გამორიცხულიც.

ჩვენს ხელთ არსებული მასალები საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარში ჩრდილოეთ კავკასიის სოგიერთი რაიონისა და ამიერკავკასიის ურთიერთობისათვის ცენტრალური კავკასიონის ბევრი მაღალმთიანი უღელტეხილი იყო გამოყენებული, მითუმეტეს მაშინ, როცა ამ ურთიერთობას ისეთი უშუალო მეზობლობის წინაპირობაც მოეძებნებოდა, როგორც ყუბანისა და ენგურ-კოდორის აუზებს გააჩნიათ. ამ ხეობათა ქედებზე, გარდა ქლუხორის საყოველთაოდ ცნობილი გადასასვლელისა, ინტენსიურად შეიძლება ყოფილიყო გამოყენებული: გუბარის /ჭუბერ-ყარაჰაის/, ნაკრის /ჩუბეხევის ანუ დონღუსორუნის/ ბასის, ხიდას და სხვა, კავკასიონის მთავარსა და გვერდითა ქედებზე განლაგებული უღელტეხილები, რომლებიც საკმაოდ მოკლე და ხელსაყრელი საცხენოსნო გზებია მთელი ზაფხულის განმავლობაში, მაის-ივნისის თვიდან, ვიდრე გვიან შემოდგომამდე. ამ გადასასვლელებს დღესაც ინტენსიურად იყენებს ადგილობრივი მოსახლეობა.

---

[104] И. Селимханов, К исследованию металлических проимитов из энеолитических памятников Азербайджана и Северного Кавказа, С. А. 1960, №2, стр. —, 101.

[105] Е. Черных, История древнейшей металлургии Восточной Европы, 1966.., стр. 47.

კავკასიონის გასწვრივ ყუბანის, ბაქსანის და ჩეგემის ხეობების საკმაოდ ფართო ზოლში დიდი რაოდენობითაა დამოწმებული ქართულ-სვანური ტოპონიმები, ქრისტიანული ხანის მატერიალური კულტურის ძეგლების ნაშთები, მეტად საყურადღებო სეპირსიტყვიერი გადმოცემები და სხვა ეთნოგრაფიული მასალები. ბევრი წერილობითი საბუთი, რომელიც დიდიხანია მკვლევართა ყურადღებას იქცევენ[106], არა მარტო მხარს უბამენ ცენტრალურ კავკასიონის უღელტეხილების ადრეულ ხანიდანვე გამოყენების შესახებ ჩვენს მიერ გამოთქმულ მოსაზრების თეორიულ დასაბუთებას, არამედ სერიოზულ ეჭვს ბადებს რომელიღაც პერიოდში ცენტრალური კავკასიონის გარშემო, მთიან ზოლში, ერთიანი სვანური ეთნიკური და სამეურნეო ერთეულის არსებობის სასარგებლოდ. ამ შემთხვევაში, კავკასიონის უღელტეხილები წარმოგვიდგება, როგორც მხარის სამეურნეო და კულტურული ცხოვრებისათვის აუცილებელი და სასიცოცხლო ხიდი.

აღნიშნული უღელტეხილების დიდი მნიშვნელობა კავკასიონის მთიანეთში მოსახლე ხალხებისათვის სადაო არ არის და საამისოდ უამრავი კონკრეტული საბუთის მოტანა შეიძლება, მაგრამ საყურადღებოა ისიც, რომ საუღელტეხილო გზების მნიშვნელობა ბევრად სცილდებოდა ადგილობრივ ინტერესებს. საამისო დოკუმენტად საკმარისია აღინიშნოს თუნდაც ბიზანტიურ წყაროებში დამოწმებული ფაქტი, სვანეთიდან ჩრდილო კავკასიაში გამავალი ბილიკების საერთაშორისო დიპლომატიური და სავაჭრო მიზნებით გამოყენების შესახებ[107]. უნდა ვიფიქროთ, რომ კოლხეთიდან ჩრდილო კავკასიის გავლით ინდოეთისაკენ მიმავალი გზა ჭუბერისა და ნაკრის სათავეში კვეთდა კავკასიონის მთავარ ქედს[108].

ბუნებრივია, ადრებრინჯაოს ხანაშიაც ამ უღელტეხილების როლი ადგილობრივი მოთხოვნების დაკმაყოფილებით არ განისაზღვრებოდა. ჩვენს ხელთარსებულ არქეოლოგიურ მასალების აშკარა კავშირი, როგორც სამხრეთ ისე ქედსიქითა კულტურებთან სწორედ იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ყუბანის სემოწელის სამხრეთის ქვეყნებთან დამაკავშირებელი გზა, ან უფრო სწორად, ამ გზის ერთ-ერთი განტოტება სვანეთის ტერიტორიაზე გადიოდა. ენგურისა და ყუბანისპირელ მელითონელებს მსგავსი იარაღების ნიმუშები ან ერთად შეიძლება აელოთ სამხრეთის რომელიმე მეტალურგიულ

---

[106] გრ. ხარდალიშვილი, ქლუხორის რაიონის სოგიერთი გეოგრაფიული სახელის დაბეჭდვისათვის, თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, ტ. XXXVI, 1949 წ. გვ. 143-15; ა. რობაქიძე, დასახლების ტოპონიმია ბალყარეთში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XI, 1963, გვ. 177-197; Р. Л. Харадзе, А. И. Робакидзе, О Сванско-балкарских этно-культурных взаимоотношенях, Материалы научной сессии по проблеме Происхождения Балкарского и Карачаевского народов, Нальчик, 1950 г. стр. 135-152. Л. И. Лавров, Расселение сванов на Северном Кавказе до XIX в. вопросы этнографии Кавказа, 1952 г.

[107] მენანდრე პროტიქტორი, ფრანგ. 22, ს. ყაუხიშვილი, გეორგიკა, III, თბილისი, 1936, გვ. 236-237.

[108] კავკასიონის ქედზე გამავალი უძველესი გზების შესახებ ფართე მსჯელობის საშუალება აქ არა გვაქვს, ამ საკითხებს ვრცლად ვიხილავთ სხვა ნაშრომში, სვანეთის მოგვიანო ხანის არქეოლოგიურ ძეგლების განხილვასთან დაკავშირებით.

ცენტრში, ანდა შესაძლებელია ენგურისა და კოლხეთის მეტალურგებს გაეზიარებინათ იგი ჩრდილოელ მეზობლებისათვის. ყოველ შემთხვევაში, ბრინჯაოს მეტალურგიის ამიერკავკასიის გზით ჩრდილოეთში თანდათანობით გავრცელების შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში დამკვიდრებული თეორია, სვანეთის მონაპოვარის ადრინდელი თარიღი და ენგურის ხეობის საშუალედო გეოგრაფიული მდებარეობა ამ ვერსიის გამოთქმის საშუალებას უთუოდ იძლევა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ძველი აღმოსავლეთისა და კავკასიის ურთიერთობის უძველესი ფესვები, კულტურული ჩვევების მარტო სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ გაერცელებით არ განისაზღვრებოდა. არსებული მოსაზრებით, კულტურული ნაკიდების პირუკუ-კავკასიიდან სამხრეთში გავრცელების პროცესიც არის საგულისხმებელი[109]. უკანასკნელ ხანებში გამოთქმული მოსაზრებით სირიასა და პალესტინაში, ამუქისელზე ძვ. წ. III ათასწლეულში დამოწმებული ე. წ. კირბეტ-კერაკის კულტურა მეტად ახლო ღგას „მტკვარ-არაქსის" კულტურასთან და იგი ამიერკავკასიიდან ჩანს იქ შესული[110]. კავკასიიდან სამხრეთისაკენ კულტურული ნაკადების შესახებ ანალოგიური მოსაზრება ბრინჯაოს მეტალურგიის განვითარების სფეროშიც არის გამოთქმული[111].

სხვათა შორის, ასეთი მოსაზრებების ფონზე უფრო დამაჯერებელი ხდება ჩვენი ვარაუდიც-ქვემო სვანეთის ყუნწ-ღოლაკიანი შუბისწვერის უფრო ადრინდელი თარიღის შესახებ, ვიდრე ანალოგიური დეტალის მქონე მცირე აზიური შუბისწვერებია. ამასთან, ჩვენ რათქმა უნდა, არ გამოვრიცხავთ ამ დეტალის გადმოღებას წინააზიის რომელიმე ჩვენთვის ამჟამად უცნობი, შედარებით ადრეული ნიმუშისაგან, მაგრამ ასევე დასაშვებად მიგვაჩნია ყუნწის ასეთი ფორმის ადგილზევე ჩამოყალიბება. ამ ვარაუდით სარგებლობის შემთხვევაში უნდა ვიფიქროთ, რომ ღილაკიანმა ყუნწმა ჩვენთან სატანადო განვითარება ვერ ჰპოვა და ადრევე გამოვიდა ხმარებიდან. ასე თუ ისე, სადაც არ უნდა შექმნილიყო იგი-წინააზიაში, თუ ჩვენთან, ერთი რამ მაინც ცხადია, რომ სვანეთის შუბისწვერი სხვა ზემოაღნიშნულ მონაპოვრებთან ერთად, საიმედო საბუთია ადრელითონის ხანაში წინააზიურ-მესოპოტომიური კულტურის ნაკადების ცხოველმყოფელობისა კავკასიის მთიანეთში საერთოდ, და კერძოდ, სვანეთში.

ჩვენს ხელთ არსებული მასალები საშუალებას გვაძლევენ გარკვეული ვარაუდი გამოვთქვათ აგრეთვე ამ კულტურის მატარებელი ხალხის სამეურნეო საქმიანობის ზოგიერთი დარგის შესახებაც. როგორც ცნობილია, საქართველოს ტერიტორიაზე ამ ტიპის იარაღების /"მტკვარ-არაქსის" კულტურის/ გავრცელების ხანა მეურნეობის მნიშვნელოვანი ძერებით ხასიათდება; უკვე მიმდინარეობს მთიანი ზოლის ინტენსიურად ათვისება,

---

[109] W. Lamb, The Culture of Horth-East Anatolia and Its Neigbours, Anatol,an Studies, IV, Ankara-London, 1954, გვ. 26, 3L.

[110] ო. ჯაფარიძე, ქართველ ტომთა ისტორიისათვის..., გვ. 251.

[111] А. А. Иессен, Кавказ и Древнии восток в IV— тноячелетиях до н. э. КСИА, 96, 1963, стр. 6. გ. გობეჯიშვილი, ძველი სამთამადნო წარმოების ძეგლები რაჭაში, "ძეგლის მეგობარი", 1966, №6, გვ. 16-20.

ვითარდება მიწათმოქმედება, მესაქონლეობა და მეტალურგია[112]. ამ თვალსაზრისით, როგორც ჩანს, გამონაკლისი არც დღევანდელი სვანეთის ტერიტორია ყოფილა: აქ ნაპოვნი სპილენძის იარაღების მრავალფეროვნება მათი სამეურნეო, საყოფაცხოვრებო თუ საბრძოლო-სამონადირეო დანიშნულება. ადგილობრივ გეოგრაფიულ გარემოსთან შეგუებული მეურნეობის წამყვანი დარგების განვითარებაზე მიუთითებს. მარტალია, ჩვენი ხელთ არ არის უშუალოდ მიწის დასამუშავებელი იარაღი, მაგრამ საკმარისი ტიპის ცულები,მსგავსად შიდა სა ქვემო ქართლისა[113],საჭიროების შემთხვევაში, აქაც შეიძლებოდა გამოყენებული ყოფილიყო არა მარტო ხით ხუროობაში, არამედ ტყის მასივების გასაკაფადაც სათესი და საძოვარი ფართობის გადიდების მიზნით. მითუმეტეს, რომ სვანეთის გეოფიზიკური პირობები საგრძნობლად შეესატყვისება ''მტკვარ-არაქსის'' ძვ. წ. III ათასწლეულის კულტურის გავრცელების გეოგრაფიულ გარემოს, რომელიც მთიანი ქვეყნის რელიეფით ხასიათდება და ვერტიკალურ ზონაში ზღვის დონიდან 2000 მეტრამდე აღწევს, ისე, რომ მთიანი და ბარის კულტურებს შორის ჯერჯერობით რაიმე არსებითი განსხვავება არ შეინიშნება[114].

უნდა ვიფარაუდოთ, რომ ხელსაყრელი ბუნებრივ გეოგრაფიული პირობების შესაბამისად, აქ მოსახლე ტომების სამეურნეო საქმიანობაში იმ დროს წამყვანი ადგილი მესაქონლეობას ეკავა. ამასვე უნდა გვანიშნებდეს ის ფაქტი, რომ სვანური ენა სხვა ქართველურ ენებთან ყველაზე მეტად, სწორედ მესაქონლეობასთან დაკავშირებულ ტერმინოლოგიას ინახავს[115]. მდიდარი ბუნებრივი გარემო, ასევე საუკეთესო პირობას იძლეოდა ნადირობისათვის, ხოლო სპილენძის ცულები და შუბისწვერები საამისოდ მეტად ხელსაყრელი და სასურველი იარაღი ჩანს.

სვანეთში უძველესი იარაღების აღმოჩენის ფაქტს,მათ ტიპოლოგიურ-ქრონოლოგიურ განსაზღვრას არსებითი მნიშვნელობა აქვს, ამ კუთხეში ლითონის წარმოების ადრეული საფეხურის დადგენისათვის, როგორც ცნობილია, სვანეთში ისევე, როგორც ''მტკვარ-არაქსის'' და მაიკოპის კულტურების გავრცელების ტერიტორიაზე, დღემდე არ არის გამოვლენილი იმ დროის სამთამადნო წარმოების ნაშთები. არაა მიგნებული სპილენძის დამუშავების კვალი, მაგრამ როგორც უკვე ითქვა, სპეციალისტთა შორის მიღებული მოსაზრებით, მაშინდელ მეტალურგებს უკვე შეეძლოთ საკმარისი ტიპის იარაღების დასამზადებლად საჭირო მაღალხარისხოვანი ლითონის მიღება. ლითონის წარმოების ანალოგიურ საშუალებებს არც ენგურ-ცხენისწყლის აუზში მოსახლე ტომები იქნებოდნენ მოკლებული. მართალია, ჩვენთვის საინტერესო მიკრორაიონში სპილენძის მადნების მარაგი და საწარმოო-საექსპლოატაციო ვარგისიანობის საკითხი სრული სახით შესწავლილი არ არის,მაგრამ სპეციალურ ლიტერატურაში მითითებულია

---

[112] ტ. ჩუბინიშვილი, მტკვრისა და არაქსის ორმდინარეთის უძველესი კულტურა, გვ. 91-106. ო. ჯაფარიძე, ქართველი ტომების ისტორიისათვის..., გვ. 244-248.

[113] ტ. ჩუბინიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 92.

[114] იქვე, გვ. 91.

[115] Г. Климов, О глотохронелогіческом методе датяронки раследа нраязика, В., 1959, стр. 121.

სპილენძის მადნების განლაგების ზოგიერთი ადგილი, რომელთა შორისაც ყველაზე მნიშვნელოვანი ჩანს: /ჩალატის/ ჭალადის-შ. ჩ; უხვანის /ხალდეხ-შ. ჩ/, დამყვამის, ზესხიდის /ზესხოს-შ. ჩ/ საბადოები[116]. ზოგიერთი ცნობით, სპილენძის წარმოების ნაშთები (разработка медного колчедена) დამოწმებულია Пар –ის /იფარის-შ. ჩ/ თემში[117], ხოლო განვითარებული ბრინჯაოს ხანის სახელოსნოების კუთვნილი მრავალრიცხოვანი ზოდები მნიშვნელოვანი რაოდენობითაა ნაპოვნი სოფ. კალაში, ჭუბერში და სხვა ადგილებში.

ბრინჯაოს მეტალურგიის ერთ-ერთი უძველესი და ყველაზე მძლავრი კერის არსებობა დადასტურებულია ზემო რაჭაში[118], რომელიც გეოგრაფიულად, ისტორიულად და კულტურულად განსაკუთრებით მჭიდროდ უკავშირდება სვანეთს. გ. გობეჯიშვილიას გამოკვლევით, ღების სამთამადნო წარმოების სიმძლავრე ბევრად აღემატება ლითონის ადგილობრივ მოთხოვნილებას[119]. ადვილი შესაძლებელია, ღების ლითონის სხვა მახლობელ რაიონებთან ერთად სვანეთის მოსახლეობასაც ესარგებლა, მაგრამ უფრო მიზანშეწონილად მიგვაჩნია სპილენძის წარმოების არსებობა თვით ენგურისა და ცხენისწყლის ქვაბულებში, სადაც ასეთი გამონამუშევრები როგორც ჩანს, ღრმად არიან დამარხული და მათი აღმოჩენა საგანგებო კვლევა-ძიებას მოითხოვს. ასეთი სამუშაოს ჩატარების პერსპექტიულობაზე, გარდა ნივთიერი მონაპოვრებისა, მიუთითებს აგრეთვე გეოლოგიური ძიების შედეგად დაგროვილი გამოკვლევები, რომელიც საქართველოს სსრ გეოლოგიურ სამმართველოშია დაცული.

ენგურ-ცხენისწყლის აუზში მოსახლე სვანების უძველეს მეტალურგიულ ტრადიციებზე მეტყველებს აგრეთვე ის გარემოებაც, რომ მათ გააჩნიათ სპილენძის, ბრინჯაოს და დარიშხანის საკუთარი სვანური– სახელები, რომელთა შინაარსითაც სხვა დარგის სპეციალისტებიც დაინტერესებულან: ინგლისელი მეცნიერის ოლივერ უირტროპის ინგლისურ – სვანურ ლექსიკონში სლიპენძი ნათარგმნია, როგორც "სპილენჯ" და "ჩეიშ", Copper-Spilendj, cheish[120]. ასევე, ორნაირი სიტყვით გადმოგვცემს სპილენძს მეორე, რუსულ-სვანური ლექსიკონი, შედგენილი ივ. ნიჟარაძის მიერ[121]. ჩვენის აზრით, ორივე ლექსიკონში ერთსა და იმავე სახის უზუსტობასთან გვაქვს საქმე. ჯერ ერთი, სიტყვა "ჩეიშ" ნათესაობით ბრუნვაშია მოცემული, უნდა იყოს "ჩეი". შემდეგ ამისა, ერთმანეთშია არეული სპილენძისა და ბრინჯაოს სვანური სახელები. ეს უზუსტობა ალბათ იმ მიზეზით არის გამოწვეული, რომ სვანეთის მოსახლეობის ერთი ნაწილი, რომელიც თავისი საქმიანობით და ინტერესებით შორს დგას ამ ლითონებთან დამოკიდებუ-

---

[116] Природные рессурсы Грузии, т. I. стр. 115-116.

[117] А. И. Иессен, К вопросу о древнеи металлургии на Кавказе, ИГАИМК, вып. 120, М.-Л., 1935, стр. 43.

[118] გ. გობეჯიშვილი, არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში, თბილისი, 1952 წ., გვ. 53-56, მისივე, ძველი სამთამადნო წარმოების ძეგლები რაჭაში, "ძეგლის მეგობარი", 1966, №6, გვ. 16-20.

[119] გ. გობეჯიშვილი, ძველი სამთამადნო..., გვ. 20.

[120] Oliver Wardrop, English-Svanetian Vocabulary, RAS, XVI, July, 1911, გვ. 600.

[121] И. И. Нижарадзе, Русско-сванский словаръ, СМОПК,I, 1910, стр. 209.

ლებისაგან, ხშირ შემთხვევაში, ერთმანეთში ურევს სპილენძის და ბრინჯაოს (ასევე თითბერის) სახელებს და რაობას. მაგრამ მჭედლობასთან გაცნობილი და სვანური ენის კარგი მცოდნე ხანდაზმული პირები, ერთმანეთისაგან კარგად ანსხვავებენ არა მარტო სპილენძისა და ბრინჯაოს სვანური (ასევე თითბერის) სახელებს, არამედ, მათ ფიზიკურ და ტექნიკურ თვისებებსაც. ყველაზე ზუსტი თარგმანით, სვანები სპილენძს უწოდებდნენ, "სპელუნჯ", "სპელინჯ", "სპილენჯ"[122], ხოლო ბრინჯაოს –"ჩეი". ყურადღებას იქცევს ის გარემოებაც, რომ "ჩეი", რამდენადმე უახლოვდება მეორე სვანურ სიტყვას "ლიჩიერე", რაც მირჩილვას ნიშნავს. (ხოლო მირჩილულს "ლუსიერე" ეწოდება).

ადგილი შესაძლებელია, რომ ბრინჯაოსა და მირჩილვის /"ჩეი", "ლიჩიერე"/ სახელწოდებათა მსგავსება ერთსა და იმავე ტექნოლოგიურ პროცესიდან მომდინარეობდეს და ორივე შემთხვევაში ლღობასთან იყოს დაკავშირებული.

სვანურ მეტყველებაში საკუთარი სახელწოდებითაა აგრეთვე ცნობილი დარიშხანი – „მაღგიმიშ". სვანეთი მდიდარია დარიშხანის მადნებით, ამჟამად ცხენისწყლის სათავეში, ყორულდაში მისი გამოსაელები სამრეწველო ექსპლოატაციაშია. ადგილობრივი მოსახლეობა, რომ ადრიდანვე იცნობდა ამ მინერალს, ამას მადნის მოპოვება-დამზადების ხალხური ჩვევების არსებობაც ადასტურებს, პრიმიტიული წესით მიღებულ დარიშხანს და მის შენაერთებს მოსახლეობა უკანასკნელ დრომდე ფართედ იყენებდა სახალხო მედიცინაში.

ბრინჯაოს მეტალურგიის განვითარების ადგილობრივ ტრადიციებს უნდა გვანიშნებდეს ამ ლითონის სახელთან დაკავშირებული ტოპონიმები. მაგალითად, ადგილი-"ჩეიშ" ენგურის მარცხენა შენაკადის ხომფრერის სათავეებში.

მოტანილ მასალებთან ერთად, თუ გავითვალისწინებთ სვანეთში შემთხვევით ნაპოვნ სპილენძ-ბრინჯაოს იარაღ-საჭურველს, რომლის ხასიათი და თავისებურებანი თითქმის უწყვეტი ჯაჭვით წარმოგვიდგენს ბრინჯაოს კულტურის თანამიმდევრული განვითარების ზოგად სურათს, მაშინ შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ამ კუთხეში, მდიდარ სამთამადნო ნედლეულის ბაზაზე, დროთა განმავლობაში. ვითარდებოდა ბრინჯაოს მეტალურგიის ტექნიკური ჩვევები და ტრადიციები, რომ სვანეთში არსებობდა ადგილობრივ ტრადიციებზე აღმოცენებული საკმაოდ მძლავრი სამთამადნო და მეტალურგიული კერები. და თუ დღემდე არ არის ისინი გამოელენილი, ეს მხოლოდ სათანადო სამუშაოთა უკმარობით შეიძლება აიხსნას.

ყოველი აღნიშნულის შემდეგ არ შეიძლება არ აღინიშნოს სვანეთის უძველესი არქეოლოგიური მონაპოვრის კიდევ ერთი მნისვნელოვანი მხარე. ჩვენს ხელთ არსებული მასალა საფუძველს გვაძლევს, სვანეთის ინტენსიური ათვისება და პირველი დასახლება, სწორედ სპილენძის უძველესი იარაღების წარმოება-გამოყენების თარიღს დაეუკავშიროთ,

[122] საყურადღებოა, რომ სვანური "სპელუნჯ" ახლო დგას ქართული სპილენძის მეგრულ ფორმასთანაც "ლინჯ", შესაძლებელია, აქ სიტყვის ერთსა და იმავე უძველეს ძირთან გვქონდეს საქმე.

მეტალურგია და მესაქონლეობა უნდა ყოფილიყო სტიმული, რამაც ამ მაღალმთიანი ზოლის მუდმივი დასახლება განაპირობა.

ამ მოვლენას ბუნებრივია, წინ უსწრებდა მხარის, მისი გეოგრაფიული გარემოს, ბუნებრივი სიმდიდრის თანდათანობითი გაცნობისა და სეზონურ მეურნეობაში გამოყენების ხანგრძლივი პროცესი, რასაც კარგად ადასტურებს თუნდაც ზემო სვანეთში ადგილ "ლ ე ბ ი ქ ვ შ ი" / ლენჯერის თემი/, 1964 წლის ზაფხულში კაჟის იარაღების აღმოჩენის ფაქტი[123].

არქეოლოგ გ. გრიგოლიას დაკვირვებით, ეს იარაღები ზოგადად საქართველოში აღმოჩენილი ნეოლითური ძეგლებისათვის დამახასიათებელ ელფერს ატარებენ, მაგრამ შეინიშნება ზოგიერთი თავისებურებანი, რაც სხვაგან ჯერჯერობით დამოწმებული არ არის.

ზღვის დონიდან ასეთ დიდ სიმაღლეზე ნეოლითური მასალის გამოვლენა უცნარი არ არის. ანალოგიური შემთხვევა დამოწმებულია რაჭაში[124], დიგორში /ჩრდ. კავკასია/ და კავკასიის მთიანი ზოლის სხვა ადგილებში[125], მაგრამ ჩვენთვის ჯერ არაა ცნობილი რას წარმოადგენს ლენჯერში მიკვლეული ძეგლი-ნასახლარს თუ მონადირეთა დროებით სადგომს. ამ საკითხის კონკრეტულ შესწავლას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მხარის თავდაპირველი დასახლების ქვედა ქრონოლოგიური საზღვრის დასადგენად, თუმცა როგორადაც არ უნდა გადაწყდეს ეს საკითხი, ჩვენ საფუძველი გვაქვს ვამტკიცოთ ამ კუთხის სეზონური სამეურნეო გამოყენების დაწყება სპილენძის უძველესი იარაღების გაჩენამდე ბევრად უფრო ადრე. აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ სვანეთში დღემდე არაა გამოვლენილი ენეოლითური დროის რაიმე ნაშთი, ამიტომ ამ მხარის ქვის ხანიდანვე საცხოვრებლად ათვისების შესახებ კატეგორიული მსჯელობა ძნელია.

ენგურ-ცხენისწყლის ზემო წელის უძველეს დროიდანვე ათვისებაზე მიუთითებს აგრეთვე სვანური ენის ტერმინოლოგიური ანალიზიც; სვანურმა ენამ დიდი რაოდენობით შემოინახა ქართველთა ფუძე-ენიდან მომდინარე ლექსიკური მასალა, რომელიც მთის ზოლის გეოგრაფიულ გარემოს, მის ფლორასა და ფაუნას ასახავს[126]. როგორც ჩანს სვანთა წინაპრები ამ ბუნებრივ გარემოს გაცილებით უფრო ადრე გაეცნენ, ვიდრე მოხდებოდა ფუძე-ენიდან სვანური დიალექტის გამოყოფა. აღნიშნული პროცესის დასაწყისი კი ძვ. წ. მე-19 საუკუნიდან იგულისხმება[127]. მიღებული მოსაზრებით, ენობრივი ერთობის დაშლას წინ უძღოდა ქართველური

---

[123] გ. გობეჯიშვილი, შ. ჩართოლანი, სვანეთის არქეოლოგიური დაზვერვა 1964 წ..., გვ. 24.

[124] გ. გობეჯიშვილი, არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში, თბ. 1952 წელს..., გვ. 35.

[125] В. И. Любин, Неолитические кремневые мастерские в Дигори, Краткие сообщения Института Археологии, вып. 98, стр. 43-46.

[126] გ. მელიქიშვილი, საქართველოს კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, თბ. 1965, გვ. 71.

[127] Г. Климов, О глотохронелогическом методе..., გვ. 120.

ტომების ხანგრძლივი ტერიტორიალური დაშორება. ჩვენი ვარაუდით, სვანთა ეთნიკური ჯგუფის ასეთი იზოლიაციის დასაწყობი საკვლევი ტერიტორიის სამეურნეო ათვისების პროცესს უკავშირდება და ქრონოლოგიურად ემთხვევა ან ოდნავ უსწრებს წინ სვანეთში სპილენძის არქაული იარაღების გავრცელების ხანას.

აღნიშნული თეზისი, რა თქმა უნდა, არ გულისხმობს სვანთა წინაპრების მხოლოდ ენგურისა და ცხენისწყლის ქვაბულებში ლოკალიზაციას. ჩვენის ვარაუდით, ამ ეთნოსის გარკვეული ნაწილი კვლავ რჩება საცხოვრებლად ისტორიული კოლხეთის ბარში და მთის წინა სოლში ეს მითუმეტეს, რომ მოგვიანო ხანებში სვანური ტომების განსახლებას ვარაუდობენ კავკასიის მთისა და ბარის ერცელ ტერიტორიაზე[128].

ამრიგად, სვანეთში აღმოჩენილი სპილენძის უძველესი ყუაღაქანებული ცულები და ყუნწიანი შუბისწვერები მდ. ენგურისა და ცხენისწყლის ხეობებში დღემდე გამოვლენილ მრავალრიცხოვან არქეოლოგიურ მასალებს შორის ყველაზე არქაული ჯგუფის იარაღებია და განეკუთვნებიან ბრინჯაოს მეტალურგიის განვითარების საწყის საფეხურზე, კავკასიაში და მის ფარგლებს გარეთ /მესოპოტამია, ირანი, ანატოლია/ გავრცელებული სპილენძის საბრძოლო-სამეურნეო იარაღების წამყვან ფორმებს.

სვანეთის არქეოლოგიური შესწავლილობის ახლანდელი დონე, საკვლევი იარაღების აღმოჩენათა შემთხვევითი ხასიათი და მათი ზუსტი პარალელების უქონლობა, საშუალებას არ იძლევა დავადგინოთ მათი დამზადების აბსოლიტური თარიღი, მაგრამ ტიპოლოგიური, ტექნიკური და მეტალოგრაფიული ნიშნების მიხედვით შეიძლება ვსაგადად ძვ. წ. III ათასწლეულის შუახანებს მიაკუთვნოთ, რამდენადმე უფრო გვიანდელი ჩანს ცხენისწყლის ხეობაში ნაპოვნი შუბისპირი.

სპილენძის უძველესი იარაღების აღმოჩენის ფაქტი, სოგიერთი ლინგვისტური და ეთნოგრაფიული მასალები, საფუძველს გვაძლევს ვამტკიცოთ, რომ ენგურისა და ცხენისწყლის ხეობების შუა და ზემო წელის /დღევანდელი სვანეთის ტერიტორიის/ უმთავრესი ნაწილის სამეურნეო ათვისება ლითონის წარმოების ადრეული საფეხურზე უნდა მომხდარიყო, მაგრამ ამ ტერიტორიის გამოყენება დროებით და სეზონური სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებით /ნადირობა, ველური ხილისა და საჭმელი მცენარეულობის შეგროვება და ა. შ/ უფრო ადრიდანაც არის სავარაუდებელი.

განხილული მასალები იმასაც გვანიშნებენ, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე მცხოვრებ ქართველურ ტომებს-სვანებს ძვ. წ. III ათასწლეულის შუა ხანებში უკვე ჰქონდათ გარკვეული ურთიერთობა, არა მარტო ამიერკავკასიისა ყუბანისპირეთის მოსახლეობასთან, არამედ წინააზიის დაწინაურებულ ქვეყნებთანაც.

---

[128] გ. მელიქიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ 66.

# ДРЕВНЕЙШИЕ МЕДНЫЕ ОРУДИЯ И ОРУДИЕ ИЗ СВАНЕТИИ

## (Резюме)

Найденные в Сванетии древнейшие примитивные медные проушные топоры и наконечники копья (таб. VIII-I, 2; таб. X-I, 2) являются наиболее архаичными предметами среди многочисленных металлических находок, обнаруженных не только на этой территории, но и ущельях рек энгури и Цхенисцкали.

Эти предметы типологически относятся к ведущим формам медных орудий и оружий, распространенных как на Кавказе, так и за его пределами (Месопотамия, Иран, Сирия, Анатолия) на начальном этапе развития бронзовой металлургии.

Абсолтная датировка изучаемых предметов, ввиду отсутствия точных параллелей, к сожалению, не представляется возможной. Однако на основании типологических, технических и химических признаков их условно можно отнести к середине третьего тысячелетии до н. э. Отсюда, по нашему мнению, наконечник копья из верховья Цхенисцкали более позднего происхождения.

Обнаруженные медные архаические орудия и оружия, как и некоторые лингвитические и др. данные, укажывают на то, что хозяйственное освоение верховьев рек Энгури и Цхенесцкали, должно было произойти не позднее ранней стадии производства металла.

укажывают на то, что хозяйственное освоение верховьев рек Энгури и Цхенесцкали, должно было произойти не позднее ранней стадии производства металла.

На основании археологических данных можно предположить, что проживающие в этой области грузинские племена – сваны, в указанную эпоху общались не только с населением Закавказья и Северного Кавказа, обитавших в верховьях р. Кубань, но с странами Передней Азии.

ტაბულების ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ა

ტაბ. VIII.


1. სპილენძის ყუადაქანებული ცული ზემო სვანეთიდან /ინვ. №374/
2. სპილენძის ყუადაქანებული ცული სტ. ნოეოსვობოდნაიას ყორღანიდან.
3. სპილენძის ყუადაქანებული ცული სტ. კოსტრომსკაიას ყორღანიდან.
4. სპილენძის ყუადაქანებული ცული ზემო სვანეთიდან /ინვ. №224/
5. სპილენძის ყუადაქანებული ცული სტ. პსებაიასკაიას ყორღანიდან.
6. გარნის ყალიბში ჩამოსხმული თაბაშირის ცული.


ტაბ IX.


1. სპილენძის ყუადაქანებული ცული ბრდაძორიდან.
2. სპილენძის ყუადაქანებული ცული ზაჰესიდან.
3. სპილენძის ყუადაქანებული ცული ლენინაკანიდან.
4. ქვის ცული სოფ. ქეთიდან.


ტაბ. X.


1. სპილენძის შუბისწვერი ზემო სვანეთიდან.
2. სპილენძის შუბისწვერი ქვემო სვანეთიდან.
3. სპილენძის შუბისწვერი შუმერის მეფეთა სამარხებიდან.
4. სპილენძის შუბისწვერი თბილისიდან /მოსკოვის ისტორიულ მუზეუმში დაცული/.


1
2
3
0
5 სმ.


4
5
6
0
5 სმ.


1
2


3
4


1
2
3
4

Ш. Г. ЧАРТОЛАНИ

(Тбилиси)

# ПАМЯТНИКИ ДРЕВНЕГРУЗИНСКОГО ГОРНОРУДНОГО ПРОИЗВОДСТВА В ГОРНОЙ АБХАЗИИ*

Институт истории, археологии и этнографии им. акад. И. А. Джавахишвили в 1969 г. приступил к археологическому исследованию высокогорной Абхазии. В августе был разведан тот торезок р. р. Бзыби и Кодори, где по данным Чхалтской геологической поисковой партии предполагалось существование древних выработок.

1. У истоков р. р. Бзыби и Кодори на сегодняшний день выявлено свыше двадцати древних выработок меди. Все они расположены на высоте около 2000 метров над уровнем моря, начиная от местечка Башкацара верховнья р. Бзыби до Твибрашери (правый приток Кодора), на протяжении 80 км. Указанная территория относится к геологической формации, богатой цветными металлами, расположенной вдоль субальпийской и альпийской зоны южных отрогов главного Кавказского хребта, на территории Абхазии, Сванетии и Рача-Лечхуми.

2. Древние выработки двух типов – закрытые и открытые. Из выработок закрытого типа величиной отличается одна двухярусная штольня с четырьмя ответвдениями и одна большая камера, длина, высота и ширина которой соответственно равны 42,12,14 м. Так как большинство штолен заполнего обвалами холостых пород, их точное направление и глубину установить трудно. Но по имеющимся данным максимальная их глубина превышает 56 м.

Из открытых карьеров лижь один большого объема, все остальные ямы – углувления, часть которых, возможно предназначалась для установления мощности того или иного пласта.

3. В близи большой камеры, возможно, существовала руднообогатительная печь.

4. В выработках и на близлежащих территориях найдено много вещественного материала; каменные молоты и молотки, бревна разных пород и размеров, металлические шлаки и древесный уголь.

5. Рассмотренный памятник во многом схож с известными древними выработками моди в Геби (верхняя Рача) и, таким образом, предположительно датируется эпохой бронзы.

6. Сохранившийся в верховьях Бзыби и Кодори объект горнорудного производства меди – второй после Рачи памятник древной производственной культуры в Грузии.

---

* დაბეჭდილია: Тезисы докладов, Посвященных итогам полевых археологических исследований в СССР в 1970 году, (Археологические секции), Ордена Ленина академия наук СССР, Академия наук Грузинской ССР, Отделение истории АН СССР, Отделение общественных наук АН ГССР, Ордена трудового красного знамени институт археологии АН СССР, Институт истории, археологии и этнографии АН ГССР, Тбилиси, 1971, стр. 96-97.

შოთა ჩართოლანი

# წყალმომარაგების უძველესი ძეგლები სვანეთში*

1969 წლის მარტში, ზემო სვანეთის რაიონულ ცენტრში – მესტიაში შემთხვევით აღმოჩნდა თიხის მილები. უფრო ადრე, სხვადასხვა დროს, ანალოგიურ აღმოჩენებს ადგილი ჰქონდა მესტიაში, კალაში, მულახში, ლენჯერში, დი'ში და სხვა სოფლებში[1]. ამ მასალების დანიშნულების, სადაურობისა და გაერცელების საზღვრების დაზუსტების მიზნით მოეწყო მცირე მასშტაბის არქეოლოგიური გათხრები, რის შედეგადაც დადასტურდა, რომ თიხის მილები ძველ, მიწისქვეშა წყალსადენებს განეკუთვნებიან[2].

ეს აღმოჩენა მეტად საინტერესო და დიდმნიშნელოვანია, რადგან ძველი მიწისქვეშა წყალსადენების მშენებლობა ისეთ განაპირა, მაღალმთიან და კარგი სასმელი წყლებით უხვ მხარეში, როგორიც სვანეთია, თითქოს ნაკლებად უნდა ყოფილიყო მოსალოდნელი. როგორც ცნობილია, საქართველოში დღემდე გამოვლენილი წყალმომარაგების უძველესი ნაგებობანი თითქმის უკლებლივ განეკუთვნებიან კულტურულ-ადმინისტრაციულ ცენტრებს, მთავარ ციხესიმაგრეებსა და წარჩინებულ პირთა რეზიდენციებს, რომლებიც გეოგრაფიულად ჩვენი ქვეყნის ისტორიულ ცენტრებში, მათთან ახლოს ან დიდი სტრატეგიული მნიშვნელობის ადგილებზე არიან განლაგებული.

არქეოლოგიური ძეგლები, ფოლკლორული მასალები და ისტორიული საბუთები მოწმობენ, რომ ჩვენი წინაპრები დასახლების ადგილის არჩევისას დიდ ყურადღებას აქცევდნენ წყლის უზრუნველყოფის საკითხს. უძველესი დროიდანვე ირჩევდნენ წყლის სანაპირო ან ახლომდებარე ადგილებს; ადრიდანვე იცნობდნენ დაბლობ ადგილებში ჭების ამოთხრა-მოწყობის ხელოვნებას, საამისო პირობებს მოკლებულ მაღლობ ადგილებში გაშენებული ციხე-ქალაქებისა და სამონასტრო ანსაბლების წყლის მომარაგებისათვის გაჰყავდათ საიდუმლო გვირაბები, ან საგანგებო გასასვლელები მდინარის ნაპირამდე.

საქართველოში ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად, დახურული კერამიკული წყალსადენებით სასმელი წყლის გაყვანის

---

* დაიბეჭდა: ჟურნალი „მაცნე", ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, № 1. თბილისი 1972, გვ. 74-94.

[1] გ. გობეჯიშვილი, შ. ჩართოლანი, სვანეთის არქეოლოგიური დაზვერვა; 1964 წ. XIV სამეცნიერო სესია, მიძღვნილი, 1964 წ. საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი, მოკლე ანგარიშები, თბ., 1965, გვ. 36.

[2] არქეოლოგიური გათხრები განხორციელდა მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ინიციატივითა და სახსრებით. საველე მუშაობაში, ამ წერილის ავტორთან ერთად მონაწილეობდნენ მუზეუმის დირექტორი ა. კვიციანი და მეცნიერი თანამშრომელი დ. ნიჟარაძე. გათხრების წინასწარი ანგარიში 1969 წ. მოხსენდა ინსტიტუტის ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა და ასპირანტთა სამეცნიერო სესიას.

ყველაზე ადრეული ფაქტი დამოწმებულია დედაქალაქობის ხანის მცხეთაში[3] და ძვ. წ. II-I სს. ვანში[4]; ახ. წ. II-III სს. მსგავსი წყალსადენები გამოყენებული ჩანს შავი ზღვისპირეთის ერთ-ერთ დაწინაურებულ კულტურულ ცენტრში ბიჭვინტაში[5]. შემდეგ, ადრეფეოდალურ ხანაში, კერამიკული წყალსადენის მძლავრი მაგისტრალით უზრუნველუყვიათ ლაზიკის სამეფოს ერთ-ერთი საქალაქო ცენტრის ვაშნარის ციხე-სიმაგრეც[6].

კერამიკული წყალსადენების მშენებლობა საქართველოში განსაკუთრებული ინტენსიურობით წარმართულა XI-XII სს. ამის დამადასტურებელია თუნდაც თამარ მეფის მწიგნობართუხუცესის ანტონ ჭყონდიდელის მიერ გაყვანილი სხალტბა-შიომღვიმის[7], ვარძიის კლდეში ნაკვეთი „ქალაქის“ კომპლექსისა[8] და თამარ მეფის ნადარბაზევის (თეთრი წყაროს რაიონი) საბაგეხულო რეზიდენციისათვის გამართული წყალსადენები[9]. ასევე, გონიოს, შხეფისა და სხვა ციხესიმაგრეებისათვის გაყვანილი კერამიკული წყალსადენები[10]. ამავე და მომდევნო ხანის კერამიკული წყალსადენების ნაშთები მიკვლეულია აგრეთვე თბილისში[11], დმანისში, კასპში[12], ატენში, გეგუთსა და საქართველოს სხვა ადგილებში.

XII საუკუნიდან წყალმომარაგების ნაგებობათა მშენებლობა და მათი მოვლა-პატრონობა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმედ იქცა.

---

[3] ა. აფაქიძე, გ. გობეჯიშვილი, ა. კალანდაძე, გ. ლომთათიძე, მცხეთა, I., 1955, გვ. 156, ტაბ. IX, სურ. 2, 3. ა. აფაქიძე, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, თბ., 1963, გვ. 41, ტაბ. XXIII, სურ. 2-5.

[4] ოთ. ლორთქიფანიძე, ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი, თბ., 1968, გვ. 143.

[5] ა. აფაქიძე, რ. ფუთურიძე, ოთ. ლორთქიფანიძე, არქეოლოგიური გათხრები ბიჭვინტაში 1963 წელს, სამეცნიერო სესია, მიძღვნილი 1963 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი, თბ., 1964, გვ. 10-13. ა. აფაქიძე, ანტიკური ხანის საქართველოს კულტურა, წიგნში: საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ, 1970, გვ. 712, 720.

[6] გ. გობეჯიშვილი, არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში, თბ., 1952, გვ. 155.

[7] ალ. ლოსაბერიძე, ძველი წყალსადენებისა და არხების ნაშთები, შ. ხიდაშელი, სხალტბა-შიომღვიმის 1202 წ. წყალსადენი, კრებულში – „შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა“, თბ., 1938, გვ. 232-264.

[8] კ. მელითაური, მეთორმეტე საუკუნის ვარძიის წყალსადენი, ჟურნ. „მეცნიერება და ტექნიკა“, №1, 1959, გვ. 36-38.

[7] ალ. ლოსაბერიძე, ძველი წყალსადენებისა და არხების ნაშთები, შ. ხიდაშელი, სხალტბა-შიომღვიმის 1202 წ. წყალსადენი, კრებულში – „შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა“, თბ., 1938, გვ. 232-264.

[8] კ. მელითაური, მეთორმეტე საუკუნის ვარძიის წყალსადენი, ჟურნ. „მეცნიერება და ტექნიკა“, №1, 1959, გვ. 36-38.

[9] ირ. ცინცაძე, ნადარბაზევის წყალსადენი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XI, №8, 1950, გვ. 527-534.

[10] ი. ადამია, წყალმომარაგების უძველესი ნაგებობანი საქართველოში, თბ., 1950.

[11] ი. გაგელიშვილი, ო. ტყეშელაშვილი, ძველი თბილისის წყალსადენების ისტორიიდან, ჟურნ. „მეცნიერება და ტექნიკა“, 1958, №12, გვ. 28-30.

[12] ლ. დიასამიძე, წყალმომარაგების საკითხი საქართველოში, ჟურნ. „მეცნიერება და ტექნიკა“, 1949, №9, გვ. 15-18.

თამარ მეფის განკარგულებით ამ საქმისათვის გამოყვეს საგანგებო პირები – ქუქანაკები, რომელთა შვილებიც კი „ქუქანაკებად განისწავლებოდნენ და ჰკასმავდნენ მასა წყაროსა“[13]. სხვადასხვა წარმოშობის წყლების ხმარების, მათი ორგანოლეპტიკური პირობებისა (ფერი, გემო, სუნი, სიხისტე, გამჭვირვალობა) და საერთოდ წყლის ჰიგიენის საკითხები საგანგებოდ არის დამუშავებული XI-XIII სს. ქართულ სამედიცინო ძეგლებში[14].

წყალმომარაგების საკითხი ძველ საქართველოში, მჭიდროდ იყო დაკავშირებული ქვეყნის სამხედრო-თავდაცვითი, ეკონომიური და კულტურული მშენებლობის სასიცოცხლო ინტერესებთან და ამიტომაც წყალგაყვანილობის მშენებლობა და მოვლა-პატრონობა საზოგადოებრივ საქმედ იყო მიჩნეული. დღემდე გამოვლინებული არქეოლოგიური ძეგლები, ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მასალები, აგრეთვე ისტორიული წყაროები მიუთითებენ, რომ წყლის გამოსავლებს დაცილებული ციხე-ქალაქების, ციხე-სიმაგრეების, სასულიერო ცენტრებისა და დასახლებული პუნქტების სასმელი წყლით უზრუნველსაყოფად ძველ საქართველოში გამოყენებული იყო: ღია არხები, თვითდინების ან ჭავლის პრინციპით მომუშავე დახურული წყალსადენები, მიწისქვეშა გასასვლელი გვირაბები, მექანიკური ამწყვები და სხვა ხერხები, რომელთა შერჩევა, გამტარუნარიანობა და მშენებლობის ინტენსიობა უპირატესად განპირობებული იყო წყლით მოსამარაგებელი ობიექტის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობით, ქვეყნის მატერიალური შესაძლებლობით და სანიტარულ-ტექნიკური კულტურის განვითარების დონით. ამიტომ ბუნებრივია, წყალმომარაგების უძველესი ხერხებისა და მასთან დაკავშირებული სამშენებლო ხელოვნების შესწავლა დიდი ხანია სხვადასხვა დარგის მეცნიერთა ინტენსიური კვლევის საგანი გახდა და სათანადო შედეგები გამოქვეყნდა ცალკეული მონოგრაფიებისა და სამეცნიერო-პოპულარული წერილების სახით, რომელთა დეტალურ განხილვას აქ არ შევუდგებით, მაგრამ გვინდა შევნიშნოთ, რომ არსებულ პუბლიკაციებში ძირითადად განხილულია მხოლოდ სხვადასხვა ან ერთი და იმავე ტიპის წყალსადენების ცალკეული ნაწილები. საქართველოს არც ერთი ძველი წყალსადენი მთლიანი სახით არ არის ჩვენამდე მოღწეული და ბუნებრივია, ამ დარგის ნაგებობათა საინჟინრო-ტექნიკური მოწყობილობის, მათი ტერიტორიული და ქრონოლოგიური გავრცელებისა თუ ამ კულტურის მატარებელი საზოგადოების სოციალ-ეკონომიური ურთიერთობის საკითხები ჯერ კიდევ სერიოზულ კვლევას მოითხოვს. სვანეთის ძველი წყალსადენები მნიშვნელოვნად გაამდიდრებენ დღემდე დაგროვილ მასალებს და დიდ დახმარებას გაუწევენ ამ საკითხების შესწავლით დაინტერესებულ მკვლევარს.

წყალსადენების ყველაზე დიდი რაოდენობა მიკვლეულ იქნა მესტიის თემში და არქეოლოგიური სამუშაოც ძირითადად იქ გაიშალა. წყალსა-

---

[13] გიორგი მერჩული, ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა, თბ., 1949, გვ. 40, 54. თ. ჟორდანია, ისტორიული საბუთები შიომღვიმის მონასტრისა – 1202 წლის სიგელი თამარ მეფისა, ტფ., 1896, გვ. 25-28.

[14] ქანანელი, უსწორო კარაბადინი, თბ., 1940; გვ. 459, წიგნი სააქიმოი, თბ., 1934, გვ. 35-36.

ღენები სათავეს იღებენ დაბა მესტიის ჩრდილოეთით, ტყის დასაწყის ზოლში მდებარე სამი სხვადასხვა წყაროს: „მარცხან“-ის, „ლაწლციდაშ“-ისა და „ჩახრუშ“-ის გამოსაელებზე და სასმელი წყლით ამარაგებენ მესტიის სოფლების: ლეხთაგის,სეტისა და ლანჩვალის ცალკეულ უბნებს (სურ 1).

ვიდრე ნივთიერი მასალის დახასიათებაზე გადავიდოდეთ, ორიოდე სიტყვით გვინდა შევეხოთ წყალსადენებთან დაკავშირებულ ერთ ტოპონიმს, კერძოდ „ლაწლციდაშ“-ს, რომელიც მიუთითებს საკელევ ტერიტორიაზე წყლის რესურსების უძველესი დროიდანვე ათვისებაზე.

ტოპონიმ „ლაწლციდაშისათვის“ ეტიმონია სვანური ლიც-წყალი. მისი თავდაპირველი ფორმა უნდა ყოფილიყო ლა-ლიც-იდა-შ, მაგრამ სვანური ენის გარკვეული კანონზომიერების მიხედვით, ამ სიტყვის ძირისეული –ი- დაკარგულია ხმოვნით დაწყებული –იდ სუფიქსის დართვის გამო[15]. –შ/<–იშ/ ნათესაობითი ბრუნვის ნიშანია, ხოლო ლა- სვანურში მეტად გავრცელებული, სიტყვათმაწარმოებელი თავსართი. ამდენად „ლაწლციდაშ“ სიტყვის ეტიმოლოგიური შინაარსი გულისხმობს „საწყლე“, „წყლის გამოსაელ“, „წყლის მოსაძიებელ“ ადგილს. ჩვენი აზრით, „ლაწლციდაშ“ ტოპონიმი გამოიკვეთა ახლად აღმოჩენილი წყალსადენების გაყვანამდე გაცილებით უფრო ადრე, როცა მოსახლეობა ამ ადგილიდან სასმელ წყალს ჭურჭლით ესიდებოდა. ამ დასახლებას კი ჩვენ ვგულისხმობთ ლაწლციდაშ-თან ახლოს, მისგან აღმოსაელეთით ყვერიაშ-ის ტერიტორიაზე, სადაც ძველი ნასახლარების არსებობაა დადასტურებული (იხ. ქვემოთ).

„ლ ა წ ლ ც ი დ ა შ“ კარგად ასახავს სვანური ტოპონიმების ბუნებას, რომელთაც არ ეტყობათ იძულებითი ან მასობრივი შეცვლის ნიშნები. სვანური ტოპონიმები უძველესი დროიდან მომდინარეობენ და წარმოგვიდგენენ ამ კუთხის ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემოს თავისებურებებს, რელიეფს, კლიმატს, მცენარეულ საფარს, ცხოველთა სამყაროს ან ლეგენდად ქცეულ ისტორიულ მოვლენებს; ასე მაგალითად: მესტიაში: ც ხ ე კ – ს ა გ ა რ – ტყის დასაღერი მთა, ლ ე ბ ი ქ ე – ს ა ქ ა რ ე, ლ ე ნ ს ა რ – სოჭნარი, ჯ ი ჰ ა რ – მუხნარი, ლ ა ნ ჩ ვ ა ლ – ნამწყრალი (ამჟამად სოფელი); კალაში: ლ ა ლ ხ ო რ – საკრებულო ადგილი (ჭვეის ან სოფლის); ჭუბერში: ლ ა რ ი ლ ა რ – პატარა სათიბები (ამჟამად სოფელი), ლ ა ხ მ ა – ჭ ა ლ ა ღ – გარეული ღორის საბუდარი ჭალა, ლ ა ჭ ლ ა ლ ა ხ ე – ელეის მთა (სვანეთის ქედზე) და სხვა მრავალი ტოპონიმი სწორედ იმ თავისებურებას გადმოგვცემს, რაც ამა თუ იმ ტერიტორიისათვისაა დამახასიათებელი.

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ძველი წყალსადენების ყველაზე დიდი რაოდენობა მესტიის თემშია თავმოყრილი. ჯერჯერობით მიკვლეულია ხუთი ტრასა (სურ. 1):

---

[15] -იდ კნინობითის მაწარმოებელი უნდა იყოს და მომდინარეობდეს ი ლ დ ა სახელობისაგან, ლალციდაშ –ლა-ლიც-იდა-შ.

I. მარცხან – ლეხთაგისა (ჩართოლანების უბანი). II. ლაღციდაშ – ლეხთაგისა (ხერგიანების უბანი). III. ლაღციდაშ – სეტისა (ჯაფარიძეებისა და მუშკუდიანების უბანი), IV. ლაღციდაშ – ლანჩვალისა (მარგიანების უბანი). V. ჩახრეშ – ლანჩვალისა (მარგიანების უბანი).

როგორც სადაზვერვო გათხრებმა დაამტკიცეს, უკანასკნელი ათი წლის მანძილზე მოსახლეობის მიერ ინდივიდუალური წყალსადენებისათვის სასმელი წყლების ძიებისა და მათი გაყვანისათვის ჩატარებული მიწის სამუშაოთა შესრულების დროს უკვე დაუზიანებიათ ან მთლიანად დაუნგრევიათ ზოგიერთი სათავე-ნაგებობა და წყალსადენი ტრასების ცალკეული მონაკვეთები. თავდაპირველი სახე რამდენადმე შეცვლილია აგრეთვე მათი მოქმედების ხანაში ამოწმენდის, შეკეთებისა და რესტავრაციის დროს. ასე, რომ, ბევრი კონსტრუქციული დეტალის ზუსტი სურათის აღდგენა შეუძლებელი ხდება, მაგრამ ჩვენამდე მოღწეული სახითაც საშუალება გვეძლევა გავიგოთ ამ ნაგებობათა ხასიათი, ძირითადი ტექნიკური ნიშნები და მათი მოქმედების ზოგადი თარიღები.


მესტიის დახურული წყალსადენების ტრასები ორი სახისაა: 1. ქვისა და დუღაბისაგან ნაშენი დახურული არხი (რუ) და 2. კერამიკული წყალსადენი.

პირველი სახეობის ტრასა მესტიაში ჯერჯერობით მხოლოდ ერთია მიკვლეული (ტაბ. II). იგი ლაღციდაშიდან სოფ. ხელთაგისაკენ მიემართება (სურ. 1, II). ამ ოთხკუთხა განიკვეთიანი არხის მინიმალური სიგანე და სიმაღლე, შესაბამისად, 6X7 სმ-ს შეადგენს (სურ. 5, 8). არხების მშენებლებს იატაკისა და სახურავისათვის საგანგებოდ შეურჩევიათ თხელი, ოთხკუთხა ფიქალი ქვები, ხოლო გვერდებისათვის – თანაბარი სისქის წაგრძელებული ქვები. ქვები გადაბმულია ერთმანეთზე მჭიდრო მიჯნით, ან წყლის მიმართულების შესაბამისად პირველი მომდევნოზე დევს. გადაბმის ასეთი კიბისებური პრინციპი უპირატესად იატაკისათვის ჩანს აუცილებელი. ქვების შეერთების ადგილები და ზოგჯერ მთლიანად არხიც კირის დუღაბითაა შევსებულ-შელესილი. ამ ტრასის შესადარებლად ჩვენ სხვა, ლიტერატურაში გამოქვეყნებული, ძეგლი არ მოგვეძებნება, გარდა ნიჩბისის წყალსადენისა, რომლის სათავე-მონაკვეთში წყალი ფილაქვებით შეკრულ და გარშემო დუღაბით შელესილ არხში მოედინებოდა[16]. ლალციდაშ-ლეხთაგის ტრასა თვითდინების პრინციპზეა აგებული. გადამღობი ბორცვების გვერდის აცილის მიზნით ტრასის მიმართულების შეცვლა ხდება თანდათანობით, სწორი და მრუდე ხაზების გეგმაზომიერი შერწყმის გზით. არხის თავდაპირველი სიგრძე 800 მეტრს აღემატებოდა, იგი მიემართება სამხრეთ-დასავლეთით, ხერგიანების ძველი საცხოვრებელი ანსაბლისაკენ, რომელიც ხელთაგის სხვა უბნებთან შედარებით ყველაზე მეტად არის დაცილებული სოფლის დასავლეთით ჩამომდინარე ხევის წყალს - „ტვიბ“-ს და ითვლება ამ სოფლის ერთ-ერთ უძველეს დასახლებად.

[16] შ. ხიდაშელი, სხალტბა-შიომღვიმის 1202 წ. წყალსადენი, კრებულში – „შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა“, თბ., 1938, გვ. 264.

სურ. 1. ბენების უძველესი წყალსადენის ტრასები.

კერამიკული წყალსადენების განხილვას მარცხვან-ლეხთაგის წყალსადენით დავიწყებთ (სურ. 1. I): მარცხანის წყარო ძლიერ დაქანებულ ფერდობზე გამოდის. ძველ ოსტატებს წყაროს მთავარ გამოსავალთან ფერდობი ვერტიკალურად ჩაუჭრიათ და საგანგებოდ გამართულ მოედანზე აუშენებიათ ოთხკუთხა (ტრაპეციული) მოყვანილობის აუზი (სურ. 2 და 3)[17]. აუზის ფსკერი წყაროს გამოსაელის დონეზე უფრო დაბლა დევს.




სურ. 2. მარცხვან-ლეხთაგის წყალსადენის სათავე–ნაგებობა, აუზი.

მოსწორებული გრუნტი ჯერ თიხით მოუგლესიათ და შემდეგ მასზე დიდი ზომის ფიქალი ქვა დაუკრავთ. წყლის გამოსაელის მხრიდან აუზის კედელი ფიქალი ქვის მშრალი წყობით აუშენებიათ ისე, რომ ქვებს შორის დარჩენილი არხებით წყალი აუზში შესულიყო. დანარჩენი სამი კედელი ქვითკირით ნაგებია, ორიენ პირი დუღაბით შელესილი. ზემოდან აუზი ერთიანი ფიქალი ქვითაა გადახურული. აუზის ქვედა მახვილ კუთხეში, იატაკიდან 8 სმ-ის სიმაღლეზე დატანებული თიხის მილიდან წყალი კერამიკულ მილსადენებში გადიოდა. საწყისი მილის მდებარეობის ასეთი დონე უზრუნველყოფდა წყლის მიერ შემოტანილი სილისა და წვრილი კენჭების აუზის ფსკერზე დალექვას. მარცხანის სათავე-ნაგებობა, წარმოადგენს წყლის თავმოსაყრელ, წვრილი კენჭებისაგან დასაწმენდ აუზს და არა რეზერვუარს, მითუმეტეს, რომ წყალსადენის ამ ტრასისათვის გამოყენებული თიხის მილების გამტარუნარიანობა სავსებით შეეფარდებოდა წყაროს დებიტს.

[17] მარცხვან-ლეხთაგის წყალსადენის სათავე-ნაგებობის შესახებ მასალები შევაგროვეთ 1965 წ. სეანეთში ყოფნის დროს, შემთხვევით გვაცნობეს, რომ ახალი წყალსადენებისთვის მარცხანის წყაროს გამოსავალთან აუზის ასაშენებელი მოედნის გაფართოების დროს გამოჩნდა ძვ. წყალსადენის სათავე. ადგილზე მისულისას იგი უკვე საგრძნობლად იყო დაზიანებული. გადარჩენილი ნაწილის, ნანგრევებისა და მუშების გადმოცემების მიხედვით იქნე ეცადეთ სათავე-ნაგებობის ზოგადი ფორმისა და ცალკეული დეტალების ნახატვა, რომლის ასლსაც წარმოადგენს აქ მოტანილი ნახაზი.

მარცხან–ლეხთაგის წყალსადენის ტრასა დამონტაჟებულია საგანგებოდ დამზადებული თიხის მილებისაგან, რომელიც კირის დუღაბშია ჩასმული. დუღაბი სამკუთხა განიკვეთიანია და სამივე მხრიდან ფიქალი ქვები აქვს დაკრული (სურ. 5, 7). ამ წყალსადენის საერთო სიგრძე 471 მ. აღწევს. დღემდე შემორჩენილია ტრასის უმთავრესი ნაწილი, რომელიც მიწის ზედაპირიდან საშუალოდ 60 სმ. სიღრმესია განლაგებული.

ლალციდაშ–სეტის კერამიკული წყალსადენი (სურ. I, III). ეს ტრასა და ზემოთ აღნიშნული ლანციდაშ-ლელხთაგის ქვითნაგები არხი ერთი და იგივე სათავე-ნაგებობიდან გამოსული მაგისტრალიდან იტოტებიან (სურ. 4, ტაბ. I, II). მათი სათავე რამდენადმე განსხვავდება მარცხანის სათავე-ნაგებობისაგან. აქ წყლის თავმოყრა-დაწმენდის პროცესს სტადიალური ხასიათი აქვს[18].




სურ. 3. მარცხან-ლეხთაგის წყალსადენის სათავე–ნაგებობა, აუსის გეგმა და ჭრილი.

წყაროს გაშლილი გამოსავალთან, ფერდობზე, ამოუღიათ გრძელი თხრილი, რომელშიც მსხვილი ქვა-ღორღი ჩაუყრიათ, ქვაღორღი ხელს უწყობდა თხრილში წყლის თავმოყრასა და დაწმენდას. ამ ადგილიდან 2-3 მეტრის შემდეგ, თხრილის ფსკერზე თანდათანობით გამოიკვეთება ფიქალი და ნატეხი ქვით ნაგები დახურული არხი, რომელსაც ზემოდან ჯერ ხრეში აქვს დაყრილი, შემდეგ კი – თიხნარი მიწა, არხის შემდგომი

[18] ლალიციდაშის სათავე-ნაგებობა რამდენიმე წლის წინათ დაუსიანებიათ სოფ. ლანჩვალის ახალი წყალსადენის მშენებლებს.

მონაკვეთი კირის დუღაბითაა შემაგრებული და უერთდება მოგრძო ფორმის ქვითკირით ნაგებ აუზს, რომლის წინა მხარე დიდი ზომის ფიქალი ქვითაა გადაკეტილი (აუზის ჭრილი სურ 5$_1$). მას, მსგავსად მარცხანის აუზისა, იატაკიდან 7 სანტიმეტრის სიმაღლეზე ამოჭრილი აქვს 5 სმ. დიამეტრიც მქონე ნახვრეტი, საიდანაც წყალი უშუალოდ გადიოდა მომდევნო, მეორე აუზში (ჭრილი იხ. სურ. 5$_2$) აქედან კი წყალი გადაეცემოდა ქვით ნაგებ მაგისტრალურ არხს, რომელიც ორად იყოფოდა (სურ. 4), მისი მარჯვენა განაყოფი (სემოაღნიშნული ქვითკირის არხი) ფერდის გაყოლებით ლეხთაგორისაკენ მიემართება (ტაბ. I). ხოლო მარცხენა – პირდაპირ ქვემოთ, სეტის მიმართულებით (ტაბ. II).





სურ. 4. ლაღციდაშ-ლეხთაგისა და ლაღციდაშ-სეტის წყალსადენის სათავე.

ლაღციდაშ-სეტის ტრასა, ლაღციდაშ-ლეხთაგის ტრასისაგან ცალკე გამოყოფის შემდეგ, სამიოდე მეტრის მანძილზე კვლავ ქვით ნაგები არხით გრძელდება, მეორე კი უერთდება ქვითკირის (მესამე) აუზს (ჭრილი, იხ. სურ. 5$_3$), რომლის განზომილებებია: სიმაღლე – 22 სმ., სიგრძე – 35 სმ. და სიგანე 30სმ. იატაკიდან 14 სმ. სიმაღლეზე, წყლის გასასვლელ ნახვრეტში კერამიკული მილია ჩასმული. აქედან უკვე იწყება და ბოლომდე გრძელდება კერამიკული მილების სადინარი, რომელიც აგრეთვე კირის დუღაბშია ჩაფლული და სედდაჯრული ფიქალი ქვებით გამაგრებული. ამ ტრასის განიკვეთი ოთხკუთხაა (სურ. 5, ბ).

ლაღციდაშზე აღმოჩენილი სათავე-ნაგებობების აუზების და მათი დამაკავშირებელი არხები არაერთგზის ჩანს ხელნახლები, რაც მათი გაწმენდის აუცილებლობით უნდა ყოფილიყო ნაკარნახევი. საინტერესოა აღინიშნოს, რომ მესამე აუზი თითქმის ამოვსებული იყო ქვის სუფთა წვრილი კენჭებით, რომლებიც აქ ხანგრძლივი დროის განმავლობაში თანდათანობით დალექილან. აღნიშნული ტრასის სიგრძე 780 მ. აღემატება.

ლაღციდაშ–ლანჩვალის ტრასა (სურ. 1, IV), ლანციდაშის მეორე წყაროსთან იღებს სათავეს. დადგენილია, რომ ტრასის ცალკე სათავე-ნაგებობა გააჩნდა, რომელიც ზემოაღნიშნული მიზეზების გამო ამჟამად უკვე მთლიანად მოსპობილია, ხოლო წყაროს წყალი თანამედროვე წყალსადენით იმავე ლანჩვალის

სხვა უბნისაკენ მიემართება. მისი საერთო სიგრძე 765 მ. შეადგენს. კერამიკული წყალსადენის დიდმა მონაკვეთმა ხელუხლებლად მოაღწია ჩვენამდე. აქაც თიხის მილები მთლიანად დუღაბშია ჩასმული, მაგრამ ფილაქვები მხოლოდ ზემოდან, იშვიათ შემთხვევაში გვერდებიდანაც აქვს დაკრული (სურ. 5$_6$, ტაბ. IV-I). როგორც აყღნიშნეთ, იგი მარგიანების ძველი საცხოვრებელი უბნისაკენ მიემართება. არსებული გადმოცემების მიხედვით, ეს უბანი (დ. მარგიანის ძველი საცხოვრებელი ანსაბლი) სოფ. ლანჩვალის უძველესი დასახლების ნაწილია. იგი სოფლის კიდეში




სურ. 5. წყალსადენის დეტალები 1, 2, 3 – ლაშლციდაშის აუსების ჭრილები; 4, 5 – კერამიკული მილები; 6 – ლაშლციდაშ-ლანჩვალის ტრასის ფრაგმენტი; 7, 8, 9 – სხვადასხვა ტრასების განივი ჭრილები.

განლაგების წყალობით გადარჩენია მეწყერს, რომელსაც სოფლის დანარჩენი ნაწილი წაულეკავს. ამ გადმოცემას მხარს უჭერს თვით ლ ა ნ ჩ ვ ა ლ ი ს ეტიმოლოგიაც[19]. საინტერესოა აღინიშნოს,რომ ლალციდაშ-ლანჩვალის ტრასის ერთ მონაკვეთზე, ახლანდელ სოფელ ლანჩვალსა და ფუსდის ეკლესიას შორის მოქცეულ „უ ე რ ი ა შ ი ს“ ტერიტორიაზე, რომელიც ამჟამად სახნავ-სათეს ფართობს წარმოადგენს, აღმოჩნდა ძველი დასახლების ნიშნები – ქვითკირის ნაგებობათა საძირკველის ნაშთები. გადმოცემის მიხედვითაც სწორედ აქ იგულისხმება მესტიის თაედაპირველი დასახლების ერთ-ერთი უბანი, რომელიც ერთიანად წაულეკია ცხაკაზაგარის მთიდან ჩამოცურებულ მეწყერს[20]. ნასახლარიდან უფრო ზემოთ, ფუსდის ეკლესიის მახლობლად დამოწმებულია ასეთივე ძველი სამარხების არსებობის ფაქტი. მათი არქეოლოგიური შესწავლა ძველი ნასახლარის ზუსტი დათარიღების საშუალებასაც მოგვცემს.

მესტიაში აღმოჩენილი მეხუთე – ჩ ა ხ რ ე შ – მ ა რ გ ი ა ნ ა რ ი ს წყალსადენის ტრასა სათავეს ლანჩვარის ზემოთ, ჩახრეშის წყაროზე იღებს (სურ. I, V). იგი დღესაც მოქმედია და სასმელი წყლით ამარაგებს მარგიანების უბანს. ეს წყალსადენი ქრონოლოგიურად უფრო გვიანდელი ჩანს, ვიდრე სხვა დანარჩენი[21]. ჩვენი წინასწარი ვარაუდით, ეს ტრასა გაიყვანეს მას შემდეგ,როცა ჩვენთვის უცნობი მიზეზის გამო, ლალციდაშ-ლანჩვალის წყალსადენმა შეწყვიტა მოქმედება.

ამრიგად, მესტიაში მიკვლეული ძველი წყალსადენებიდან მეტ-ნაკლები სისრულით შევისწავლეთ ორი სათავე-ნაგებობა და ოთხი ტრასა. დანარჩენი ძეგლების არქეოლოგიური შესწავლისათვის ჩვენ სათანადო საშუალებები არ აღმოგვაჩნდა. ამიტომ სვანეთში ამ ტიპის ძეგლების შესწავლა დასრულებული არ არის, მაგრამ დღეისათვის ჩვენს ხელთ არსებული მასალები საშუალებას გვაძლევენ, გამოვთქვათ ზოგიერთი მოსაზრება სვანეთის წყალმომარაგების უძველესი ძეგლების ნიშნებისა და მნიშვნელობის შესახებ.

ზემოთ ჩვენ უკვე დავახასიათეთ ამ წყალსადენების სათავე-ნაგებობანი, რომლებიც წარმოადგენენ წყაროების წყლის დებიტის თავმოყრისა და მის გასაფილტრად განკუთვნილ ქვის, კირის დუღაბის, თიხის და ხის კონსტრუქციებისაგან გამართულ საწრეტ არხებს. კოდებს და აუზებს, საიდანაც წყალი დახურულ სადენებში გადიოდა. ამ სადენებიდან ერთ-ერთი (ლალციდაშ-ლეხთაგიას) ქვით ნაგები დახურული არხია, რომლის

[19] ხალხში შემონახული ლეგენდის მიხედვით, ამ დასახლებულ პუნქტს ადრე მარგიანარ (მარგიანების) სოფელი ერქვა, მეწყერით დაფარვის შემდეგ კი დარქმეული ლ ა ნ ჩ ვ ა ლ-ნამეწყარი (სვ. ჩვალ-მეწყერი), ხოლო მ ა რ გ ი ა ნ ა რ შემორჩა მხოლოდ მეწყერს გადარჩენილ სახლს და მის შემოგარენს.

[20] ნიშანდობლივია, რომ მეწყერის გამომწვევი მიზეზები თავის მხრივ დაკავშირებულია მთის რთული რელიეფის პირობებში საირიგაციო დანიშნულების თაეღია არხების ინტენსიურ მშენებლობასთან. დაწვრილებით იხ. მ. გ ე გ ე შ ი ძ ე, სარწყავი მიწათმოქმედება საქართველოში, თბ., 1961, გვ. 125.

[21] ამ ტრასის რომელიმე მონაკვეთის გათხრაზე მოსახლეობისათვის თანხმობა ვერ მოვიღეთ, ამიტომ მისი ტექნიკური დახასიათების საშუალება ამჯერად არა გვაქვს.

შესახებაც ზემოთ უკვე ვილაპარაკეთ, მარცხან-ლეხთაგის, ლალციდაშ-სეტისა და ლალციდაშ-ლანჩვალის ტრასები კი თიხის მილებით არიან აწყობილი, მილების მოყვანილობა ერთნაირია; მრგვალგანივკვეთიანი და ერთი მიმართულებით თანაბრად დაწერილებული (ტაბ. IV, ). წერილ ბოლოში რელიეფური სარტყლით გამოყოფილი აქვთ 3 სმ. სიგრძის ტუჩი, რომელიც მჭიდროდ ჯდება მომდევნო მილის მსხვილ თავში (სურ. 5, ). მილის მსხვილი თავის დიამეტრიც საშუალოდ 5 სმ. უდრის, წვრილისა კი – 3-4 სმ. საერთო სიგრძე 40-55 სმ. შორის მერყეობს.

მილასადენის მონტაჟის დროს ერთმანეთში ჩასმული მილები თხრილის ფსკერზე ჩაწყობისთანავე მოუთავსებიათ კირის ღუღაბში, რომლისთვისაც ყველა მხრიდან (სოგჯერ კი მხოლოდ ზემოდან) ფაქიზი ქვები შემოუწყვიათ; ასე რომ; ტრასა ერთ მთლიან, მონოლითურ მასად არის შეკრული. მისი დაზიანება ლითონის საგანგებო იარაღის გარეშე შეუძლებელია, მით უფრო, რომ მილსადენები საკმაოდ ღრმად მოუთავსებიათ მიწაში. საყურადღებოა ის გარემოება, რომ კირის ღუღაბითა და ქვით კერამიკული მილსადენის ჩამაგრების ასეთივე წესია გამოყენებული ვარძიის წყალსადენების მშენებლობაში, კერძოდ იმ მონაკვეთებზე, სადაც ტრასა მიწაშია ჩაჭრილი[22]. ანალოგიურადვეა აგებული აგრეთვე ვაშნარისა[23] და სხალტბის წყალსადენები[24].

სვანეთის წყალსადენის მშენებლებს სცოდნიათ სპეციალური დანიშნულების ღუღაბის დამზადება. იგი ძირითადად შემაკავშირებელი (კირის) მასისა და ქვიშური მინარევებისაგან შედგება, მაგრამ დამატებული ჩანს აგრეთვე ორგანული ნივთიერებანი, რომელთაგანაც ჩვენს მიერ დამოწმებულია ჭვავი (ოთხ შემთხვევაში ღუღაბში ნაპოვნი იქნა ჭვავის ქატო). ცალკეული ტრასების მშენებლობისათვის სხვადასხვა შედგენილობის ქვიშებია გამოყენებული. ასევე განსხვავებულია ქვიშური მინარევის რაოდენობა და ღუღაბის ხარისხი[25]. ლალციდაშ-ლანჩვალის ტრასის ნიმუშების მიხედვით შეიძლება ვიეარაუდოთ, რომ წყალგაყვანილობისა და საერთო, მიწისქვეშა ნოტიო ადგილებში ქვითკირის ნაგებობისთვის განკუთვნილი კირის ღუღაბს, სხვა კომპონენტებთან ერთად გამომწვარ ტუფსაც (სპონტს) ურევდნენ. ასეთი ხალხური ტრადიციის არსებობას აღგილობრივი ხანდაზმული კალატოზებიც მიუთითებენ.

კერამიკული წყალსადენების მშენებლობა ბევრი ნიშნით უახლოვდება აღგილობრივი ხელოსნობის სხვა დარგებს. რთული რელიეფურ პირობებში წყალსადენის ტრასის დაკვალვა, ნივერილება, კერამიკული მილების ხისტად დამონტაჟება, სათავენაგებობათა გამართვა და სხვა ტექნიკური ჩვევები

[22] ო. ღ ა მ ბ ა შ ი ძ ე, ვარძიის 1957 წ. არქეოლოგიური გათხრების ანგარიში, ხელნაწერი.

[23] გ. გ ო ბ ე ჯ ი შ ვ ი ლ ი, არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში, ტაბ. XXI.

[24] ხ. ხ ი დ ა შ ე ლ ი, სხალტბა-შიომღვიმის 1202 წ. წყალსადენი, გვ. 257.

[25] ღუღაბისა და კერამიკული მილების პეტროგრაფიული ანალიზების ჩატარებისათვის დიდ მადლობას მოვახსენებთ აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმის გეოლოგია-მინერალოგიის განყოფილების უფროს მეცნიერ თანამშრომელს, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატს მ. ხუჯუას.

ადრეულ ჩანს ადგილობრივ სამშენებლო-არქიტექტურულ საქმეში დამუშავებული და გამოყენებული. მსგავსება შეინიშნება წყალსადენი მილებისა და ადრეული კოშკების პირველ სართულზე წყალმომარაგებისათვის დამონტაჟებული ქვევრების ფაქტურაში. ერთიც და მეორეც საიმედოდ უნდა ყოფილიყო დაცული, ორსავე შემთხვევაში საამისოდ გამოყენებულია კირის დულაბში მათი ხისტად ჩასმის ერთი და იგივე პრინციპი.

მუსტიის სხვადასხვა ტრასის კერამიკული მილების ოთხი ნიმუშის პეტროგრაფიულმა ანალიზმა გვიჩვენა,რომ ისინი ერთი ტიპის (მონტმორილონიტური) თიხისაგან არიან დამზადებული; ამასთან, ზოგიერთი მინარევის განსხვავებული შემცველობა მიუთითებს, რომ მილების დასამზადებლად სხვადასხვა გამოსაელებზე მოპოვებული მსხვილმარცვლოვანი ქარსნარევი თიხაა გამოყენებული. განსხვავება შეინიშნება აგრეთვე თიხის მასის მოზელვისა და გამოწვის ხარისხში. მაგალითად: ლაღციდაშ-სეტის ტრასაზე დამონტაჟებული მილების თიხა უფრო კარგადაა მოზელილი, ვიდრე სხვა დანარჩენი წყალსადენების მილების თიხის მასა. მარცხანლეხთაგის წყალსადენის მილები უფრო მაღალ ტემპერატურაზე და უფრო სწრაფადაა გამომწვარი, ვიდრე ლალციდაშის სათაეე-ნაგებობასთან აღმოჩენილი მილები. სხვადასხვა ქურაში და სხვადასხვა ტემპერატურაზე გამოწვის გამო მილებს განსხვავებული (წითელი, ყავისფერი, რუხი და სხვა) ფერები აქვთ მიღებული. ეს ნიშნები იმას უნდა მიუთითებდეს, რომ წყალსადენის მილები ადგილობრივ, სხვადასხვა კერამიკულ სახელოსნოებში არიან დამზადებული. როგორც ირკვევა კერამიკული წარმოება სვანეთში, საერთო ქართული სამეთუნეო საქმის მაშინდელ დონეზე მდგარა. სვანეთში, საერთო ქართული სამეთუნეო საქმის მაშინდელ დონეზე მდგარა. სვანეთში არქეოლოგიური კვლევა-ძიების უკმარობის გამო, კერამიკული სახელოსნოები დღემდე არ არის შესწავლილი, მაგრამ სადღეისოდ ჩვენ ხელთ არსებული სვანეთის არქეოლოგიური მასალები მოწმობს, რომ ხელოსნობის ამ დარგს აქ დიდი ტრადიცია ჰქონია. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ სვანეთის უძველესი კერამიკული ნაწარმი, რომელიც სოფ. კალაშია ნაპოვნი, ბრინჯაოს ხანას განეკუთვნება და ამ კულტურის კერამიკისათვის დამახასიათებელ საერთო ნიშნებთან ერთად,ზოგიერთი ლოკალური თავისებურებებითაც ხასიათდება[26]. უფრო გვიან, ძვ. წ. I ათასწლეულის შუახანებიდან სვანეთში მასობრივად ამზადებენ, როგორც სხვადასხვა ზომა-მოყვანილობის სამზარეულო და სამეურნეო დანიშნულების თიხის ჭურჭლის, ასევე რკინის წარმოებისათვის საჭირო ნივთებს: საბერველის საქშენ მილებს, ტიგელებს, საწურებს და სხვა[27]. საქშენი მილების ფორმები და დამზადების ტექნოლოგია ძლიერ უახლოვდება ახლად აღმოჩენილი წყალსადენი მილების შესაბამის ნიშნებს. ადგილობრივად მივიჩნევთ აგრეთვე უმთავრეს სვანურ კოშკებში,

[26] გ. გობეჯიშვილი, შ. ჩართოლანი,სვანეთის არქეოლოგიური დასვევრა, 1964, გვ. 32.

[27] შ. ჩართოლანი, ლარილარის სამაროვანი,კრებული – „საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები“, 1958, გვ. 290-318.

პირველი სართულის იატაკზე კირის დულაბში ჩაფლულ დიდი ზომის ქვევრებს, რომლებიც როგორც ჩანს, შიშიანობის დროს სასმელი წყლის მარაგის შესანახად იყო გამოყენებული. საყურადღებოდ მიგვაჩნია აგრეთვე მსგავსება, რომელიც შეინიშნება ზემოაღნიშნული ქვევრების და წყალსადენი მილების გამოწვასა და ფაქტურაში. ოქროსფერი ქარსის შემცველობით ისინი უახლოვდებიან აგრეთვე 1969 წელს, სოფ. ხეშკელის მიდამოებში აღმოჩენილ კერამიკას, რომელიც ძვ. წ. VIII-III სს. თარიღდება.

ადგილობრივი მეთუნეობის შორეულ ტრადიციებზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ სვანეთში აღმოჩენილი უძველესი კერამიკული მასალები ტიპოლოგიური და მხატვრული ნიშნებით კარგად თავსდება საქართველოს (განსაკუთრებით კოლხეთის) სინქრონიული ძეგლების კულტურულ წრეში, მაგრამ ამასთანავე სოგიერთი ნიშნის მიხედით აშკარად გამოკვეთილ ლოკალურ თავისებურებებსაც ავლენენ. წყალსადენი მილებისა და კოშკების ქვევრთა ადგილზე დამზადების თეორიული დასაბუთებისათვის ისიც უნდა ითქვას, რომ მაშინდელ არახელსაყრელ საგზაო პირობებში მათი შემოტანა მეზობელი ბარის რაოდენობიდან მეტად მოუხერხებელი და საეჭვო ჩანს.

ყოველივე აღნიშნულის გამო ვფიქრობთ, რომ წყალსადენებისათვის კერამიკულ მილებს ამზადებდნენ სვანეთშივე, სხვადასხვა ადგილას და სხვადასხვა ხელოსნები, რომლებიც თავიანთ საქმიანობაში ხელმძღვანელობდნენ საქართველოს ცენტრებში გაერცელებული წყალსადენის ნიმუშებითა და იქვე შეძენილი გამოცდილებით.

სვანეთში აღმოჩენილი წყლის სადინარი მილების მოყვანილობა, პროპორციები, ერთმანეთში ჩასმისა და გამართვის ხერხები ისეთივეა, როგორც ვარძიის[28], სხალტბა-შიომღვიმის[29], ნადარბაზევისა[30] და სხვა მათი სინქრონიული წყალსადენი მილების შესატყვისი ნიშნები. ასევე ანალოგიურია თიხის მილების დულაბში ჩასმის წესი. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ სხალტბასა და ვარძიაში კერამიკული მილები მხოლოდ კლდოვან და მაგარგრუნტიან მონაკვეთებზეა კირის დულაბში ჩასმული, სვანეთში კი – ყველაგან, მთელ წყალგაყვანილობაში. ტექნიკური თვალსაზრისით ეს განსხვავება მოსვენებითია, რადგან ორივე შემთხვევაში ერთი პრინციპითაა შეფასებული და გადაწყვეტილი ნიადაგის განსხვავებული გეოლოგიური ნიშნების მნიშვნელობა წყალსადენების სიმტკიცისა და საიმედო დაცვის უზრუნველყოფისათვის.

მესტიის დახურული წყალსადენები, ძირითადად, წყლის თვითდინების პრინციპზე ჩანან აგებული. ამ ნიშნით,ისინი გენეტიკურად უკავშირდებიან სვანეთში ადრევე აღმოჩენილ ღია არხებს, რომლებიც ქრონოლოგიურად და წყალმომარაგების საშუალებათა ტექნიკური ევოლუციის თვალსაზრისით ბევრად უფრო ადრეული არიან. ამასთან, კერამიკული წყალსადენების საინჟინრო-ტექნიკური ნიშნები მოწმობენ, რომ მათ მშენებლებს კარგად სცოდნიათ ჭაელის პრინციპები. როგორც ლალციდაშ-სეტის ტრასის

---

[28] კ. მელითაური, მეთორმეტე საუკუნის ვარძიის წყალსადენი, გვ. 37. სურ 5.
[29] შ. ხიდაშელი, სხალტბა-შიომღვიმის 1202 წ. წყალსადენი, გვ. 255.
[30] ირ. ციციშვილი, ნადარბაზევის წყალსადენი, გვ. 532, სურ. 4, 5.

მიხედვით ირკვევა, წყლის ვარდნის გამოწვეული დიდი წნევის უბნებზე საგანგებოდ შერჩეული სქელკედლიანი მილებია ჩასმული. ამ ნიშნით სეტის წყალსადენი უახლოვდება ნადარბაზევის წყალსადენს, სადაც, წყლის წნევის ზრდის შესაბამისად თიხის მილების სისქეც იზრდება[31].

ტრასების წინასწარი დაკვალვისა და და ვატერპასირების დროს, სვანი ოსტატები ცდილან მაქსიმალურად შეერჩუნებინათ წყალსადენის თანაბარი დახრილობა. ამ მიზნით მიწის რელიეფის შესაბამისად მილების ჩაწყობის სიღრმეც იცვლება. ლაღციდაშ-სეტისა და ლაღციდაშ-ლანჩვალის ტრასებზე ეს სხვაობა 0,60-დან 2 მეტრამდე მერყეობს. ანალოგიური ნიშნები მარცხან-ლეხთაგის ტრასისათვისაც არის დამახასიათებელი, მაგრამ ლანჩვალისა და სეტის ტრასებისაგან განსხვავებით, აქ, ჩვენი აზრით, სიარი ჭურჭლის პრინციპებიც უნდა იყოს გათვალისწინებული, ამ საშუალებით შეძლეს ალ. ხერგიანის სამოსახლოსთან მდებარე მაღლობის გადალახვა.

სვანეთის ძველი წყალსადენების საინჟინრო-ტექნიკური ნიშნების სიახლოვე საქართველოს ძველი წყალსადენების ნაშთებთან, ერთი მხრივ და სვანეთის მატერიალური კულტურის ძეგლებთან, მეორე მხრივ, უფლებას გვაძლევს მათი მნიშვნელობის სოგად თარიღად XII-XIII სს. ვივარაუდოთ. ამ დარგის ნაგებობათა მშენებლობა, რა თქმა უნდა, მომდევნო საუკუნეებშიც არის სავარაუდებელი. კერამიკულ წყალსადენებთან შედარებით უფრო ადრეულად უნდა მივიჩნიოთ ქვით ნაგები, ლალციდაშ-ლეხთაგის დახურული არხი. ტექნიკური ნიშნის გარდა, ამ ვარაუდს კონსტრუქციული თავისებურებაც უჭერს მხარს: ლალციდაშ-სეტის ტრასაზე კერამიკული წყალსადენი წარმოგვიდგება, როგორც ქვითკირის არხის გაგრძელება-განტოტება და მისი რეკონსტრუქციის შედეგები. ამასთან დაკავშირებით ნიშანდობლივია კიდევ ერთი მომენტი კერძოდ, სეტის მიმართულებით წყალსადენის რეკონსტრუქციისა და თიხის მილების მონტაჟის დროს ჩანს გამოთიშული მისი მარჯვენა განტოტება – ლეხთაგის ქვითნაგები ტრასა. როგორც ირკვევა, ლეხთაგის მოსახლეობას ეს არხი მოუტოვებია და წყალგაყვანილობის გაუმჯობესებული ტექნიკით (კერამიკული მილებით) გამოუყვანია არა ლალციდაშის საზიარო წყალი, არამედ სოფლის თავში გამომდინარე მარცხვნის წყარო. მესტიის წყალსადენების უფრო ზუსტი დათარიღება მომავალი კვლევა-ძიების საქმეა. რასაც საფუძვლად უნდა დაედოს ყველა მონიშნული ტრასის სრული არქეოლოგიური გამოკვლევა და მოპოვებული მასალის კომპლექსური შესწავლა. ამჯერად კი მხოლოდ ის შეიძლება დავძინოთ, რომ სვანეთის კერამიკული წყალსადენების ნაწილი გვიანფეოდალურ ხანამდე მოქმედებდა. მათი მოშლა ბუნებრივ მიზეზებთან ერთად, ხშირ შემთხვევაში თავდასხმებთან, „საგვარეულო“ მტრობის გამწვავებასა და მხარის ეკონომიური აღმავლობის მოდუნებასთან ჩანს დაკავშირებული. კერამიკული წყალსადენები მაღალხარისხოვან სასმელ წყლებს რამდენიმე დაცილებული სოფლებისა და უბნებისათვის არიან განკუთვნილნი, რაც

[31] ირ. ც ი ც ი შ ვ ი ლ ი, ნადარბაზევის წყალსადენი, გვ. 531.

ბუნებრივია თუნდაც იმ მოსაზრებით, რომ ასეთი წყალსადენები ყველაზე უკეთესად იცავენ წყალს, როგორც გაჭუჭყიანებისა და დანაკარგებისაგან, ისე სამთარში გაყინვისა და საფხულში გათბობისაგან; ამასთან, თიხის მილების ასეთი სიმტკიცე მონტაჟი, როგორიც სვანეთის ძეგლებისთვისაა დამახასიათებელი, საიმედოდ იცავს და ნიღბავს წყალსადენს სტიქიური მოვლენებისა თუ მტრის ხელყოფისაგან[32].

მესტიის წყალსადენების შესწავლილობის ახლანდელ დონეზე ორიოდე სიტყვის თქმა მათი ექსპლუატაციის პირობების შესახებაც შეიძლება. წყალსადენი მილების მეტ-ნაკლები დიამეტრებისა და ტრასების განსხვავებული ქანობის შესაბამისად, მათი გამტარუნარიანობაც არაერთგვაროვანია: მარცხან-ლეხთაგისა და ლაღციდაშ-მარგიანარის ტრასების სადღეღამისო დებიტი თითოეულისათვის, დაახლოებით 25820 ლიტრს შეადგენდა, ლაღციდაშ-სეტისა კი — 51840 ლიტრს. მაშასადამე, სამივე წყალსადენი დღე-ღამეში 103480 ლიტრ წყალს იძლეოდა[33]. თანამედროვე წყალმომარაგების ნორმების მიხედვით (ესოს ონკანების 12-საათიანი ხარჯვით), წყლის ასეთი რეზერვებით შეიძლება საშუალოდ 2762 სულის დაკმაყოფილება, თუ თითოეული სული დღე ღამეში 40 ლიტრ წყალს დახარჯავდა[34]. წყლის ასეთი ნორმა მაშინდელი დროისათვის ფრიად დამაკმაყოფილებელი ჩანს. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებასაც, რომ გარდა კერამიკული წყალსადენებით მოსარგებლე უბნებისა, იმ დროს მესტიის თემში კიდევ რამდენიმე დასახლებული უბანი (ლაღამი, ქვედა ლანჩვალი, ეხანტაფი და სხვა) იგულისხმება, საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ მესტიის თემში მოსახლეობის რაოდენობა რამდენიმე ათასეულს აღწევდა. ასეთი ეარაუდის გამოთქმის უფლება გვაქვს იმ შემთხვევაშიც კი, თუ კერამიკული წყალსადენებით მოსარგებლე მოსახლეობის რიცხვს ერთიორად შევკვეცავთ, თუ ჩვენი მოსაზრება სიმართლესთან ახლოა, მაშინ, მესტიის მაგალითის მიხედვით XII-XIII სს. ზემო სვანეთში მოსახლეობის საკმაოდ დიდი რიცხვი უნდა ვიგულისხმოთ.

საკვლევი ტიპის ძეგლების სათანადო მეცნიერული გაშუქებისათვის საჭიროა არქეოლოგიური გათხრების მეშვეობით შესწავლილ იქნას სვანეთის სხვადასხვა სოფელში გამოვლენილი წყალსადენები, რომელთა

---

[32] როგორც ირკვევა, დახურული წყალსადენების განლაგებას სვანეთში საიდუმლოდ ინახავდნენ,მაგალითად,სოფ. ლანჩვალის მოსახლეობისათვის უკანასკნელ დრომდე უცნობი ყოფილა ამჟამად მოქმედი სემოალღიშნული ჩახრეშ-ლანჩვალის ტრასა და სათაეპ-ნაგებობების ორიენტირი: იგი ცნობილი გახდა მხოლოდ ამ რამდენიმე წლის წინ, წყლის დებიტის გაზრდის მიზნით საგანგებო სამუშაოების ჩატარების შედეგად. სხვათა შორის, ძველი ოსტატების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ მაქსიმალურად მოუხერხებიათ წყაროს დებიტის თავმოყრა და ამავე მიზნით ლანჩვალელთა მუშაობა უშედეგო გამოდგა.

[33] კერამიკული წყალსადენების გამტარუნარიანობის გაანგარიშება ეკუთვნის არქიტექტორ კ. მელითაურს. ლაღციდაშ-ლეხთაგის ქვითნაგები ტრასის გამტარუნარიანობა ჯერ არ არის გაანგარიშებული.

[34] ხარჯვის ნორმების გაანგარიშებისათვის გამოყენებულია ნაშრომი Н. Н. Геннев, Н. Н. Эбрамов, В. Н. Павлов, Водоснабжение, М., 1950.

შესახებ უკვე მოგვეპოვება საკმაო რაოდენობის ზეპირსიტყვიერი და ნივთიერი მასალა. ამ ტიპის ძეგლებიდან უახლოეს დროში შესასწავლია შემდეგი ობიექტები: მულახის, ლენჯურის,კალისა და ლახმულის თემებში მოხსენიებული წყალსადენები.

მულახის თემში კერამიკული წყალსადენების არსებობა დამოწმებულია ორ ადგილას: სოფ. ჟამუშსა და ლახირში. ჟამუშის წყალსადენი სათავეს იღებს სოფლის დასაელეთით, გუგეაშის წყაროსაგან. სოფლიდან დაახლოებით 800 მ. დაშორებით. ამ წყალსადენის მთავარი მაგისტრალი მიემართება ქალდანების (საგდერალ) ძველი საცხოვრებელი ანსაბლის მიმართულებით და მთავრდება იქვე მდებარე სეიფსუ[35]. გუგეაშ-ჟამუშის კერამიკული წყალსადენის ტრასას ორი განტოტება გამოეყოფა: ერთი მიემართება „სოხაშა“ უბანში, ხოლო მეორე „თახუშა“ უბანში. მულახის მეორე წყალსადენი „ჭერაშ“-ის ღელედან სოფ. ლახირისაკენ მიემართება. ამ ტრასის სიგრძე 700 მ-მდე აღწევს.

კალის თემში ძველი წყალსადენის ორი ტრასაა გამოვლენილი. ერთი მათგანი სათავეს იღებს „ქართლაშ“-ის წყაროზე და შემოდის სოფ. აგრაჲში. წყალსადენი წარმოადგენს ქვითკირისაგან ნაშენ სამკუთხა განივკვეთიან დახურულ არხს. მისი სიგრძე დაახლოებით 700 მ. უდრის. ამ ტრასაზე ახლახან გაყვანილი თანამედროვე წყალსადენი ძველ სათავენაგებობაშია ჩართული.

მეორე ტრასა კერამიკული მილებისაგანაა აწყობილი და დუღაბშია ჩასმული. დუღაბი ოთხკუთხა განივკვეთიანია და სამი მხრიდან ფიქალი ქვები აქვს დაკრული (სურ. 4-6). აღნიშნული წყალსადენის საერთო სიგრძე 1 კმ-ს აღემატება. იგი სათავეს იღებს ალპურ ზოლში („ჩახლდიერ“) და სვინტაჲს ხევით ეშვება სოფ. იფრარში.

ძველი წყალსადენების არსებობა დამოწმებულია აგრეთვე ლახამულას თემში. შემთხვევითი მონაპოვრებისა (თიხის მილები) და ზეპირსიტყვიერი ცნობების მიხედვით, იგი სათავეს იღებს სუბალპურ ზოლში „კესრიშ ლუფაშდზე[36]“ და სოფ. შხიდირში ეშვება. ამ ტრასის საერთო სიგრძე რამოდენიმე კმ-ს აღწევს.

დახურული წყალსადენების გარდა, სვანეთში შემონახულია მდიდარი ნივთიერი და ზეპირსიტყვიერი მასალები, რომლებიც ამ მხარეში ქართული ჰიდროტექნიკური ხელოვნების სხვა წესების გამოყენებაზეც მიუთითებს. დამოწმებულია საცხოვრებელ ნაგებობათა კომპლექსში შემავალი მიწისქვეშა საიდუმლო გასასვლელები, მათ შორის განსაკუთრებით საყურადღებოა სოფ. ლატალის ერთი უბნის ძველი ნასახლარიდან მდინარის ნაპირზე გამავალი გვირაბი მისი საერთო სიგრძე ერთ კმ-ს აღემატება. გვირაბი თავისი დანიშნულებით დაახლოებით ისეთივე ჩანს, როგორიც თმოგვის, გრემის, ნოქალაქევისა და სხვა ციხე-სიმაგრეებისათვის დამახასიათებელი მდინარის პირზე გამავალი საიდუმლო გასასვლელები[37],

[35] სეიფ-ლალხორ – მულახის თემის თავმოსაყრელი ადგილი. აქვე განლაგებულ დიდ ქვებს, რომლებსაც დასაჯდომად იყენებდნენ, „კეისრის ქვებს“ უწოდებდნენ („კესრი ბაჩარ“).

[36] „კეისრის ნაქები“.

[37] ი. ადამია, წყალმომარაგების უძველესი ნაგებობანი საქართველოში, გვ. 16-32.

ან კიდევ მუსობელ ზემო რაჭაში, სოფ. ღებთან, შოშეთში, კაისარეთის ციხე-კოშკიდან რუმდე გაყვანილი ქვით ნაგები გვირაბი[38].

სვანეთის მთელ რიგ სოფლებში (კალა, ხაიში, ჭუბერი) უკანასკნელ ხანებამდე შემორჩა მაღლობზე წყლის ასაზიდი მექანიკური ამწე, ე. წ. „მახარა“, რომელიც განსაკუთრებით ფართოდ იყო გაერცელებული მთიან აჭარასა და აფხაზეთში[39].

ადრეულ ხანაშიეე წარმატებით ჩანს აგრეთვე გადაწყვეტილი ისეთი რთული ტექნიკური ამოცანა, როგორიცაა წყაროს გამოსაელის დონის აწევა და განსაზღვრულ ადგილზე თვითდინებით მიწოდება. ამ თვალსაზრისით საინტერესოა სოფ. ლანჩვალის „სარაგ“-ისა და მულახში – მარგიანების კოშკიდან გამომდინარე წყაროთა გაყვანილობები. მარგიანების კოშკი უძველესი სამოსახლო ნაგებობათა დიდი ანსაბლის ნაწილია, სახლის პატრონის გადმოცემით, რამოდენიმე წლის წინათ, წყაროს სათაყის მიკეთებეის მიზნით, კოშკის გარშემო გაუთხრიათ ღრმა თხრილი, მაგრამ სასურველი შედეგისათვის ვერ მიუღწევიათ. გამთხრელები ფიქრობენ, რომ კოშკი ზედ წყაროს გამოსავალზეა აშენებული და წყალი, თიხის მილსადენებით, კოპტაჟის წესით არის გარკვეულ სიმაღლეზე ამოყვანილი. მულახსა და ლანჩვალში დადასტურებული წყლის კოპტაჟის წესი მოუვაგონებს კასპის რაიონის სოფ. ერთაწმინდაში აღმოჩენილი ძველი წყალსადენის სათავე-ნაგებობას[40].

სვანეთში შემონახული ძველი წყალსადენებისა და მათთან შესადარებლად ზემოთ მოტანილი სხვადასხვა ძეგლების ესოდენ დიდი სიახლოვე, უპირატესად ალბათ საქართველოს ცენტრალური რაიონებიდან მომდინარე კულტურული ნაკადების გაელენით აიხსნება, მაგრამ ანგარიშგასაწევია ისიც, რომ წყალსადენების მშენებლობას ადგილზეე გააჩნდა საკმაოდ დიდი ტრადიცია: არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალები, აგრეთვე წერილობითი წყაროები ადასტურებენ, რომ სვანეთის მოსახლეობა კარგად იცნობდა როგორც წყლის ჰიდროლოგიურ რეჟიმს, მის თვისებებსა და შედგენილობას, ისე წყლის სამეურნეო გამოყენების ეფექტურობასაც, რამაც სტიმული მისცა მთის რთულ რელიეფზე სარწყავი არხების ნიველირებისა და გაყვანის ხალხური წესების ადრეეე ჩასახვა-განვითარებას. ამ საქმეში დაოსტატებული სვანები, როგორც ჩანს, მეზობელ რაიონებსაც კი უწვედნენ დახმარებას; მე-17 საუკუნის იტალიელი მისიონერის ა. ლამბერტის ცნობით, "სვანები საფხულის დასაწყისს მუდამ ჩამოდიან კგუფ-ჯგუფად საქართველოში, აქ ჩვეულებად აქვთ ყანების მორწყვა, სვანებს მდინარეებიდან გამოჰყავთ წყალი ყანებში. ამ საქმეს ადგანან სვანები მოსავლის აღებამდე, მოსავალს რომ აიღებენ, სვანები მიიღებენ თავისი შრომის ფასს და... მხიარულად ბრუნდებიან სახლში[41].

---

[38] გ. გობეჯიშვილი, ბრინჯაოს უძველესი ქართული ბალთები, საკანდიდატო ნაშრომი, გვ. 46-47.

[39] ი. ადამია, დასახ. ნაშრომი, გვ. 33 და შემდეგ.

[40] დ. დიასამიძე, წყალმომარაგების საკითხი საქართველოში, ჟურნ. „მეცნიერება და ტექნიკა“, 1949, №9, გვ. 17.

[41] ა. ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, ტფ., 1938, გვ. 167.

პროფ. გ. გეგეშიძის განმარტებით, აეტორი აქ უნდა გულისხმობდეს სვანების საირიგაციო მოღვაწეობას შუა იმერეთში და ქართლში[42]. სვანეთის ეთნოგრაფიულ და აგრობოტანიკულ მასალებზე საგანგებო დაკვირვების შედეგად, პროფ. გ. გეგეშიძე იმ დასკვნამდე მივიდა, რომ „ირიგაციას თვით ზემო სვანეთის პირობებშიც გაუვლია განვითარების გზა მარტივიდან (წყარო-ნაკადულები) რთულ ფორმამდე (არხების ტრასული სისტემა). თავისთავად ამას ის მნიშვნელობაც აქვს, რომ მთის ირიგაციის ეს სახეობა შეიძლება განხილულ იქნას, როგორც საერთოდ მორწყვის ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე ადრინდელი საფეხური და ამასთან ერთად, წინამორბედი ფორმა ბარის ირიგაციისა[43].

სვანთა სამეურნეო ცხოვრებაში წყალს და მის სადინარ არხებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდათ აგრეთვე, მექანიკური ენერგიის წყაროს წისქვილის ასამუშავებლად. მათ ადრიდანვე მოხერხებულად ჰქონიათ გადაწყვეტილი მდინარეების, მათი შენაკადების, ხეეებისა და წყაროს წყლებიდან ყველაზე ოპტიმალური არხების გაყვანა რაც, ტექნიკური თვალსაზრისით დიდ ცოდნასა და ხანგრძლივ პრაქტიკულ გამოცდილებას თხოულობდა. სვანეთის ეთნოგრაფიული და ენობრივი მონაცემების მიხედვით ამ დარგსაც უაღრესად შორეული ფესვები აქვს და განვითარების მაღალი ნიშნებით ხასიათდება[44].

სვანეთის ძველი წყალსადენების კვლევა ახლად დაწყებული მეცნიერული ღონისძიებაა. მათი შემდგომი შესწავლა საშუალებას მოგვცემს, ერთი მხრივ, ღრმად გავაშუქოთ ამ სახის ძეგლების საინჟინრო-ტექნიკური ნიშნები, ხოლო მეორე მხრივ, ავხსნათ ამ ნაგებობათა მშენებლობა-სარგებლობასთან დაკავშირებულ საწარმოო ურთიერთობათა კონკრეტული ოვისებურებანი და მფლობელობის საკითხები, რასაც თავის მხრივ დიდი მნიშვნელობა აქვს ამ კუთხის სოციალ-ეკონომიური ურთიერთობის განვითარების სურათის აღსადგენად. დღეისათვის ჩვენს ხელთ არსებული მასალები ამ თვალსაზრისითაც არ არიან ინტერესმოკლებულნი: ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ სამ შემთხვევაში, მარცხან-ლეხთაგის, გუგვაშ-ჟამუშისა და იფრარის წყალსადენები საზოგადოების საკრებულო ადგილზე – „სვიფ"-ზე გამოდიან[45]. უნდა ვიფიქროთ, რომ აღნიშნული და სხვა მათი ანალოგიური წყალსადენები ამა თუ იმ სოფლის (უბნის) საერთო საკუთრებას შეადგენდა მსგავსად სარწყავი წყლით სარგებლობის შესახებ არსებული საერთო-ქართული ადათჩვეულებებისა, რომელთა მიხედვითაც, ბუნებრივად მომდინარე წყალი არავის დაეკავებოდა, მაგრამ რუს გაყვანის შემდეგ წყალი ეკუთვნოდა იმ სოფელს, რომელმაც იგი გაიყვანა. ასე, რომ სოფლის წევრებს წყალსადენით სარგებლობის უფლებას ანიჭებდა მისი მშენებლობისა და მოვლა-

---

[42] მ. გ ე გ ე შ ი ძ ე, სარწყავი მიწათმოქმედება საქართველოში, გვ. 120.

[43] მ. გ ე გ ე შ ი ძ ე, სარწყავი მიწათმოქმედება საქართველოში, გვ. 130.

[44] მ. ჩ ა რ თ ო ლ ა ნ ი, მარცელეულის საფქვავის საკითხისათვის სვანეთში, საქ. სახ. მუზეუმის XIV სამეც. სესიის მოხსენებათა თეზისები, თბ., 1969. გვ. 7-10.

[45] სვ. „სვიფ"-ის შესახებ დაწვრილებით იხ. რ. ხ ა რ ა ძ ე, ალ. რ ო ბ ა ქ ი ძ ე, სვანეთის სოფელი ძველად, თბ., 1969, გვ. 22.

პატრონობისათვის გაწეული შრომა. სვანეთშიაც, წყალსადენების მფლობელობის ასეთი ფორმა მათი მშენებლობის საზოგადოებრივი ხასიათით უნდა იყოს განპირობებული. კერამიკული წყალსადენების მშენებლობა მოითხოვდა მძიმე და შრომატევადი სამუშაოების შესრულებას, რომლის უზრუნველყოფა ცალკეული პირებისა და ოჯახებისათვის აღვილად ხელმისაწვდომი არ შეიძლებოდა ყოფილიყო, მითუმეტეს, რომ მშვიდობიანობის პერიოდში ინდივიდუალური მფლობელობისათვის ასეთი წყალსადენების მშენებლობა არ ჩანს მაინც და მაინც აუცილებელი. ისინი ერთიანად საჭირო და სასურველი იყო სოფლის მთელი მოსახლეობისათვის. ანგარიშგასაწევია ისიც, რომ სვანეთის წყალსადენების ტრასები სხვადასხვა პირის კურძო საკუთრებაში არსებული სახნავ სათესი თუ სათიბი მიწის ნაკვეთებზე გადიან და მათი მფლობელებისაგან წყალსადენის მშენებლობისათვის საჭირო ნებართვის მიღება სოფლისათვის უფრო ადვილად მისაწვდომი ჩანს, ვიდრე ცალკეული ოჯახებისათვის. საქართველოში ამგვარი საკითხების გადაჭრა, როგორც ჩანს, დიდ სიძნელეებთან დაკავშირებული, საკმაოდ რთული და მნიშვნელოვანი პრობლემა იყო. ამიტომაც იგი სათანადოდ აისახა ძველ ხალხურ ადათობრივსა და სახელმწიფო-საკანონმდებლო სამართალში. XVIII ს. დასაწყისის ვახტანგ VI სამართლის 244-ე მუხლის მიხედვით, „რუს გაყვანის დროს, თუ შუაში სხვისი მამული უდევს, იმ შუას – მამულის პატრონს არა გაუკეთდება რა, ფასი უნდა მიცეს, თუ იმასაც გაუკეთდება რამე, კარგად შერიგდნენ[46]“.

ჩვენი წინასწარი ვარაუდით, სვანეთის კერამიკული წყალსადენები შეიქმნა ამა თუ იმ სოფლის (უბნის) მოსახლეობის ერთობლივი შრომით და მათი მოელა-შენახვაც საეროო ზრუნვის საგანს შეადგენდა. ეს ტრადიცია, როგორც ჩანს, დიდხანს შემორჩა ეთნოგრაფიულ ყოფაში. ამასვე უნდა მიგვანიშნებდეს მაგალითად სოფ. ლანჩვალში დღემდე მოქმედი ძველი წყალსადენების მოელა-სარგებლობის საზოგადოებრივი ხასიათი და მასთან დაკავშირებული ადათობრივი წესები.

ამასთანავე, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ჩვენს ხელთ არსებული სოგიერთი მასალა თითქოს წყალმომარაგების ნაგებობათა საკუთრება-გამოყენების კერძო ხასიათზეც მიგვითითებს. ამგვარად შეიძლება აიხსნას სოფ. მულახში, მარგიანების საცხოვრებელ კომპლექსში ჩართული წყარო და გუგუაშ-უამუშის ტრასიდან ორი განტოტების გამოყოფა, რომლებიც „სოხაშა“ (ა. ნაველიანისა) და „თახუშა“ (გ. ნაველიანის) კარმიდამოსკენ მიემართებიან. დღეისათვის ჩვენ ჯერ კიდევ არა გვაქვს საშუალება ვამტკიცოთ თავიდანვე არსებობდა ეს განტოტებები, თუ გაიყვანეს მას შემდეგ, როცა აღნიშნული სამოსახლეობა ცალკე გამოეყო უამუშის სეიფის მომიჯნავე ტერიტორიას, სადაც ამ წყალსადენის მთავარი ტრასა შედის. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს აგრეთვე ლებლციდეშ-ლეხთაგის ქვითინაგები, დახურული არხი. როგორც უკვე ითქვა, ეს ტრასა ქრონოლოგიურად უფრო ადრინდელია, ვიდრე იქვე განლაგებული კერამიკული წყალსადენები, რომელთა მშენებლობის ხანაშიც აღნიშნული

[46] ქართული სამართლის ძეგლები, ი. დ ო ლ ი ძ ი ს გამოცემა, თბ., 1963, გვ. 543.

ტრასა საბოლოოდ მოშლილა და შემდეგ მისი განახლებისთვის (ან კერამიკული მილსადენით შეცვლისათვის) არავის არ უზრუნია. ლალციდაშ-ლეხთაგის არხი სასმელი წყლით ამარაგებდა ხერგიანების უბანს[47]. როგორც ეს ეთნოგრაფიული მასალებით ირკვევა, აქედან მოხდა ხერგიანების გვარის სხვადასხვა განაყოფი შტოს განსახლება იმავე ლეხთაგის ტერიტორიაზე და სოფელ ლანჩვალში[48], რაც საშუალებას იძლევა გამოვთქვათ ვარაუდი, რომ ლალციდაშ-ხეთაგის ტრასის მოშლა შეიძლება ხერგიანების საძმოს (პატრონიმიის) გაყოფასთან და ეკონომიურ დასუსტებასთან იყოს დაკავშირებული მულახისა და მესტიის წყალსადენების სოგიერთი ტრასის კერძო მფლობელობის საკითხებზე უფრო დაბეჯითებით შეიძლება ვიმსჯელოთ მხოლოდ მათი არქეოლოგიური გამოკვლევის შემდეგ.

სასმელი წყლის მფლობელობისა და გამოყენების საკითხებთან დაკავშირებით საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ლალციდაშის წყაროები, რომლებიც თითქმის თანაბარი მანძილით არიან დაცილებულნი ლეხთაგის, სეტისა და ლანჩვალის სოფლებიდან, ერთნაირი უფლებით ჩანს გამოყენებული სამივე სოფლის მიერ, უნდა ვიფიქროთ, რომ წყალსადენების შექმნამდე ლალციდაშის წყაროები მესტიის სასოფლო თემის საერთო საკუთრებას შეადგენდა, რასაც მხარს უჭერს აგრეთვე წყლის საკუთრების შესახებ სვანური ადათური სამართლის ნორმები.

წყლის მფლობელობა სვანეთში დაკავშირებული ჩანს მიწის მფლობელობის საკითხებთან, ეს უკანასკნელი კი დღემდე არ არის საგანგებოდ შესწავლილი, ამიტომ ახლად აღმოჩენილი კერამიკული წყალსადენების მეპატრონეობის საკითხის განსაზღვრის დროს სათანადო სიფრთხილეა საჭირო და, ამიტომ ჩვენც ამჯერად ამაზე სიტყვას არ გავაგრძელებთ. დღეისათვის ჩვენს ხელთ არსებული მასალები მაინც გვაძლევს თუნდაც სამუშაო ჰიპოთეზის გამოთქმის საშუალებას, რომლის მიხედვითაც, სვანეთის ძველი წყალმომარაგების ნაგებობანი უპირატესად მაინც ცალკეული სოფლების ან უბნების საზოგადო საკუთრებას შეადგენდნენ.

ამრიგად, ჯემო სვანეთში დამოწმებულ ძველი წყალმომარაგების საშუალებათა მრავალფეროვნება და მათი გავრცელების ტოპოგრაფია ამ საქმის ადგილობრივი განვითარების უძველეს ფესვებთან ერთად მის საზოგადოებრივ ხასიათზეც მეტყველებს. დღეისათვის ჩვენს ხელთ არსებული ყველა სახის მასალა საფუძველს გვაძლევს ვამტკიცოთ, რომ საქართველოს ამ მაღალმთიან კუთხეს გააჩნდა კონკრეტულ სამეურნეო-გეოგრაფიულ პირობებთან შეგუებული, თავისი დროისათვის მოწინავე ჰიდროტექნიკური კულტურა. ცხადია, ეს დარგი ცალკე არ ვითარდებოდა, ტექნიკურად სრულყოფილი წყალმომარაგების ნაგებობათა შექმნა

---

[47] ხერგიანების ძველი საცხოვრებელი კომპლექსის დახასიათებისათვის იხ. მ. ჩართოლანი, ძველი საცხოვრებელი კომპლექსები სვანეთში, საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ. XXVI-ბ, 1970, გვ. 218.

[48] რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 31; მ. ჩართოლანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 225-226.

თაკისთავად გულისხმობს მათი ავტორების მიერ სამთო-გეოლოგიური, სამშენებლო და სამეთუნეო საქმის დიდ ცოდნას.

ეს ძეგლები აშკარად მიუთითებენ, ერთი მხრივ, განვითარებულ შუასაუკუნეებში სვანეთის მოსახლეობის დიდ მატერიალურ შესაძლებლობებსა და გაზრდილ სანიტარულ-ჰიგიენურ მოთხოვნილებას, ხოლო მეორე მხრივ, წყლის მოპოვება-მიწოდების პრაქტიკული ხერხების დიდ ცოდნას, რაც ამ კუთხის მოსახლეობის საერთო კულტურის შესაფერის, მაღალ დონეზე იდგა.

სვანეთში ახლად აღმოჩენილი წყალმომარაგების უძველესი ნაშთები, მსგავსად ამ კუთხის მატერიალური კულტურის სხვა ძეგლებისა, წარმოგვიდგება, როგორც ძველი ქართული საინჟინრო ხელოვნების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი, იგი საუკეთესო საბუთია ძველი საქართველოს მთიანი პერიფერიების მოსახლეობის ტექნიკური ცოდნისა თუ კულტურულ-ეკონომიური დონის მაღალ განვითარებულობისა და საქართველოს კულტურულ ცენტრებთან მათი მჭიდრო ურთიერთობისა. ამ ძეგლების გამოვლინება-შესწავლა და მოსახლეობისათვის გასაცნობად გამოფენა არქეოლოგთა და აღგილობრივი მუზეუმების მუშაკთა საპატიო მოვალეობაა.



ლაჭლციდაში. ქვითკირის წყალგამყოფი არხი. მარცხნივ ლაჭლციდაშ–ლეხთაგის ტრასა.




ლაბლციდაში. ქვითკირის წყალგამყოფი არხი. ლაბლციდაშ-სეტის ტრასა.




ლაბლციდაში–სეტის კერამიკული წყალსადენის სათავე.

ტაბ. IV$_1$.



ტაბ. IV$_2$.



მესტიის წყალსადენის ნაწილები: IV$_1$ – კერამიკული მილები. IV$_2$– ლაბლციდაშ–ლანჩავალის ტრასის ფრაგმენტები.

შ. ჩართოლანი

# სვანეთის არქეოლოგიური დაზვერვა 1971 წ.

1971 წლის აგვისტოში მოეწყო მესტიის ტერიტორიის მორიგი არქეოლოგიური დაზვერვა. წინასწარი გეგმის შესაბამისად შესრულებული იქნა შემდეგი სამუშაო:

I. აღირიცხა საკელეე ტერიტორიაზე სხვადასხვა დროს შემთხვევით აღმოჩენილი და მოსახლეობაში გაბნეული არქეოლოგიური მასალები (ადრე, შუა და გვიანი ბრინჯაოს ხანის იარაღები, სპილენძის სოდები: უცხოური და ადგილობრივი მონეტები, სხვადასხვა დროსა და წარმომავლობის მძივ-სამკაული. რკინის საბრძოლო და სამეურნეო იარაღები, სანაყი როდინები და ხელსაფქვავები, რკინის სადნობი ღუმელის კეთილი თიხის საქშენი მილები, წყალსადენის მილები და სხვა). დაზუსტდა ბევრი მათგანის აღმოჩენის ადგილი და პირობები.

II. შემთხვევითი აღმოჩენის ადგილების ზედაპირული დათვალიერებისა და მცირე გათხრების მეშვეობით გაირკვა რიგი ძეგლების საერთო ხასიათი. მათ შორის განსაკუთრებით ყურადღებას იქცევენ:

1. ადრე და შუაბრინჯაოს ხანის ძეგლები (ამჟამად დანგრეული) – ლასილის ხეობაში, ადგილი "წიფნი", "ლარილარი".
2. გვიანი ბრინჯაოს ხანის მეტალურგიული მოედანი და ნასახლარი სკარეშის გორაზე და სოფელ იფრარში (კალას სახ. საბჭო).
3. გვიანი ბრინჯაოს ხანის კულტურული ფენების შემცველი პუნქტები მდ. ნაკის ხეობაში.
4. რკინის მეტალურგიული საწარმოს ნაშთები ჭუბერის ხეობაში, გაღმა ხაიშში, დიზში და ქვემო იფარში.
5. ადრე და შუაფეოდალური ხანის საფორთიფიკაციო ნაგებობათა ნაშთები ჭუბერში, ხაიშში, იდლიანში, კვაკეაში და ხუბერში.
6. შუასაუკუნეების კერამიკული წყალსადენები: სოფ. კალაში, „ქართლაშ", მულახში და შდიხირში.
7. სამთამადნო გამონამუშევრები მესტიისა და ნარის ხეობებში.

სვანეთში დღემდე გამოვლენილი არქეოლოგიური მასალები და ძეგლები წარმოგვიდგენენ ამ მხარეში ცხოერების უწყვეტ ჯაჭვს ადრებრინჯაოს ხანიდან დაწყებული. ვიდრე გვიანფეოდალური ხანის ჩათვით.

III. აღრიცხულ იქა არქეოლოგიური ძეგლები, რომლებიც სხვადასხვა მიზეზებით საიანდებიან და საჭიროა დაუყოვნებლივ იქნენ აყვანილი დაცვაზე ქვედა მარღის „ნალხვამ" – ჭუბერის ხეობაში, სვარეშისა და იფრარის ბორცვები სოფ. კალაში; „კერამიკული საწარმო" სოფ.

*დაიბეჭდა: არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში 1971 წელს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, „მეცნიერება", თბილისი 1972, გვ. 70-71.

სეშკილდში; ლარილარის სამაროვანი, მეტალურგიული მოედნები და ქვედა მარლის „ნალხვამ" – ჭუბერის ხეობაში. კავკასია და ხუბერის ნაცხარები-ენგურჰესის მშენებლობის ტერიტორიაზე და სხვა.

IV. ენგურჰესის სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებით სასწრაფოდ უნდა მოეწყოს ჯვარი-ხაიშის ტერიტორიაზე არქეოლოგიური დაზვერვა. ასეთივე სამუშაოს ჩატარება აუცილებელია აგრეთვე მდ. საიშერას ხეობაში.

Ш. ЧАРТОЛАНИ

## АРХЕОЛОГИЧЕСКИЕ РАЗВЕДКИ В СВАНЕТИИ в 1971 году

В августе 1971 года на территории Сванетии производились очередные археологические разведки. По предварительно выработанному плану были выполнены следующие работы:

I. В Местийском районе был собран и зафиксирован археологический материал, случайно обнаруженный местным населением: орудия и оружия а также медные слитки ранней, средной и поздней бронзы; местные и привозные монеты, украшения различного происхождения и времени, железные боевые и хозяйственные орудия, каменные ступки и зерноторки; водопроводные и воздухонагнетательные керамические трубы для металлоплавительных печей и т. д. Уточнены место и условия находок различных предметов.

II. В результате разведок и небольших раскопок был определен общий характер ряда памятников, среди которых особого внимания заслуживают:

1. Памятники ранней и средней бронзы в ущелье Ласили, в местностях «Ципии», «Ларилари».

2. Металлургическая площадка и селище (?) поздней бронзы на Скаареши и в с. Ипрари (Кальский сельсовет).

3. Пункты с культурными слоями поздней бронзы в ущелье р. Наки.

4. Остатки металлургического производства в ущелье Чубери, Гагма-хаиши, Дизи и Квемо – Ипари.

5. Остатки фортификационных построек ранней и среднефеодальной эпох в Чубери, Хаиши, Идлиани, Кваква и Хубери.

6. феодальные керамические водопроводы в Кала, Мулахи, ленджери, Местия, Шдихири.

7. Горнорудные выработки в ущельях Наки и Местия.

Археологический материал и памятники, выявленные нами в Сванетии, указывают, что на ее территории, начиная с раннебронзовой эпохи включительно до позднефеодальной эпохи, неразрывно протекала трудовая деятельность человека.

* Напечатано в: Археологические исследования в Грузии в 1971 году, Институт истории, археологии и этнографии им. И. А. Джавахишвили, Академия наук Грузинской ССР. "Мецниереба", Тбилиси 1972, стр. 138-139.

III. Взяты на учет археологические памятники, которые по разным причинам подвержены разрушению и требующие систематических археологических раскопок. К их числу относятся холмы Скареши и Ипрари в с. Кала, остатки керамического производства в Хешкили, могильник Ларилари, металлургические площадки и Налхвам в ущелье Чубери, развалины крепостных сооружений Кваква и Хубери на территории Ингури ГЭС и др.

IV. В связи с дорожными работами, которые ведутся Ингури ГЭС, необходимо срочно провести археологическую разведку на территории Джвари-Хаиши. Обследование необходимо распространить и на ущелье р. Хаишура.

ბ. ბრიბულია, ნ. ოქრეპირიძე, ვ. ჯაფარიძე
ვ. ყირღვაცა, შ. ჩართოლანი

# დასავლეთ საქართველოს საძიებო-არქეოლოგიური ექსპედიციის 1971 წ. ჩატარებული მუშაობის შედეგები

დასავლეთ საქართველოს საძიებო-არქეოლოგიურმა ექსპედიციამ საანგარიშო წელს, მდ. რიონის ქვემო წელს და მის შენაკადთა ხეობებში, არაერთი საველე სამუშაოები ჩაატარა.

საძიებო სამუშაოების პარალელურად ექსპედიციამ ყურადღება გაამახვილა 1966-1970 წლებში მიკვლეულ ზოგიერთ მნიშვნელოვან ძეგლზე, რომელთა წინასწარულმა შესწავლამ მოითხოვა ამ პუნქტებში, მცირე მაშტაბის გათხრითი სამუშაოების ჩატარება, ასეთი ნამოსახლარი ბორცვებია: „ნამარნუ", „ორპირი" (აბაშის რაიონი), „საგეიჩიო", „სერია ჩქონი", „ტაბ ნაოხორუ" და „ნოქალაქევი" (ცხაკაიას რაიონი).

ნამარხუს ვრცელ ნამოსახლარზე, რომელიც შედგება ცენტრალური ბორცვისა და სამი კონუსური შემაღლებისაგან გაიჭრა სამი საცდელი თხრილი: ორი ცენტრალური და ერთი ჩრდილო შემაღლებაზე.

გაირკვა, რომ ნამასხუს ნამოსახლარი წარმოადგენს ორი თხრილითა და ქვის გალავნით შემოზღუდულ (ჩრდილოეთიდან მაინც), კარგად სტრატიფიცირებულ ძეგლს, რომლის წიაღში დაცული კულტურული ფენები საკმაოდ ფართო ქრონოლოგიური დიაპაზონისაა. ჯერჯერობით, ნამარნუს უძველესი ფენა ძვ. წ. IX-VIII საუკუნეებით უნდა დათარიღდეს, სოლო მოგვიანო ფენა ახ. წ. პირველ საუკუნეებით.

ძეგლის მაშტაბების, საგანგებო გამაგრებისა და მოპოვებული მასალების გათვალისწინებით ნამარნუს გორა ნამოსახლარის სახით ქალაქური ტიპის დასახლებასთან უნდა გექონდეს საქმე.

ანალოგიური სამუშაოები ჩატარდა მდ. რიონის და ცხენის წყლის შესართავთან ადგილ ნაჩხეტაო-ორპირში. ეს უკანასკნელი თავისი

*დაიბეჭდა: არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში 1971 წელს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, „მეცნიერება", თბილისი 1972, გვ.

ტოპოგრაფიით საოცრად ემსგავსება აგათიას მიერ რომაელთა ჯარის სადგომის „ნესოსი“-ს აღწერილობას. აღნიშნულ პუნქტში დადასტურდა ელინისტური ხანის ქვეყრსამარხებისა და ადრე შუასაუკუნეების ნამოსახლარი ფენის ნაშთების არსებობა.

ქ. ცხაკაიასთან ადგილი ბატნაოხორუში (ბატის ნამოსახლარი) ექსპედიციამ შეისწავლა დასიანებული ქვეყრსამარხები, მასალების (კერამიკული ქოთნებით, მინის ინკრუსტირებული მძივები, ბრინჯაოს სურგასნექილი სამაჯურები, გაფრენილი ბატისა და ფრთოსანი ცხენის გამოსახულებიანი ფარაკიანი ბეჭდები, რკინის ყუაკეერიანი წალდი, კოლხური ნახევარდრაქმიანი და სხვა.) მიხედვით ქვეყრსამარხები წინასწარულად ძვ. წ. IV-III საუკ. თარიღდებიან.

ნოქალაქეში ექსპედიციამ მცირე თხრილით მოშინჯა, შუა გალავნის სრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში მდებარე კოშკი, სადაც გამოყლინდა ადრეშუასაუკუნეებისადმი მისაკუთვნებელი მასალის შემცველი ფენები. გარდა ამისა, სედა ციხის შუა ეზოში გაითხარა მიცვალებულის მეორადი დაკრძალისათვის განკუთვნილი, კირხსნარის სახურავიანი ერთი ქვეყრსამარხი. მიცვალებულის ნაწილთან ერთად ნახული ბრინჯაოს წვრილი მავთულისაგან ნაკეთები (დასიანებული), სერგასნექილი სამაჯურისა და თვით ქვეყრის ხასიათის მიხედვით სამარხი გვიან ელინისტური ხანით თარიღდება.

ექსპედიციამ კიდევ ერთხელ მიაკითხა 1967-1968 წლებში მიკვლეულ სოფ. საგვინიოს ბორცვების ჯგუფს, სადაც სამი ახალი გორა-ნამოსახლარი იქნა გამოვლენილი. ამ ძეგლებიდან მომდინარე მასალები ადრეანტიკური და ელინისტური ხანით თარიღდებიან.

ამჟამად სოფ. საგვინიოს მახლობლად, ტყეში რიონ-ფიჩორის ორმდინარეთს შუა, ერთი კილომეტრის რადიუსის ფართობზე, მიკვლეულია რეა ნამოსახლარი ბორცვი, რაც თავისთავად საგულისხმო ფაქტია.

ექსპედიციამ აგრეთვე დაზვერა ლანჩხუთის რაიონის ფიჩორისპირა ტყეები და აქაც რამოდენიმე გორა-ნამოსახმარი გამოავლინა.

სამწუხაროდ, უამინდობისა და ჩვენგან დამოუკიდებელი სხვა მიზეზების გამო საანგარიშო წელს ვერ მოხერხდა სენგდიდის რაიონის დაზვერვები.

შ. ჩართოლანი

# საქართველოს უძველესი „ბრტყელი ცულების" შესწავლისათვის*

ლითონის უძველესი „ბრტყელი ცული" ბრინჯაოს მეტალურგიის განვითარების ადრეულ საფეხურზე შექმნილ ნიყთიერ მასალებს შორის ერთ-ერთი უმთავრესი და წამყვანი სახეობის იარაღია. მისი ასეთი სახელწოდებით წარმოდგენა მეტად პირობითია, მაგრამ ამაზე ქვემოთ გვექნება საუბარი.

საქართველოში ამ ტიპის იარაღი სხვადასხვა დროს და განსხვავებულ პირობებშია გამოვლენილი. ზოგი მათგანი შემთხვევითაა ნაპოვნი: სამხერეში[1] (ტაბ. I, 1), აფხაზეთში[2] (ტაბ. II, 1). სამეგრელოში[3] (ტაბ. II, 2), თრიალეთში[4] (ტაბ. I, 5), ახალციხეში[5] (ტაბ. I, 4), დიღომში[6]. ზოგი კი არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი ძეგლების კომპლექსებში შედის, ასეთებია: ნადარბაზევში[7], ბედენისა[8] და ქვემო სარალის[9] გორასამარხებში ნაპოვნი ბრტყელი იარაღები (ტაბ. II, 4) და ქვაცხელების უძველეს ნასახლარზე ნაპოვნი ასეთივე იარაღის ჩამოსასხმელი ქვისა და თიხის ყალიბები[10].

ამიერკავკასიის სხვა მონაპოვრებიდან შეიძლება დავასახელოთ აგრეთვე კიროვაკანში გამოვლენილი ერთი იარაღი. ანალოგიური იარაღები ღიდი რაოდენობითაა ნაპოვნი ჩრდილო კავკასიაში, სადაც მათი

---

* დაიბეჭდა: მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, 'მეცნიერება", V, თბილისი 1973, გვ. 116-124.

[1] Б. А. К у ф т и н, Археологические раскопки в Триалетии, Тб., 1941, Табл. 10, 6.

[2] Ю. Н. В о р о н о в, Археологическая карта Абхазии, Сухуми, 1961, Табл. XLVI, 13.

[3] ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ფონდები, ინვ. №32.

[4] Б. А. К у ф т и н, К вопросу о древейших корнях грузинской культуры на Кавказе по данным археологии, ტაბ. II-2.

[5] Т. Н. Ч у б и н и ш в и л и, Т. И. Т а т и ш в и л и, О. С. Г а м б а ш и д з е, Археологические разведки в южных районах Грузии в 1953-1955 гг. СА, №4, 1957, рис. 3-7.

[6] სათანადო ცნობა მოგვაწოდა გ. გობეჯიშვილმა, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებთ.

[7] გ. გობეჯიშვილის მიერ აღმოჩენილი, ინახება საქ. სახ. მუზეუმში, საექსპ. კარადა. №XXI, 13.

[8] გ. გ ო ბ ე ჯ ი შ ვ ი ლ ი, ბედენის აკლდამა, ჟურნ. „ძეგლის მეგობარი", №12, 1967; მეორე ასეთივე იარაღი გ. გობეჯიშვილის მიერ 1970 წელს ნაპოვნია ბედენის №10 ყორღანში.

[9] ექსპონატის გაცნობისა და სათანადო ცნობების მოწოდებისათვის მადლობას მოვახსენებთ პროფ. ო. ჯაფარიძეს და ისტ. მეცნ. კანდ. ლ. ღლონტს.

[10] ალ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ლ. ღ ლ ო ნ ტ ი, ურბნისი, თბ., 1964, ტაბ. IV, 290.

გაერცელების უკიდურესი ჩრდილოეთი საზღვარი მდ. ოკამდე აღწევს[11]. კავკასიის გარეთ, ამ ტიპის იარაღების სხვადასხვა ვარიანტები ფართოდ იყო გავრცელებული ეგვიპტის[12], წინააზიისა[13] და დასავლეთ ევროპის ბევრ ქვეყანაში[14]. ამ ფაქტის გამო ცნობილი მეცნიერი ა. ტულეგარენი შენიშნავდა, რომ მეტად ძნელია განსაზღვრო მათი გავრცელების ეთნიკური და გეოგრაფიული ნიშნები[15].

საქართველოს ამ ტიპის იარაღების აღმოჩენათა, იმ შემთხვევების გარდა, რაც დღემდე გამოქვეყნებულ ლიტერატურაშია შესული, საყურადღებოა აღინიშნოს აგრეთვე, ანალოგიური იარაღების აღმოჩენები სვანეთში. ნარატიული ცნობების მიხედვით სვანეთში ექვსი ასეთი შემთხვევაა ცნობილი, მაგრამ დღეისათვის მხოლოდ სამი იარაღის მიგნება გახდა შესაძლებელი. ერთი მათგანი (ტაბ. I, 3), ინახება მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. გარდა იმისა, რომ იგი იფარის თემიდან ჩანს აქ შემოსული, სხვა ცნობები მისი აღმოჩენის პირობების შესახებ სამუზეუმო ჩანაწერებში არ მოიძებნება. მეორე ცალი (ტაბ. I, 2) ჩვენ გადმოგვცა იფარის თემის სოფ. ზეგანში მცხოვრებმა მიხაკო კოსტას ძე სვისტანმა, რომელსაც ეს იარაღი უპოვნია 1942 წ. ღასილის ხეობაში ოქროს ძიების დროს, ბრინჯაოს ყუადაქანებულ ცულებთან და ზოდის ნატეხებთან ერთად. მესამე იარაღი ნაპოვნია ქვემო სვანეთში ლენტეხის რაიონის სოფ. ნანარში, იქვე მცხოვრებ ჯუმბერ კურასპედიანის მიერ (ტაბ. II, 3).

სამივე ნიმუში ზოგადად ერთი და იმავე სახეობის იარაღს განეკუთვნება და ძირითადად ერთნაირი ტექნიკური ნიშნებით ხასიათდება. ამასთან, ქვემო სვანეთის იარაღი განსხვავდება კიდევაც მეტი მასიურობითა და მნიშვნელოვნად ფართო სამუშაო პირით. სვანეთის მონაპოვართა ტიპოლოგიურ-ქრონოლოგიური ადგილის განსაზღვრისათვის საკმაოდ კარგი შესადარებელი მასალა მოგვეპოვება ზემოთ აღნიშნული, სპილენძ-ბრინჯაოს ბრტყელი „ცულების" სახით, რომლებიც ბრინჯაოს მეტალურგიის განვითარების ადრეულ საფეხურზე არიან დამზადებული. როგორც ქვემოთ მოტანილი ტაბულიდანაც ჩანს, ზემო სვანეთის მონაპოვრები განსაკუთრებით ახლო დგანან ჯერ საჩხერისა (ტაბ. I, 1), და შემდეგ, კოლხეთის ბარში აღმოჩენილ ნიმუშებთან (ტაბ. II, 1, 2).

---

[11] P. Rau, Noue Funde aus Hekorgraberndas Noega-deutschen Gebiets, ESA, V, IV, Helsinki, გვ. 49, ტაბ. 9[2] 1; В. В. Г о л м с т е н, Археологические памятники Саратовской губернии. Труды секции археологии, вып. IV, стр. 127; В. А. Г о р о д ц о в, Панфиловская палеометаллическая стоянка, Труды Владимирского областного музея, вып. 2, Владимир, 1926; А. А. И е с с е н, Хронологии «больших кубанских курганов», стр. 157, табл. I; Ж о ш х о ц, К вопросу о древней металлургии на Кавказе, ИГАИМК, 120, 1935, стр. 96, рис. 5, 3, 7.

[12] H. B o n n e t, Die waffen der völker das Alter Orient, Leizig, 1926. გვ. 24.

[13] J. G a r s t a n g, Prchistoris Mersin Yimux Tepe in Southern Tyrkeu, 1953, ტაბ. XXI a, სურ. 80-b. G. L. W o o l l e y, Ur excavations. vol. II. London, 1934, ტაბ. 226, s. 21.

[14] O. M o n t e l i u s, Die alteren kulturperioden in Orient und in Europa, Stokholm 1921, გვ. 181.

[15] A. M. T a l l g r e n, La Pontide prescythique, ESA, II, Helsinki, 1926, გვ. 1704.

საქართველოს ტერიტორიაზე, ჩვენთვის საინტერესო იარაღების აღმოჩენათა სიმრავლე და ფორმათა მრავალფეროვნება, თითქოს საშუალებას გვაძლევს მოვახდინოთ ამ ტიპის იარაღების უფრო ზუსტი კლასიფიკაციისა და ფუნქციონალური მნიშვნელობის დაზუსტების ცდა. ეს მით უმეტეს, რომ ამ საკითხებთან დაკავშირებით სპეციალურ ლიტერატურაში განსხვავებულ მოსაზრებასაც ეხვდებით.

როგორც უკვე ითქვა, ჩვენში ასეთი იარაღებისა და ყალიბების აღმოჩენებმა უკანასკნელ ხანებში მნიშვნელოვან რაოდენობას მიაღწია. მათი უმრავლესობა უკვე გამოქვეყნებულია ცალ-ცალკე და სხვადასხვა ავტორების მიერ, ახლად აღმოჩენილი კომპლექსების ან ამა თუ იმ მიკრორაიონის არქეოლოგიური ძეგლების გამოკვლევასთან დაკავშირებით. საქართველოს მონაპოვრებიდან,არქეოლოგიურ ლიტერატურაში პირველად გამოქვეყნდა 1929 წელს საჩხერეში ნაპოვნი იარაღი (ტაბ. I, 1) ბ. კუფტინმა მას ეწო (тесло) უწოდა და თანხლებ ნივთებთან ერთად საჩხერის უძველესი სამარხების კომპლექსებს მიაკუთვნა[16]. ასეთივე სახელწოდებით მოიხსენიებს იგი მდ. ენგურის ქვემო დინებაში სოფ. მახარიაში (ჯვარში), ბრინჯაოს ყუამილიან ცულთან ერთად აღმოჩენილ ბრტყელ იარაღსაც (ტაბ. II, 2)[17].

ბ. კუფტინი საგანგებოდ იხილავს აგრეთვე, თრიალეთში სოფ. წინწყაროსთან შემთხვევით ნაპოვნ იარაღს (ტაბ. I, 4)[18], რომელსაც ვიწრო ბოლო მილისებურად აქვს ჩახვეული. ავტორის დაკვირვებით ამ დეტალს არ ეტყობა ტარის დაგების ნიშანი და არც ჩანს საამისოდ განკუთვნილი, ამიტომ მისი გამოყენება ცულის დანიშნულებით გამორიცხულია. ბ. კუფტინი უფრო იმ აზრისაა, რომ ეს უცნაური იარაღი ეწოს, ან ეგება ცულ-ეწოს წარმოადგენდეს[19]. თრიალეთური იარაღის ფორმა სრულიად ისეთივეა, როგორც ძველ ნუსაში (ჩრდ. მესოპოტამია) აღმოჩენილი, ძვ. წ. მე-15 საუკუნით დათარიღებული იარაღი. ასეთი მსგავსების გამო, ბ. კუფტინმა თრიალეთის იარაღიც შუაბრინჯაოს ხანას მიაკუთვნა[20].

საჩხერულ იარაღს არაერთგზის შეეხო ო. ჯაფარიძე, რომელმაც ამ ნიმუშს ადრებრინჯაოს ხანის ბრტყელი ცული უწოდა და აღნიშნა, რომ სხვა ამგვარი იარაღი ა/კავკასიაში ჩვენ არ მოგვეპოვება[21]. ასეთივე სახელწოდება მისცა ავტორმა 1968 წელს, შულავერში ქვემო სარალის №9 ყორღანში აღმოჩენილ იარაღს და კომპლექსთან ერთად ადრებრინჯაოს ხანით დაათარიღა[22].

---

[16] Б. А. К у ф т и н, Археологические раскопки в Триалети, стр. 5, рис. 10, 8.

[17] Б. А. К у ф т и н, К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе по данным археологии, საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე, XII, 1941, ტაბ. II, 2.

[18] Б. А. К у ф т и н, К вопросу о древейших корнях..., გვ. 308, სურ. 10-2.

[19] იქვე, გვ. 309.

[20] იქვე, გვ. 110. ტაბ. II, 2.

[21] О. М. Д ж а п а р и д з е, Бронзовые топоры Западной Грузии, CA, XVIII, 1953, стр. 202; მ ი ს ი - ე ე. ქართველ ტომთა ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურებზე, გვ. 150.

[22] ქვემო ქართლის 1969 წ. არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელის პროფ. ო. ჯაფარიძის ცნობა.

გ. გობეჯიშვილმა, რომელმაც ნადარბაზევისა და ბედენის გორა სამარხები შეისწავლა, აქ აღმოჩენილი ბრტყელი იარაღები ძეგლთან ერთად ძვ. წ. III ათასწ. დასასრულითა და II ათასწლეულის დასაწყისით დაათარიღა. ავტორი ამ იარაღს მხოლოდ პირობითად უწოდებს „ბრტყელ ცულებს“ და მიუთითებს მათ უპირატეს გამოყენებაზე, ხისა და ტყავის დამუშავების საქმეში[23].

არქეოლოგები ალ. ჯავახიშვილი და ლ. ღლონტი ქვაცხელების ნასახლარის ძირა ფენაში აღმოჩენილ ქვისა და თიხის ყალიბებს, სწორედ ბრტყელი ცულების ჩამოსასხმელად მიიჩნევენ და თანმხლებ მასალასთან ერთად ძვ. წ. III ათასწ. დამდეგით ათარიღებენ[24].

ბრტყელ ცულად მიაჩნია ავტორთა ერთ ჯგუფს (ტ. ჩუბინაშვილი, თ. ტატიშვილი, ო. ღამბაშიძე) ახალციხის მუზეუმში დაცული (შემოხვევით ნაპოვნი) იარაღი (ტაბ. I, 4). მათი აზრით ამ იარაღს მოხრილ ბოლოში ჰორიზონტალური ტარი ეგებოდა. ამავე ავტორების მიხედვით, ახალციხის იარაღი ურისა და ელამის ძვ. წ. IV-III ათასწლეულის იარაღებს უახლოვდება და ამიტომ იგი საქართველოს ბრტყელი ცულების უძველეს ნიმუშად მიიჩნიეს[25].

ამ უკანასკნელ ხანებში გამოქვეყნდა არქეოლოგ დ. ქორიძის ნაშრომი „საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული ბრტყელი ცულების კლასიფიკაციისა და გენეზისის საკითხისათვის“ (საქ. მუზ. მოამბე, XXVIII–B, თბ., 1969). ავტორი აქ გეიანბრინჯაოს ხანის ბრტყელ ცულებს განიხილავს, მაგრამ მათ გენეზისთან დაკავშირებით ზემოთ დასახელებულ იარაღებსაც ეხება და მათ „მარტივი ტიპის ბრტყელ ცულებს“ უწოდებს[26].

აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ ჩრდ. კავკასიის მონაპოვრები, რომელთა რიცხვი და გავრცელების არეალი მნიშვნელოვნად უფრო დიდია სხვადასხვა ავტორების მიერ ეწოდ (тесло), ცულ-ეწოდ ან იშვიათ შემთხვევაში ბრტყელ სატეხებად იწოდებიან[27].

საკვლევი იარაღების ასეთი დათარიღების მიმართ არქეოლოგიურ ლიტერატურაში დღემდე სერიოზული ეჭვი არ გამოთქმულა და ამიტომ, სვანეთის იარაღების განსაზღვრის დროს, ამ მონაცემებს ვენდეთ უშენიშვნოდ დაეყრდნობით.

---

[23] გ. გობეჯიშვილი, ახალი არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია, მოკლე ანგარიში, თბ., 1967, გვ. 32; მისივე, ბედენის აკლდამა, „ძეგლის მეგობარი“, №12, 1967 წ. გვ. 20.

[24] ალ. ჯავახიშვილი, ლ. ღლონტი, ურბნისი, I, გვ. 58.

[25] Т. Н. Чубинишвили, Т. Н. Татишвили, О. С. Гамбашидзе, Археологические разведки в южных районах Грузии в 1953-1955 гг. СА, №4, 1957, стр. 123.

[26] დ. ქორიძე, საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული ბრტყელი ცულების კლასიფიკაციისა და გენეზისის საკითხებისათვის. საქ. მუზ. მოამბე, ტ. XXVIII-B. 1969, გვ. 5 და შემდეგ.

[27] А. А. Иессен, К хронологии больших кубанских курганов..., мисивე. Прокубанский очаг металургии и металлообработки, МИА-23, 1951; мисивე. К вопросу о древней металлургии меди на Кавказе, изв. ГАИМК 120, М.-Л., 1935; Е. А. Крупнов, древняя испория Сев. Кавказа, М., 1960; Т. Б. Попова, Долмены станицы Новосвободной, М., 1963.

ზემო სვანეთის იარაღებისათვის, როგორც უკვე ითქვა, საქართველოს მონაპოვართა შორის ყველა'ზე ახლობელია საჩხერული იარაღი. ისინი მხოლოდ ზომის მცირეოდენი სხვაობით განირჩევიან ერთმანეთისაგან. ვეფიქრობთ არ შეცდებით თუ სვანეთის იარაღებსაც ზოგადად ძვ. წ. III ათასწ. მეორე ნახევრით დავათარიღებთ. ამ თარიღს მხარს უჭერს აგრეთვე, მათი აღმოჩენა საჩხერული ტიპის ვიწროტანიან ყუადაქანებულ ცულებთან ერთად. რაც შეეხება ქვემო სვანეთში აღმოჩენილ იარაღს, (ტაბ. II, 3) იგი საერთო მოყვანილობითა და ცალკეული დეტალების გაფორმებით ერთი მხრივ მოგვაგონებს ადრეული ტიპის ნიმუშებს, ხოლო მეორე მხრივ გვიანბრინჯაოს ხანის „ბრტყელ ცულებს". ამ უკანასკნელთან მას განსაკუთრებით აახლოებს სამუშაო პირის მოყვანილობა და ზომები, ამიტომ ქვემო სვანეთის მონაპოვარი რამდენადმე უფრო გვიანდელად უნდა მივიჩნიოთ.

დღეისათვის არ არის დადგენილი საკმარისი იარაღების გავრცელების საზღვრები, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ამჟამად არ გაგვაჩნია ამ ტიპის იარაღების შესახებ განმაზოგადებელი ნაშრომი. ავტორთა დიდი ნაწილი გვერდს უვლის მათი წარმო'შობისა და ჩამოყალიბების ფორმათა ურთიერთდამოკიდებულების გარშემო კონკრეტულ მსჯელობას და მიუთითებს მხოლოდ ზოგადი მსგავსების შესახებ ეგეიპტის, წინა აზიისა და დასავლეთ ევროპის ცალკეულ ქვეყნებში აღმოჩენილ იარაღებთან, მაგრამ 'სოგიერთ ავტორთან მაინც ვხვდებით საინტერესო ცნობებს ცალკეული იარაღების წარმომავლობის შესახებ. ასე მაგ., პროფ. ბ. კუფტინს თრიალეთში ნაპოვნი იარაღისათვის უშუალო პარალელებად მოაქვს ძველ ნუ'საში და უნგრეთში აღმოჩენილი ნიმუშები, მისივე აზრით დუნაისპირეთში ეს იარაღი შესულია მესოპოტამიიდან ა/კავკასიის გავლით[28]. ავტორთა ერთი ჯგუფი თრიალეთურ იარაღებს, ახალციხის მუ'ზეუმში დაცული იარაღის განვითარებულ ფორმად მიიჩნევს[29]. ბ. კუფტინისაგან მოსაზრებით ბრტყელი იარაღების ფორმა ქვის წინამორბედი იარაღებისაგანაა გადმოღებული[30]. ჩრდილო კავკასიის ძეგლების განხილვასთან დაკავშირებით, ანალოგიურ მოსა'სრებას გამოთქვამენ ა. იესენი[31], ნ. მუნჩიევი[32], ტ. პოპოვა[33] და სხვა მკვლევრები. როგორც ვხედავთ, სპილენძის ბრტყელი იარაღების გენეტიკური კავშირი, უფრო ადრეული ხანის ქვის იარაღებთან სადავო არ არის, მაგრამ მათი შემდგომი განვითარების დინამიკა შუაბრინჯაოს ხანის გვიანდელ ძეგლებში ანალოგიური იარაღის უქონლობის გამო არ არის გარკვეული.

იარაღის ფორმათა განვითარება-სრულყოფის შესახებ უფრო კონკრეტულ ცნობებს გვაძლევენ ჩრდ. კავკასიის ძეგლების მკვლევრები.

---

[28] Б. А. Куфтин, К вопросу о древнейших корнях..., стр. 403.

[29] Т. Чубинишвили, Т. Татишвили, О. Гамбашидзе, დასახ. ნაშრ. გვ. 124-125.

[30] Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრ. გვ. 295.

[31] А. А. Иессен, К хронологии больших кубанских курганов, стр. 171.

[32] Г. М. Мунчаев, Древнейшая культура Северо-Восточного Кавказа, МИА, вып. 110, 1961, стр. 56.

[33] Т. Б. Попова, დასახ. ნაშრ. გვ. 31.

ა. იესენმა „ყუბანის დიდი ყორღანების“ კომპლექსების კლასიფიკაციის დროს გამოაყალიბა მათი ტექნიკურ-ქრონოლოგიური განვითარების სქემა, რომლის მიხედვით სვანეთისა და საჩხერის იარაღებისათვის ყველაზე ახლობელი ჩრდ. კავკასიური ნიმუშები მიიჩნია ამ ტიპის იარაღის რამდენადმე განვითარებულ ფორმად. რომელსაც წინ უსწრებს უფრო ფართოტანიანი და მოკლე, ნაკლებად დახვეწილი კონტურების მქონე ფორმები[34].

იარაღის კონსტრუქციული განვითარების ანალოგიური სურათი თითქოს საქართველოს მონაპოვრებშიც შეიმჩნევა. აქაც შეიძლება გამოიყოს ფორმათა ორი სახეობა და ოთხი ქვესახეობა[35].

I სახეობაში შეიძლება გავაერთიანოთ პირფართო და მოკლეტანიანი იარაღები, მათ შორის შეიძლება გამოიყოს: ა) სწორტანიანი (ნადარბაზევის, ბედენის, ქვემო სარალის ყორღანებში აღმოჩენილი იარაღები და ქვაცხელების ყალიბები) და ბ) თავმორგოლილი (თრიალეთში ნაპოვნი და ახალციხის მუზეუმში დაცული ნიმუშები).

II სახეობის იარაღებისათვის დამახასიათებელია მნიშვნელოვნად უფრო ვიწრო და გრძელი ტანი. მათში გამოირჩევა პირისაკენ ოდნავ გაფართოებული (საჩხერისა და ზემო სვანეთის მონაპოვრები) და სამკუთხედისებური ქვესახეობები (ზუგდიდისა და სოხუმის მუზეუმებში დაცული იარაღები).

დასახელებული იარაღების აღმოჩენათა ტოპოგრაფიის მიხედვით, I სახეობა ჯერჯერობით – სამცხისა და ქართლის დამახასიათებლად გვევლინება (ახალციხეში, შიდა და ქვემო ქართლი), ხოლო II სახეობის იარაღები უმეტესად დასავლეთ საქართველოში ჩანს გავრცელებული (საჩხერე, სვანეთი, სამეგრელო, აფხაზეთი).

ზემოთ მოტანილი არქეოლოგიური ლიტერატურის მონაცემებით, I სახეობის იარაღების გავრცელება ძვ. წ. III ათასწლეულის პირველ საუკუნეებში იწყება, ხოლო II სახეობის იარაღების ყველაზე ადრეული ნიმუშების გამოჩენა ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარზე მოდის.

საკვლევი იარაღების ასეთი ტიპოლოგიურ-ქრონოლოგიური კლასიფიკაცია თითქოს გვანიშნებს კიდევაც I და II სახეობის იარაღებს შორის გენეტიკურ კავშირს, მაგრამ ამ ვარაუდს უპირისპირდება, ადრებრინჯაოს ხანის დასასრულს საქართველოში ორივე სახეობის იარაღების ერთდროული გავრცელების ფაქტი, ფართოტანიანებისა – აღმოსავლეთ საქართველოში და ვიწროტანიანი იარაღების – დასავლეთ საქართველოში. ასე რომ, დღეისათვის ჩვენს ხელთ არსებული მასალების სიმცირის გამო საკვლევი იარაღების ფართოტანიანი ფორმებიდან ვიწროტანიანი ნიმუშების წარმოშობის შესახებ კატეგორიული მსჯელობა ჯერჯერობით არ ხერხდება.

ასეთი კავშირის არსებობა უფრო დასაშვებია აღმოსავლეთ საქართველოში ერთისა და იმავე ქვესახელობის (ახალციხისა და თრიალეთის) იარაღებს შორის, ხოლო დასავლეთ საქართველოში

[34] А. А. Иессен. К хронологии больших кубанских курганов, хронологическая таблица I.

[35] დღეისში აღმოჩენი მინიატურული ნიმუშის მიხედვით, შეიძლება ვივარაუდოთ კიდევ ერთი თავხერელიანი სახეობის არსებობა.

სხვადასხვა ქვესახეობის (საჩხერის, სვანეთისა და კოლხეთის დაბლობის) იარაღებს შორის. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს სვანეთის ორი მონაპოვარი (ტაბ. I, 3, 6), რომელთაც მესამე იარაღისაგან განსხვავებით, აშკარად ეტყობათ. სამუშაო პირის არეში გაფართოების ტენდენცია. ტექნიკური განვითარების ასეთი მიმართულება შეესატყვისება კიდევაც დასავლეთ საქართველოს, ზემოაღნიშნული მონაპოვრებისათვის მიღებულ უფრო გვიანდელ თარიღებს[36].

ჰილენძის ბრტყელი იარაღების ფორმათა სხვადასხვა ვარიაციების ჩამოყალიბება, ჩვენი ვარაუდით, ნაწილობრივ მაინც, მეტალურგიული კერების ლოკალურ თავისებურებებთან უნდა იყოს დაკავშირებული ან, რაც უფრო დამაჯერებლად გვეჩვენება, ამ იარაღების განსხვავებული ფუნქციონალური მნიშვნელობითაა განპირობებული.

როგორც ეს სხვადასხვა ავტორების ზემოთ მოტანილი მოსაზრებიდან დავინახეთ, მკვლევართა ერთი ნაწილი ამ იარაღებს ეჩოს ან ცულ-ეჩოს დანიშნულებას აძლევს, მეორე კი ცულისას. ამ უკანასკნელი კონცეფციის ავტორებიდან, საკუთარი მოსაზრების დასაბუთება მხოლოდ ერთ შემთხვევაშია მოტანილი: კერძოდ, ახალციხის მუზეუმში დაცული იარაღების ბრტყელ ცულის მიჩნევას, ავტორთა ჯგუფი იმით ასაბუთებს, თითქოს მოღუნული ბოლო ტარის დასაგებად არის განკუთვნილი[37]. ამ მოსაზრებას, როგორც ჩანს, არქეოლოგი დ. ქორიძეც იზიარებს[38].

ჩვენი აზრით ასეთი დასკვნა არ ჩანს დამაჯერებელი. ჯერ ერთი, მეტად საეჭვოა ცალმხარეს მოღუნულ ბოლოში ჰორიზონტალური ტარის ისეთი მჭიდრო დამაგრება, რასაც ამ იარაღის ცულის დანიშნულებით გამოყენება მოითხოვს. ამის შემდეგ, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ იმავე ავტორების მიერ ახალციხის ამ იარაღის უფრო განვითარებულ ნიმუშად თრიალეთში ნაპოვნი იარაღია მიჩნეული[39], ბუნებრივია იარაღის სრულყოფის შესაბამისად სატარე ნაწილსაც უფრო ჩამოყალიბებული სახე უნდა მიეღო, მაგრამ ბ. კუფტინის სამართლიანი შენიშვნით, თრიალეთური იარაღის თაეჩახვეული ბოლო სრულებითაც არ არის ჰორიზონტალური ტარის დასაგებად განკუთვნილი[40]. ასე რომ მოსაზრება ახალციხის იარაღის ტარდასაგებ ბრტყელ ცულად მიჩნევის შესახებ არ უნდა იყოს მართებული.

უცხოურ და ქართულ არქეოლოგიურ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ სპილენძის ბრტყელი ცული განსაკუთრებით ფართოდ იყო გავრცელებული ეგვიპტეში და დასავლეთ ევროპის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, სადაც სატარე ხერელიანმა ცულმა სულ ვერ მოიკიდა, ან ნაკლებად მოიკიდა ფეხი. აღნიშნული ქვეყნების მაგალითი, როგორც ჩანს, ვერ ასახავს საქართველო-კავკასიის მდგომარეობას. ამ ბოლო

[36] Б. А. К у ф т и н, К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе по данным археологии, стр. 119.

[37] Т. Ч у б и н и ш в и л и, და სხვ., დასახ. ნაშრომი, გვ. 123.

[38] დ. ქ ო რ ი ძ ე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 12.

[39] Т. Ч у б и н и ш в и л и, და სხვები, დასახ. ნაშრომი, გვ. 125.

[40] Б. А. К у ф т и н, К вопросу о древнейших корнях, стр. 309.

დროინდელი არქეოლოგიური აღმოჩენები მიუთითებენ, რომ ჩვენში აღრინდელი ლითონის ხანიდან ბრტყელი იარაღები და ტარგადასაყრელი ცულები თანაარსებობდა. ს'შირ შემთხვევაში მაგ., ნადარბა'სევში, შულავერში, სანხერეში, სვანეთში, სამეგრელოში, ჩრდ. კავკასიაში, ბრტყელტანიანი იარაღები სწორედ ყუადაქანებულ და ყუამილიან ცულებთან ერთად არიან ნაპოვნი. ასეთი მდგომარეობა სწორედ იმით უნდა იყოს განპირობებული, რომ ტარგასაყრელი ცული და დასახელებული ბრტყელი იარაღები პრაქტიკულ საქმიანობაში ვერ ცელიან ერთმანეთს. ისინი შრომის სხვადასხვა პროცესებისათვის არიან განკუთვნილი. ბრტყელი იარაღის ტექნიკური მონაცემები სრულიადაც ვერ უ'სრუნველ-ყოფენ ცულის ფუნქციების შესრულებას.

ტერმინი „ცული" როგორც ახალ, ისე ძველ ქართულ მეტყველებაში თუ წერილობითი ძეგლების მიხედვით, გულისხმობს ხის ტარ'ზე ჩამოცმულ ხე-ტყის საჭრელ, საპობ, სათლელ ლითონის იარაღს[41], რომლის ერთიან ტანთან შეპირობებულია გარკვეული ფორმა-შინაარსის მქონე ნაწილები „პირი", "სატარე", "ყუა", "შუბლი", "კანა", "ნიღრი" და სხვა. თითოეულ მათგანს 'სუსტად განსა'ზღვრული ფუნქცია აკისრია.

ჩვენი საკვლევი იარაღები ამ ელემენტებს (გარდა პირისა) მთლიანად მოკლებული არიან. რაც მთავარია, შეუძლებელია ვიფარაუდოთ ამ იარაღებ'ზე ხის ტარის დაგების რაიმე ისეთი წესი, რომელიც უ'სრუნველ-ყოფდა მუშაობის პროცეს'ში ჰორიზონტალური ტარის მყარად დამაგრებას, რაც მათი ცულად გამოყენების შემთხვევაში ყველა'ზე არსებით პირობას წარმოადგენს.

ყურადღებას იქცევს ის გარემოებაც, რომ კავკასიაში სპილენძ-ბრინჯაოს ბრტყელი იარაღების გავრცელების დროისათვის ცულის ტექნიკური აგებულების პრინციპი უკვე დიდი ხანია გადაწყვეტილია: იარაღის ამ წამყვანი სახეობისათვის ჯერ კიდევ მისი ქვისაგან დამ'სადების ეტაპ'ზე ჩამოყალიბდა ტარის დასაგებად ნახერეტის გაკეთების უნიკალური მეთოდი. ანალოგიურად არიან აგებული ყველა'ზე არქაული ნიმუშის სპილენძის ფართოპირიანი ყუადაქანებული ცულები. მომდევნო ხანებში ცულის ფუნქციების თანდათანობითი დიფერენციაციის შესაბამისად იხვეწება და უმჯობესდება მისი ზოგადი გამართულობისა თუ ცალკეული ნაწილების კონსტრუქცია. ამის შედეგად, ჩვენთვის საინტერესო ბრტყელი იარაღების გავრცელების ხანაში უკვე განსხვავებული ფუნქციებისა (საბრძოლო-სამეურნეო, სარიტუალო) და მოყვანილობის ცულებია ჩვენში გავრცელებული. ასე რომ იარაღის ტექნიკურ-ისტორიული განვითარების თვალსა'ზრისითაც ტარდასაგებს მოკლებული ბრტყელი იარაღების ცულის დანიშნულებით დამ'სადება-გამოყენება არ არის დასაშვები. ალბათ ამით უნდა აიხსნას, კავკასიაში ბრტყელი იარაღებისა და ტარდასაგები ცულების ერთსა და იმავე ან სინქრონულ ძეგლებში აღმოჩენის ფაქტები.

---

[41] სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა, თბ., 1949, გვ. 433, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბ., 1964 წ, VIII, გვ. 668.

საკელეკი იარაღის ფორმა მნიშვნელოვნად განსხვავდება აგრეთვე ეზოს აღნაგობისაგან, ამიტომ ეზოს სახელწოდებით მათი მოხსენიებაც არ უნდა იყოს მთლად ზუსტი, თუმცა ასეთი გამოყენება (თავმორგოლილი ნიმუშებისა მაინც) გამორიცხული არ არის. ამ შემთხვევაში ოსტატს შეეძლო მისი ჩამაგრება საგანგებოდ შერჩეულ ხის მოხრილ ბოლოში.

ჩვენი ვარაუდით უფრო დამაჯერებელი იქნებოდა თუ მათ მიეჩინეთ სადურგლო-სამხატვრო, სახარაზო და სხვა ნაკლებად მძიმე და უფრო ზუსტი სამუშაო პროცესებისათვის განკუთვნილ იარაღებად: სატეხი, საჭრისი, საჭრეთელი, შალაშინი და სხვა.

სატეხი ფუნქციების უპირატესად ვიწროტანიანი ნიმუშებისათვის შეიძლებოდა მოგვეცა, მსგავსად პირინეის ნახევარკუნძულზე სპილენძის ხანაში გავრცელებული ანალოგიური იარაღებისა, რომლებიც პრაქტიკული დანიშნულების შესაბამისად სპეციალურ ლიტერატურაში სწორედ სატეხის სახელწოდებით არის მოხსენიებული[42].

ამ ტიპის ყველა სახეობის იარაღი მეტად მოხერხებული ჩანს ხეზე კვეთილობის, მხატვრული ორნამენტაციის შესასრულებლად. ფართოპირიანი ნიმუშების გამოყენება ასევე წარმატებით შეიძლებოდა, როგორც სახარაზო საქმეში, ასევე სალაშინის პირად და განსაკუთრებით კი მბრუნავე ჩარხზე – მრგვალი საგნებისა და მხატვრული სახეების გამოსაკვეთად. ასეთი ვარაუდის სასარგებლოდ მეტყველებს ბედენის გორასამარხში ბრინჯაოს ბრტყელი იარაღისა და ჩარხზე გამოყვანილი ხის მრავალყვეროვანი საგნების ერთად აღმოჩენა. ნიშანდობლივია ისიც, რომ დასაკრძალავი ეტლის ნაწილებზე და ხის ინვენტარის ცალკეულ დეტალებზე ღრმად ამოტეხილი ხვრელები, აქვე აღმოჩენილი ბრინჯაოს ოთხკუთხა სატეხითაა შესრულებული: გ. გობეჯიშვილის სამართლიანი შენიშვნით, ნადარბაზევ-ბედენის გორასამარხებში დაკრძალული ბელადები თვითონ იყვნენ თვალსაჩინო ხელოსნები და ამაყე დროს, ხელოსნების მფარველები[43].

ბრტყელი იარაღების ზემოთ დასახელებული დანიშნულებით გამოყენების შემთხვევაში, ოსტატის მიერ მათ მომარჯვებას ეგულისხმობთ, როგორც უტაროდ, ისე ერთ (ვიწრო) ბოლოში მორგებული ხის ან რქის ტარის საშუალებით, რომელიც იარაღზე დაწოლის გარდა, მსუბუქი დარტყმისთვისაც უნდა ყოფილიყო განკუთვნილი. შესაძლებლად მიგვაჩნია აგრეთვე ხელმოსაკიდებელ არეში ქეჩის ან თოკის შემოხვევის წესის გამოყენება.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის შემდეგ, უფრო მართებულად გვესახება სპილენძ-ბრინჯაოს ადრეული ტიპის ბრტყელი იარაღების მოხსენიება არა ბრტყელი ცულების, არამედ ბრტყელი საჭრისის სახელწოდებით, რაც უფრო მეტად უახლოვდება ამ ტიპის იარაღის ფორმებსა და ფუნქციონალურ მნიშვნელობას.

---

[42] Г. Чайлд, У истоков Европейской цивилизации, М., 1952, стр. 164.

[43] გ. გობეჯიშვილი, ბედენის აკლდამა, გვ. 21.

Ш. Г. ЧАРТОЛАНИ

## К ИЗУЧЕНИЮ ДРЕВНЕЙШИХ «ПЛОСКИХ ТОПОРОВ» ГРУЗИИ

Р е з ю м е

Древнейшие металлические «плоские топоры» являются одним из ведущих видов орудия ранней ступени развития металлургии бронзы. «Плоские топоры» и их литейные формы обнаружены в значительном количестве в различных районах Грузии.

В формах этих топоров намечаются два вида: I. Короткие с широким лезвием и II – длинные с узким лезвием. I вид пока в основном характерен только для юго-восточным образом в западной Грузии.

По высказанному в археологической литературе мнению, этот тип орудия распространялся в тех странах, где не бытовал трубчатообушный топор. Исключением в этой закономерности является Кавказ и, в частности Грузия, где оба указанных топора сосуществуют с эпохи ранней бронзы и зачастую встречаются в одном комплексе.

О назначении и наименовании этого типа орудия, обнаруженного на Кавказе, высказаны различные предположения: одни называют его «плоским топором», другие-«теслом» «топор-тесло» и т. п. Конструкция этого орудия по существу отличается от конструкции топора и, что главное, оно не может нести функции топора. Поэтому неверно называть его «плоским топором». Нам кажется более справедливым признание «плоского топора» за орудие плотника, резчика, скорняка и орудием для других легких работ (долото, стамеска, рубанок и т. д.).


ცხადია, ამ ეპოქაში რელიგიაც დამყარებული იყო ნათესაურ წარმოდგენებზე, სქესობრივ და ასაკობრივ განსხვავებაზე, რაც არარსებულ სამყაროში, შეთხზულ ურთიერთობაში იყო გადატანილი. სისხლით ნათესაური დამოკიდებულებანი, უპირველეს ყოვლისა, ერცელდებოდა გარემომცველ ბუნებაზე. მჭიდრო, მატერიალური კავშირი ადამინთა ჯგუფებისა თავის ტერიტორიასთან, მცენარეებთან და სამონადირეო ცხოველებთან, ცნობიერდებოდა როგორც სისხლის ნათესაობითი კავშირი. ცხოველები, მცენარეები, მთები, კლდეები, ქვები, ტბები, მდინარეები, ზოგჯერ ბუნების მოვლენებიც კი ერთმანეთთან და ადამიანთა ჯგუფებთან ნათესაობით დამოკიდებულებაში იყვნენ. აი, ამაში მდგომარეობდა სწორედ ტოტიმიზმის ძირითადი იდეა. გარეულ ცხოველთა და მცენარეთა სამყაროში გადატანილ იქნა ადამიანთა საზოგადოების სოციალური, გვაროვნული ორგანიზაცია. მაშასადამე, ადამიანის რელიგიური წარმოდგენა ვერ სცილდებოდა ამ წარმოსახვით ნათესაურ კავშირს, რაც პირველყოფილ ადამიანსა, განსაკუთრებულ ცხოველებსა და მცენარეებს შორის არსებობდა და როლმებითაც პირველყოფილი ჯგუფი იკეებებოდა. ტოტემიზმი გვარის, როგორც საწარმოო ჯგუფის, იდეოლოგიური გამოხატულება და გვაროვნული დამოკიდებულებათა რელიგიური ასახვის პირველი ფორმა იყო.

ტოტემიზმთან დაკავშირებული ტაბუ, რომელიც გამოხატული იყო არსებითად მთელ რიგ შეზღუდვებსა და აკრძალვებში. მასში უაერთიანებული იყო, ერთის მხრივ, საშარელი, საშიში, აკრძალული, მეორეს მხრივ, - წმიდათა-წმინდა, განსხივოსნებული ამაღლებული. ეს ამბივალენტური მიმართულება ადამიანური გრძნობისა გასაგებიცაა, რადგან ტოტემი ითვლება ნათესავად, წინაპრად გვარისა. ამიტომ არ შეიძლება მოიკლას ან შეიჭამოს ტოტემი ცხოველი. ტოტემი, ამავე დროს, ხელშეუხებელია. ზოგჯერ შეხედვაც კი არ შეიძლება მისი. თუკი აუცილებლობის გამო ასეთ ცხოველს ჰკლავენ, მის წინაშე 'ბოდიშს" იხდიან, ტაბუს ასუსტებენ. თუ ტოტემს მსხვერპლად მიიტანენ (ინტიჩიუმა), მაშინ ჯერ საზეიმოდ დაიტირებენ: აქებენ მას, აღნიშნავენ მითიური წინაპრის გმირობას, სევდიან სიმღერებს მღერიან და სარიტუალო ცეკვებს ასრულებენ, ხოლო შემდეგ სარიტუალო ჭამას შეუდგებიან.

აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ ცხოველთა ან მცენარეთა, ან გეომორფული (მთები, ქვები, კლდეები) ტოტემებიდან კულტთა

[4] А. М. Золотарев, Пережитки тотемизма у народов Сибири, Л., 1934, стр. 9.

შექმნა შედარებით მოგვიანო ხანას განეკუთვნება, ვიდრე ეს ტოტემისტური საზოგადოების პირველი ფაზაა. რომელიმე ცხოველისადმი ან მცენარისადმი განსაკუთრებული პატივისცემის ან თაყვანისცემის გამოვლენა, რაც ტოტემიზმის ერთ-ერთი ძირითადი ნიშანია, შემდეგში უკვე მათი განსაკუთრებული სამეურნეო მნიშვნელობის, აგრეთვე მთელი რიგი გვარების ტოტემთა სელექციის შედეგად, მოხდა ერთი ან რამდენიმე ჯიშის ცხოველის ან მცენარის კულტად განვითარება. გამარჯვებული ტოტემი უკვე, როგორც საერთო სატომო კულტი, ისე გამოდის. როგორც მკვლევარები მიუთითებენ, ის იყო ძალზე ჩვეულებრივი მოვლენა პირველყოფილი საზოგადოების რელიგიაში[5].

ყურადღებას იქცევს ის გარემოებაც,რომ სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებული აზრით, ტოტემიზმი რღვევას იწყებს პატრიარქალური გვარის გამარჯვების პერიოდიდან. თუმცა აღნიშნავენ, რომ ზოგიერთ ხალხში ტოტემიზმი მეტად მყარი ჩანს პირველყოფილი თემური წყობილების რღვევის სტადიაზეც, და, მის სოციალურ ბაზად აქ უკვე პატრიარქალური გვარი ან ოჯახი გამოდის[6].

ჩვენს ხელთარსებული არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მასალები მიგვანიშნებენ, რომ ტოტემიზმი ბრინჯაოს ხანაშიც თითქმის ცოცხალი ინსტიტუტია სვანეთში. იგივე მასალები მიუთითებენ ამ რეგიონში სხვადასხვა ცხოველური კულტების განვითარებას. საამისო ნიმუშია საბუთებია ბრინჯაოსა და ანტიკურ ეპოქებში არიან დამზადებული, იმთავითვე შევიდნენ რელიგიისა და კულტის სფეროში, ამ გზით შემორჩნენ ჩვენამდე და, რამდენადმე მაინც, ეთნოგრაფიულ ყოფაშიაც შეინარჩუნეს ადრინდელი სახე და ფუნქცია. ახლო წარსულში ამ რიგის ქანდაკებებს - „ლახვარ“-ს, „მახადნა“-ს უწოდებდნენ. ხალხის წარმოდგენით მას შეეძლო სხვისი კალო-ბეღლიდან მარცვალი შეუმჩნეველად თაყის („ლახვარ“-ის) მფლობელის სახლში შემოეზიდა. ასეთი რწმენის გამო ხალხი ხატზე სწყევლიდა იმ ოჯახს,რომელსაც ლახვარი ჰქონდა,წყევლის შინაარსი ისაა ოჯახი ლახვარს სპობდა ან ეკლესიას სწირავდა[7].

სვანეთში აღმოჩენილი ბრინჯაოს ზოომორფული ქანდაკებებიდან ყველაზე ადრეულებია კომპლექსური ექსპედიციის მიერ სოფ. უშგულში მაცხოვრის ეკლესიაში გამოვლენილი ცხვრის ორი ქანდაკება. ერთი მათგანის (სურ. 92) ორეულებია ზემო რაჭაში და ჩრდილო კავკასიაში –

---

[5] А. Н. Золотарев, Родовой строй и религия ульчей, Хаб., 1939, გვ. 130, 131; Виноградов, Пережитки тотемизма у народов Сибири, Л., 1934, с. 16-20; Ф. П. Францев, დასახ. ნაშრომი, გვ. 272; С. А. Токарев, დასახ. ნაშრომი, გვ. 76, 79.

[6] С. А. Токарев, დასახ. ნაშრომი, გვ. 75; А. М. Золотарев, Родовой строй и религия..., стр. 85; Виноградов, Пережидки..., стр. 47; Л. Я. Штернберг, დასახ. ნაშრომი, გვ. 489 (ლ. შტერნბერგი მიუთითებს, რომ აუსტრალიელებთან ტოტემისტურ ცერემონიალს ასრულებს პატრიარქალური გვარის მამასახლისი).

[7] მ. ნართოლანი, ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, თბ., 1961, გვ. 174-175; ეგ. გაბლიანი, ძველი და ახალი სვანეთი, ბუკ., 1925, გვ. 130.

ლიგორის არქეოლოგიური კომპლექსებიდან ცნობილი ე. წ. „ცხვარჩიტები“, რომელთაც შუა ბრინჯაოს ხანით ათარიღებენ[8]. ქანდაკების ზედა ნაწილი წარმოადგენს ვერძის თავს, ერთნახევარი ხეულით, სტილიზებური რქებით; პირი თითქოს ფრინველის ნისკარტისებური მოყვანილობისაა, ხოლო ტანი დაფარულია რელიეფური ოთხკუთხედებით, რომელიც ფრინველის ბუმბულის შთაბეჭდილებას გვიქმნის. როგორც ცნობილია, ტოტემისტური თქმის პრაქტიკაში ცხოველი – ფრინველის ფანტასტიკური გამოსახულებით გამოხატული იყო ტოტემი – წინაპარი. იგი ამავე დროს წარმოადგენდა ტოტემისტური გვარის სიმბოლოსაც, გვრების მნიშვნელობით[9]. რახან ტოტემი ითვლებოდა გვარის მფარველად, ნათესავად, მისი გვართან ახლოს ყოფნა ძალზე კარგი იყო და, ამიტომ, გვარის წევრები ცდილობდნენ ეყოლებინათ ტოტემი საცხოვრებელთან ახლოს, გალიაში, ჰკვებავდნენ, უვლიდნენ და ასე შეიძლება თანდათანობით იშინაურებდნენ კიდეც. ზოგჯერ ცოცხალ ტოტემს მისი გამოსახულება სცვლიდა. ტოტემის გამოსახულებას გვარის წევრები ინახავდნენ სახლში (მაგ. კერასთან), გვარის წმინდა ადგილებში; ტოტემური სიმბოლოები ეკერათ ტანსაცმელზე (ქინძისთავები) მოხატავდნენ ჭურჭელს და ა. შ.[10]

ჩვენი აზრით, „ცხვარჩიტაც“ გვარის ტოტემურ სიმბოლოს უნდა წარმოადგენდეს. იყო თუ არა ცხვარი ან ფრინველი სვანეთში ტოტემი? ჯერ ერთი, ამის სასარგებლოდ ლაპარაკობს თვით ფაქტი ასეთი არქეოლოგიური მასალის არსებობისა, უკეე შუაბრინჯაოს ხანაში. ასეთი ტოტემისტურ რწმენა-წარმოდგენას უნდა გადმოგვცემდეს, აგრეთვე სოფელ კალაში ნაპოვნი, იმავე შუა ბრინჯაოს ხანის ქინძისთავზე მოცემული ცხვრის რქების სტილიზებული გამოსახულებაც[11]. უფრო გვიან, ძვ. წ. I ათასწლეულის არქეოლოგიურ ძეგლებში ნაპოვნ ბრინჯაოს „ცხვარჩიტებში“ შედარებით უფრო რეალისტურადაა გამოსახული ვერძის თაეი და ფრინველის ტანი (სურ. 93), იმავე კომპლექსებში დიდი რაოდენობით ვხვდებით ცალ-ცალკე ცხვრის, ფრინველისა და სხვა ქანდაკებებს[12]. როგორც ჩანს, აქ საქმე ტოტემისტური წარმოდგენების შენახვა-შენარჩუნებასა და მის კულტად განვითარება-გარდაქმნასთან, რაც მეტალურგიისა და ხელოსნობის განვითარების შესაბამისად მხატვრულ ხელოვნებაშიც უფრო დახვეწილ ფორმებში აისახა. ნიშანდობლივია ისიც, რომ სოფ. მულახში ოქროს მაძიებლებმა 1940 წ. გვიან ანტიკური ხანის სხვა ნივთებთან ერთად ოქროსგან ჩამოსახმული ვერძის ქანდაკებაც იპოვნეს[13].

---

[8] გ. გობეჯიშვილი, ბრინჯაოს უძველესი ქართული ბალთები (საკანდიდატო ნაშრომი), გვ. 214, ტაბ. X-14; XXIII-42.

[9] S. Reinach, Cultes, Mythes et Religions, 1909, T. I, გვ. 17.

[10] А. М. Золотарев, Пережитки тотемизма у народов Сибири, стр. 33, 34.

[11] გ. გობეჯიშვილი,არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში, თბ., 1952, ტაბ. XIII-7.

[12] შ. ჩართოლანი, ლარილარის სამაროვანი,„საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტ. საკითხები“, თბ., 1968, გვ. 307, ტაბ. III.

[13] მუშაობის გადმოცემით აღნიშნული ქანდაკება, ოქროსაეე სამაჯურები, ბეჭდები და სხვა ნივთები ოქროს მიმღები პუნქტისათვის ჩაუბარებიათ.

სვანური გვაროვნული საზოგადოებისათვის ცხვარი რომ ტოტემი იყო, ამის დამადასტურებელი მრავალი სხვა მასალაც მოიპოვება. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, სვანეთის ეთნოგრაფიულ ყოფაში, ჩვენს დრომდე შენარჩუნებული რიტუალი – ე. წ. ცხვრის „ტარის“, „მეზირის“ შესახებ. ეთნოგრაფ მ. ჩართოლანის თავის წიგნში „ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან“ მოტანილი აქვს ცხუმარში ჩაწერილი ასეთი მასალა: „ტარა ეწოდებოდა ცხვარს, რომელიც ტარას სახელზე იყო დაყენებული. მისი არც გასხვისება შეიძლებოდა და არც არავის აჭმევდნენ მის ხორცს. გარდა ოჯახის წევრებისა. ტარა კარგად მრავლდებოდა: ტარა-ს სახელზე დაყენებულ ცხვარს ნაკლები მარცხი მოსდიოდა. როცა ტარა-ს კლავდნენ, კარებთან კაცს აყენებდნენ მეთვალყურედ, რომ არავის არ დაექახა მათთვის გარედან. ამ დროს დაძახება სახლისთვისაც ცუდად ჰქონდათ დაცდილი და დამძახებლისთვისაც. ამ ღამეს ტარას, „ყეიჟას“ (გულ-ღვიძლი) შესწირავდნენ ქორა ტარას. ‘სოკს ისე ჰქონდა აღკვეთილი („ლულღლიანე“), რომ არამცთუ მის ხორცს, არამედ ძვალსაც არავის ანახვებდა. ძვალს ტყეში მარხავდნენ. ჩემს ოჯახს აღკვეთილი ჰქონდა მხოლოდ „ყეიჟე“-ს (ღვიძლი) ჩვენება და ჭამა გარეშე პირთათვის. არც ტყავს მიეკარებდით გარეშეს. ქალები ტყავს ბეწვს აძრობდნენ და ხმარობდნენ ფეხსაცმელებად, ისე, რომ მას ქონი არ უნდა შერჩენოდა“[14]. აქ, თუმცა შერყვნილი სახით, მაგრამ მაინც მოცემულია ტოტემური ცხვარი თავისი ტაბუაციით: გარდა გვარისა, ტარას ხორცს არავის აჭმევდნენ. ეს, თავისთავად, მიუთითებს ტოტემის სარიტუალო ჭამაზე, ინტუიციაზე. გულ-ღვიძლზეც გამოცხადებული იყო ტაბუ. შესაძლებელია, ეს შემდგომი ხანის, გვიანდელი ტოტემური ფაზის ანარეკლია, რადგან მხოლოდ გულ-ღვიძლზე ცხადდება ტაბუ. ძვალსა და ქონზეც ცხადდება ტაბუ. ძვლებს მარხავენ ტყეში, ან კიდევ: ტყავს არ მიეკარებდნენ გარეშეებს, ქალები კი მისგან იკეთებდნენ ფეხსაცმელს. მაშასადამე, აქ, ამ დეტალშიც, კიდევ ერთხელ დადასტურებულია ჩვენი ვარაუდი, რომ ცხვარი მატრიარქატის ეპოქიდანვე შეიძლება ყოფილიყო სვანეთის ერთ-ერთი გვარის ტოტემი. ვ. ბარდაველიძეს 1936 წ. სვანეთში დამოწმებული აქვს ღვთაება „ტარ-ბედნიერ“-ი, რომელიც უმთავრესად ცხვრის მფარველი ღვთაება იყო[15]. შემდეგში, ივ. ჯავახიშვილის აზრით, „ტარ“-ის მაგიერ „ბარბოლ“-ი ჩნდება და შესაეყდრებლადაც ხარი და ფური, ე. ი. მსხვილფეხა საქონელია დასახელებული[16].

აღსანიშნავია კიდევ ერთი საბუთი, მოტანილი რუსი მოგზაურის ლობანოვ-როსტოვსკის სტატიაში[17]; აეტორი მიუთითებს, რომ ცხოველის სარიტუალო მსხვერპლშეწირვის დროს მხოლოდ ოჯახი ან გვარის წევრები

---

[14] მ. ჩ ა რ თ ო ლ ა ნ ი, ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, გვ. 185.

[15] ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი, ახალწლის ციკლი, თბ., 1939, გვ. 7.

[16] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული წარმართული პანთეონის წარმომშობი ტომები, ქართველი ერის ისტორიის შესაფალი, თბ., 1951, გვ. 192.

[17] Г. Л. Л о б а н о в – Р о с т о в с к и й – Сванетия - «Кавказ», 1852, №17.

იკრიბებიან, გარეშეთა დასწრება არ შეიძლება. მაგრამ თუკი მოხდა ისე, რომ გვარის ან ოჯახის მოსისხლე მტერმა შეჭამა ამ ცხოველის ხორცი, მაშინ მათი შერიგებულა უთუოდ მოხდება. ესეც, ჩვენი აზრით, გადმონაშთია ძველი ტოტემისტური წარმოდგენებისა, კერძოდ ინტიჩიუმასი.

ნიშანდობლივი ისიც, რომ ცხვრის, ხარის, ჯიხვის, ირმის, ცხენის და სხვ. პლასტიკური გამოსახულებებით არის შემკული სვანური „კერაჲ“[18]. როგორც ცნობილია, ადამიანის ბინადარი ცხოვრება კერასთან, ცეცხლის დანთებასთან არის დაკავშირებული. კერა იყო მატრიარქატული გვარის თავმოყრის ცენტრი, მისი კავშირის სიმბოლო. ცხადია, ამიტომ კერა გვაროვნული წყობილების გარიჟრაჟსვე გადაიქცა საკულტო, წმინდა ადგილად; არქეოლოგიური მასალების მიხედვით, ჯერ კიდევ ადრებრინჯაოს ხანაში თიხის კერაზე და ზედსადგამზე კარგად აისახა ტოტემისტური გვარის იდეოლოგიური წარმოდგენები, რომლებიც შემდგომში ტრადიციულად გადაეცემოდა. ჩვენის აზრით, აქ უნდა ვეძებოთ გვიანდელი ხანის სვანური „კერაჲ“–ის მხატვრული გაფორმებისათვის დამახასიათებელი ზოომორფული მოტივების გენეზისი.

ბრინჯაოს და მომდევნო ეპოქების ცხვრის კულტურული გამოსახულებები მრავლად მოიპოვება აგრეთვე რაჭისა და საერთოდ საქართველო-კავკასიის ტერიტორიაზე[19]. კულტის სფეროში მათი გვიანბრინჯაოდან შემორჩენის კარგი საბუთია პ. უვაროვას ცნობა. ყაზბეგის ერთ-ერთ ეკლესიაში მას უნახავს ხისგან გამოთლილი ცხვრის ფიგურა, ყურებზე საყურეებით[20]. მსგავსი მაგალითები ბევრია სვანეთში. ეკლესიებისათვის გვიანდელ დროში აქაც შეუწირავთ ხისგან ან ტყვიისაგან ჩამოსხმული ქანდაკებები. აღნიშნული მაგალითებიც კიდევ ერთხელ მხარს უჭერს სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე გამოთქმულ მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც ცხვრის და, საერთოდ, ცხოველთა ქანდაკებების სიმრავლე კავკასიის მთაში სწორედ ტოტემისტურ რწმენას უკავშირდება[21].

რაც შეეხება ჩვენს ქანდაკებებში სტილიზებულად მოცემულ ფრინველის ხეულსა და ბუმბულს, პირველყოფილი ადამიანის პრიმიტიული მოსაზრებით, ბუმბულში ალბათ აისახებოდა ის ძალა, რომლითაც ფრინველებს ფრენა შეეძლოთ. საზოგადოების ტოტემისტურ ფაზაში, ტოტემის ძალა ყველაზე მეტად იმალებოდა ცხოველისა და ფრინველის კლანჭებში, კბილებში, ბალანში, რომელთაც შემდგომში ანიმისტური აზრი ან ყურებიშის მნიშვნელობა მიეცათ. ქანდაკებაში მოცემული სტილიზებული ბუმბულიც საკულტო დანიშნულებით უნდა აიხსნას.

ტოტემისტური რელიგიური რწმენისა და აქედან განვითარებული ხარის კულტის ასახვად მიგვაჩნია გვიანბრინჯაოს ხანის ქარის ქანდაკება, რომელიც სოფ. მულახშია ნაპოვნი ხვნის დროს (სურ. 97). ქანდაკებაში განსაკუთრებით მკვეთრად არის გადმოცემული ხარის თაყი – დრუნჩი,

---

[18] მ. ჩართოლანი, ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან.

[19] Е. И. Крупнов, Древняя история Северного Кавказа, М А К - VIII. М., 1960, Б. В. Техов, Очерки древней истории и археологии Юго-Осетии, Тб. , 1971.

[20] П. С. У в а р о в а, Кавказ (Путевые заметки), М., 1887, стр. 96-97.

[21] Е. И. К р у п н о в, Древняя история Северного Кавказа, стр. 357-356.

თვალები, საკმაოდ მოზრდილი რქები. თაეთან სხეულზე ამოზიდულია ხარის ქედი. მინიშნებულია ფეხების დასახსრებაც. არამკვეთრად, სხეულიდან გამოყოფის გარეშე, ქანდაკებაზე ასახულია ხარის კუდიც. ამასთან, შედარებით დიდ ზომებშია მოცემული ხარის სხეულის წინა ნაწილი (თავ-კისერი და წინა ფეხები), რაც მეტყველ თვალებთან ერთად, ხარის სიძლიერის შთაბეჭდილებას გვიქმნის.

ხარი, რომ სვანეთის ტოტემური ცხოველი იყო, ამაზე მიგვანიშნებს მრავალი ფაქტი. უპირველეს ყოლისა, აღსანიშნავია სვანური „კერვდ"-ის მსატერული გაფორმება ხარის სტილიზებული, პლასტიკური გამოსახულებებით, რაც ადრეულ ხანაში გავრცელებული ტოტემური რწმენა-წარმოდგენებით უნდა აიხსნას და არა მარტო დეკორატიული მნიშვნელობით. გარდა ამისა, მრავალი რუსი და უცხოელი მოგზაური ადასტურებს – ხარის, ჯიხვის, ირმის და სხვ. ცხოველების რქების ეკლესიისადმი შეწირვის წეს-ჩვეულებას სვანეთში[22]. ამა თუ იმ ცხოველის თავის ქანდაკებები ეკლესიის ფასადებზეც არის. მათზე XIX საუკუნეშიც კი მკაცრი ტაბუ ყოფილა გამოცხადებული. მაგალითად, მოგზაურ რადეს, რომელიც კაეკასიის ცხოველთა სამყაროს შესწავლით იყო დაინტერესებული, უნდოდა ახლოს ენახა რქები, რისთვისაც დიდი წინააღმდეგობის გადალახვა მოუხდა, როგორც კულტის მსახურთაგან, ისე ადგილობრივი მოსახლეობისაგან. ანალოგიური მასალები დადასტურდა აგრეთვე სვანეთის სამეცნიერო კომპლექსურმა ექსპედიციამ 1972 წ.[23].

როგორც პროფ. ე. ბარდაველიძე შენიშნავს, სვანეთში არსებობდა გაგარეულებული ხარის („უსხე") კულტი, რომელიც განსხვავდებოდა შეწირული ხარისაგან. უსხად დაბადებული ხარი განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობდა, მოსახლეობა მას ცუდი სიტყვებით ვერ მოიხსენიებდა, დაუშვებელი იყო მისდამი ჯოხის მოღერებაც. უსხეი თავისუფლად იყო გაშვებული, შეეძლო ყანაც გაეთელა. როცა იგი გახელებული დარბოდა სოფელში, მცხოვრებლები ცდილობდნენ მორიდებოდნენ და მოკრძალებით მოპყრობოდნენ[24].

ჩვენი აზრით, გაგარეულებული ხარისადმი ასეთი პატივისცემა მხოლოდ ტოტემისტური წარმოდგენებით თუ აიხსნება. უსხე (დაბადებით) ხარი – ტოტემის გადმონაშთი ჩანს. თავდაპირველადაც, ხარი-ტოტემი მხოლოდ გარეული თუ შეიძლებოდა ყოფილიყო.

ან კიდევ, რატომ ირჩევდნენ უკვე გვიან პერიოდებშიაც სვანები საკულტო დანიშნულებისათვის მხოლოდ თეთრ ხარს? ან რატომ

[22] А. С т о я н о в, Путешествие по Сванетии..., стр. 292, 394 и т. д.; Г. А. К и н ф и е в, из поездки по Осетии и Сванетии – «Кавказ», 1890, №287; Г. Р а д д е, Путешествие в мингрельских альпах и в трех их верхних продольных долинах (Рион, Цхенисцкали и Ингур), ЗКОИОГО, кн. VII, вып. I, Тиф., 1866, стр. 112, 113; Б. М. Ж и т к о в, Полуостров Ямал, 1913, стр. 49-52; В. И с л а в и н, Самоеды в домашнем и общественном быту, 1847, стр. 117.

[23] საანგარიშო სამეცნიერო სესია მიძღვნილი სვანეთის 1972 წლის კომპლექსური ექსპედიციის მუშაობის შედეგებისადმი, მოხსენებათა ანოტაციები, თბ., 1973.

[24] ე. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, ქართული (სვანური) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები, თბ., 1953, გვ. 120.

ჰკლავდნენ ხარს უპირატესად მხოლოდ საღვთო სამსხვერპლოდ და იშვიათად ოჯახური საჭიროებისათვის?

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ტოტემიზმისათვის მთავარი დამახასიათებელი ნიშანია აკრძალვა ტოტემის ჭამისა, გარდა განსაკუთრებული შემთხვევისა, კერძოდ ინტიჩიუმისა. როგორც ცნობილია, ეს სარიტუალო ჭამა ისახავს მიზანს, ტოტემის თვისებები გადაეცეს გვარის წევრებს, ამიტომაც არჩევენ თეთრ ხარს, როგორც განსაკუთრებულს. ცხოვრების ნიშნით (ფერით) გამოყოფა დამახასიათებელია ტოტემური რელიგიისათვის. ამგვარი ნიშნებით გამოყოფილია, ჩვენი აზრით, სხვა ტოტემური ცხოველებიც. მაგალითად, კალაში პატივისცემით სარგებლობდა თეთრსოლიანი თაგვი. იგი გამოცხადებული იყო მეზირად, მფარველად და მისი მოკვლა არ შეიძლებოდა, პირიქით, თაგვს საჭმელს აძლევდა ოჯახის დიასახლისი. ასევე მფარველად იყო გამოცხადებული თეთრი მამალი, თეთრი გველი და სხვა[25].

ჩვენს ხელთარსებული მასალები ამტკიცებენ, რომ გვიან ბრინჯაოს ხანიდან მაინც, საფუძველი ეყრება თავთავიანი კულტურების მოყვანას, მაშასადამე, სახვნელ მიწათმოქმედებას[26]. მეურნეობის ამ დარგის განვითარებისათვის კი ერთ-ერთი აუცილებელი პირობა იყო გამწვევი ძალის არსებობა. იმდროინდელი შინაური ცხოველებიდან ამ უდიდესი როლის შესრულება მხოლოდ ხარს შეეძლო და ამან განაპირობა კიდეც მისი განსაკუთრებული ადგილი ადამიანის რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებში. მიწათმოქმედების განვითარებასთან ერთად ტოტემიზმიც იწყებს რღვევას. წინაპარი ცხოველის თაყვანისცემა თანდათანობით ერთიანდება ბუნების თაყვანისცემაში. წინაპართა სულებიც ახლა უკვე იღებენ ბუნების მოვლენათა ხასიათსა და ნიშნებს, რადგან შრომის ნაყოფიერება მიწათმოქმედისა და მწყემსისა, საწარმოო ტექნიკის გარდა, დამოკიდებული ხდებოდა ბუნების მოვლენებზე, კლიმატზე. ადამიანი – მიწათმოქმედი და მესაქონლე – თავის მფარველს ეძებს ზეცაში, მზესთან, მთვარესთან, წვიმასთან, ქართან. ტოტემი, ჯერ ისევ ცხოველის სახით მოცემული, იძენს ბუნების მოვლენების დამახასიათებელ თვისებებს და მისი სამყოფელი ადგილიც დედამიწიდან ზეცაში გადადის, ერწყმის რა მზის ან მთვარის ან სხვა მნათობთა ღვთაებებს, რომლებიც უკვე სუბიექტურად გვევლინებიან აგრარულ კულტებში. მაშასადამე, ცხოველი შენარჩუნებულია უკვე, როგორც ამ მფარველის – ღმერთის გარეგანი გამოხატულება, ან გადაქცეულია მისდამი მსხვერპლშეწირვის ობიექტად. ამ თვალსაზრისით აისახა ხარი გვიან ბრინჯაოსა და ადრე რკინის ხანის სვანეთის სინამდვილეში. ერთის მხრივ, იგი, როგორც ტოტემი – მფარველი, მეორეს მხრივ, როგორც გამწვევი ძალა მთავარი ფიგურა ხდება გუნურ მიწათმოქმედებაში. ყოველივე ამან ხარი აქცია განსაკუთრებულ წმინდა ცხოველად სვანეთში. როგორც ჩანს, უძველეს ხანაში ხარი ერთ-ერთი ტოტემი ყოფილა სვანეთში. უფრო გიან, მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის შემდგომი განვითარების შედეგად, ხარის უაღრესად დიდი

[25] მ. ჩ ა რ ო ლ ა ნ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 173, 174.

[26] Ш. Т. Ч а р т о л а н и, Сванети в эпоху бронзы (Автореферат), Тб., 1974, стр. 19-20.

საკურნეო მნიშვნელობის გამო ხარი – ტოტემიდან განვითარდა ხარის ძლიერი კულტი.

ხარის კულტის გადმონაშთები შეიძლება ვეძებოთ სვანთა ეთნოგრაფიულ ყოფაში. კერძოდ, უკვე ქრისტიანულ რელიგიაში შესულ „უფლისშიერის" სადღესასწაულო რიტუალში, რომელიც მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის ნაყოფიერების შინაარსით დიდი ღმერთის - „ფუსნა ბუასდ"-ისადმია მიძღვნილი. იგი ითვალისწინებს ხარების ბულრაობა-შერკინებას, მათი მსხვერპლად შეწირვასა და შემდეგ საზოგადოებრივ ჭამას. შეწირული ხარის სარიტუალო ჭამა ხდება აგრეთვე სვანებთან დადასტურებულ სათემო თუ საგვარეულო „ლიტბგლი"-ს შესრულების პროცესში, რომელიც თავის მხრივ მოსავლიანობისა და ნაყოფიერების გადიდების მიზნით სრულდება ამა თუ იმ ღვთაების სახელზე.

ხარი სვანთა წარმოდგენებში ადრევე დაუკავშირდა მზის კულტს და გაღაიქცა დიდი ღმერთის სიმბოლურ გამოხატულებად[27]. ტოტემთან დაკავშირებით ასეთი მაგალითი მრავლად მოიპოვება მსოფლიო რელიგიათა განვითარებაში. გავიხსენოთ თუნდაც ეგვიპტური ღმერთები იზიდა და ოზირისი; ან, იმავე ეგვიპტეში, ხარი აპისი, რომელიც დაკავშირებული ჩანს ისევ მიწათმოქმედებასთან და სიმბოლური გამოხატულებაა მდ. ნილოსისა[28]. ცნობილია, ეგვიპტის მიწათმოქმედებაში და არა მხოლოდ მიწათმოქმედებაში, არამედ თუ რა უდიდესი როლი ენიჭებოდა მდინარე ნილოსს ეგვიპტის საზოგადოებრივ ეკონომიურ ცხოვრებაში. ან, გავიხსენოთ ვედური მითოლოგიის აგრარულ კულტებში ხარი, რომელიც აგრეთვე ინდოეთის ძველი ტოტემი იყო და შემდეგში გადაიქცა წვიმისა და ჭექა-ქუხილის ღმერთის სიმბოლოდ. რიგვედაში დედამიწა ძროხად არის წარმოდგენილი, ხოლო წვიმა ანაყოფიერებს მიწას, ისევე როგორც ხარი-უსხვი ძროხას და ა. შ.[29]

მესაქონლეობისა და მიწათმოქმედების წარმოშობას თან მოჰყვა ნაყოფიერების კულტთან დაკავშირებული სხვადასხვა წეს-ჩვეულება, ეულგარული და ფალოსური კულტები, რომლებიც მხოლოდ საქონელს, ან ნიადაგის ნაყოფიერებისათვის ხელსაყრელ კულტებად ითვლებოდნენ და არაფერს ეროტიკულს არ შეიცავდნენ. ნაყოფიერების „გამოცანა" იყო – პატარა თესლიდან, მზისა და ნესტის მეშვეობით, აღმოცენებული დიდი მცენარეები, რაც მიწათმოქმედში ერთის მხრივ, საშინელების, მეორეს მხრივ, მოკრძალების გრძნობებს იწვევდა.

სვანეთის ეთნოგრაფიული თუ ფოლკლორული მასალები, რომლებიც არქეოლოგიური მონაპოვრების პარალელებად გამოდიან, მიუთითებენ, რომ აქ განსაკუთრებული აქტიურობით ასრულებენ ნაყოფიერების გამომწვევ სხვადასხვა რიტუალურ წესებს, შედარებით ფართოდ უნდა ყოფილიყო გავრცელებული ფალოსური კულტები. საკმარისია გავიხსენოთ ეთნოგრა-

---

[27] В. В. Бардавелидзе, Главное божество древнегрузинского пантеона Гмерти, Сб., «Вопросы этнографии Кавказа», Тб., 1952, стр. 305.

[28] В. Энгельс, Происхождение религии, М., 1954, стр. 92.

[29] О. Пертольд, «Учение индуизма-боги, брахманы, люди», М., 1969, стр. 399.

ფიულ ყოფაში დამოწმებული, მესაქონლეობაში ნაყოფიერებისა და ბარაქის გამომწვევი სიმბოლო – ფიქალის, კირქვის ან ლითონის კვირისტაებები[30], რომლებსაც ჩვენი მოსაზრებით, პარალელი ეძებნება პროტოინდურ, შაქტის სიმბოლურ გამოსახულებასთან, „იონი-ლინგამებთან“. როგორც მკვლევარები მიუთითებენ, „იონი ლინგამი“ წარმოადგენს ქალური საწყისის, ნარდისა და სიცოცხლის სიმბოლოს და მიიჩნევენ ფალოსური კულტის არქეოლოგიურ დადასტურებად[31]. ან გავიხსენოთ ცნობილი სვანური ფალოსური რიტუალი „მელია-ტულეფია“, რომელიც დაკავშირებულია ნაყოფიერების, ბუნების კლდომისა და გაცოცხლების ციკლთან. „მელია-ტულეფიას“ მკვლევარები აკავშირებენ ცნობილ ხეთურ, ნაყოფიერებისადმი მიძღვნილ მითთან, მეფე ტელეფინიუსის შესახებ[32].

ფალოსური კულტის ნიშნეული დადასტურებაა კომპლექსური ექსპედიციის მიერ მულახის თემში, ჩაბიანის ღვთისმშობლის ეკლესიაში გამოვლენილი მამაკაცის ანტროპომორფული, ითიფალური ქანდაკება[33]. იმავე სოფელში ი. კახიანის ოჯახში ინახებოდა ხის ფალოსი, რომელიც მულახში ჩვენს დრომდე შემორჩენილი რელიგიური დღესასწაულის - „საქმისა“-ის („აღბა ლაღრალ“) რიტუალში სქესობრივ-ეროტიულ მოძრაობაში გამოსაყენებლად იყო განკუთვნილი[34]. ფალოსური ნიშნების მატარებელია აგრეთვე ზემო სვანეში „ჯგეიბ“-ისა და ქვემო სვანეთში „აღრიკელა“-ის რიტუალები[35]. სვანეთშიც, ისე როგორც სხვაგან ფალოსის კულტში ბუნების, საქონლისა და ადამიანის განაყოფიერება-გამრავლებისა და ჭირნახულის ღოლათიანობის შინაარსია სიმბოლურად გადმოცემული.

როგორც ივ. ჯავახიშვილმა და ვ. ბარდაველიძემ გაარკვიეს, სვანური ღვთაება „ბარბოლ“ წარმოადგენდა მზისა, გადამდებ სნეულებათა - „ყვავილბატონების“ და, მასთან ერთად, მესაქონლეობის ნაყოფიერების ღვთაებას. აღსანიშნავია, რომ „ბარბოლზე“ დაყენებულ შესაწირავ

---

[30] ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან (ღვთაება ბარბარ-ბაბარ), თბ., 1941, გვ. 19.

[31] И. Ф и ш е р, Любовь и самоотречение; О. П е р т о л ь д, Учение индуизма - «Боги, брахманы, люди», М., 1969, стр. 91, 107.

[32] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, თბ., 1928, გვ. 65; გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, 1965, თბ., გვ. 167; მ ი ს ი ვ ე, როგორც ამტკიცებდნენ ლურსმული წარწერები, თბ., 1961, გვ. 82; Н. И. Б е д у к и д з е, - Хеттский миф о Телепине и его сванские параллели, «Вопросы древней тстории», Тб., 1973, стр. 95-97.

[33] შ. ჩ ა რ თ ო ლ ა ნ ი, მასალები სვანეთის არქეოლოგიისათვის, ტაბ. L.

[34] ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, ფალოსური კულტი საქართველოში, „მიმომხილველი“, 1926, №. I, გვ. 122-135.

[35] ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 133. ეგ. გ ა ბ ლ ი ა ნ ი, ძველი და ახალი სვანეთი, გვ. 127.

[36] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული პრობლემები, თბ., 1950, გვ. 190-201, ვ. ბ ა რ ვ ა ლ ე ი ძ ე, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან, გვ. 29-30.

ცხოველთა შორის პირველი ადგილი ძროხას და ხარს ეკავა, რომელთაც „ბარბლად“ ეწოდებოდათ[36].

პროფ. ვ. ბარდაველიძე თავის გამოკვლევაში, „ქართული (სვანური) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები“, აღნიშნავს, რომ სვანები მიცვალებულთა კულტთან დაკავშირებულ „ლიფანალის“, აგრეთვე, „ბემბღუს“ საწესო მხატვრობის შესრულების დროს, სხვა ცხოველებთან ერთად, ყოველთვის ხარს ან მხვნელ ხარს ხატავდნენ. წიგნში მოტანილ ტაბულებზე ასახულია: ხარ-ძროხების ნახირი და 22 ხარი, ძროხების ნახირი და 14 ძროხა, 15 თხა, 11 ჯიხვი, 11 ცხვარი, 9 ღორი, 9 ცხენი და 9 ცხენი მხედრითურთ, 3 არჩვი, 2 სახედარი, 2 ძაღლი, 2 კატა, 2 თაგვი, 1 ირემი, 1 დათვი. როგორც ვხედავთ, ტაბულებზე ყველაზე დიდი რაოდენობით წარმოდგენილია ჯერ ხარი და ძროხა, ხოლო შემდეგ დანარჩენი ცხოველები. ამასთან, ჭრელებში ყურადღება გამახვილებულია ხორბლის შესანახი ჭურჭლის – კიდობნის, რიტუალური კვერების, მცენარეების ასახვაზე, აგრეთვე, მზის სიმბოლო – ჯვრების გამოსახვაზე. როგორც ნაშრომიდანაც ჩანს, საწესო მხატვრობაში ასახული და გადმოცემულია სვანეთის ცხოვრების ის ხანა, როცა დაწინაურებული ჩანს მესაქონლეობა და მიწათმოქმედება. ხარი ამ შემთხვევაში გაგებულ უნდა იქნას, როგორც ჭირნახულის მომნიჭებელი, მოსავლიანობისა და ხვავის ემბლემა[37].

მაგრამ, აქ ყურადრების ღირსია ერთი დეტალიც, საწესო ჭრილებში ხატავდნენ გარეულ ან ადამიანის საკვებად გამოუსადეგარ ცხოველებსაც, მაგალითად: არჩვებს, ირმებს, დათვებს, სახედრებს, ძაღლებს კატებს, თაგვებს. ეს, აშკარად მათ ტოტემურ წარმოშობაზე მიუთითებს, მით უმეტეს, რომ ისინი მოცემული გვაქვს ლიფანილის“ მხატვრობაში.

აღსანიშნავია, რომ მზის ღვთაების სიმბოლოდ და მის სამსხვერპლო ობიექტად ჩანს ხარი ლილეში“,რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებული აზრით მზისადმი მიძღვნილი წინარექრისტიანული ეპოქის საგალობელია (“ხარები გყავდათ დათქმული, რქები ედგათ ოქროსი“)[38]. მეორე სვანურ ხალხურ ლექსებშიც,“ბარბალ დოლაშ“,ხარები მზესთან შერწყმულან წარმოგვიდგებიან:

“მზე შემოაქვთ რქებით ხარებს,
მზე შენია ბარბალ დოლაშ“[39].

ყოველივე ზემოთქმულიდან გადმომდინარეობს, რომ სვანეთში ხარი ტოტემურ ფაზაშიეე გადაიქცა კულტად და ფართოდ გაერცელდა. ხოლო მისი, როგორც რელიგიაში ასახვის ობიექტის შემდგომი პროცესი, დაკავშირებული ჩანს ქართველთა წარმართულ პანთეონში დიდი ღმერთის შექმნასთან, რომელშიც იგი მზესთან ერთად გაერთიანდა.

თუ გავითვალისწინებთ სვანეთის გვიანი ბრინჯაოს ეპოქას, საწარმოო იარაღების თანდათანობით გაუმჯობესებას და, მაშასადამე, წარმოების დაწინაურებას – მესაქონლეობისა და სახვნელი მიწათმოქმედების განვითარებას, აგრეთვე, ტოტემური ხარის კულტის გაერცელებას, მაშინ

[37] ვ. ბარდაველიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 17, 18, 161.

[38] ქართული ხალხური პოეზია, ტ. I, 1972, გვ. 82.

[39] “ირინოლა“, თბ., 1968, გვ. 61.

შესაძლებელი ხდება დავასკვნათ, რომ ჩვენი ხარის ქანდაკება წარმოადგენს ამ გადასვლის პროცესის – ე. ი. ტოტემური ხარიდან – მზის კულტთან დაკავშირებულ მხვნელ ხართან – გადასვლა-განვითარების პროცესის ასახვას პლასტიკურ ხელოვნებაში. მით უმეტეს, რომ როგორც ეს ზოგად ეთნოგრაფიაშიც მიღებულია, ტოტემის თაყვანისცემის შერწყმა ბუნების თაყვანისცემასთან, მეტად ნელ პროცესს წარმოადგენს და მრავალი ეტაპია მასში საგულისხმებელი.

სადღეისოდ ჩვენს ხელთარსებული მასალები სვანეთში ცხენის კულტის არსებობასაც მიგვანიშნებს. იგი გვიანი ბრინჯაოს ხანის დასასრულს და ადრერკინის ხანის დასაწყისში უნდა ჩასახულიყო. თვით გვიანბრინჯაოს ხანისათვის საამისო არქეოლოგიური არგუმენტები ბევრი არა გვაქვს და სოფ. კალაში აღმოჩენილი მცირე ოსტეოლოგიური მასალითა და კოლხურ ცულებზე გრავირებული ცხენის სტილიზებული გამოსახულებებით შემოიფარგლება[40]. მაგრამ მომდევნო და უფრო გვიანდელი ეპოქების არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული და ენობრივი მონაცემები უდაოდ ხდის ცხენის კულტის ადრიდანვე გავრცელებას სვანეთში.

განათხარი მასალებიდან საგანგებო ყურადღებას იქცევს ძვ. წ. I ათასწლეულის შუახანების კუთვნილი, ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული ცხენის გამოსახულებები, რომლებიც სამკაულებად და ავგაროზებად უტარებია ლარილარის სამაროვანზე დაკრძალულ მოსახლეობას (სურ. 105). აქვე აღმოჩნდა ცხენის აკაზმულობის ნაწილები: ბრინჯაოს სათასმე ბალთები, რკინის ლაგმები, მხედრის კუთვნილი საბრძოლო იარაღები და ცხენის თავ-კისრის გამოსახულებებიანი სახელურები კერამიკულ ჭურჭელზე (სურ. 101) და სხვა მასალები[41], რაც ცხენის დიდ პრაქტიკულ მნიშვნელობასთან ერთად, რელიგიისა და კულტის სფეროში მის შეჭრასაც მიგვანიშნებს. დაახლოებით ამავე პერიოდისაა სოფ. ზესხოში ნაპოვნი ბრინჯაოს მხედრის ქანდაკება, მსგავსი ცაგერისა და ბრილის ქანდაკებისა. სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე დიდი ხანია დამკვიდრდა მოსაზრება, რომ ცხენისა და მხედრის ქანდაკებებს რელიგიური ხასიათი აქვთ.

უყურო გვიანდელი ნივთიერი მასალებიდან აღსანიშნავია, ამულეტებად და გულსაკიდებად განკუთვნილი ცხენის მცირე ქანდაკებები, რომლებიც ამჟამად სხვადასხვა მუზეუმებში, აგრეთვე ეკლესიებში და მოსახლეობაშია გაბნეული. სამი ქანდაკება ამჟამად სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში ინახება (სურ. 104, 106, 107). არც თუ დიდი ხნის წინათ მათ მაგიურ ძალას ანიჭებდნენ და ხშირად ხვითოს („ლახვარ", „მახადანა") დანიშნულებით იყენებდნენ. მესტიის მუზეუმში დაცულია აგრეთვე, სეტის წმ. გიორგის ეკლესიისათვის შეწირული, ხისაგან გამოთლილი ცხენის სტილიზებული ქანდაკება (სურ. 109).

ცხენის კულტთან დაკავშირებული საყურადღებო გადმონაშთები გვხვდება აგრეთვე ეთნოგრაფიულ ყოფაში. აქ გვიანობამდე შემორჩა წესი – მამაკაცის დაკრძალვის დროს მის ცხენს ჭენებით შემოატარებდნენ

[40] შ. ჩართოლანი, სვანეთი ბრინჯაოს ხანაში (საკანდიდატო ნაშრომი), გვ. 148.

[41] შ. ჩართოლანი, ლარილარის სამაროვანი..., გვ. 307. ტაბ. II-4; ტაბ. III.

სოფლის არემარეს და ძლიერ დაქანცულს მიაგდებდნენ საფლავთან. ან ცხენი იმდენად უნდა ეჭენებინათ, რომ მხედრის საფლავთან სული დაელია. ასეთ ცხენს სვანეთში „ლ ა ს გ მ გ ე ნ ე"-ს უწოდებენ. ამ ფორმის შეწირვას კი „ჩაჟი ლიბჭკვე" ანუ ცხენის გახეთქვა ეწოდება.

ცხოველური კულტის სხვა ფორმებიდან როგორც ჩანს, მგლის კულტიც არის საგულისხმებელი. სვანური ეთნოგრაფიული მასალების ანალიზის საფუძველზე პროფ. ე. ბარდაველიძემ ადრევე გამოთქვა ასეთი მოსაზრება. ეგება ამაზე თვალსაზრისს ადასტურებდეს ლარილარის სამაროვანზე აღმოჩენილი ბრინჯაოს ამულეტები მგლის თაყისა (სურ. 94) და ძაღლის გამოსახულებებით (სურ. 95, 96, 100).

უძველეს რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებს უკავშირდება კომპლექსური ექსპედიციის მიერ აღრიცხული, ეკლესიებისათვის შეწირული ფრინველის ქანდაკებები[42]. ორი მათგანი ფერადი მინისგანაა დამზადებული და გულსაკიდს წარმოადგენს (სურ. 110–2, 3), ერთი კი ბრინჯაოსია და ბრტყელ საგანზე დასადგმელად არის განკუთვნილი (სურ. 110–1). აღნიშნული ნივთები, განსაკუთრებით მინის ქანდაკებები იშვიათია ჩვენში. ერთადერთი სუსტი პარალელი, რომელიც მაინ დათარიღების საშუალებასაც იძლევა, ეს არის ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1972 წელს აღმოჩენილი და ძვ. წ. IV-III საუკუნეთა მიჯნით დათარიღებული მინის ქანდაკება[43]. დაახლოებით ამავე დროის, ან შედარებით უფრო ადრინდელი უნდა იყოს უშგულში აღმოჩენილი ბრინჯაოს ფრინველის ქანდაკება.

როგორც ამას სვანეთის არქეოლოგიური ძეგლები მიუთითებენ, ფრინველის ქანდაკებები, როგორც სამკაული და გულსაკიდი-ამულეტი განსაკუთრებით მოდურია ძვ. წ. I ათასწლეულში. ისინი მრავალად და მხატვრული მრავალფეროვნებით არის წარმოდგენილი ლარილარის ძვ. წ. VI-IV სს. კრემაციული სამაროვნის კომპლექსში (სურ. 110–4, 5, 6, 7)[44], გვიანდელ დროში, სვანეთში შამორჩენილია სხვადასხვა მასალისაგან დამზადებული ფრინველის გამოსახულებების ეკლესიებისათვის შეწირვის ჩვეულება. ა. სტოიანოვის გამოკვლევით, ეს ქანდაკებები ადრეულ ასაკში დაღუპული ბავშვების ხსოვნის აღსანიშნავად ყოფილა ჭირისუფლებისაგან შეწირული[45]. ამასთან დაკავშირებით, ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ ჟინვალის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ, მინისებური პასტისაგან

---

[40] შ. ჩ ა რ თ ო ლ ა ნ ი, სვანეთი ბრინჯაოს ხანაში (საკანდიდატო ნაშრომი), გვ. 148.

[41] შ. ჩ ა რ თ ო ლ ა ნ ი, ლარილარის სამაროვანი..., გვ. 307. ტაბ. II-4; ტაბ. III.

[42] შ. ჩ ა რ თ ო ლ ა ნ ი, მასალები სვანეთის არქეოლოგიისათვის, გვ. 21, ტაბ. X, - 1, 2, 4.

[43] ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის 1972 წლის საველე დაეთარი, ინვ. №3 – 72/408.

[44] შ. ჩ ა რ თ ო ლ ა ნ ი, ლარილარის სამაროვანი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები, თბ., 1968, გვ. 316. ტაბ. III-5, 8; მ ი ს ი ვ ე, მასალები სვანეთის არქეოლოგიისათვის, ტაბ. X-3, 5.

[45] М. А. С т о я н о в, Путешествие по Сванетии, ЗКОИРГО, кн. X, вып. II, 1876, стр. 314.

[46] რ. რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, ბ. ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე, ჟინვალის არქეოლოგიური ექსპედიციის 1971 წლის ანგარიში (ხელნაწერი).

დამსადებული ფრინველის ქანდაკებები აღმოაჩინა XII ს. ბაგშეის სამარხში[46]. აღნიშნულ ფაქტებთან ერთად თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ აღრეულ ქრისტიანობაში ფრინველის გამოსახულება ციურ სამოთხეს განასახიერებდა, მაშინ სვანური მასალების მიხედვით, საკმაოდ ნათლად შეიძლება წარმოვიდგინოთ ტოტემიზმიდან ანიმიზმისაკენ განვითარების სურათი. ჩვენი მოსაზრების საბუთიანობის გასაძლიერებლად საკმარისია გავიხსენოთ — სვანური ანიმისტური წარმოდგენა ფრინველთა მფარველ, კეთილ სულზე, შემდეგში ღვთაებად განვითარებულ — „ა ფ ს ა ს დ"-ის კულტზე, რომლის წამოყალიბება ემთხვევა პირველყოფილი თემური წყობილების რღვევის ხანას, რასაც განეკუთვნება აგრეთვე სვანეთის აღრინდელი არქეოლოგიური მონაპოვარი. ამ ეპოქაშია ფესვგადგმული, გვიანდელ დრომდე შემონახული, ასეთი ნიეთების დამზადების ჩვეულება და მასთან დაკავშირებული რელიგიური რწმენა-წარმოდგენები, რომელთაც გადმონაშთების სახით შემოინახეს თავი და განაპირობებს კიდეეც სვანთა ქრისტიანული რელიგიის სინკრეტული ხასიათი.

როგორც ზემოთაც აღნიშნავდით, ახალმა საწარმოო საშუალებებმა, მესაქონლეობის განვითარებამ სვანეთში განაპირობა მიწათმოქმედების შექმნა დაწინაურება. ამ ეტაპზე განსაკუთრებულ აქტიურობას იჩენს ნაყოფიერებისა და აგრარული კულტები, ვითარდება ასტრალური კულტი — ახლა უკვე მზის განსაკუთრებული თაყვანისცემით. თუ მიწა აღიქვებოდა, როგორც დედა, ნაყოფიერების მომნიჭებელი, სათაყვანებელი, ღვთიური ჭირნახულის მომცემი, მზე უკვე ხდება ამ მოვლენის პირველი მიზეზი, მისი სათავე. ასე შეერწყმის ნაყოფიერების კულტი და მზის თაყვანისცემა ერთმანეთს. ამავე დროს, მთვარის უსენაესობა თანდათანობით უკან იხევს, რამდენადაც მთვარეს მხოლოდ ნადირობისა და შემგროვებელი მეურნეობის ხანაში თუ ეჭირა გაბატონებული მდგომარეობა. მიწათმოქმედების განვითარების პერიოდში, მზეზე დაკვირვებისა, მისი ციკლიურობისა და რაციონალური მოძრაობის შეცნობის კვალობაზე, მზის თაყვანისცემა იღებს უპირატეს განვითარებას.

არქეოლოგიური მასალების მიხედვით სვანეთში ასტრალური კულტის ორივე ეს ფორმა თანაარსებობს, რამდენადაც დაწინაურებული მესაქონლეობისა და სახვნელი მიწათმოქმედების განვითარებასთან ერთად, მონადირეობა და შემგროვებლობა კვლავ სასიცოცხლო წარმოების ნაწილს შეადგენს. ასეთი დუალიზმი ცნობილია მსოფლიო რელიგიის ისტორიაში. მაგალითად, ეგვიპტეში მზისა და მთვარის ძლიერი თაყვანისცემა ერთდროულად არსებობდა. აქ და მონათმფლობელური რომის იმპერიაშიც კი, ძალზე პოპულარული გახდნენ ოსირისი. ყურადღება მისაქცევია ის გარემოებაც, რომ სვანეთი მაინც ჩრდილოეთის, მკაცრი კლიმატური პირობების მქონე ქვეყანაა და, შესაძლებელია, მას თავისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო, ჯერ კიდევ მიწათმოქმედების განვითარებამდე შეექმნა მზის, როგორც სითბოსი და სიცოცხლის მომნიჭებელი საოცარი მოვლენის კულტი. თავის დროზე ამაზე მიუთითეს

[47] Н. Я. М а р р, Избран. работы, т. 3, М.-Л., стр. 181-184; Е г о же, Кавказоведение и абхазский язык, II, 1916, стр. 2.

ნ. მარმა[47] და ვ. ბარდაველიძემ. ამ უკანასკნელმა თაეისი გამოკელევის – „ქართველოა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან“ (ღეთაება ბარბარ – ბაბარ) – დასკვნაში აღინიშნა, რომ „ბარბალე“ – „ქალბაბარ“ მოწმდება ასტრალური კულტის განვითარების დროიდან კი არა, არამედ ამ ხანის გაცილებით უფრო უწინარესი დროიდან[48]. ამ ხანის გაცილებით უწინარესი დრო კი, ჩვენი აზრით, მზის ტოტემურ ფაზაშია მოსაძიებელი. აქვე აღსანიშნავია, რომ ჩრდილოეთის ისეთ ქვეყანაში, როგორიც ისლანდიაა, აგრეთვე მოწმდება მიწათმოქმედების განვითარებამდე მზისადმი ძლიერი თაყვანისცემა, რაც ისლანდიელი ხალხის ბრწყინვალე მითოლოგიამაც შემოინახა[49].

სვანეთის არქეოლოგიურ მასალებში წარმოდგენილი საკულტო-სარიტუალო და საპარადო დანიშნულების ნივთების მხატვრობის სემანტიკა კოსმოლოგიური შინაარსის შემცველია. ასე მაგალითად, უშგულში ნაპოვნი ბრინჯაოს გულსაკიდის დისკოსებური ფორმა და ორნამენტი – ცენტრალური რელიეფური კოპი, ოთხივე მხარეს გაშლილი სხივები, გარერკალზე შემოყოლებული წრეხაზი და სხვ. ჩვენის აზრით, მზის სიმბოლურ გამოსახულებას წარმოადგენს. აქ მზე და სიერცე სტატიკურად, რადიალურად უნდა იყოს გადმოცემული (სურ. 111). კავკასიის სინქრონულ ძეგლებში ანალოგიური მაგალითები ცნობილია ჩრდ. კავკასიაში – სოლომონსკოეს ყორღანის ბრინჯაოს გულსაკიდები[50]. სომხეთში – ანთიმონის გულსაკიდები[51] და სხვ.

საქართველოს მონაპოვრებიდან ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ბორჯომისა და სამთაეროს მონაპოვრები. ბორჯომის მასალები – დისკოიდალური საკიდები და თიხის საბეჭდავი, არქეოლოგმა ო. ღამბაშიძემ მზის თაყვანისცემის – დიდი დედის – ბარბარეს ღვთაების ამსახველად მიიჩნია. ავტორს ამაეე ტერიტორიაზე დამოწმებული აქვს ტოპონიმი მზეთამზე, რომელსაც მზე ბარბარეს სინონიმად მიიჩნევს და დასძენს, რომ აღნიშნულ მასალებში ბარბარეს ღვთაების უძველესი ბუნებაა ასახული[52]. ამგვარი შინაარსის მქონე ნივთების გავრცელება ძველ სვანეთშიაც სრულიად ბუნებრივი ჩანს თუნდაც იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ აქ ბარბარეს („ბარბალე“, „ბარბოლ“) ღვთაება განსაკუთრებით ძლიერადაა აღიარებული და მისი ადრინდელი ნიუანსები თითქმის დღეანდელ დრომდე შემორჩა სვანურ ქრისტიანულ სარწმუნოებას[53].

---

[48] ვ. ბარდაველიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 120.

[49] М. И. Стеблин-Каменский, Культура Исландии, Л.,1967, стрю 60-86.

[50] Е. И. Крупнов, Древняя история и культура..., стр89, рис. 14-3.

[51] А. А. Ивановский, По Закавказью, МАК, VI, стр. 104, 136-138, таб. VI „, 10, 11, 12; А. А. Мартиросян- Армения в зпоху бронзы, стр. 201, рис. 77, 3-7.

[52] ო. ღამბაშიძე, გვიანი ბრინჯაოს ხანის მეურნეობის საკითხისათვის ბორჯომის ხეობაში. ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მეექვსე სესიის მოხსენებათა თეზისები. ბორჯომი, 1968, გვ. 7; მისივე, რეელის სამაროვანი, ძეგლის მეგობარი, №39, 1975, გვ. 58-59, ტაბ I-1.

[53] ვ. ბარდაველიძე,ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან.

მზის გამოსახულება ფართოდ გაერცელებული მხატვრული მოტივია ადრეანტიკური ხანის სვანეთში. ამის დასტურად საკმარისია მოვიტანოთ ლარილარის სამაროვანზე აღმოჩენილი მასალა: ბრინჯაოს ბალთები (სურ. 112, 113, 114, 115, 116). გულსაკიდები (სურ. 117, 118, 119, 120, 122), სადაც მზე მრავალი ვარიაციებითაა მოცემული. შუასაუკუნეებში მზის გამოსახულება ერთ-ერთი წამყვანი მოტივია მხატვრულ ხელოსნობაში, როგორც ჭედურობაში ისე ხეზე კვეთილობაში (სურ. 121, 50-52, 55-57). ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ეთნოგრაფიულ ძეგლებზე მოცემული მზის გამოსახულების მხატვრული სტილი ხშირ შემთხვევაში იმეორებს ანტიკური ხანის ნივთებზე მოცემული მზის გამოსახულებათა შესაბამის ნიშნებს. აღნიშნული კარგი საბუთია ძველი ტრადიციების გამძლეობის ნათელსაყოფად. ამასვე ამტკიცებს კიდევ ერთი ფაქტი, კერძოდ, ეთნოგრაფიული გამოკვლევები მიუთითებენ, რომ სვანეთში ცხოველის (ცხენის) კულტი მზის კულტს უკავშირდება[34]. ლარილარის ერთ-ერთ ბალთაზე (სურ. 112) მზის გამოსახულებასთან ერთად მოცემულია ცხვრის თავის ქანდაკებები. ჩვენის აზრით, აქაც იგივე შინაარსი დევს – ცხვრის კულტი უკავშირდება მზის კულტს.

სვანეთის უფრო ადრეულ, გვიანბრინჯაოს ხანის ნივთებზე მზის გამოსახულება გრავირების წესითაც არის შესრულებული. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა კულხური ცულების მხატვრობა (სულ. 125-126). ერთ-ერთ ცულზე მზის გამოსახულება სვასტიკების სახითაა მოცემული. მეორე ცულზე მზის მრგვალი გამოსახულება მოცემულია ოთხჯერ. შესაძლებელია ეს შემთხვევითი არც იყოს და ასახავდეს მზის მოძრაობის ციკლურობას. ე. ი. წელიწადის ოთხ დროს. მაშასადამე, სვანებმა იცოდნენ მზის მიმოქცევისა და მისი დამოკიდებულების შესახებ ფიზიკურ მოვლენებთან; იგი წელიწადის ოთხ დროთა უფალია, რომელიც თავისი წლიური მარადი ცვალებადობით წარმოქმნის, ასაზრდოებს და სპობს ცხოველებსა და მცენარეებს, ხოლო დღისა და ღამის ცელით ათბობს და ანელებს, ანერგებს მიწას და აცმასპყრობს. მაშასადამე, სვანებთან მზე აღიქმებოდა როგორც მოძრაობის, რიტმის ციკლის მომწყობი ციური ძალა.

გამოთქმულ ვარაუდს ადასტურებს სვანთა ეთნოგრაფიულ ყოფაში შემორჩენილი მრავალი ძველი რელიგიური წეს-ჩვეულება. მაგალითად, წინაპართა კულტის რიტუალში დამოწმებული ერთი ჩვეულება– მიცვალებულის ღამისთევის დროს საძრახისად არ ითვლებოდა სიცილი, მხიარული განწყობილება, მაშინ, როცა დღისით განუწყვეტელი ტირილი იყო. ტირილი იწყებოდა მზის ამოსვლიდან და გრძელდებოდა მზის ჩასვლამდე. ამ წეს-ჩვეულებაში აშკარად შემონახულია მზესთან და მის მოძრაობასთან დაკავშირებული რელიგიური წარმოდგენები, რომლებიც იქნებ სვანთა კოსმოლოგიური შეხედულებებიდან გამომდინარეა. ღამით მხიარულება მიუთითებს სვანების იმ რწმენაზე, რომ მზე მიდის მკვდართა ქვეყანაში, მაშასადამე, მიცვალებული მზეს შეხვდა, სიცოცხლეს ეზიარა

[34] ლ. ბ ე ქ უ კ ი ძ ე. ხეზე კვეთილობის ზოგიერთი ნიმუში სვანეთიდან, სსმ მოამბე, XXX-B, თბ., 1975, გვ. 21-32.

და ამიტომაც აღარ არის საჭირო გლოვა. გათენების შემდეგ კი, კელაე იწყებოდა გლოვა, რადგან მზე უკვე სტოვებდა მკვდართა ქვეყანას, ქვესკნელს.

აღსანიშნავია ისიც, რომ, როგორც ამას ბ. ნიჟარაძე გადმოსცემს წინაპართა კულტის წესების შესრულების დროს, ერთი წლის განმავლობაში, მიცვალებულის პატრონი ყოველ სადილ-ვახშამზე მიცვალებულისათვის გამოყოფდა საჭმლის ულუფას, წარმოსთქვამდა შენდობას, რის შემდეგ ერთ ლუკმას აგდებდა ცეცხლში[55]. ეს დეტალიც ადასტურებს სვანთა წარმოდგენას იმის შესახებ, რომ მზე იყო შემოქმედი სიკვდილ-სიცოცხლისა. როცა კაცი კვდებოდა, მზე ართმევდა მას ენერგიას, სიცოცხლეს და მისი სული კი მიჰქონდა თან. ამიტომ იყო, რომ ცეცხლში ლუკმის გადაგდებით სვანი თავის წინაპარს უგზავნიდა საკურთხს. ერთი წელი გლოვაც მზის მოძრაობის წლიურ ციკლს უკავშირდება, ალბათ.

მზის მოძრაობის უმაღლესი წერტილის ცოდნას ადასტურებს სვანურ დღეობათა ახალწლის ციკლი, ამ დროს შესრულებული ლოცვები და სხვადასხვა რიტუალი. განსაკუთრებით აღსანიშნავია შობის (24 დეკემბერი) დღესასწაული. ამ დროს შესრულებულ რიტუალში აშკარად ჩანს დღეობათა აგრარული, სამიწათმოქმედო ხასიათი, რომელიც მზესთანაა დაკავშირებული: ხარშავდნენ ხორბლის თესლის კორკოტს; „ლამარიაშ ტაბლაშ“-ის კიდობნიდან იღებდნენ ხორბლის ფქვილს და აცხობდნენ სარიტუალო „ლემზირებს“, რომლებზედაც მკაცრი ტაბუ იყო გამოცხადებული[56]. ალბათ ეს ტაბუ ტოტემისტური ფაზის ასახვა იყო, ხე-მცენარეთა ტოტემის, კულტისაგან შემორჩენილი და ახლა უკვე შესული მზისა და ნაყოფიერების კულტში; შობის დროს მღეროდნენ „ლილესაც“, მზის საგალობელს. ლოცვაში განსაკუთრებულად ხაზგასმული იყო ხეევნა-ვედრება: „შენი სადიდებელი ტაროსი და მადლი მოგეეციო“.

ცნობილია, 21-22 დეკემბრიდან მზის დღიური მოძრაობა იზრდება, ვიდრე მარტის 21-მდე, როცა ხდება დღისა და ღამის გათანაბრება. სვანთა ახალწლის ციკლის დღესასწაულებში ასახული იყო, ჩვენი აზრით, მზის რაციონალური მოძრაობა. ხორბლის თესლის მოხარშვა ამ დროს სიმბოლურია მზისა – მზის „სიკვდილი“ და აღდგომა წარმოდგენილია ხორბლის „სიკვდილსა“ და „აღდგომაში“, რომელიც სვანთა წარმოდგენებითაც უკავშირდება და პარალელი ეძებნება კაცის სიკვდილსა და სიცოცხლეს (აღდგომას). ალბათ ამიტომაც არის, რომ ახალწლის დღეობათა ციკლში აქვთ სვანებს დღეობა „ლიფანალიც“. რადგან ძველი რელიგიური წარმოდგენებით, მზე აცლის, მზეს ააქვს ადამიანიდანაც თავისი უხილავი არსი, რომელსაც მისი აღდგომისთანავე ე. ი. დეკემბრის შემდეგ თავისი საბრძანებლიდან უშვებს. ამიტომაც იხდიდნენ სვანები, ჩვენი აზრით, „ლიფანალის“ დღეობას სწორედ ამ პერიოდში. ყურადღება უნდა მიექცეს „ლიფანალის“ მხატვრობის ერთ დეტალს: აღსანიშნავია, რომ ჭრელები უნდა შესულიყო ნახშირითა და ნაცრით. ესეც მზის თაყვანისცემასთან დაკავშირებული ფაქტორია. მითუმეტეს, რომ პროფ. ვ. ბარდაველიძის

[55] ბ. ნ ი ჟ ა რ ა ძ ე, წესები მიცვალებულზე გაზ. „დროება“, 1885, №51, №56.

[56] ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი... გვ. 31-45.

მოტანილი მასალის მიხედვით, სვანები ჭრელებს ასრულებდნენ სულების გასართობად. (მაშასადამე, აღდგომა მოხდა, სულები მოვიდნენ და მათ ართობენ).

უნდა აღინიშნოს, რომ ზემოხსენებული ბრინჯაოს ცულზე მოცემულია, მზის ოთხ გამოსახულებასთან ერთად, ხის წიწვისებური და სპირალისებური ცხოველური ორნამენტები. ეს უკანასკნელი თითქოს და ფრინველის, თევზისა და ცხოველის სიმბოლოებს წარმოადგენს, რომლებიც სპირალთა რგოლებს ჰქმნიან. თუ ჩვენ გავიზიარებთ პირველყოფილ თემური საზოგადოების პრიმიტიულ, მატერიალისტურ იდეოლოგიას, იქნებ ეს გამოსახულება გადმოგვცემდეს ასეთ შინაარსს. მზე შემოქმედი – მცენარეთა, ცხოველთა, თევზთა და ფრინველთა სამყაროსი.

სვანებს რომ კოსმოლოგიური მხედველობა გააჩნდათ, ამ თვალსაზრისს ზემოთქმულის გარდა ადასტურებს ჩვენს მიერ მოპოვებული არქეოლოგიური მასალა გველის გამოსახულებით; იგი მოცემულია კერამიკულ ჭურჭლებზე რელიეფური ორნამენტის სახით (სურ. 102, 103), ხოლო ბრინჯაოს ნივთებზე გრაფირების ან სტილიზებური ქანდაკების სახითაა წარმოდგენილი. ასეთ სამკაულს განსაკუთრებით დიდი რაოდენობით შეიცავს ლარილარის (ჭუბერის) ადრეანტიკური ხანის სამაროვანი (სურ. 129, 130, 131).

აგრარულ, ნაყოფიერებისა და მზის კულტურებს უნდა უკავშირდებოდეს სვანეთში ფეტვის მოსაველისადმი მიძღვნილი რელიგიური წესჩვეულებანი. როგორც ზემოთაც ავღნიშნეთ სვანეთის ძვ. წ. I ათასწლეულის არქეოლოგიურ ძეგლებში აღმოჩენილია მარცვლეული, მათ შორის – ფეტვი. ჩანს, ფეტვის კულტურა უძველესი დროიდანვეა აქ გავრცელებული. ამასვე მხარს უბამს სვანური პირველყოფილ რელიგიებში ფეტვის, როგორც კულტის ობიექტისაგან დამზადებული სარიტუალო ფაფები და კეკრები („შეშ“, „ჭკეტ“, „ჯიშდვარ“). ფეტვის მოსაველიანობისადმი მიძღვნილი რელიგიური დღეობა უკავშირდებოდა სვანეთში ახალი წლის დადგომის ციკლს. ამ დღეობას სვანეთში უწოდებდნენ „დანაშ“-ობას. მის სახელზე ყველა სოფელში საყოველთაო უქმობა იყო, ოჯახის ერთ-ერთი წევრი დილიდან საღამომდე „მგტმე“ – უსმელ-უჭმელი იყო, საღამოს კი გამოაცხობდა ფეტვის „ჭკეტ“-ს, ოჯახის უფროსი მიუდიდა აღმოსავლეთის სარკმელთან და ლოცვას შესწირავდა „დანაშს“ – სვანთა წარმოდგენით ფეტვის მოსაველის მფარველს: „დანს დიდება მოგსვლოდეს, ფეტვივით სახსენებელი ხარ, ფეტვი ბლომად მოგიყვანე, დაგეოჯვარე ყოველთვის ფეტვი“[57]. ყურადღება მისაქცევია, რომ ზოგ თემში ფეტვის კეკრები „უწონაში“ ე. ი. ტაბუირებული იყო. ფეტვის კეკრებს აცხობდა დედაკაცი, რაც ჩვენი აზრით, მიუთითებს ტოტემური ფეტვის არსებობაზე სვანეთში, ხოლო ფეტვის კეკრს იღებდა მამაკაცი და მიდიოდა აღმოსავლეთის კუთხის მარჯვენა სარკმელთან და ლოცვას ასრულებდა. ეს უკვე უნდა ასახავდეს მეორე პერიოდს – მიწათმოქმედების განვითარებას, მზის

[57] ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, სვანური ხალხური დღეობათა კალენდარი, გვ. 28.

თაყვანისცემას (რადგან აღმოსაელეთით მარჯვენა სარკმელთან სრულდება ლოცვა) და მამაკაცის როლის ზრდას სამეურნეო საქმიანობაში.

სვანეთში დადასტურებული ჩანს ხორბლის კულტიც. ისიც, ისევე როგორც ფეტვი, შესულია აგრარულ კულტში. ხორბლის მოსავლიანობისადმი მიძღვნილ ამ რელიგიურ დღესასწაულს ეწოდება „ჯანტლობ", რომელიც ახალი წლის ციკლის დღეობასაც წარმოადგენდა[58].

ფეტვის კულტის არქეოლოგიურ დადასტურებად მიგვაჩნია ეცერის, ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანების გორანამოსახლარზე ფეტვის აღმოჩენის ფაქტი ხელსაფქვავთან ერთად, „საკურთხეველთან" ახლოს. აქვე იქნა ნაპოვნი ხორბლის მარცვალიც[59].

როგორც უკვე ითქვა, სვანეთში სადღეისოდ არ არის გამოვლენილი ბრინჯაოს ხანის სამარხები და ამიტომ არა გვაქვს საშუალება ფართოდ განვიხილოთ დაკრძალვის წესები და წინაპართა კულტი, მაგრამ სადღეისოდ ჩვენს ხელთარსებული მასალები საშუალებას იძლევა ზოგადად მაინც ვიმსჯელოთ მოცვალებულთა და წინაპართა თაყვანისცემისა და კულტის შესახებ. საზოგადოების სამეურნეო და საყოფაცხოვრებო საქმიანობაში მომხდარმა ძვლებმა, შესაბამისი ცვლილებები იდეოლოგიურ სფეროშიაც გამოიწვია. ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ წარმოდგენები ბიოლოგიური კავშირის შესახებ თანდათანობით რღვევას განიცდის და მათ მაგიერ იქმნება წარმოსახვითი კავშირები. ამგვარ წარმოდგენებთანაა დაკავშირებული წინაპართა კულტის, როგორც პირველყოფილი რელიგიის ერთ-ერთი ფორმის წარმოქმნა. როგორც ცნობილია, ტოტემიზმის თავისებურ რიტუალურ ცერემონიალს წარმოადგენს ინტიჩიუმა. უკვე ამ წეს-ჩვეულებაში შეიძლება გამოვყოთ გვარის კეთილდღეობისათვის თავგანწირული ზოგიერთი ლეგენდარული გმირის მოხსენიებისა და შეგონების ცერემონიალის ძირითადი ნიშნები. ტოტემი – წინაპარი უკვე არის პერსონიფიკაცია, მაგრამ მას არ მიუღია მკაცრი პერსონალური ფორმა. ამ ცერემონიალს აღნიშნავენ განსაკუთრებული აქტივობით, რაც უფრო ეუახლოვდებით იმ პროცესს, როცა უსახო მასიდან გამოიყოფა უხუცესის, ბელადის ფიგურა, რაც უფრო მიდის განვითარება პატრიარქატისაკენ[60].

გარდა ტოტემი წინაპრისა, წინაპართა კულტი განვითარდა მასთან ანიმისტური რწმენის შერწყმის საფუძველზე. როგორც ცნობილია, ტოტემისტური თემის ისტორიაში სულზე წარმოდგენა მხოლოდ მაშინ წარმოიშვა, როცა პირველყოფილი ადამიანის პრაქტიკის განმსაზღვრელ საგანთა ურთიერთობა აღიქვა, როგორც ადამიანთა ურთიერთობა.

[58] ე. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 21-31.

[59] შ. ჩ ა რ თ ო ლ ა ნ ი, ა. ქ ა ლ დ ა ნ ი, სვანეთის 1975 წლის სადაზვერვო არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიში, იბეჭდება კრებულში „საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში 1975 წელს".

[60] С. А. Т о к а р е в, დასახ. ნაშრომი; Ю. П. А в е р к и е в а – Разложение родовой общины и формирование раннеклассовых отношений в обществе индейцев северо-западного побережья Северной Америки – Труды Института Этнографии АН СССР, 1961, т. 70, стр. 23, 71, 190, 212; ЯН ЮН-ГО, История древнекитайской идеологии, М., 1957, стр. 22, Ш. Э н ш л е н, Происхождение, религии, М., 1954, стр. 82

ადამიანის წარმოდგენით, როგორც ხელს მოჰყავდა მოძრაობაში ქვა, ჯოხი, და ა. შ. ასევე სასწაულმოქმედი ძალა შეიძლებოდა გამოსულიყო ადამიანის სხეულ'ში უსულო საგნიდან. ეს ძალები – სულები იდეალურ სფეროში 'უკვე დამოუკიდებლად არსებობენ. მაშასადამე, ცხოველთა სამყაროსა და ბუნების ძალებ'ზე ადამიანის შემდგომი ამაღლების კვალობაზე, მაგიურ რელიგიურ გამოსახულებებთან ერთად, ეითარდება წარმოდგენა იდუმალ ძალაზე, სულზე.

სწორედ ეს ანიმისტური შეხედულება პირველყოფილი ადამიანისა, ამ შემთხვევაში კი, გარდაცვალებულის სული – არის წინაპართა კულტის მთავარი ობიექტი. სრულდება მთელი რიგი წეს-ჩვეულებანი გარდაცვალებულის გულის მოსაგებად. გარდაცვალებული უხუცესები, ბელადები „მათი სულები" ისევე და ისევ შიშსა და თაყვანისცემას იწვევენ მემკვიდრეებში. იქმნება ძლიერ და კეთილ სულთა კატეგორიები, რომელთაგან დაცვისა და მფარველობის მისაღებად ნათესავები მათ უშენებენ საგანგებო სამარხებს – ყორღანებს და მატერიალურად მსხვერპლშეწირვით ემსახურებიან.

'სემოთ ჩამოთვლილის გარდა, წინაპართა კულტში გაერთიანდა მატრიარქატის პერიოდის ოჯახურ-გვაროვნული მფარველი. მატრიარქატ'ულ გვაროვნულ ორგანი'საციას ჰქონდა საკუთარი ფორმა კულტისა, რომელშიც იდეალ'ურად ელინდებოდა ურთიერთკავშირი მისი წევრებისა, გვარის სოლიდარობა. მის წმინდა ადგილად ითვლებოდა კერა, წმინდა საგნებად – მაგიური ქვები, ჯოხები და ა. შ. მაშასადამე, წინაპართა კულტი განვითარდა ტოტემური წინაპრის, გარდაცვალებულის სულისა და ოჯახურ-გვაროვნული მფარველის დაკავშირება-შერწყმის საფუძველზე.

ტოტემური წინაპრიდან წინაპართა კულტის, პირველი წინაპრის კულტის განვითარების დამადასტურებელ ფაქტებათ საკმარისია გავიხსენოთ პროფ. ე. ბარდაველიძისა, ლ. დადვანის, ივ. მარგიანის და სხვ. მიტანილი ცნობები იმის შესახებ, რომ სვანეთში მიცვალებ'ულის წინ ხარი მიჰყავდათ. ხარისა ან სხვა ცხოველთა რქებით ინიღბებოდნენ მიცვალებულის წინ მიმავალი ჭირისუფლები[61]. გარდა ამისა, თანამედროვე გვარები ტოტემური ან უფრო ხშირად მეორადი წარმოშობისა არიან და პირველი წინაპრის სახელისაგან არიან ნაწარმოები.

რაც შეეხება წინაპრის კულტთან დაკავშირებულ ნივთიერ მასალებს, კერძოდ, ქვის სალოცავებს, მათი არსებობა სვანეთში ადრე აქვთ დამოწმებული ლობანოვ-როსტოვსკის[62], ა. სტოიანოვს[63] და სხვა მოგზაურ-მკვლევრებს.

ზემო სვანეთის რამდენიმე სოფელში ქვის სალოცავებს, რომლებიც ძველ სვანურ მაჩუბეებში ან (ი'შვიათად) სათიბში არიან მოთავსებულნი ადგილობრივი მოსახლეობა ჩ ხ უ დ // „ჩხუდან"-ს უწოდებს[64]. სვანურ

[61] В. В. Бардавелидзе, Древнейшие... стр. 166, таб. XX. ლ. დადვანი, სვანეთის ჩვეულებები, გა'ს „დროება". 1874, 24, II, №41.

[62] Газета «Кавказ» 1852, №17.

[63] А. Стоянов, Путешествие по Сванетии, ЗКОИРГО, кн. I, вып. II, 1876, стр. 305.

[64] ჩხუდანის შესახებ, ამავე კრებულ'ში იხილეთ მ. ჩ ა რ თ ო ლ ა ნ ი ს სპეციალ'ური ნაშრომი – „ჩხუდანი" – სვანური სახლის კერპი.

მასალებზე დაკვირვება, მათი პარალელების გათვალისწინება მიგვანიშნებს, რომ ჩუდანი და მასთან დაკავშირებული რელიგიური რწმენა-წარმოდგენები თუ რიტუალები ადრეულ არქეოლოგიურ ეპოქებში იღებენ სათავეს. ჩვენი აზრით, აღნიშნული ქეგლები უნდა მიეკისრიოთ პირველი წინაპრის სიმბოლურ გამოსახულებად. რომელშიაც ოდესღაც პატრიარქატის ოჯახურ-გვაროვნული მფარველი იყო ასოცირებული. ამასთან, მესაქონლეობის და მიწათმოქმედების განვითარების შესაბამისად, ნაყოფიერების გადიდების ძალაც ჰქონდა მინიჭებული[65].

ლიტერატურული ტრადიციის მიხედვით წინაპართა კულტი მჭიდროდაა დაკავშირებული ადგილისა და გეომორფულ კულტებთან. სვანური მასალები მიუთითებენ, რომ აღნიშნული კულტები არსებობდნენ აქაური მოსახლეობის რწმენა-ჩვეულებში. ზოგიერთი მონაცემის მიხედვით სვანეთში გეომორფული ტოტემიზმის არსებობაც არის საგულისხმებელი. ამის მანიშნებლად შეიძლება მივიჩნიოთ ფოლკლორული მასალა, კერძოდ ბეთქილის ლეგენდის ერთ-ერთი ვარიანტი,რომელიც აკად. ვ. თოფურიას 1927 წელს ჩაუწერია სოფ. უშგულში. ლექსში ბეთქილის ტრაგედიის მომწყობია კლდეში მცხოვრები შუნი და არადალი[66]. ჩვენი აზრით, ლეგენდის ადრინდელ ვარიანტებში იხსენიება შუნი,უფრო გვიან კი მას ცვლის დალი, რომელიც აგრეთვე ცხოვრობს კლდეში. შუნი პირველყოფილი საზოგადოების იმ პერიოდის ვარიანტი უნდა იყოს, როცა ჯერ კიდევ არ არსებობდა სოციალური უთანასწორება. დალის ვარიანტიც უთუოდ ატარებს ტოტემური ფაზის ნიშნებს, მაგრამ არსებითად ის უკვე პირველყოფილი თემური წყობილების რღვევის სტადიაზე ჩანს შექმნილი და ღმერთქალი დალი საზოგადოებაში სოციალური უთანასწორობის შექმნის აბსტრაქციაა მხოლოდ.

მე-19 საუკუნის რუსი მოგზაურის გ. აკინფიევის ჩანაწერებში დაცულია ცნობა იმის შესახებ, რომ ყოველი წლის მაისში ეწყობა მყინვარის (მთის) დღესასწაული[67]. მყინვარებისა და მთების კულტის შესახებ ცნობა მოეპოვება აგრეთვე გ. რადეს[68]. გეომორფული ტოტემიზმის კვალი შეიძლებოდა გვეგულისხმება მესტიაში, კერცხის კლდის წვერზე მდებარე „ფუსდ საგრიშ“-ის ბეჩოში – მესირისა და სხვა გორებზე არსებულ სალოცავ-ეითინებში. მთის წვერზე საკულტო სალოცავის გამართვის ფაქტები არქეოლოგიურად საქართველოში ჯერ კიდევ ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანიდან არის ცნობილი[69]. მთების, კლდეების და სხვა დღესასწაულები, ჩვენი აზრით, მხოლოდ შემდგომ ხანებში ჩანს დაკავშირებული მიწათმოქმედების კულტებთან, თავდაპირველად იგი

---

[65] შ. ჩართოლანი,მასალები სვანეთის არქეოლოგიისათვის,გვ. 64,65,ტაბ. XLVI – XLIX.

[66] ქართული ხალხური პოეზია, ტ. I, აბ. გვ. 215-216.

[67] Г. Акинфиев, Сванетия, газ. «Кавказ», 1890, №287.

[68] Г. Радде, Путешествие в Мингрельских альпах...

[69] К. Х. Кушнарева, Т. Н. Чубинишвили, Древние культуры Южного Кавказа, Л., 1970, стр. 166.

[70] დ. დადიანი, კოხი სვანეთში, „სასოფლო გაზეთი“, 1875, №4.

ალბათ ტოტემური წარმოშობისა იყო. ამავე მოსაზრებას ამაგრებს ლ. დადვანის ცნობა მესტიის მთა'ზე მდებარე ტბა – „ჩახ", „ჩახრეშ"-ის შესახებ[70]. გვიანდელ ხანამდე შემორჩენილი რწმენით ამ ტბა'ში ქვის ჩაგდება ან ტბის წყლით ხელ-პირის დაბანა, მისი გაბინძურება, ჭექა-ქუხილისა და სეტყვის გამომწვევად იყო მიჩნეული. აკრძალული იყო აგრეთვე მის სანაპიროზე ბალახის მოთიბვა, ახლო გამავალ ბილიკებზე მხარ'ზე ჯოხგადებული გაელაც კი. ანალოგიური ტბები მესტიის გარდა სხვა სოფლების მთის ზოლ'შიცაა ცნობილი. მაგალითად: ჭუბერში, ფარში და სხვ. სოფ. ფარის და ქართვანის მცხოვრები დღემდე უარს ამბობენ. რამდენიმე ადგილის მოთიბვა'ზე, რომლებიც წმინდა ადგილებად „ლაცხატ", „ნალჯგგრ"-ებად იწოდებიან.

სოფ. უშგულის ზემოთ საძოვრებში მდებარეობს ტბა „ცხეადირი". მოსახლეობა'ში შემონახული გადმოცემის მიხედვით, მის ფსკერზე ბინადრობს ოქროს რქიანი ხარი, რომელიც მზიან ამინდში, იშვიათ შემთხვევაში ამოდის ტბის ზედაპირზე, გარსშემოუელის მას და შემდეგ ისევ ფსკერზე ეშვება.

ტბის (წყლის) ხარისა და სხვა ცხოველების შესახებ ანალოგიური გადმოცემები საკმაოდ ფართოდაა გავრცელებული საქართველოს მთიანი კუთხეების ეთნოგრაფიულ გადმონაშთებში[71], ქართული ეთნოგრაფიული ლიტერატურის მიხედვით ასეთ ტბებს, ადრეული მოსახლეობის რწმენა'ში, მამაკაცური ბუნების მქონე გამანაყოფიერებელი ძალა ენიჭებოდათ, რაც ზოომორფულის გარდა ზოგჯერ სოოანტრომორფული ან ანტროპომორფული სახითაც იყო ფორმირებული. ამასვე უკავშირებენ ქართულ ფოლკლორულ და ეთნოგრაფიულ მასალებს, სადაც იგი ჭაბუკის (ცხენ-კაცის, მზე-ჭაბუკის) სახითაა ასოცირებული[72]. ამ რიგის გადმონაშთებზე, როგორც ჩანს, წყლის კულტთან ერთად ნაყოფიერებისა და მზის კულტებიცაა საგულისხმებელი მსგავსი შინაარსი უნდა იყოს აგრეთვე ვ. ბარდაველიძის მიერ სვანეთში დამოწმებულ ერთ-ერთი დღეობის „ჭ ა ბ გ ო ბ"-ის რიტუალ'ში, როცა ადიდებენ „ტარ-ჭაბუკს" ანუ „ჭაბიგვს"[73].

გეომორფული ტოტემიდან ჩანს განვითარებული, ჩვენი აზრით, ქვის კულტი სვანეთში. თავისთავად კი, რა თქმა უნდა, გეომორფულ ტოტემიზმს საფუძველი დაუდო ქვის ეპოქამ,რაც კარგადაა ცნობილი ლიტერატურაში და აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

როგორც ცნობილია, წარმოების საშუალებათა შექმნისა და განვითარების შესწავლა ამავე დროს ადგილებს რელიგიისა და მისი ფორმების შესწავლას, რამდენადაც საწარმოო საშუალებათა წარმოებისა და პროდუქტის გაცვლის წესი საზოგადოების ისტორიის განმსაზღვრელი ბაზისია, რომელსაც თავისი იდეოლოგიური პროექცია უაანია[74]. შრომის იარაღებმა, ტექნიკურმა აღმოჩენებმა გარდაქმნეს საზოგადოების ცხოვრება,

[70] ვ. შამილაძე, ალპური მესაქონლეობა საქართველოში, თბ., 1969; მ. მაკალათია, მესაქონლეობა მესხეთ'ში. იხ. კრებულში – მესხეთ-ჯავახეთი, თბ., 1972, გვ. 97-67.
[71] მ. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 62.
[72] ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი, გვ. 126-127.
[73] კ. მ ა რ ქ ს ი და ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, რჩეული ნაწერები, ტ. II, თბ., გვ. 617-619.

შექმნეს მისი განვითარების ისტორია. ამიტომაც ეს იარაღების საკმაოდ ღრმად შეჭრილნი ჩანან მაგიისა და კულტის სფეროში.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამ პროცესის ფესვები ჯერ კიდევ ქვის ხანაშია გადგმული. ამ ვარაუდისათვის ამჟამად ჩვენს ხელთარსებული მასალებიდან აღსანიშნავია, ჯერ ერთი, სვანეთში სხვადასხვა ეპოქების ქვის იარაღების აღმოჩენის ფაქტი, რაც იმას მიუთითებს, რომ ქვა როგორც იარაღი და ადამიანის არსებობისათვის ბუნებასთან ბრძოლის საშუალება ამ ტერიტორიაზე ჯერ კიდევ ნეოლითურ ხანიდან არის ხმარებაში[75]. მისი როლი ასევე მნიშვნელოვანია ბევრად უფრო გვიან-ბრინჯაოს ხანაშიაც, როცა უკვე ლითონს უკავია გაბატონებული მდგომარეობა. სვანეთში აღმოჩენილი ბრინჯაოს ხანის კაჟის ისრისპირებზე დაკვირვება გვაჩვენებს თუ შედარებით ხანმოკლე დროშიაც კი როგორ უმჯობესდება და ეითარდება ერთი და იმავე სახეობის ქვის იარაღის ტექნიკურ-მხატვრული ნიშნები, რაც თავის მხრივ ამ ნედლეულის ადრევე გაცნობასა და მისდამი აქტიურ დამოკიდებულებას გვანიშნებს. ბევრი პრაქტიკულად სასარგებლო და ადამიანის გონებაზე შთამბეჭდავი თავისებების გამო ქვამ, როგორც ჩანს, ადრევე მნიშვნელოვანი ადგილი დაიჭირა ადამიანის ცხოვრებაში, ამ თვალსაზრისით უთუოდ ბუნებრივ-გეოგრაფიულ გარემოსაც ჰქონდა მნიშვნელობა. სვანეთის მკაცრად გამოხატული მთა-კლდოვანი რელიეფი და მისი შესაბამისი კლიმატი ბევრად განაპირობებდა აქაური უძველესი მოსახლეობის ცხოვრების პირობებს, მის წარმატებებსა თუ წარუმატებლობას საარსებო საშუალებათა ძიების პროცესში (ნადირობა, მეტალურგია, მიმოსვლა; ურთიერთობა და სხვ.).

მომდევნო ეპოქებში, როცა რკინამ სრულიად განდევნა ქვის იარაღი, ეს მინერალი და მისი დამუშავების მაღალი ტექნიკა ადამიანის სამკაულისა და სარიტუალო ნივთების სახითაა წარმოდგენილი, ასეთი საგნები დიდი რაოდენობითაა შეწირული სვანეთის ეკლესიებისათვის. მათი ერთი ნაწილი ბუნებაში ნაპოვნი თვალსაჩინო ფერისა და მოყვანილობის ქვებს წარმოადგენს. მეორე ნაწილი კი ჯერ კიდევ წინარე ქრისტუანული დროის ნახელავია (ადგილობრივიც და შემოტანილიც). მათ შორის უფრო მეტად ჭარბობს მთის ბროლის, ქალცედონის, სარდიონისა და სხვა მინერალების სამკურნალო და „წმინდა“ ქვები, რომელთაც კარგად ეტყობათ ამ დანიშნულების ხანგრძლივი ხმარების კვალი[76].

სვანეთის ეკლესიებში აღრიცხული საკულტო-სარიტუალო დანიშნულების ქვებიდან საგანგებო ყურადღებას იქცევს უშგულის „მაცხოვარ“-ის ეკლესიაში დაცული თეთრი მარმარილოს მოზრდილი ბირთვი, რასაც აღგილობრივი მცხოვრებლები „ქუთი ყუაბს“ ან ნატერის

---

[75] შ. ჩართოლანი, სვანეთი ბრინჯაოს ხანაში, გვ. 43.

[76] შ. ჩართოლანი, მასალები სვანეთის არქეოლოგიისათვის, გვ. 52, ტაბ. VII-VIII.

[77] მ. ჩართოლანი, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის 1972 წლის სვანეთის სამეცნიერო კომპლექსური ექსპედიციის ანგარიში, სსმ მოამბე, XXXI-B, 1975, გვ. 173. ტაბ. XIII-2.

[78] ვ. ბარდაველიძე, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან (ღეთაება ბარბარ-ბაბარ), თბ., 1951, გვ. 111.

თვალსაც უწოდებენ. მას მზის, სხივოსნობის და ელვარების სიმბოლოდ აღიქვამენ[27]. პროფ. ვ. ბარდაველიძეს ასეთი „წმინდა“ ქვების სარიტუალო გამოყენება დადასტურებული აქვს იმავე სოფ. უშგულში „მუხუარწენ“-ის ღღეობაში[28]. სვანთა ეთნოგრაფიულ ყოფაში ქვის ნივთებს გამოყენება ჰქონდათ, როგორც მაგიური თვისებების მქონე საგაროზებს, გახერეტილ ქვებს, მძივებს ან კვირისტაებს, ავი თვალისაგან დასაცავად ყელზე ჰკიდებდნენ ცხოველებს – მეტადრე მეწველ ძროხას და ზოგჯერ ადამიანსაც[29]. 1972 წ. სოფ. კალაში მცხოვრებმა ანტისო ხანძიანმა ექსპედიციას გადმოსცა ანტიკური ხანის ძეგლებისათვის დამახასიათებელი ცალ ბოლოში გახერეტილი სალესი ქვა.

მთხრობელთა გადმოცემით, ასეთივე ქვა არც თუ დიდი ხნის წინათ „ბულსაკიდად“ უტარებია მათ ნათესავს, რომელსაც უნებურად კაცი შემოაკედა და ამ „ტვირთით“ ფიქრობდა გამოესყიდა ცოდვა-დანაშაული, რათა ამ ცოდვას არ ეღლო მისი შთამომავლობისათვის. ადგილობრივი მოსახლეობის გადმოცემით, ჩადენილი ცოდვის, განსაკუთრებით კი უნებლიე მკვლელობის მოსანანიებლად, ცოდვის გამოსასყიდად – „ცოდალახვაშინად“ ქვის ბულსაკიდის ტარება, ადრე ფართოდ გავრცელებული წესი ყოფილა სვანეთში.

ქვის სამკაულსა და ნივთების ანალოგიური გამოყენება საქართველოს სხვა კუთხეების ეთნოგრაფიულ გადმონაშთებშიაც არის დამოწმებული. ამ ჩვეულების ადრეული ფესვები კი კარგად იძებნება არქეოლოგიურ ძეგლებში; საგაროზებად გამოყენებული ქვის საკიდები ჯერ კიდევ ზედა პალეოლითის ძეგლებშია დამოწმებული[30]. ამგვარი დანიშნულების სხვადასხვა ჯიშის ქვის მძივები და მძივსაკიდები ნომენკლატურა თანდათანობით მრავლდება საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებში ადრებრინჯაოს ხანიდან დაწყებული, ყველა მომდევნო ეპოქაში.

სვანეთში ქვა და ქვის ნაკეთობები მიწათმოქმედების კულტის სფეროშიც ჩანს შეჭრილი ა. სტოიანოვს სვანეთში დამოწმებული აქვს ქვის „ხვითო“, რომლის მფლობელსაც სვანების რწმენით ბევრი ხორბალი უნდა ჰქონოდა[31]. მიწათმოქმედებასთან დაკავშირებით ჩანს აგრეთვე უშგულის, სუმოთ დასახელებული მარმარილოს ბირთვი, რომელიც ვ. ბარდაველიძის აზრით სიმბოლურად მზეს გამოხატავს[32].

სვანური მასალების მიხედვით კარგად ჩანს აგრეთვე იარაღის კულტი. რელიგიის სფეროში იარაღის კულტის შეჭრის პროცესი ასახულია ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიურ ძეგლებში. ამის დამადასტურებელი ფაქტია სპილენძისა და ბრინჯაოს იარაღები, კერძოდ, საკულტო-სარიტუალო ცულები, შტანდარტი, კვერთხის თავები და სხვა[33].

---

[27] ბ. ნიკარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, I, თბ., 1962, გვ. 171.

[28] ნ. კილაძე, მრავალფენიანი არქეოლოგიური ძეგლი „საგვარჯილე“, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XIV, №9, თბ., 1953, გვ. 567.

[29] А. Стоянов, დასახ. ნაშრომი, გვ. 332.

[30] ვ. ბარდაველიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 111.

[31] შ. ჩართოლანი, Сванети в эпоху бронзы, стр. 26.

ადამიანის ცხოვრებაში, შრომისა თუ საბრძოლო იარაღების აქტიური როლისა და უაღრესად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობის გამო, იარაღი სა'სოგადოებრივი ცხოვრების განვითარების პროცესში დიდების შარავანდებით იმოსება, კულტის საგნად იქცევა. საბრძოლო თუ სამეურნეო იარაღის საკულტო-საპარადო დანიშნულებით გამოყენების მსგავსი მაგალითები მსოფლიოს ბევრ ქვეყანაშია დადასტურებული[84]. საქართველოში კულტადქცეული იარაღები და მათი იმიტაციები შუა ბრინჯაოს ხანაში უკვე დროშების, შტანდარტების დასამშვენებლად და ადამიანის სამკაულად არიან გამოყენებული, ასეთი ნივთები განსაკუთრებით დიდი რაოდენობითაა ნაპოვნი მთის რაჭაში, დღევანდელი სვანეთის მომიჯნავე ტერიტორიაზე[85]. ცული, როგორც იარაღის კულტი, კიდევ უფრო მკვეთრად წარმოდგენილია გვიანი ბრინჯაოს ხანაში. ჩვენს არქეოლოგიურ მასალაში გარკვეული რაოდენობითაა წარმოდგენილი საკულტო დანიშნულების იარაღი. აქ, შინაარსის მიხედვით, შეიძლება გამოიყოს: ადრე და შუაბრინჯაოს ხანის ცულები (გრავირებული, ორნამენტის გარეშე) ან მათი იმიტაციები, შტანდარტი (სურ. 128) და სხვა ნაწარმი, რომელსაც საბრძოლო-სამეურნეო საქმიანობაში პრაქტიკული გამოყენება დაუკარგავს. ასევე, გვიანი ბრინჯაოს ხანის, კოლხურ-ყობანური ცულები, შემკული ტოტემური ან სხვა რელიგიური შინაარსის მქონე ორნამენტით, რომლებიც პრაქტიკული ცხოვრებიდან არიან შეჭრილი კულტის სფეროში.

ამ უკანასკნელი ჯგუფის ცულებიდან განსაკუთრებით საყურადღებოა სვანეთში აღმოჩენილი ერთი ცული (სურ. 125). ცულის პირზე გრავირების წესით შესრულებული ორი ცხოველის — ჯიქებისა და ცხენების გამოსახულება. ცხოველები დინამიურ მოძრაობაში გვაქვს მოცემული: ისინი პირისპირ დგანან, შემართებით; იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, რომ ცხოველები ხახადაბჩენილნი და თითქოს გაეებულნიც კი არიან. ჯიქებისა და ცხენების მკვეთრად გამოხატულ თავზე გამოიყოფა ორი ყური. მათ ფეხები, წინაც და უკანაც, შეერთებული აქვთ, თითქოს გადასახტომად მომზადებული. გამოსახულებებზე მოცემული საკმაოდ გრძელი და მოქნილი კუდები. საერთოდ, ჯიქების თუ ცხენების მთელი სხეული დაფარულია წერტილოვანი ორნამენტებით, რომელიც ძალზე აძლიერებს მათი დინამიურობის რიტმის შეგრძნებას.

ცულის მთელ ტარზე და, ნაწილობრივ, პირზეც ამოკვეთილია წიწვისებური ორნამენტის შეკრული ზოლი, რომელიც თითქოს ცულის ფორმას იმეორებს. შეკრული ზოლის შიგნითა არეში მოთავსებულია სამკუთხედისა თუ სეგმენტის ფორმის გეომეტრიული გამოსახულება, რომლის ზედაპირზე დასმული წერტილები პარალელურ ჭდეებს ჰქმნიან.

---

[84] Л. Я. Штернберг, დასახ. ნაშრომი, გვ. 495, 496. Л. Кудерле, Человечество в доисторические времена, С-Пб., 1898, стр. 284.

[85] გ. გობეჯიშვილი, არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში, თბ., 1952. ტაბ. XI.

[86] ალ. ჯავახიშვილი, ტ. ჩუბინიშვილი, უდის განძი. „საბჭოთა ხელოვნება", 1959, № გვ. 62

გარდა ამისა, ცულის ყუაზე მოცემული გვაქვს წრეები, რომლებიც აგრეთვე დაფარულია ნახევლეტილი წერტილებით. წრეებს შუა დატოვებული სიერცეები, აქა-იქ, რიტმის გრძნობით, შევსებულია წიწვისებური ორნამენტებით.

საერთოდ კი ცული კოლხური ცულისათვის დამახასიათებელი მხატერული სტილით[86] ხასიათდება: გრავირებული მხატერული გამოსახულებანი თუ საერთოდ მთელი სიუჟეტი მოცემულია სიმეტრიაში და ჰარმონიულად ურთიერთშეთავსებულია.

რაც შეეხება ცულზე შესრულებულ ცხოველური და გეომეტრიული სახეების აზრობრივ ახსნას, ჩვენი ვარაუდით, იგი უკავშირდება პირველყოფილი საზოგადოების რელიგიურ წარმოდგენებს და ასახავს ტოტემისტურ იდეოლოგიასა და ასტრალურ კულტს. ამ გამოსახულებებს გარკვეული სტილისტური და შინაარსობრივი მსგავსება შეიძლება ჰქონდეს ლარილარის სამაროვანზე აღმოჩენილ ბრინჯაოს ზოომორფულ გულსაკიდთან (სურ. 108).

როგორც ზემოთ აღვნიშნავდით, ცულის პირზე მოცემულია ორი ცხოველის – ჯიქებისა თუ ცხენების სტილიზებული გამოსახულება. თუკი დავუშვებთ, რომ მოცემული ცხოველები ჯიქებია, მაშინ სიუჟეტი ადვილად აიხსნება ტოტემისტური წარმოდგენების საფუძველზე. იმისი პირდაპირი მასალა, რომ ჯიქი იყო სვანეთის ერთ-ერთი ტოტემი, ჩვენ ჯერჯერობით არ გაგვაჩნია, მაგრამ გვეჭვენება, რომ მისი ასეთად დაშვება შეუძლებელი არ არის, მით უმეტეს, რომ ჯიქი ყოფილა სვანეთის ფაუნის წარმომადგენელი[87]. თანაც, როგორც ზემოთაც აღვნიშნავდით, სვანეთში დადასტურებულია მტაცებელი ცხოველების ტოტემად არსებობის ფაქტები[88].

ამ მოსაზრებას ადასტურებს თვით ფაქტი ჩვენი არქეოლოგიური მასალის არსებობისა. მით უფრო, რომ ჯიქის გამოსახულება მოცემულია საომარი ცულის პირზე. ეს კი ნათლად უნდა მიუთითებდეს იმ ტოტემურ შეხედულებაზე, რომლის თანახმადაც, ნივთზე ან იარაღებზე მოცემული ტოტემის გამოსახულება აძლიერებს ამ იარაღთა მოქმედების ძალას, რამდენადაც მასში ტოტემის თვისებები გადადის. აღსანიშნავია, რომ ეს ტოტემური წარმოდგენა XVIII–XIX საუკუნეებშიც კი, მრავალ ხალხში ისევ შენარჩუნებული ჩანს, რაც აღნიშნულია საბჭოთა თუ საზღვარგარეთელი მეცნიერების გამოკვლევებში[89].

---

[87] Г. Лобанов – Ростовский, Сванетия - «Кавказ», 1852б Февраль, Г. Радде, დასახ. ნაშრომი.

[88] В. Бардавелидзе, Древнейшие религиозные верования... стр. 17, 18.

[89] Frazer, Totemism and Exogamy, I, London, 1910, გვ. 36, 37; Л. Я. Штернберг, დასახ. ნაშრომი, გვ. 486; Ф. П. Францев, დასახ. ნაშრომი, გვ. 168.

[90] П. Уварова, დასახ. ნაშრომი, გვ. 98.

[91] Е. И. Крупнов, Древняя история и культура Кабарды, стр. 85; Его же древняя история Северного Кавказа, стр. 472. таб. I.

[92] დ. ქორიძე, კოლხური კულტურის ისტორიისათვის, თბ., 1965, გვ. 313; მ. ბარამიძე, ნ. ოქროპირიძე, პალეურის სამაროვანი (ხელნაწერი).

აქვე აღსანიშნავია პ. უვაროვას ცნობა იმის შესახებ, რომ საქართველოში მოგზაურობის დროს, მას მრავალად უნახავს ბრინჯაოს სამაჯურები ჯიქის თავების გამოსახულებით – ბოლოებში[90], აგრეთვე ჩრდ. კავკასიის დიგორის ერთ-ერთ ცულზე (ყუაზე) მოცემულია ჯიქის პლასტიკური გამოსახულება[91] ანალოგიური ქანდაკებები მოცემულია საქართველოში – საჩხერეში, პალურში და სხვ. აღმოჩენილ ბრინჯაოს ცულებზე[92].

სვანეთში აღმოჩენილია კიდევ ორი ასეთი დანიშნულების კოლხური ცული, რომლებიც მხატვრული სახეებით არიან შემკულნი. ერთ-ერთ მათგანზე გამოხატულია რელიგიური მოტივებით გადმოცემული მზის გამოსახულება, რომელიც თავის მხრივ ამ საზოგადების სამეურნეო საქმიანობიდან მომდინარეობს, რაზედაც ზემოთ უკვე გექონდა საუბარი.

საბრძოლო-სამეურნეო იარაღის საკულტო-რელიგიურ სფეროში შესვლის ტრადიციამ გვიან დრომდეც კი შემოინახა თავი. სვანეთის შემოხვევით არქეოლოგიურ მონაპოვრებს შორის წარმოდგენილია ხელის გამოსახულების მქონე შუა ბრინჯაოს ხანის საკიდები (სურ. 123), რომელთაც საკულტო-საპარადო დანიშნულება ჰქონდათ. ხელის, როგორც პირველი სამუშაო იარაღის ასახვა ხელოვნებაში, ტრადიციულადაა დამკვიდრებული სვანეთში, ამასვე უნდა მიუთითებდეს უკვე ფეოდალური ხანის საკულტო ნივთი – ხელის გამოსახულებიანი გიშრისაგან დამზადებული საკიდი (სურ. 124), რომელსაც 1972 წელს ექსპედიციამ მიაგნო ლაგურკას ეკლესიაში დაცული სხვა საკულტო ნივთებთან ერთად. ხელის გამოსახულება ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიუანსია ფეოდალური ხანის სვანეთის მხატვრულ ხელოსნობაში, კერძოდ, ხეზე კვეთილობაში[93].

ჩვენი მოსაზრების დასადასტურებლად შეიძლება მოვიტანოთ ისიც, რომ კულტის სფეროში ხელის გამოსახულების არსებობის ფაქტი მიჩნეულია, როგორც შრომის პირველი იარაღის ასახვა. ზოგად არქეოლოგიაში ამ ფაქტის დადასტურება მოცემული გვაქვს ჯერ კიდევ პალეოლითის ხანაში.

* * *

გავეცანით რა ზემოთ მოტანილ ნივთიერი და სულიერი კულტურის ძეგლებს, შესაძლებლად მიგვაჩნია ზოგიერთი ზოგადი ხასიათის დასკვნის გაკეთება. კერძოდ, ტოტემიზმი გვარის, როგორც საწარმოო ჯგუფის, იდეოლოგიური გამოხატულება და გვაროვნულ დამოკიდებულებათა რელიგიური ასახვის ფორმა, სვანეთში თითქმის ცოცხალი ინსტიტუტი ჩანს პირველყოფილი თემური წყობილების რღვევის სტადიაშეც. დასტურდება ცხერის, ხარის, ცხენის, მგლის, და ა. შ. ტოტემური კულტები.

სვანეთში მიწათმოქმედების განვითარების შედეგად ტოტემიზმი რღვევას იწყებს, თუმცა თვით რღვევის პროცესი მეტად ხანგრძლივი ჩანს. წინაპარი ცხოველის თაყვანისცემა ერთიანდება ბუნების თაყვანისცემასთან. ცხოველი შენარჩუნებულია უკვე, როგორც

[93] ლ. ბ ე დ უ კ ი ძ ე, ხეზე კვეთილობის ზოგიერთი ნიმუში სვანეთიდან, სსმ მოამბე, XXXI-B, თბ., 1975, გვ. 21-33.

მიწათმოქმედი ადამიანის მფარველის – მზის, მთვარის, წვიმის ან ქარის გარეგანი გამოხატულება ან გადაქცეულია მისდამი მსხვერპლშეწირვის ობიექტად. ასე გაერთიანდა ხარი ტოტემი მზესთან და გადაიქცა დიდი ღმერთის სიმბოლურ გამოხატულებად.

სვანეთის არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მასალები ადასტურებენ ნაყოფიერების კულტთან დაკავშირებული სხვადასხვა წეს-ჩვეულებების, აგრეთვე, ფალოსური კულტების არსებობას. არქეოლოგიური მასალების ანალიზის შუქზე ირკვევა, რომ სვანეთში ფართოდ ყოფილა აგრეთვე გაერცელებული მზისა და გეომორფული კულტები.

აღნიშნულ პერიოდში სვანეთში საკმაოდ გაბატონებული მდგომარეობა უკავია წინაპართა რელიგიურ კულტს. აღნიშნულის ნივთიერ დადასტურებად დამოწმებულია ადამიანის ქვის ფიგურები, რომლებიც დადგმული იყო ბეღლებში ან სათიბებში და ა. შ. ამასთან ერთად, მიწათმოქმედების განვითარების კვალობაზე მიჩნეული იყო ნაყოფიერების გადიდების შინაარსის მქონე ატრიბუტად, რამდენადაც პირველი წინაპარი ითვლება მ ი წ ა შ ი, ქვესკნელის სამყაროში მცხოვრებად. ქვამ მიიღო პირველი წინაპრის ანტროპომორფული სახე, რომელსაც მიწათმოქმედების განვითარების გამო აგრარული კულტის მაგიური საწესო ცერემონიალიც დაუკავშირდა.

როგორც ცნობილია, საწარმოო საშუალებებმა, შრომის იარაღებმა და, საერთოდ, ტექნიკურმა აღმოჩენებმა დიდი როლი ითამაშეს საზოგადოების ცხოვრებაში. შექმნეს მისი განვითარების ისტორია. ამიტომ ბუნებრივია ეს იარაღები საკმაოდ ღრმად შეიჭრნენ მაგიისა და კულტის სფეროში. ეს პროცესი დაიწყო ჯერ კიდევ პალეოლითის ხანიდან, მაგალითად ხელის გამოსახულების ფაქტი ზოგად არქეოლოგიაში მიჩნეულია შრომის პირველი იარაღის ასახვად. აღსანიშნავია, რომ ხელის ასახვის რამდენიმე ნივთიერი საბუთი ჩვენს მიერ სვანეთშიც იქნა მიგნებული, როგორც ბრინჯაოს, ისე გვიანდელი ეპოქებისა. საერთოდ კი შრომის იარაღების მაგიური ასახვის პროცესი სვანეთში გააქტიურებული ჩანს ბრინჯაოს ადრეული საფეხურიდან, რაც განხილული მასალებით დასტურდება. საამისოდ ნაშრომში მოტანილი და განხილულია ქვისა და ბრინჯაოს მასალისაგან დამზადებული ნივთები.

სვანეთის არქეოლოგიური მონაპოვრები ერთ დროს აქტიურად მოქმედი მატერიალური ყოფის ამსახველი მასალაა, რელიგიისა და კულტის სფეროში შეჭრილი და ამ გზით შემონახული ჩვენამდე. თუმცა აქაც ძირითადად მაინც შემორჩენილია ის პირველი სახე და ფუნქცია, რასაც ეს ნივთები თავიდანვე ასრულებდა ხალხის მატერიალურ ყოფაში.

მოტანილი არქეოლოგიური მასალები კიდევ ერთხელ ადასტურებენ გაერცელებულ დებულებას, რომ ადრინდელი რელიგიური ფორმები სინკრეტულად თანაარსებობენ ქრისტიანულ რელიგიასთან. ეს კი, თავის მხრივ, ნათლად წარმოგვიდგენს ქართული კულტურის გენეტურ, განვითარებად უწყვეტ ხაზს უძველესი ეპოქიდან დაწყებული უკანასკნელ ხანებამდე.

Ш. Г. ЧАРТОЛАНИ

## СТАРИННЫЕ СВАНСКИЕ РЕЛИГИОЗНЫЕ ОБРЯДЫ И ВЕРОВАНИЕ ПО ДАННЫМ АРХЕОЛОГИЧЕСКИХ МАТЕРИАЛОВ

Резюме

В результате низкого уровня развития производственных сил и производственных отношений религия является отображением окружающей человека природы. В таких условиях господствующей формой религии являются: тотемизм, патриархально родовой культ предков, астральные, аграрные культы и т. д.

В Сванетии еще на стадии распада первобытно-общинного строя сохраняется родовой тотемизм как выражение идеологии производственной группы и форма религиозного восприятия родовых отношений. Здесь подтверждаются тотемные культы: баран, бык, лошадь, волк-собака и т. д.

В результате развития земледелия в Сванети тотемизм распадается, хотя здесь этот процесс длится значительно дольше: тут поклонение животным – предкам сливается с поклонением природе. Животные, как внешнее проявление, выступают в роли покровителей земледельцев, в виде солнца, луны, дождя, ветра, или они же становятся жертвенными животными. Так был объединен тотем быка с солнцем, превращенный замет в символ верховного божества.

Археологические, этнографические и фольклорные материалы из Сванетии, подтверждают существование обрядов, связанных с культом плодородия, а также существование культа фаллоса.

Анализ археологического материала подтверждает, что в Сванетии широко были распространены культ солнца и геоморфные культы.

В названный период в Сванети господствующее место занимает культ предков. Для подтверждения вышесказанного служат человеческие фигуры из камня, которые устанавливали-с в амбарах и на местах сенокоса и т. д. На них с дальнейшим развитием земледелия возлагалась забота о плодородии земли. Так как первый сородич находился в земле (в чем проявляется утопический характер культа) он должен был обеспечить хороший урожай и плодородие.

Вместе с тем, как известно, орудия производства и вообще технические открытия играли важную роль в истории развития общества.

В силу этого эти орудия укоренились и играли большую роль в магии и вообще в сфере культов. Этот процесс начался еще с эпохи палеолита, так изображения руки, как принято во всеобщей археологии, представляет изображение первого орудия труда. Надо отметить, что несколько фактов изображения руки нами было засвидетельствовано в Сванети, как в материалах, относящихся к бронзовому периоду, так и в более поздних материалах. Вообще изображение орудий в бронзовой эпохе встречается довольно часто.

В работе исследуется большой вещественный материал, изготовленный из камня и бронзы. Археологические данные еще раз подтверждают общепринятое положение, что ранние религиозные формы, синкретически существуют с христианской религией. Это в свою очередь дает ясное представление о генетическом, неразрывном развитии грузинской культуры, начиная с древнейшей эпохи до последнего времени.

შემოკლებათა განმარტება

ენიმკის მოამბე – აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე.

თსუ შრომები – თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები.

მსძა – მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის.

მსძი – მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის.

სძმის – საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი ისტორიის საკითხები.

სინ – საქართველოს ისტორიის ნარკვევები.

სსმ – აკად. ს ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე.

მსმ – მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის.

ВЭК – Вопросы этнографии Кавказа.

ЭКОИРГО – Записки Кавказского отдела имп. русского географического общества.

ИАК – Известия археологической Комиссии.

ИГАИЬК – Известия Государственной академии истории материальной культуры.

МАК – Материалы по археологии Кавказа.

МИА – Материалы и исследования по археологии СССР.


ОАК – Отчеты археологической Комиссии.

СА – Советская археология.


ТОИПКГЭ – Труды отдела истории первобытной культуры Государственного Эрмитажа.



92




93



94



95



96



97



98



99



100




101



102




103




104



105




106




107



108




109




1

2

3



4




5

6


7



111




112




113



114




115



116




117




118



119




120



121




122




123



124




125



126




127




128



129



130



131

შ. ჩართოლანი

# სვანეთის არქეოლოგიური შესწავლის შედეგები და პერსპექტივები*

არქეოლოგიური ძეგლები სვანეთში უხვად შემონახული კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობის ერთ-ერთი ძირითადი ნაწილია. ამ ძეგლებმა დიდი ხანია შემოხვევითი მონაპოვრების სახით ინინა თავი და ადრევე მიიქცია მკვლევართა ყურადღება, მაგრამ საგანგებო კვლევის საგნად ეს აღმოჩენები ამ ბოლო დრომდე არავის არ გაუხდია. შესაბამისად მცირეა სპეციალური ლიტერატურაც, რომელიც აქაური მიწისქვეშა ძეგლების შესწავლას ეძღვნება.

ამჟამად სვანეთის არქეოლოგიურ კვლევას წარმართავს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური კვლევის ცენტრი. ეს კვლევა-ძიება არსებითად ორ ტიპად შეიძლება დაიყოს:

პირველი – სხვადასხვა დროს შემთხვევით აღმოჩენილი მასალების აღრიცხვა-დამუშავება და სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანა; მხარის არქეოლოგიური დაზვერვა და გეგმაზომიერი გათხრებისათვის ძეგლების შერჩევა;

მეორე – ფართო მასშტაბის გეგმაზომიერი გათხრები, ახლად აღმოჩენილი ძეგლების მეცნიერული პუბლიკაცია, საექსპოზიციოდ მუზეუმებში მათი შემოტანა და ძეგლთა დაცვის ორგანიზაცია.

პირველი ეტაპისათვის გათვალისწინებული ძირითადი სამუშაოები 1978 წელს დამთავრდა, კერძოდ: აღრიცხულია თითქმის ყველა შემთხვევითი არქეოლოგიური მონაპოვარი, რომლებიც სხვადასხვა მუზეუმებში, ადგილობრივ ეკლესიებში და მოსახლეობაშია გაბნეული. ამ მიმართულებით განსაკუთრებით ნაყოფიერი გამოდგა აკად. ს. ჯანაშიას სახ. სახელმწიფო მუზეუმის სვანეთის კომპლექსური ექსპედიციის მუშაობა, სადაც არქეოლოგია ცალკე დარგად იყო წარმოდგენილი (1972-1974 წწ.)

1975-1978 წწ. რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული სვანეთის კომპლექსური შესწავლის კომისიის უშუალო ინიციატივითა და საშუალებებით სვანეთში განხორციელდა გათხრითი არქეოლოგიური დაზვერვები, რის შედეგადაც მიგნებული იქნა ორმოცამდე არქეოლოგიური ძეგლი: სხვადასხვა ეპოქის ნამოსახლარები, სამაროვნები, სამთამადნო და მეტალურგიული ობიექტები, სასიმაგრო და საკულტო ნაგებობანი, დახურული წყალსადენები და სხვა. მათი საერთო ქრონოლოგიური ჩარჩოები მოიცავს ხანგრძლივ პერიოდს – ქვის ხანიდან მოკიდებული, ვიდრე შუა საუკუნეების ჩათვლით.

---

* დაიბეჭდა: სამეცნიერო სესია მიძღვნილი სვანეთის სამეცნიერო კომპლექსური ექსპედიციის 10 წლის მუშაობის შედეგებისადმი (1972-1981 წწ.), დეკემბერი 1981 წ., მოხსენებათა თეზისები, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, ს. ჯანაშიას სახელობის საქარტველოს სახელმწიფო მუზეუმი, სვანეთის კომპლექსური შესწავლის კომისია, თბილისი 1981, გვ. 19-22.

აღნიშნულ პერიოდში, კამერალურად დამუშავდა საგანგებო დაზვერვების შედეგად თუ შემთხვევით აღმოჩენილი უმთავრესი მასალები. სათანადო ლაბორატორიის საშუალებით განისაზღვრა ამ მონაპოვრების – ბრინჯაოს, რკინის, მინის, ქვისა და კერამიკული ნაწარმის, ასევე პალეობოტანიკური და სხვა მასალების ქიმიურ–ტექნოლოგიური, მეტალოგრაფიული, პეტროგრაფიული და სხვა დამახასიათებელი ნიშნები.

სვანეთის არქეოლოგიური შეწავლის პირველ მოსამზადებელ ეტაპზე შესრულებული საველე-არქეოლოგიური და სამეცნიერო-თეორიული მუშაობის შედეგები უკვე გამოქვეყნებულია და ცალკეული სტატიებისა და მონოგრაფიების სახით შემოსულია სამეცნიერო მიმოქცევაში.

მეორე ეტაპი გულისხმობს ფართო მაშტაბის გეგმაზომიერ არქეოლოგიურ კვლევა-ძიებას ისტორიული სვანეთის ტერიტორიაზე. მის დასაწყისად 1979 წ. შეიძლება მივიჩნიოთ, ვინაიდან ამ წლიდან, რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანოების დახმარებით შეიქმნა საგანგებო ექსპედიცია, რომელიც სისტემატური ხასიათის გათხრებს ეწევა მესტიისა და ლენტეხის რაიონებში და პარალელურად დაზვერვებს ატარებს მდ. კოდორისა და რიონის ხეობაში მაღალმთიან ზოლში.

სვანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის პერსპექტიული გეგმა იოვალისწინებს, ერთი მხრივ, იმ ძეგლების შესწავლას, რომელთაც ახალმშენებლობებთან დაკავშირებით უახლოეს დროში დანგრევის საშიშროება ემუქრებათ, ხოლო, მეორე მხრივ, საქართველო-კავკასიის ძველი და უძველესი კულტურის შესწავლისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ძეგლების გათხრას და შემოტანას სამეცნიერო მიმოქცევაში.

სადღეისოდ სვანეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ გათხრითი სამუშაოები დაამთავრა სამ ძეგლზე: ნალქორვალის ციხეზე (მშენებარე ხუდონ ჰესის ტერიტორია), ჭუბერის ციხეზე და რცხმელურის ნეოლითური ხანის ნამოსახლარზე (ლენტეხის რაიონი). გათხრები გრძელდება მესტიის რაიონში – ჭუბერის ადრეანტიკური ხანის კრემაციულ სამაროვანზე, ეცერის გორა-ნამოსახლარზე და მესტიის სამთამადნო გამონამუშევრებში, რომელიც წინასწარულად გვიანი ბრინჯაოს ხანას მიეკუთვნება: ლენტეხის რაიონში – ადრე შუასაუკუნეების აკლდამიანი ეკლესია სოფ. ხოფურში და განვითარებული შუასაუკუნეების ციხე-კომპლექსი დაბა ლენტეხში.

სადღეისოდ გამოვლენილი არქეოლოგიური ძეგლები ზოგად წარმოდგენას გვიქმნიან ისტორიული კოლხეთის მთიანი ზოლის მოსახლეობის ადრინდელ სოციალურ-ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის ძირითად ხასიათზე. ახლად აღმოჩენილი მრავალფეროვანი ნივთიერი მასალა მნიშვნელოვნად გაამდიდრებს ჩვენი მუზეუმების საცავებსა და ექსპოზიციებს.

არქეოლოგიური ძეგლების ერთი ნაწილი განლაგებულია დღევანდელ საგზაო კომუნიკაციებთან ახლოს, თვალსაჩინო ადგილებზე. ამიტომაც ზოგიერთი მათგანი რეკომენდებულია სარესტავრაციოდ და ტურისტულ მარშრუტებში ჩასართველად.

შ. ჩ ა რ თ ო ლ ა ნ ი

# ხალხური მეტალურგიის ძეგლები დასავლეთ საქართველოს მთიანეთში*

დასავლეთ საქართველოს მაღალმთიან ზოლში მიკვლეულია ძველი საბადოები, საიდანაც იღებდნენ და ამუშავებდნენ სხვადასხვაგვარ მადანს. ამ ბოლო წლებში მსგავსი გამონამუშევრები აღმოჩენილია ქვემო სვანეთის მთებში – სკალდში "აწოლირის" მწვერვალის ძირში, ჩოლურში "ლილაის" კლდეში და ცხენისწყლის სათავეებში; ლაფურში (ხიდურა),"ლაკეცირის" მყინვარის ძირში, ზემო სვანეთში: მესტიის მთებში გვალდში-ცალდშში და დაშქდარში. ამ ძეგლებს არქეოლოგიურ და ეთნოგრაფიულ ნივთებთან ერთად, დიდი მნიშვნელობა აქვს კავკასიაში და კერძოდ, საქართველოს ტერიტორიაზე უძველესი ხანის მეტალურგიული კერების დასადგენად.

მეტალურგიის განვითარებას დასავლეთ საქართველოს მთიანეთში უთუოდ ადრიდანვე აპირობებდა მადნის არსებობა და მისი მაძებარი "რკინის კაცების" ღრმა ემპირიული ცონდა. ეს კარგად მტკიცდება ახალ-ახალი აღმოჩენებით: გეოლოგები წააწყდნენ დახურულ ძველ გვირაბებს ცხენისწყლის სათავეებში, ცანის მადნეული ველის ძარღვებში, სადაც ამჟამად სამოცამდე მინერალია აღმოჩენილი (ბ. გოიშვილი, გ. ასათიანი, ვ. სულხანიშვილი) და კოდორის ხეობაში ჩხალთის და ბზიფის სათავეებში (ე. დუმბაძე), სადაც მიაკვლიეს ძველი მეტალურგების მიერ გაჭრილ გვირაბებს, პრიმიტიულად დამუშავებულ საბადოებს და გამონამუშევრებს. ლითონის წარმოების მსგავსი კერების არსებობა დადგენილია ზემო სვანეთშიც: ჭუბერში, დიზში, ცხუმარში, მესტიაში, იფარში, კალაში და უშგულში. ზოგიერთ მათგანში ახლო წარსულშიც აღნობდნენ რკინის (სვან. ჭენარ, ბერეჯ, ჭნარ, ჭანარ, შანარ, რკინა), სპილენძს (ჩეი), ვერცხლს (წყილიან) და ოქროს. მათგან სვანი მჭედლები (მეშკიდ) ამზადებდნენ სამეურნეო, სანადირო საბრძოლო იარაღებს, საოჯახო ნივთებს და სამკაულებს.

ადგილობრივ სახელოსნოებში ჩანს დამზადებული მრავალფეროვანი ნივთების დიდი ნაწილი, რომელიც ისტორიის სხვადასხვა პერიოდს განეკუთვნება. მათ შორის არის აღგილობრივ ჩამოსხმული სპილენძის ზოდები, ბრინჯაოსა და სპილენძის ნივთები, რომელთაგან ბევრს სარიტუალო დანიშნულება დღესაც არ დაუკარგავს.

რაჭისა და სვანეთის სამთამადნო მონაცემები, ისევე როგორც არქეოლოგიური მასალები, აქ ერთიანი კულტურის არსებობის ეჭვმიუტანელ საბუთებს იძლევიან. მთის ზონის ეთნოკულტურული ბირთვი ქრონოლოგიურად და ტიპოლოგიურად ყველაზე ახლოს დგას კოლხეთის

* დაბეჭდილია: სამეცნიერო სესია მიძღვნილი სვანეთის სამეცნიერო კომპლექსური ექსპედიციის 10 წლის მუშაობის შედეგებისადმი (1972-1981 წწ.). დეკემბერი 1981 წ. მოხსენებათა თეზისები. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, სვანეთის კომპლექსური შესწავლის კომისია. გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი 1981, გვ. 23-26.

კულტურასთან. ცნობილია, რომ ბრილის სამაროვნის არქეოლოგიური მასალები კოლხური ბრინჯაოს კულტურის შემადგენელი ნაწილია. ამასთან ერთად, ამ კულტურის შემქმნელი და მომხმარებელი ქართველი ხალხია, იქნებ "სვანო-კოლხები". ცნობა სვანთა "ძლიერებისა" და სვანეთში ოქროს მოპოვების შესახებ ამის დამამტკიცებელი უნდა იყოს.

ძველი მეტალურგიული კერების შესახებ წერილობით წყაროებში თითქმის არაფერია შემორჩენილი, სოგჯერ მხოლოდ მინიშნებაა, როგორც მაგალითად ჯაფარიძეთა სასისხლო საქმის სიგელში - "დიდი სისხლი და სანახშირეა" აღნიშნული. აქ ჩამოთვლილია ლითონის ნივთები, რომელთა გადახდა იყო საჭალდებულო. ლითონის ნივთების წინ წამოწევა, როგორც უპირველესი ღირებულების შემცველისა, გვაფიქრებინებს, რომ საქმე ეხება ლითონის მდიდარ ადგილს და წარმოების კერას.

ამ სიგელით ისიც მტკიცდება, რომ XV ს. ბოლომდე "სრულიად მთიულეთის" სოფლები: ხიდურა, საჯანი, ბრილი, თევარეში, ზედქალაქი, ღები, შოდა, ს'უე'შო, ჭიორა და ბუბა "ოთხასი კვამლი კაცით" დასახლებული სვანეთის საზღვრებში ყოფილა. ამ მოსაზრებას ადასტურებს ამ ადგილებში დარჩენილი არქიტექტურული ძეგლების ნაშთებიც.

"სრულიად მთიულეთის თემის" ძლიერება დაკავშირებული ჩანს ხიდურისა და ბრილის მეტალურგიულ წარმოებასთან. ამასთან მჭიდრო კავ'შირ'ში უნდა იყო, საერთოდ მჭედლობისა და კერძოდ ოქრომჭედლობის განვითარებაც შ'ეა-ფეოდალურ ხანისათვის. ამის შემდეგ ეს დარგი დაქვეითების გ'ზით მიდის.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის შემდეგ საეჭვო არ შეიძლება იყოს, რომ სვანეთისადმი ინტერესი, რომელსაც საუკუნეების მანძილ'ზე ი'ჩენდნენ დამპყრობნი, დაკავშირებული უნდა ყოფილიყო ამ მხარის სიმდიდრესთან, განსაკუთრებით ოქრო-ვერცხლის საბადოებთან. ეს კარგად გამოჩნდა XVIII საუკუნის ბოლოს, როცა რუსეთმა დაიწყო კავკასიაში ოქროს საბადოების არსებობის შემოწმება.

ახალი მეტალურგიული კერების აღმოჩენები, სადაც ძველი ადამიანის საქმიანობის კვალი ჩანს, შემორჩენილი ეთნოგრაფიული ყოფითი ტრადიციების შესწავლა და ახალი არქეოლოგიური მონაცემები საშუალებას გვაძლევს, საქართველოს მთის დასახლების პრობლემას, ისევე, როგორც იქ მოსახლეობის მოსპობის თუ შეთხელების თანმიმდევრულ ცვლილებებს, განსა'ღვრული კრიტერიუმით მიუდგეთ და ვარა'უდი შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ:

1. შუაფეოდალ'ური ხანისათვის ცხენის წ'ყლის სათავეები, მსგავსად რიონის და ენგურის სათავეებისა, ინტენსიურად იყო დასახლებული (ალ. რობაქიძე). ამასთანავე რიონის, ცხენის წ'ყლის, ენგურის, კოდორის და მათი შენაკადი მდინარეების სათავეებში დასახლება, ასევე, ცანას, ყორულდაშის, ს'ესხოს, ღაფ'ურის (ხიდურა) და ძუღვარე'შის გაუკაცრიელება დაკავშირებული ჩანს სამთო მეტალურგიული წარმოებასთან, პირველ შემთხვევაში, მის ჩასახვა-განვითარებასთან, ხოლო მეორე შემთხვევაში მის დაკვმასთან.

2. დასავლეთ საქართველოს მაღალმთიანი სამეურნეო კულტურული ათვისების პერიოდი, განათხარი მასალების მიხედვით, ბრინჯაოს ხანას ემთხვევა. მისი თავდაპირველი მოსახლეობა კარგად არის დაუფლებული მთიური მეურნეობის წესებს, მაღალ დონეზეა განვითერებ'ული მადნის ძიება,მისი მოპოვება,ჩამოსხმა და ლითონისაგან ნივთების დამზადების ტექნიკა. ამ მასალის ანალიზი იძლევა იმის დადგენის საშუალებას, რომ პირველი მეტალურგები ანუ "რკინის კაცები" ქართველები იყვნენ ერთიანი კულტურის მატარებელი ეთნოსი, რომლის კანონიერი მემკვიდრენი აქ სვანები არიან.

Ш. Чартолани*

# РЕЗУЛЬТАТЫ ПОЛЕВЫХ ИССЛЕДОВАНИЙ СВАНЕТИИ ЗА 1980-1981 ГГ.

(Табл. XLVII-L)

В сезон 1980-1981 годов Сванетская археологическая экспедиция была поделена на четыре отряда. Первый отряд продолжил раскопки городища Эцери в Местийском районе, второй – работал в Лентехском районе, третий – продолжил стационарные раскопки Сгуришской крепости в Местийском районе в ущелье Чубери на могильнике Ларилар, в деревне Квемомархи на новооткрытых погребниях. Четвертый отряд провел археологические исследования в устье рек Ингури и Цхенис-Цкали с целью выявления древних медных выработок. Этот же отряд продолжил раскопки на территории Местии в обнаруженных в прошлые годы жтольнях меднорудной выработки. Все отряды работали одновременно, однако в случае необходимости сотрудники разных отрядов объединялись.

На городище Эцери, где уже третий год ведутся археологические раскопки, производились очередные исследования в секторе А в квадратах 4, 5, 6, 8, 17, 26, 27, 36, 37. Здесь была расчищена от развала камней и полность выявлена раннее зафиксированная стена. Мощность развала камней на разных участках колебалась от 30 до 150 см. Мы выявили и зачистили нижний слой, обожженный, серый, отштукатуренный, который по наблдениям прошлых лет расположен непосредственно на грунте и является первым культурным слоем снизу. В развале камней содержались обломки обожженной штукатурки, бессистемно раскиданные, на которых хорошо прослеживались следы деревянных бремен. Как было зафиксировано и в прошлые годы, определенная часть сооружения возведена на фундаменте, выложенном сухой каменной кладкой, который выровнен до уровня пола и четко увязается с прродным наклоном рельефа. Затем сооружение возведено бревенчатым материалом, покрытым штукатуркой, который в результате пожара был разрушен и выжжен. В этом же слое в немалом количесте обнаружены фрагменти керамики, среди них преобладают обломки кувшинов больших размеров, чаш и сосдов различного назначения. Встречаютя также фрагменты каменных ступ и тоилных камней. Вимание превлекает то обстоятелство, что непригодные для применение хозяйственные орудия труда применялись в качестве доплнительного стройматериала при строительстве. Интересно, что эти орудия труда хронологически увязываются с нижним слоем, в котором вместе с подобными материалами обнаружены и остатки зерна. Раскопки паказали, что на вышеуказанном участке определенная часть сосружения расположена непосредственно на зольном слое, камни же фундаметна - на грунте. Не вызываст сомнения,что на исследуемом участке каменная кладка

* Напечатано в: Полевые археологические исследования в 1981 году, (Краткие сообщения), Центр Археологических исследований Института истории, археологии и этнографии им. И. А. Джавахишвили, Археологическая комиссия Грузии, Академия наук Грузинской ССР, изд. «Мецниереба», Тбилиси 1984 г, стр. 38-45.

представляет собой более позднюю постройку по сравнению с нижним обожженным слоем. На следующий полевой сезон нами запланировано изучение нижнего слоя и сравнительный анализ двух хронологически различных слоев. В этом же секторе была намечена зачистка алтаря, расположенного в 24 и 25 квадратах, а также следующего за ним слоя. Однако главное научно-реставрационное Управление охраны памятников Грузинской ССР до сих пор не превело укрепительные рабовходной двери, вместо пола и здесь использована выровненая скала. В свое время это было, наверное,четырехугольное высотное сооружение. На сегодня сохранившиеся стены имеют высоту 1,8 м.

Помещение №1 самое большое по объему. Здесь зафиксированы два слоя. Верхний – позднесредневековый и второй, нижний – относящийся к XI-XII вв. На стенах сохранились следы известки. В верхнем слое обнаружены нижняя часть тоне, керамические трубки и пр.

Материал, обнаруженный в процессе раскопок, представлен керамическими изделиями хозяйственного и бытового назначения, а также оселками, ступами и пращевыми камнями. В большом количестве обнаружены кости мелкого и крупного регатого скота, рога животных, костяные предметы культового назначения, керамические курильные трубки XVII века, часть которых восточного происходения (табл. XLVIII).

За помещение №9 нами было выявлено три ямных погребения. В сезон 1981 г. мы раскопали 2 погребения (табл. XLVIII).

Покребение №1 опиентировано по линии 3-В. Оно было перекрыто известковым раствором мощностью в 20 см., после снятия этого слоя показался развал камней больших размеров, на поверхности обнаружено несколько фрагментов, аналогичной керамики из крепости, Стены погребения ровно врезаны в скалу. Длина погр. – 2м., ширина – 80 см. Развал камней доходит почти до уровня пола. Дно выровнено. На поверхности развала прослежен тонкий слой обожженной земли. Вероятно, до залития известкой здесь был сожжен хворост. После снятия развала камней на уровне два показались незначительные фрагменты костяка человека, в основеом суставные кости, бессистемно раскиданные. В центральной части зафиксирован фрагмент челюсти животного, возможно козы, возле него челюсть человека. Во время препарации юго-восточной части дна зафиксированы плоские каменные плиты, что наводит на мысль о своеобразии обряда захоронения. После снятия плит мы выявили яму глубиной около 20 см. Здесь были бессистемно раскиданы части костяка человека: фрагменты черепа, ребен, челюсти, трубчатых костей, что возможно говорит о факте коллективного захоронения. Обнаруженные на поверхности развала камней фрагменты керамики относятся к XVII в.

Погребение №2 разположено к западу от погребения №1. Оно тоже врезано в скалу и имеет ту же ориентировку что и первое, также залито раствором известки, мощность которой составляет 10-12 см. Развал камней, следующий за известкой, тоже уступает в мощности первому погребению. При зачистке развала камней, на поверхности которого зафиксирован тонкий слой обожженной земли, попадались фрагменты керамики, а также кости крупного рогатого скота. Среди

незначительного наличия костяка человека не обнаружено черепных фрагментов. На уровне дна обнаружен тонкий слой обожженной земли, вероятно до совершения обряда погребения здесь был разведен костер. Размеры второго погребения: дл. 2,1 м., ширина – 0,70м. Восточная и западная стороны погребения имеют цоколь, высота которого 15 см., ширина – 15см., к западу цоколь несколько расширяется и достигает 25 см., в ширину. Дно погребения выровнено. В отличие от первого погребения здесь нет дополнительной ямы. Обнаруженные здесь фрагменты керамики тоже датируются XVII-XVIII вв.

Чуберский отряд продолжил раскопки Сгуришской крепости, где основные работы велись и в прошлые годы. До конца был зачищен обширный пол пристройки, были обнаружены фрагменты керамики хозяйственного и бытового назначения, а также использованные для очага, расположенного в центре помещения, обожженные камни и костный материал, представленные костями крупного рогатого скота, козы, овцы и свиньи. Исходя из обнаруженных фрагментов посуды, пристройку крепости можно отнести к жилому помещению, последний период использования которого относится к развитому средневековью.

В селе Квемомархи Чуберского сельсовета на приусадебном участке Бевы Чхвимиани во время земляных работ неоднократно выявлялись фрагментированные части черепа человека. По сообщениям жителей встречались и целые экземпляры. Разведками засвидетельствовано наличие холма к востоку от дома Чхвимиани высотой в два метра, который тянется во всю длину и уходит на восток за ограду соседа. С западной стороны холм сильно смыт и покат в результате работ по расширению двора. Как раз во время этих работ и находили черепа, фрагменты ножей, а также, как было сказано в устной беседе, бронзовые подвески, бусы, к сожалению, утерянные. На западном склоне ската холма, почти на глубине одного метра, мы зафиксировали камни, зачистка которых выявила фрагменты черепа и небольшой золотой фольги. Даже по поверхностным наблюдениям было ясно, что погребение разрушено, а также что первоначально оно могло быть выложено камнями, ориентация покойника была северо-западная с большим уклоном к северу. Мы начали раскопки малого масштаба, разбив над выявленным погребением квадрат 4:4м. Сняв фасолевые и кукурузные насаждения, стали убирать пласт за пластом слой желтой суглинистой земли, твердой не сыпучей.

Всего было раскопано 6 грунтовых погребений. Погребальные ямы имели четырехугольную форму в длину до двух метров. Костяк плохой сохранности. В погребениях выявлены отдельные фрагменты черепа, лучевых и бедренных костей, а также зубы. Во всех погребениях отмечено наличие камней по 2-3, а то и более. Камни средних размеров, плоские. Каменная выкладка хорошо прослежена в первом погребении. По нашим наблюдениям это погребение и сверху могло быть перекрыто камнями. Ориентация покойных в основном западная, точнее с уклоном к северо-западу. Погребения, в основном, безынвентарные. В первом погребении кроме золотой фольги, мы обнаружили железный неопределенный предмет, возможно аксессуар ремня. Небольшой фрагмент железного ножа был обнаружен в следующем погребении. Так как до

выявления погребений мы находили отдельные фрагменты костей, железные шлаки неопределенной формы, зубы и так в некаменистом грунте нам попадались отдельные камни средних размеров, по всей вероятности, выброшенных из погребений, мы допускаем возможность наличия разрушиных погребений. Расширение раскопа и исследование пямятника продолжалось в следующем сезоне.

Параллельно с исследованием памятника в Квемомархи, экспедиция продолжила работу на Лариларском могильнике. Исследуемый памятник находится в дер. Ларилар Чуберского сельсовста, расположенной на левой террасе реки Ненскра (местное название Чубрула), на высате 900 м. от уровня моря. Впервые археологическое исследование памятника состоялось в 1964 г. под руководством ныне покойного Г. Ф. Гобеджишвили. Это была первая специально организованная археологическая экспедиция Институтом истории, археологии и этнографии АН ГССР в Сванети. В ее задачу входило исследование мест случайных находок и коллекций Местийского музея. Раскопками малого масштаба было зафиксированоналичие кремационной площадки. Повторные исследования малого масштаба здесь состоялись в 1965 году. Однако и в этот год не были полностью выявлены границы кремационной площадки.

С 1980 г. здесь начинает работу Сванетская археологическая экспедиция с целью планомерного и полного исследования Лариларского могильника. Результатом раскопок было выявление основной территории кремационной площадки, а также обнаружение второй кремационной площадки, которая была зафиксирована в 8 метрах к востоку от первой в профиле контрольных щурфов.

Общая площадь раскопанной первой кремационной площадки составила 256 кв. м. Верхний слой площадки представлял бесистемно раскиданные камни средних размеров, которые располагались непосредственно в гумусе. По мере углубления эти камни смянялись большими булыжниками. Следует отметить, что южная часть площадки была менее каменистая. Раскоп сориентирован по линии С-Ю, ось север-юг с буквенной отметкой – А, В, С, Д; ось запад-восток с цифровой отметкой – 1, 2, 3,4, квадраты взяты размером 4:4 м.

Всего было зафиксировано 4 структурно различных слоя, но хронологическиодновременных.Послеснятия
гумуса в северной и восточной частях раскопа в каменистом слое нами зафиксирован чернозольный мелкокаменистый слой, в котором явны следы обожжения, но нет угольных остатков. Этот слой в частности охватывал северную часть раскопа, а именно А-1, 2, 3; В-1, 2, 3, 4; Д-1, 2 кв. В юго-восточной части раскопа, в частности на стыке С-1, С-2, а также Д-1, Д-2 квадратов, этот слой диффузирован со вторым основным слоем, представляющим собой суспенсно=суглинистую землю с большим включением костных остатков, а также мелких камней и в незначительном количестве углей. Этот второй слой, названный нами костным ввиду обилия в нем костных остатков, распространялся в основном в центральной, южной и западной частях раскопа, а именно занимал С-2 кв., С-3 полностью и С-4, В-4 частично; южные части В-3 и юго-западный угол В-2 квадратов, А-4 квадраты, а также северную и центральную часть Д-2 Д-3 и северо-

восточный угол Д-4 квадратов. Костный слой в центральной части раскопа (табл. L), в частности в С-2 и С-3 квадратах, располагался непосредственно на коричнево-зольном слое, наличие которого в других частях раскопа не засвидетельствовано. Коричнево-зольный слой представлял собой суглинистую чистую, без особых примесей землю. Под коричново-зольным и на периферии этого слоя зафиксирован черногольный слой. Там, где последний не располагался под коричнево-зольным, он находился под костным. Распространение черноугольного зафиксировано, в частности, в северной части С-2, С-3 кв-ов, а также в южной В-2, В-3 квадратов. Эта ситуация прослежена лишь в центральной части раскопа. В южной и западной частях распространения костного слоя под ним прослежена глинобитная земля. Глинобитная земля зафиксирована и под черноугольным, в нем часты находки фрагментов керамики.

Анализ костного материала с костного слоя показал, что вместе с фрагментами костяка человека он содержал и кости различных домашних животных. Археологический материал со всех слоев хронологически взаимосвязан. Наибольшее количество материала приходится на костный. Среди них преобладают бусы. Материал костного слоя сильно фрагментарен. Наименьшее количество материала зафиксировано в коричнево-зольном, немного его и в чернозольном. Что касается черноугольного слоя, то здесь наряду с преобладающим количеством керамических фрагментов много бронзовых предметов. Интересно отметить, что в то время как керамика в этом слое сильно фрагментированная, бронзовые предметы в большинстве своем хорошей сохранности.

В процессе раскопок первой кремационной площадки на разных уровнях и в различных слоях нам попадались конгломераты, содержащие кости, черепки посуды и пр. Много предметов со следами термического воздействия /это касается в основном бус и керамики/. Встречаются конгломерации пережженных вместе с бусами фрагментов костей; интересны фрагменты донца, с наружной стороны которого прижжены фрагменты костей; фрагмент бронзового крученого браслета с припаянным к нему фрагментом кости, глины и миниатюрного бронзового колокольчика.

Из находок в наибольшем колечестве представлена керамика. Она сильно фрагментированная, в болышинстве вторично подвергшаяся воздействию огня, сильно обкатанная и трудно реставрируемая. Многие фрагменты сохранили интересную орнаментацию – шишковидные наклепки, волнисто-зигзагные полосы: веточно-насечной орнамент, каннелюрованные стенки, продольно-поперечные полосы... различный синтез этих вариаций. Интересны ручки округло-выпуклые, уплощенные, покрытые орнаментом и без него, с зооморфными иммитациями и т. д.

Венчики самые различные – отогнутые, вогнутые, простые. Долца в основном плоские. Интересно одно донце с 4-мя выступами, округлое, вероятно ставившееся на эти выступы. По форме и орнаментации керамика с кремационной площадки №1 повторяет мотивы колхидской керамики (допускаем возможность некоторого своеобразия). Мы относим ее к керамике среднеколхидского периода.

Здесь же обнаружено несколько фрагментов импортной керамики. Чернолаковые фрагменты (возможно канфара) по качеству лака возможно представляют изделия аттического производства и относятся к концу IV – началу III вв. до н. э.

В количественном отношении вслед за керамикой преобладают находки бус. Среди них выделены каменные, стеклянные, керамические, металические, кальцитные. Количество каменных бус превосходит все остальные. Среди них отмечены различные-халцедоновые, сердоликовые, опаловые, а также янтарные и гагатовые. Многие каменные бусы растрескались в результае термического воздействия, часть сердоликовых бус выжжена до матово-белого цвета. Отдельные каменные бусы содержат следы покрытия бирзовой глазурью, редко бордовой. Мы зафиксировали несколько технических браков и заготовок, в нескольких бусах обнаружили металлический предмет цилиндрической формы с гвоздевидной головкой. Стеклянные бусы – как полихромные, так и одноцветные. Они разнообразной формы и орнаментации. В цветовом отношении преобладают желтые и синие цвета.

В целом, материал первой кремационной площадки отличается художественным разнообразием. Интересны предметы из бронзы: скульптурки привески с изображением различных животных и птиц, бляшки с многообразной и интересной орнаментацией, перстни-интальи, браслеты и фибулы со стилизованными изображениями, большое количество миниатюрных бронзовых колокольчиков, цепей, спиралей, крючков, украшенных спирально-точечным орнаментов, гвоздейзажимов, шил-проколок изображающих зверя, обкладки пластинчатые, фрагменты посуды и др.

Каменный материал представляен оселками, точильными камнями округлоовальной вытянутой формы, 4-х гранной, иногда покрытой бирзой глазурью, уплощенной и т. д., а также пряслицем и кремневыми отщепами.

Среди железных предметов встречаются наканечники копий, стрел, фрагментированные и целые ножи, кинжалы, топоры, гвозди, браслеты, пряжки и прочие неопределенные предметы.

Материал первой кремационной площадки отличается большим многообразием. Его научная обработка пока не завершена. По предварительным данным мы датируем кремационную площадку №1 VI-III вв. до н. э.

Вторая кремационная площадка находится в процессе исследования. В общей сложности на сегодня вкрыта площадь около 284 кв. м. Вторая кремационная площадка некоторыми нюансами в обряде, хронологии и структуре памятника отличается от первой, однако, ввиду незавершенности исследования памятника, мы воздерживаемся от детального анализа. Отметим лишь, что здесь нами зафиксированы два основных слоя – костный и черный. Основная территория второй кремационной площадки была покрыта бессистемным завалом камней средних размеров. Диффузионность костного и черного слоев здесь носит случайный характер и касается лишь периферии распространения этих слоев. Территориально распространение слое следующее: черный слой зафиксирован в восточной части раскопа, костный – в западной. Наибольшее число находок

приходится на костный слой, при этом из общего числа обнаруженного материала преобладают – бусы.

Материал со второй кремационной площадки сильно фрагментирован и в отличие от материала первого могильника не выделяется своим художественным достоинством, а также особым разнообразием. Например, в отличие от первой кремационной площадки, здесь всего одна бронзовая скульптура-привеска и то сильно фрагментированная, почти нет фибул, фрагментированы браслеты, нет совсем орнаментированных бляшек. Правда, здесь много перстней с разнообразными изображениями. Из железных предметов много наконечников стрел. Также много бронзовых миниатюрных колокольчиков. Стеклянные бусы выделяются большим количеством полихромных, с продольно-поперечным орнаментом и округлых с золотой и серебряной прокладкой. Импортная керамика представлена поздними образцами. Отметим, что материал второй кремационной площадки в своем большинстве тяготеет к эпохе эллинизма, к его раннему периоду.


Раскопки второй кремационной площадки расширили наши познания о могильнике Ларилар. Например, подтвердили наше предположение о том, что костный слой представляет собой т. н. ритуальный слой, т. е. его образование связано с результатом совершения предкремационных или послекремационных обрядов, а наличие большого количества бус, миниатюрных бронзовых колокольчиков, а также кремневых отщепов и обсидиана имело существенное значение при исполнении обряда.

Четвертый отряд провел разведочные исследования у истоков реки Цхенис-Цкали, в горах Лапури. Были зафиксированы два поселения и развалины церкви. Мы разработали перспективный план изучения обнаруженных предметов.

На этой же территории на высоте 2300 м. от уровня моря расположена штольня, в стенах которого видны медные прожилки. Здесь мы провели небольшие земляные работы, вынесли завал земли и, расчистив на несколько метров штольню, выявили остатки конструкции из дерева для укрепления штольни. На этом этапе здесь прекращены работы. Отряд продолжил исследования на выработках Зааргаши. Трудоемкая равота была проведена по очистке территории между первой и второй штольнями, покрытой лесом. В результате раскопок были выявлены следы обожженного слоя, где обнаружены каменные орудия для добывания и толчения руды. Создается впечатление, что на этой территории – на сегодня с сильным скатом – раньше была небольшого размера равнинная платформа, которая в результате естественных природных явлений была обвалена и в виде оползня спущена вниз в ущелье. Зафиксированные местами обожженные слои будут исследованы в дальнейшем. В штольне №1 были продолжены раскопки. Здесь обнаружено несколько каменных молотов для разрушения руды. Некоторые из них в процессе использования были превращены в обломки. В штольне №2 аналогичные работы были прерваны в связи с тем, что потолок первой камеры при входе в нее стал рушиться. Экспедиция не имела возможности экстренного укрепления потолка и соблюдения правил безопасности и была вынуждена временно прекратить здесь работы.


Таким образом, Сванетская археологическая экспедиция осуществила полевые работы в сезон 1981 году в Местийском и Лентехском районах. Археологические исследования велись на 6 памятниках. Среди них две могильники, две крепости, одно городище и одно рудная выработка. Археологические работы не завершены ни на одном участке и будут продолжены в последующие сезоны.

В процессе полевых исследований вместе с основными наблюдениями мы разработали методическую сторону последущих полевых работ на указанных памятниках, а также провели определенную работу по укреплении памятников.





Лентехская крепость. Общий план. м. 1:50.

XLVIII





Сванети. Лентехская крепость. 1981 г.






Сванети. Лентехская крепость. 1981 г.


## XLIX

Лентехская крепость.
Погребение № 1
План м. 1 : 10




4
3
2
1
A
B
C
D
E
1
2
3
Кремационный могильник
Парилар
Общый план м. 1:25
черноземный
костный сл.

Ш. Чартолани*

# Медные горнорудные выработки в Сванетии

Многочисленные находки готовой продукции и остатков древнеметаллургического производства бронзы, а также факты наличия сырья в геологической структуре Кавказа дали основание исследователям-археологам (А. А. Иессен, Б. А. Куфтин, Г. Ф. Гобеджишвили, А. Н. Каландадзе и др.) древней культуры Кавказа высказать предположение о существовании горнорудного дела и производства бронзы в горной полосе Западной Грузии и их обнаружения в будущем.

Первых подтверждением данного предположения было случайное открытие в 1960 г. Рачинской геологической партией в верховьях р. Риони (Рача) древних горнорудных выработок меди. Аналогичное открытие сделано в 1968 г. абхазской геологической партией в верховьях рек Бзыби и Кодори. Позже, в 1979 г. сванетская археологическая экспедиция обнаружила подобные выработки в Сванетии (ущелье р. Ингури). В 1980 г. в верховьях р. Цхенисцкали геологи случайно наткнулись на древнюю штольню.

На сегодняшний день в ущелье р. Ингури (местечко Зааргаш) обнаружено четыре штольни, две из них (№1, 2) находятся в процессе изучения.

Местечко Зааргаш расположено на высоте 2000 м. над уровнем моря, в 1,5 км. от с. Лауладаш и в 4 км. от пос. Местиа на склоне горного массива, обрамляющего с востока долину р. Местиачала. Этот массив, сложенный серыми кристаллическими сланцами, вмещает значительные запасы рудных минералов. По визуальным признакам здесь можно установить скопление минералов свинца, меди, мышьяка, ртути и т. д.

Судя по широкому распространению трещин и кварцевых жил, можно предполагать, что полиметаллическое месторождение в этом районе связано с контактным метаморфизмом.

Обе зааргашские выработки закрытого типа. На сегодня экспедиции удалось очистить от завалов и инертной массы входы и первые камеры штолен №1 и №2. Кроме этого были освобождены от завалов закрытые отрезки, что дало возможность установить некоторые параметры штолен.

Глубина штольни №1 по основной оси 29 м., а полный периметр 46 м.

Длина основной оси штольни №2 60 м., периметр 145 м. Эти данные глубины штольни, а также высота не точны, так как тоннель еще не расчищен от отвала пустых пород, которые толстым слоем покрывают дно.

Во время полевых исследований после очистки штолен от инертной массы нами были найдены вещественные "свидетели" древнего горного дела. Материал

* Напечатано в: Медные рудники западного Кавказа III-I тыс. до н. э. и их роль в горно-металлургическом производстве древнего населения, Тезисы докладов, Башкапсарского полевого археологического семинара, (Сухуми – Башкапсара, 1988 г.), Ордена Трудового Красного Знамени Институт археологии Академии наук СССР, Абхазский институт языка, литературы и истории им. Д. И. Гулиа Академии наук Грузинской ССР, Абхазский государственный музей Министерства культуры Абхазской АССР, Сухуми – 1988, стр. 15-16.

в изобилии содержал остатки вышедших из употребления орудий, а также целые каменные молоты, молотки и терки. На дне первой камеры штольни №2 найдены части деревянных балок, используемых для крепления кровли штольни, уголь и остатки деревянного корыта.

Материалы, наеденные в местийских штольнях, идентичны находкам в выработках Рачи и Абхазии. Так же идентична горная техника и технология добычи медной руды, что дает нам право древние горные выработки Земо-Сванетии суммарно датировать также эпохой поздней бронзы. Их археологическое изучение продолжается. В результате осуществленных работ создалось впечатление, что обе штольни достаточно велики и использовались длительное время. Даже предварительный обмер штольни №2 свидетельствует об ее сложной структуре.

Каменные орудия, найденные в сванетских горных штольнях, аналогичны ранее найденным, но есть и новые. В частности, если ранее находимые орудия по своему весу и объему могли крепиться на деревянных рукоятках и употребляться в таком виде, то один "молот" весом 40 кг., найденный в Сванетии, исключает подобный способ его употребления. Видимо, этот "молот", подвешенный на веревке, являлся ударным элементом примитивного механического орудия.

Открытие штолен дает право утверждать, что многочисленные бронзовые предметы, найденные в Сванетии, принадлежащие к разным периодам бронзового века, являются продуктом местной металлургии.

На глубокие корни в деле металло-рудных разработок, развития металлургии и художественного ремесла указывают также лингвистические, топонимические материалы и древние литературные исподники.

Таким образом, можно утверждать, что горная полоса Западной Грузии в бронзовую эпоху являлась главным очагом горнорудного и металлургического производства исторической Колхиды.

# ახალმშენებლობა და არქეოლოგიური კვლევა-ძიება სვანეთში*

უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე სვანეთში ფართოდ გაიშალა საგზაო კომუნიკაციების, მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზების, საწარმოო და კულტსაგანმანათლებლო ობიექტებისა და საცხოვრებელი კომპლექსების მშენებლობა. დიდი ტერიტორია მოიცვა ჯერ ენგურჰესმა და შემდეგ ხუდონჰესის მშენებლობამ. მიწის სამუშაოებით დაიხლართა მდ. ენგურის შუა და ზემო წელის თითქმის მთელი აუზი. ამას დაემატა საყოველთაოდ ცნობილი სტიქიური მოვლენები. ყოველივე ამან დღის წესრიგში დააყენა სვანეთის ეკოსისტემისა და კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობის გადარჩენისა და დაჩქარებული შესწავლის აუცილებლობის საკითხები.


საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ უფრო ინტენსიურად წარმართა ბუნების, ისტორიისა და კულტურის ძეგლების შესწავლის, დაცვისა და გამოყენებისათვის საჭირო სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა. არქეოლოგიური ძეგლების შესწავლა დაევალა არქეოლოგიური კვლევის ცენტრის სვანეთის ექსპედიციას, რომელმაც ახალმშენებლობათა ტერიტორიაზე გამოაველინა ბრინჯაოს, ანტიკური და შუასაუკუნეთა ეპოქების ასამდე ძეგლი და ათასობით არქეოლოგიური ნივთი, რომელთაც დიდი მეცნიერული და საჩვენებელი მნიშვნელობა გააჩნიათ.

ჩვენი ინფორმაციის შეზღუდული მოცულობის გამო, ამჯერად ყურადღებას გავამახვილებთ მხოლოდ ზოგიერთ, უმთავრეს ძეგლზე და მშენებელი ორგანიზაციების ფაქტობრივ დამოკიდებულებაზე მატერიალური კულტურის ძეგლების მიმართ, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მომავალი მუშაობისათვის.


დიდი სამუშაოები სრულდება ხუდონჰესის ტერიტორიაზე. ადრეულ ეპოქებში,აქ ცხოვრების არსებობას მხოლოდ ლეგენდები,ქვის ნაგებობათა რამდენიმე დაუთარიღებელი ნანგრევი და სავარაუდო ფორმით, წერილობითი წყაროები მიგვანიშნებდა. საველე-არქეოლოგიური ძიების შედეგად აღმოჩენილ იქნა და ამჯერად შესწავლის პროცესშია შვიდი ძეგლი. მათ შორის ხაიშის ციხე-კოშკი და სამაროვანი, სადაც გათხრითი სამუშაოები დამთავრებულია.

ხაიშის ციხე-კოშკი მდებარეობს სოფ. ხაიშიდან 10 კმ. მანძილზე. დასაელეთით, ლებურცხილის კლდეკართან,მდ ენგურის მარცხენა მხარეს მაღალ, განკიდულ კლდოვან კონცხზე. ნაგებობა გეგმაში ოთხკუთხა მოყვანილობისაა (სიგრძე 11,5 მ. სიგანე 7 მ.). გარე კუთხეები მრგვალი ბერკეთაა შემაგრებული. ერთ მეტრამდე სისქის კირის დუღაბზე ნაშენი კედლების სიმტკიცის გასაძლიერებლად, კედლები არმირებულია პერანგებს

* დაიბეჭდა: ჟურ. „ძეგლის მეგობარი“, (მოკლე ანგარიშები), ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია,მეცნიერება, თბილისი 1990, № 1, გვ. 25-31.



უშგულის გორანამოსახლარი.



ხაიშის სამაროვნის მასალა.

შუა მთელ სიგრძეზე დუღაბში ჩაფლული მუხის ძელებით. ეს მეთოდი სვანურ ხუროთმოძღვრებაში შემორჩენილი იყო გვიანდელ დრომდე და მხოლოდ ახლახან შეცვალა რკინა-ბეტონის კონსტრუქციებმა. რაც შეეხება კუთხეების ბურჯებით შემაგრებას, სვანურ არქიტექტურაში იშვიათი შემთხვევაა. ხაიშის ციხის გარდა იგი მხოლოდ სოფ. მულახში (ლახირში) მარგიანების საცხოვრებელი კომპლექსის გალავანში, კარიბჭის ღიობშია დამოწმებული. ხაიშის ციხე რამდენიმე სართულიანი უნდა ყოფილიყო. სედა სართულები მთლიანად მორღვეულია და მისი გეირგვინის ფორმის დადგენაც ძნელია. პირველი სართულის უკეთ შემონახული კედლები 4 მეტრის სიმაღლითაა შემორჩენილი.

ციხის შიგნით ჩატარებული გათხრების შედეგად აღმოჩენილია საბრძოლო შურდულის ქვები, რკინის იარაღის ფრაგმენტები, სხვადასხვა მოყვანილობისა და დანიშნულების კერამიკული ჭურჭელი, მრგვალი ხელსაფქვავი და სხვა ნივთიერი მასალა, რაც ამ ადგილის სამხედრო-სტრატეგიული დანიშნულებით გამოყენებას მიგვანიშნებს ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში. აღრეშუასაუკუნეებში აქ მცირე მოცულობის ხის კოშკი მდგარა. კირის დუღაბზე ნაშენი ციხის ფუნქციონირების ზოგად თარიღად კი X-XVII სს. უნდა მივიჩნიოთ.

ხაიშის ციხე-კოშკი ყველაზე ძლიერი რგოლია მდ. ენგურის შუაწელში, ხეობის გაყოლებაზე განლაგებული სათვალთვალო-სასიმაგრო კოშკების ჯაჭვში, რომელიც სათაეს იღებს სოფ. ჯვარში, ენგურის პირველ კლდეკართან. ლაბერაშის კოშკის სახით. ხაიშის ციხე, ბარჯაშის და სოფ. იდლიანის კოშკთან ერთად საიმედოდ აკონტროლებს და იცავს სამეგრელოდან და აფხაზეთ-სამურზაყანოდან სვანეთში შემოსასვლელ ძველ ბილიკებს.

ხაიშის სამაროვანი და ნაეკლესიარი, მდებარეობს სოფ. ხაიშში, მდ. ენგურის მარცხენა შენაკადის ხაიშურას მარჯვენა მაღალ ტერასაზე. ეკლესია XX ს. დასაწყისშია რეკონსტრუირებული. სამაროვნის ადრეული ფენა დანგრეულია XII-XIII სს. სამარხებით. სამაროვანზე აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალის ნომენკლატურა ძირითადად მოიცავს რკინის იარაღს და კერამიკულ ჭურჭელს. გვიანდელი სამარხები თითქმის მთლიანად ეკუთვნის მამაკაცებს, რომელთაც უხვად აქვთ ჩატანებული საბრძოლო იარაღი. ყველა მიცვალებული ერთმანეთთან მიჯნით და ერთ დონეზე არის დაკრძალული. იქმნება იღუსია, რომ აქ მეომართა ჯგუფია ერთდროულად დამარხული.

მდ. ხაიშურას ხეობაში, სოფ. წირმინდთან, სადაც მიემართება ლენსუმის, სამეგრელოს და ქვემო სვანეთისაკენ მიმავალი ძველი საუღელტეხილო გზა, აღმოჩენილ იქნა ნასახლარი, ციხე და ნაეკლესიარი. სადაზვერვო გათხრების შედეგად აქ გამოვლენილ სხვა მასალებთან ერთად საგანგებო ყურადღებას იქცევს აგური და ბრტყელი კრამიტი, რომელიც ადრეშუასაუკუნეების საკულტო ძეგლს განეკუთვნება. ეს ჯერჯერობით ერთადერთი და პირველი ფაქტი, სვანეთში სამშენებლო ტექნიკისა და ტექნოლოგიის თვალსაზრისითაც ფრიად საინტერესოა.



ლენჯერის სამაროვანზე აღმოჩენილი თიხისა და მინის ჭურჭელი.


სხვადასხვა სახის მშენებლობისათვის მიწის სამუშაოთა შესრულების დროს შემთხვევით აღმოჩენილი უმნიშვნელოვანესი ძეგლებია ლენჯერის,ქართვანისა და ბოგრეშის სამაროვნები.

ლენჯერის ადრე შუა საუკუნეების სამაროვნის დიდი ნაწილი ჯერ გათხრილი არ არის, მაგრამ ჩვენს ხელთ არსებული მასალები: ადგილობრივი ხელოსნების მიერ დამზადებული რკინის იარაღის სრულყოფილი ფორმები, მაღალი პროფესიული და მხატვრული გემოვნების ნაძერწი თიხის ჭურჭელი და ისეთი შემოტანილი ფუფუნების საგნები, როგორიცაა IV ს. ხალებიანი მინის ჭურჭელი მიუთითებს, რომ იმ დროს სვანეთი, ეპოქის შესაბამისად, სოციალურად განვითარებული, მეურნეობრივად და კულტურულად დაწინაურებული, სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისით, ძლიერი ნაწილია ლაზიკის სამეფოში.

ბოგრეშისა და ქართვანის სამაროვნებზე აღმოჩენილი უნიკალური მასალები საიმედო საბუთია ბრინჯაოს ხანაში აქაური მოსახლეობის ურთიერთობისა ისტორიული კოლხეთის ბარისა და შიდა ქართლის რაიონებთან და ჩრდილო კავკასიასთან. ასევე, ბრინჯაოს მეტალურგიისა და მხატვრული ხელოსნობის მაღალგანვითარებულობის, ქართველი ტომების უძველესი იდეოლოგიურ-რელიგიური რწმენა-წარმოდგენების გასაშუქებლად.

ხუდონჰესის მშენებლობის მონაკვეთში, სვანეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ შეისწავლა აგრეთვე ენგურის კლდეკარებში ოდესღაც გაკვალული, სამეგრელო-აფხაზეთთან დამაკავშირებელი საცალფეხო ბილიკები, მათი გამტარუნარიანობა და სხვადასხვა ეპოქებში მათი გამოყენების მასშტაბურობა, რაც რამდენადმე ასახულია გზების გასწვრივ მიკვლეულ არქეოლოგიურ ძეგლებში.

ახალმშენებლობასთან დაკავშირებით, სვანეთში არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებზე სიტყვას არ გავაგრძელებთ, მაგრამ არ ვიქნებით მართალი, თუკი არ ავღნიშნავთ რიგი მშენებელი ორგანიზაციების ყურადრებასა და დახმარებას, რაც სვანეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ მიიღო საველე მუშაობის პერიოდში. ეს გამონათქვამი პირველ რიგში ეხება „საქჰიდროპროექტისა“ და ხუდონჰესის მშენებლობის ხელმძღვანელობას. მათ სამოქმედო ტერიტორიაზე ნებით თუ უნებლიედ ძეგლები არ დაზიანებულა.



ბოგრე'მის სამაროვნის მასალა.

სამწუხაროდ, იგივე არ ითქმის სვანეთის ახალმშენებლობათა სხვა მესვეურებზე. მშენებელი ორგანიზაციების ზოგიერთმა ხელმძღვანელმა, რბილად რომ ეთქვათ, აშკარა გულგრილობა გამოიჩინა მატერიალური კულტურის ძეგლების მიმართ. დუმილით გვერდი აუარეს, ან გვიან გაამხილეს მათ სამუშაო ობიექტებზე არქეოლოგიური ძეგლების გამოვლენის ფაქტები და, რიგ შემთხვევაში, აღმოჩენილი მასალებიც უგზოუკვლოდ დაიკარგა. ეროვნული კულტურის ძეგლების მიმართ ასეთ დამოკიდებულებას შეეწირა, ჯერ ანტიკური ხანის სამაროვანი მესტიაში, ადგილ ზურულდზე სატელევიზიო კოშკის მშენებლობის დროს, ხოლო ახალო წარსულში სოფ. ქვედა იფარში – რკინის მეტალურგიული წარმოების კერა, რომელიც ტყის მასივში სამანქანო გზის გაყვანის დროს დაანგრია წალენჯიხის ტყე-მრეწველობის მეურნეობამ.

„კავკასელექტროქსელმშენმა“ და ‘საქელექტროქსელმშენმა“ მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის ბოძები ზეგ ძეგლებზე დასვა ბარჯაშში და უშგულის გორანამოსახლარზე. ძეგლები დააზიანეს მდ. კოდორის ხეობის სათაეებში.

მესტია-უშგულის გზის გაყვანის დროს დანგრეულ იქნა ბრინჯაოს ხანისა და შუასაუკუნეების სამაროვნები სოფ. ბოგრეშში, უშგულში. მშენებლობას აწარმოებს საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტრო. გზის მშენებლებმა ჯერ დამალეს აღნიშნული ფაქტი, ხოლო შემდეგ სამინისტრომ რეაგირების გარეშე დატოვა არქეოლოგიური კვლევის ცენტრის წერილობითი თხოვნა – მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დაეფინანსებინა სამუშაო ტერიტორიაზე აღმოჩენილი ძეგლების შესწავლა.

გასულ 1989 წელს„„საქკურორტმშენმა“ ლენტეხის რაიონში,კურორტ მუაშში ბულდოზერით დაანგრია XI-XII სს. ნაეკლესიარი და სამაროვანი. მართალია მშენებლობა სხვა ადგილზე გადაიტანეს, მაგრამ ნახევრად დანგრეული ძეგლის შესწავლის საქმეში კანონით გათვალისწინებულ თანამშრომლობაზე უარი განაცხადეს.

ასეთი დამოკიდებულების გამო, სვანეთში ახალმშენებლობათა ტერიტორიებზე არქეოლოგიურმა კვლევა-ძიებამ დღემდე ვერ მიიღო გეგმაზომიერი ხასიათი და მომავლისათვისაც სანუგეშოს ვერაფერს ეხედავთ. ამას იმიტომაც დავსძენთ, რომ სვანეთში რიგი მშენებლობანი კვლავაც გრძელდება ძეგლთა დაცვისა და შესწავლის სამსახურის სათანადო ნებართვის გარეშე.

„ძეგლის მეგობრის“ მკითხველთათვის არ იქნება ინტერესმოკლებული, თუ ორიოდე სიტყვით არქეოლოგიური ძეგლების დაცვასა და კონსერვაციის საკითხებსაც შევეხებით.

არქეოლოგიური კვლევის ცენტრმა დიდი ხანია შეარჩია საექსპოზიციო-საჩვენებელი თვალსაზრისით საინტერესო არქეოლოგიური ძეგლები: ხაიშის ციხე, ეცერის, გორანამოსახლარი და ლენტეხის ციხე. მათი გამაგრება-რესტავრაცია საქართველოს ძეგლთა დაცვის მთავარ სამმართველოს, რესპუბლიკის მთავრობის მიერ სხვადასხვა დროს გამოცემულ ოთხი დადგენილებით აქვს დავალებული. რესტავრატორთა მოლოდინში 5 წელია შეჩერებულია გათხრები ლენტეხის ციხეზე და

ეცერის გორანამოსახლარზე. კლიმატური მოვლენების მოქმედების შედეგად დაზიანდა ბევრი დეტალი. ამ ხნის განმავლობაში დაიწერა ბევრი თხოვნა-შეხსენება, საპასუხოდ მივიღეთ ასევე მრავალი ტკბილი დაპირება, მაგრამ ამაოდ. საქმე ადგილიდან არ იძერის.

სამწუხაროდ, უკეთესი დამოკიდებულება არც ეკოლოგიური გარემოს მიმართ იგრძნობა, რამაც საგრძნობლად გააძლიერა სტიქიის დამანგრეველი ძალა. აშკარად გაღარიბდა აქაური ფლორა და ფაუნა. მეტ დაკვირვებას მოითხოვს სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის ბუნებრივი რესურსების სწორი ათვისებისა და ექსპლუატაციის საკითხები. უკვე მომრავლდა ამ დარგში უსარგებლო და საეჭვო ექსპერიმენტების რაოდენობა, რომელმაც სოლიდური ფინანსური საშუალებები და ნიადაგის მწვანე საფარი შეიწირა უშედეგოდ.

ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემოსა და მასთან შეხამებული, წინაპართა ხელით შექმნილი ისტორიული ძეგლების კომპლექსური დაცვა სვანეთში, ტრადიციულად, მკაცრი ადათობრივი სიმართლით იყო განმტკიცებული. ამჟამად, მას სახელმწიფო კანონმდებლობით იცავს, მაგრამ ფაქტობრივად ამ კანონს იგივე სახელმწიფო დაწესებულებათა მესვეურები არღვევენ.

ბუნებისა და ისტორიული ძეგლების მიმართ ნეგატიურმა დამოკიდებულებამ სოციალურ გარემოშიც ჰპოვა თავისი ასახვა. ძეგლების მიმართ გულგრილი და აგრესიული ადამიანი მორალურ-ზნეობრივადაც არამდგრადია. მრავალი წლის განმავლობაში სვანეთში მუშაობის გამოცდილებამ დაგვარწმუნა, რომ სახელმწიფო-იურიდიულ კანონებში გაუთვითცნობიერებელი გლეხი-კაცი ბევრად უფრო სათუთად ეპყრობა ბუნებისა და კულტურის ძეგლს, ვიდრე თანამდებობის სხვადასხვა რანგში დაწინაურებული წოგიერთი „დიპლომიანი ინტელიგენტი“.

სვანეთმა დღემდე კომპლექსურად მოგვიტანა ბუნების, ძეგლისა და ადამიანის თანაარსებობისა და განვითარების ჰარმონია, რომელსაც საფუძვლად უდევს ქართველი ხალხის ძირძველი ზნეობრივი კულტურა. მისი ცალკეული ნაწილების რღვევის სავალალო შედეგებზე სერიოზულად უნდა დაფიქრდნენ არა მარტო ძეგლთა დაცვისა და შესწავლის სამსახურები, არამედ წარმოებისა და კომუნიკაციის სფეროში დასაქმებული პირებიც.

შოთა ჩართოლანი

# ტექნიკური პროგრესი სამთამადნო წარმოებაში საქართველოს ტერიტორიაზე ძვ. წ. IV-I ათასწლეულებში

## (ისტორიული კოლხეთის მთიანეთის მასალების შუქზე)

საქართველოში ცნობილია 200-ზე მეტი სპილენძის, დარიშხანის, ანთიმონის (სურმის) და სხვა პოლიმეტალების საბადო და ზედაპირული გამოვლენების ადგილები. მათ შორის თითქმის ყველა უმთავრეს საბადოსე აღმოჩენილია მადნის მოპოვებისა და დამუშავების კეალი. კერძოდ, ასეთ რაიონებს განეკუთვნებიან კავკასიონის მთავარი ქედის გასწვრივ: აფხაზეთის, სვანეთის, რაჭისა და კახეთის (ზემო ალაზნის), ხოლო მცირე კავკასიონზე ბოლნის-დმანისისა და აჭარა-გურიის სამთო-მეტალურგიული კერები.

არქეოლოგიური მასალების მიხედვით, ლითონური მადნების ათვისების ტრადიციები საქართველოში იწყება ენეოლითის ხანიდან (ძვ. წ. VI-V ათასწ.), როდესაც აქ დაიწყეს თვითნაბადი სპილენძის გამოყენება ბრინჯაოს ხანაში (ძვ. წ. IV-II ათასწ.) ფერადი ლითონების მადნების ათვისებამ გაიარა განვითარების ყველა კლასიკური საფეხური – ჟანგეული მადნების ათვისებიდან დაწყებული, ვიდრე სულფიდური მადნების მოპოვება-დამუშავების რთული ტექნიკური და ტექნოლოგიური პროცესების წარმოებაში დანერგვით დამთავრებული.

ბრინჯაოს ხანის სამთამადნო და მეტალურგიული კერების ურთიერთკავშირის, განვითარების საერთო ტენდენციებისა და კანონზომიერებათა დადგენა აქტუალურ და მეტად რთულ მეცნიერულ პრობლემას წარმოადგენს. ამ პრობლემის გააზრებისათვის სერიოზულ საფუძველს იძლევა რაჭის, სვანეთისა და აფხაზეთის სამთამადნო გამონამუშევრებზე სხვადასხვა დროს განხორციელებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. სადღეისოდ უკვე დადასტურებულია სამთამადნო ტექნოლოგიის შემდეგი ელემენტები:

1. მადნის მოპოვება ღია (ზედაპირული) და მიწისქვეშა მაღაროებში. მიწისქვეშა მაღაროები წარმოადგენენ ერთ, ორ და მრავალსართულიან ნაგებობებს, ჰორიზონტალური, დახრილი და ვერტიკალური გვირაბების რთულ სისტემებს. მათ შორის გამოირჩევა მარტივი (ადრეული) და განვითარებული ტიპის რთული კონსტრუქციის გამონამუშევრები.

2. ქანების მოსანგრევად გამოყენებული იყო ქვის უროები, ბრინჯაოს იარაღი (სოლები), ცეცხლი, წყალი და სხვა საშუალებანი.

3. მონგრეული მადნის აწმენდა – ტრანსპორტირება ხდებოდა ხელით, ხის ნარჩენებით. სათრეველა გობებითა და დაწნული გოდრების მეშვეობით.

* დაბეჭდილია: სამეცნიერო სესია: "მსოფლიო კულტურულ-ისტორიული პროცესი და საქართველო", (არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით), მოხსენებათა თეზისები, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრი, თბილისი 1994, გვ. 10-11.

4. დადასტურებულია მიწისქვეშა წყალამოღვრა დახრილი გვირაბებისა და წყალგამოსაღვრელი ღარების გამოყენებით.

5. გვირაბის ჭერისა და შლადი გვერდების გასამაგრებლად იყენებდნენ გვირაბის კვეთის რაციონალურ ფორმებს, მთელანებს, ხის სამაგრებსა და ქვის ყორე-კედლებს.

6. ბუნებრივი ვენტილაციისათვის გაჰყავდათ სპეციალური საეენტილაციო გვირაბები და ჭრიდნენ გარეთ გამავალ ფანჯრებს.

7. დადასტურებულია მადნის გამდიდრების ორი მეთოდი (ტიპი):

ა) მშრალი დახარისხება და ბ) სველი გამდიდრება – დანაყილი მადნის გამდიდრება კლდეში ამოკვეთილ ორმოებში ან ხის აბაზანებში (გობებში).

დასავლეთ საქართველოს მაღალმთიან ზოლში დადასტურებული ფერადი და პოლიმეტალური მადნების ძველი მაღაროების საწარმოო სიმძლავრე, კონსტრუქციულ–ტექნოლოგიური პარამეტრები მიგვანიშნებს, რომ აქ მოპოვებული მადნების რაოდენობა ბევრად აღემატებოდა ადგილობრივ-რეგიონალურ მოთხოვნილობებს. აქ მოპოვებული და გამოდნობილი ლითონით ძველი კოლხეთის ბარისა და,შესაძლოა,უფრო შორეული რაიონების მეტალურგიული ობიექტებიც მარაგდებოდა. ამასვე ადასტურებს ძველი კოლხეთის მთიანეთის უძველესი სამიმოსელო გზების ანალიზი,ბრინჯაოს კოლხური ნაწარმის ტიპოლოგიურ-ქრონოლოგიური და მეტალოგრაფიული მონაცემები. კოლხური კულტურის კავშირები კავკასიისა და შორეული ქვეყნების სინქრონულ კულტურებთან.

შოთა ჩართოლანი, ჯუმბერ კახიანი

# ბუნების, ისტორიისა და კულტურის ძეგლები სვანეთში ტურიზმის განვითარების მყარი საფუძველია*

სვანეთის თვალწარმტაცი ბუნების პეიზაჟები – კავკასიონის მთაგრეხილზე აშოლტილი საყოველთაოდ ცნობილი მწვერვალები, მყინვარებისა და ერცელი ალპური საძოვრების ზოლი, მარადმწვანე და ფოთლოვანი ტყის მასივები, მდინარეები და ჩანჩქერები; ეკოლოგიურად სუფთა გამჭვირვალე ჰაერი, წყარო-ნაკადულები და სამკურნალო მინერალური წყლები; ასევე, მრავალფეროვანი ფაუნა ოდითგანვე ხიბლავდა უცხოელ მოგზაურებსა და მკვლევარებს, ამ კუთხის მიმართ მათ ინტერესს უფრო აძლიერებდა ეგზოტიკური ბუნებისა და კულტურის ძეგლების – ძველი სამეურნეო და საკულტო არქიტექტურის ურთიერთ შეხამებულობა; ბუნების სტაბილურობისა და ადამიანის აქტიური სამეურნეო საქმიანობის ჰარმონიული თანაარსებობის განუმეორებელი სურათი.

რეგიონის რელიეფის ლამაზი სანახაობით მიღებულ შთაბეჭდილებებს კიდევ უფრო აძლიერებს აქაურ მუზეუმ-ფონდსაცავებსა და ეკლესიებში დაუნჯებული ადრეული ეპოქებისა და შუასაუკუნეების მრავალრიცხოვანი ძეგლები: ბრინჯაოსა და ანტიკური ეპოქების მეტალურგიული და მხატვრული ხელოსნების იშვიათი ნიმუშები; შუასაუკუნეების ოქრომჭედლობისა და ფრესკული მხატვრობის, ხელნაწერებისა და მინიატურის; საოჯახო ყოფისა და ხელსაქმის უამრავი ძეგლი, სადაც ასახულია არა მარტო ქართველ მთიელთა სამეურნეო, საციალური და სულიერი ცხოვრების განვითარების უწყვეტი სურათი – უძველესი დროიდან დაწყებული დღევანდელობის ჩათვლით, არამედ, აქაური მოსახლეობისა და მთლიანად მხარის ადგილი და როლი ქართული სახელმწიფოებრიობისა და ცივილიზაციის განვითარების პროცესში.

სვანეთმა დღემდე შემოგვინახა ეროვნული ტრადიციები; ქართველისათვის დამახასიათებელი შრომისმოყვარეობისა და მაღალი ზნეობის ნორმები, ადათობრივი სამართალი, ძველი სიმღერები, ფერხულები, საწესო რიტუალები და სხვა სულიერი მემკვიდრეობა, რაც მატერიალურ კულტურის ძეგლებთან ერთად, მრავალი ქვეყნის მეცნიერთა შესწავლის საგანია.

ბუნებრივი-კლიმატური გარემოსა და ძლიერი გენოფონდის სრდის საფუძველზე, სამეურნეო საქმიანობის სრულყოფასთან ერთად, ისტორიულად ვითარდებოდა ეროვნული კულტურა, ტრადიციული და თანამედროვე სპორტის სახეობები. ეს კუთხე სამართლიანად ამაყობს ყოფილ საბჭოთა კავშირში და ევროპაში ცნობილი სპორცმენების, მეცნიერებისა და ხელოვნების მოღვაწეთა სახელებით.

---

*დაბეჭდილია: სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე: "სვანეთის კულტურულ – ისტორიული მემკვიდრეობა და მისი გადარჩენის პრობლემები". პროგრამა და მოხსენებათა მოკლე შინაარსები, მესტია 5 - 6 დეკემბერი 1995 წ საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, არქეოლოგიური კვლევის ცენტრი, სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, ობილისი 1996 წ. გვ. 19-21.

ბუნებრივი და კულტურულ-ისტორიული რესურსების საჩით სვანეთს საიმედო ბაზისი გააჩნია ტურიზმის განვითარებისათვის. ამას ემატება გამოცდილი მეთოდისტ-გამყოლთა, მაშველ-ინსტრუქტორთა, ისტორიკოს-მხარეთმოცნეთა და ნაწილობრივ, უცხო ენების სპეციალისტთა ადგილობრივი კადრების სოლიდური კონტიგენტი.

ენთუზიასტ სპეციალისტების მიერ უკვე დამუშავებულია შიდა რეგიონალური და კავკასიონის უღელტეხილზე გამავალი ტურისტული მარშრუტები. მათი ამოქმედებით ასევე დაინტერესებული არიან რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის, ყაბარდო-ბალყარეთის, ჩრდილოეთ ოსეთისა და სხვა რეგიონების ტურიზმის და სპორტის საქმეთა სტრუქტურები და მათთან უკვე კონტაქტში მყოფი მთელი რიგი ქვეყნები.

ამრიგად სვანეთში არსებული ბუნებრივი, კულტურული და საკადრო პოტენციალი რეალურ საფუძველს იძლევა ამ რეგიონში ტურიზმის (განსაკუთრებით სამთო სახეობათა) დანერგვისა და განვითარებისათვის. ტურიზმი უნდა გახდეს ამ კუთხის ეკონომიკური, კულტურულ-საგანმანათლებლო და გამაჯანსაღებელი დარგების აღორძინების ერთ-ერთი ძირითადი საშუალება, ამისთვის დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს სერიოზული მოსამზადებელი მუშაობა ტურიზმის სახეობათა და მასშტაბების, რეკრეაციული ზონების, მომსახურეობისა და ინფრასტრუქტურის კონკრეტული და ზუსტი პროგრამებისა და საამისოდ აუცილებელი სამართლებრივი ნორმების შემუშავებისათვის.

რაც მთავარია, სვანეთი არ უნდა გახდეს მასიური ტურიზმის აგრესიის მსხვერპლი. აუცილებლად გვესახება პერსპექტიულ პროგრამებსა და რეკომენდაციებში მკაცრად იყოს გარანტირებული ეკოლოგიისა და ადგილობრივი მოსახლეობის დემოგრაფიული და სოციალური პრიორიტეტი.

ამ რთული პრობლემის კვალიფიციურ დონეზე გადასაწყვეტად, ვფიქრობთ აუცილებელია მესტიაში შეიქმნას სპეციალური საკოორდინაციო საბჭო (ან ცენტრი), რომელიც სხვადასხვა დარგის კვალიფიციურ სპეციალისტებისაგან იქნება დაკომპლექტებული.

შოთა ჩართოლანი, თეიმურაზ მუჯირი, გელა გობეჯიშვილი

# სამთამადნო წარმოების, უძველესი ძეგლები მდ. ენგურის, ცხენისწყლისა და რიონის სათავეებში*

საქართველოში ცნობილია 200-ზე მეტი სპილენძის, დარიშხანის, ანთიმონის (სურმის) და პოლიმეტალების საბადო და ველაპირული გამოვლენების ადგილები. მათ შორის თითქმის ყველა უმთავრეს საბადოზე აღმოჩენილია მადნის მოპოვებისა და დამუშავების კვალი. კერძოდ, ასეთ რეგიონებს განეკუთვნებიან კავკასიონის მთავარი ქედის გასწვრივ: აფხაზეთის, სვანეთის, რაჭისა და კახეთის (ზემო ალაზნის), ხოლო მცირე კავკასიონზე: ბოლნისი-დმანისის და აჭარა-გურიის სამთო მეტალურგიული კერები.

არქეოლოგიური მასალების მიხედვით, ლითონური მადნების ათვისების ტრადიციები საქართველოში იწყება ენეოლითის ხანიდან (ძვ. წ. VII-VI ათასწ.), როდესაც აქ დაიწყეს თვითნაბადი სპილენძის გამოყენება. ბრინჯაოს ხანაში (ძვ. წ. IV-II ათასწ.) ფერადი ლითონების მადნის ათვისებამ გაიარა განვითარების ყველა კლასიკური საფეხური – ჟანგეული მადნების ათვისებიდან დაწყებული, ვიდრე სულფიდური მადნების მოპოვება-დამუშავების რთული ტექნიკური და ტექნოლოგიური პროცესების წარმოებაში დანერგვით დამთავრებული.

ბრინჯაოს ხანის სამთამადნო და მეტალურგიული კერების ურთიერთ-კავშირის, განვითარების საერთო ტენდენციებისა და კანონზომიერებათა დადგენა აქტუალურ და მეტად რთულ მეცნიერულ პრობლემას წარმოადგენს.

ამ პრობლემის გააზრებისათვის სერიოზულ საფუძველს იძლევა სვანეთის, რაჭის და აფხაზეთის სამთამადნო გამონამუშევრებზე სხვადასხვა დროს განხორციელებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. სადღეისოდ უკვე დადასტურებულია სამთამადნო ტექნოლოგიის შემდეგი ელემენტები:

1. მადნის მოპოვება ღია (ზედაპირული) და მიწისქვეშა მაღაროებში. მიწისქვეშა მაღაროები წარმოადგენენ ერთ, ორ და მრავალსართულიან: ჰორიზონტალური, დახრილი და ვერტიკალური გვირაბების რთულ სისტემებს.

გამოირჩევა მარტივი (ადრეული) და განვითარების ტიპის რთული კონსტრუქციის გამონამუშევრები.

2. ქანების მონგრევა ხდებოდა ქვის უროების, ბრინჯაოს იარაღის (სოლების) ცეცხლის, წყლისა და სხვა საშუალებათა გამოყენებით.

---

*დაბეჭდილია: სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე: "სვანეთის კულტურულ – ისტორიული მემკვიდრეობა და მისი გადარჩენის პრობლემები". პროგრამა და მოხსენებათა მოკლე შინაარსები, მესტია 5 - 6 დეკემბერი 1995 წ საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, არქეოლოგიური კვლევის ცენტრი, სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, თბილისი 1996 წ. გვ. 21-23.

3. მონგრეული მადნის აწმენდა-ტრანსპორტირება ხდებოდა ხელით, ხის ნიჩბებით, სათრეველა გობებითა და დაწნული გოდრების მეშვეობით.

4. დადასტურებულია მიწისქვეშა წყალამოღერა-დახრილი გვირაბებისა და წყალგამოსაღერელი ხის ღარების გამოყენებით.

5. გვირაბის ჭერისა და შლადი გვერდების გამაგრება – კვეთის რაციონალური ფორმების გამოყენებით, მთელანებით, ხის სამაგრებითა და ქვის ყორე-კედლებით.

6. ბუნებრივი ვენტილაცია-სპეციალური სავენტილაციო გვირაბებისა და ფანჯრების გაყვანით.

7. დადასტურებულია მადნის გამდიდრების ორი მეთოდი (ტიპი):

ა) მშრალი დახარისხება და

ბ) სველი გამდიდრება – დანაყილი მადნის გამდიდრება კლდეში ამოკვეთილი ან ხის აბაზანაში (გობი).

დასავლეთ საქართველოს მაღალმთიან ზოლში დადასტურებული ფერადი და პოლიმეტალური მადნების ძველი მაღაროების საწარმოო სიმძლავრე, კონსტრუქციულ-ტექნოლოგიური პარამეტრები მიგვანიშნებს, რომ აქ მოპოვებული მადნების რაოდენობა ბევრად აღემატებოდა ადგილობრივ-რეგიონალურ მოთხოვნილებებს. აქ მოპოვებული და გამოდნობილი ლითონით ძველი კოლხეთის ბარის და, შესაძლოა, უფრო შორეული რაიონების მეტალურგიული ობიექტებიც მარაგდებოდა.

ამასვე ადასტურებს ძველი კოლხეთის მთიანეთის უძველესი სამიმოსვლო გზების ანალიზი, და ბრინჯაოს კოლხური ნაწარმის ტიპოლოგიურ-ქრონოლოგიური და მეტალოგრაფიული მონაცემები. კოლხური კულტურის კავშირები კავკასიისა და შორეული ქვეყნების სინქრონულ კულტურებთან.

# სვანეთის კულტურულ-ისტორიული ძეგლების შესწავლის გადარჩენისა და გამოყენების პრობლემები*

სვანეთი, შეიძლება ითქვას, ერთადერთი მაღალმთიანი რეგიონია საქართველოში, რომელმაც დღემდე ყველაზე ცოცხლად და კომპაქტურად შემოგვინახა ძველი ქართული მატერიალური და სულიერი ძეგლები: შუა საუკუნეების ორიგინალური არქიტექტურა, ფერწერისა და ოქრომჭედლობის, ხელნაწერებისა და ხალხური რეწვის იშვიათი ნიმუშები, ძირძველი ენა, უძველესი მუსიკალური და ზეპირისიტყვიერი ფოლკლორი, რელიგიურ-მითოლოგიური რწმენა-წარმოდგენები და რიტუალები, ადათობრივი სამართალი, მაღალი მორალურ-ფსიქოლოგიური და ყოფითი ტრადიციები.

უკანასკნელი 15-20 წლის მანძილზე სვანეთში განხორციელებული საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად გამოვლენილია 150-ზე მეტი ძეგლი: სხვადასხვა ეპოქების-ნამოსახლარები, სამაროვნები, სამთამადნო და მეტალურგიული ობიექტები და საკულტო ძეგლები; აღმოჩენილია ათეული ათასობით ნივთიერი მასალები, რომელშიაც ასახულია საზოგადოების განვითარების თითქმის უწყვეტი სურათი. ქვის ხანიდან მოკიდებული – შუასაუკუნეების ჩათვლით.

ძეგლების სიუხვის, მრავალფეროვნებისა და მნიშვნელობის გამო, პოპულარულ გამოთქმებში ამ კუთხემ სრულიად სამართლიანად, "ეროვნული კულტურის საგანძურის", "ცოცხალი სამეცნიერო ლაბორატორიის" საპატიო სახელიც დაიმკვიდრა. ეს ძეგლები ჯერ კიდევ მე-19 ს. გახდა გამოჩენილი ქართველი და უცხოელი მკვლევარების შესწავლის საგანი.

სვანეთის სიძველეთა შესწავლისა და მოვლა პატრონობის თვალსაზრისით განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო 1970-იანი და მომდევნო წლები, როცა საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებით, რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანოების დირექტივების საფუძველზე, მეცნიერებათა აკადემიის სხვადასხვა ინსტიტუტებს საშუალება მიეცათ ამ რეგიონში გაეძლიერებინათ საველე-პრაქტიკული და თეორიული მუშაობა, რომლის შედეგები საზოგადოებისათვის კარგად არის ცნობილი.

უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე, მთლიანად საქარველოში და განსაკუთრებით სვანეთში კრიმინოგენული ვითარების გამწვავების, სახელმწიფო-ადმინისტრაციული და სამართალდამცავი ორგანოების მოშვებულობის, სოციალურ-ეკონომიკური და ზნეობრივი დესტაბილიზაციის პირობებში აშკარა საფრთხის წინაშე დადგა ამ კუთხის კულტურული

*დაბეჭდილია: სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე: "სვანეთის კულტურულ – ისტორიული მემკვიდრეობა და მისი გადარჩენის პრობლემები". პროგრამა და მოხსენებათა მოკლე შინაარსები, მესტია 5 - 6 დეკემბერი 1995 წ საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, არქეოლოგიური კვლევის ცენტრი, სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, თბილისი 1996 წ. გვ. 23-27.

მემკვიდრეობა: მოიშალა სიძველეთა ფონდსაცავებისა და არქიტექტურული დაცვის სამსახურები. არაერთგზის განმეორდა არქეოლოგიურ ბაზაზე და მუზეუმზე დაცემისა და გაქურდვის ფაქტები. ანალოგიური საფრთხე ემუქრებათ ეკლესიებსა და მათში დაუნჯებულ ხელოვნების იშვიათ ნიმუშებს.

მდგომარეობას ისიც ამძიმებს, რომ დღემდე ვერ მოხერხდა სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმის გადასვლა ახალ შენობაში და, შესაბამისად სვანეთის არქეოლოგიური ბაზა-ფონდსაცავის განთავსება მუზეუმის ძველ შენობაში. ეს ღონისძიება ოფიციალური სამთავრობო დადგენილებით (1988 წ. 10. 03 №128) 1990 წელს უნდა განხორციელებულიყო.

ამავე მიზნით შეუფერებელ ეკოლოგიურ და კლიმატურ პირობებში იმყოფება მუზეუმ-ფონდსაცავებში არსებული ნივთიერი ძეგლები და არქეოლოგიურ ბაზიდან გადასარჩენად ოჯახებში გახიზნული, კამერალურად დაუმუშავებელი იშვიათი მონაპოვრები.

ბუნებრივ-კლიმატური მოვლენებისა და განძის მაძიებლების ხელყოფისაგან ზიანდება უნიკალური არქეოლოგიური, არქიტექტურული და ფერწერული ძეგლები, რომელთა გამაგრება-რესტავრაცია, ძეგლთა დაცვის მთავარ სამმართველოს ჯერ კიდევ 10-15 წლის წინათ დაევალა მთავრობის დადგენილებით.

მძიმე მდგომარეობაშია სულიერი კულტურის ძეგლები. სვანურ ენის სახით იკარგება ქართული ენის ერთ-ერთი უძველესი დიალექტი და ზეპირსიტყვიერი ფოლკლორული მასალები. ასევე, ჯერ კიდევ შეუსწავლელი საკულტო-საწესო ხასიათის რიტუალები და მათი თანმხლები ტექსტები, პოეზიისა და მუსიკის იშვიათი ნიმუშები.

ანალოგიური მდგომარეობაა რეგიონის ეკოსისტემის სფეროში; განუკითხავად ნადგურდება ბუნების ძეგლები; ტყის მასივები და იშვიათი მცენარეული საფარი, მეწყერულ და ზვავსაშიშ ადგილებში – ბუნებრივი რელიეფი. ახლო მომავალში, "საბაზრო ეკონომიკისათვის" ბუნებრივი რესურსების თვითნებური ათვისების პროცესში, მოსალოდნელია ეკოლოგიური გარემოს მდგრადობის მკვეთრი დარღვევა. ბუნებისა და კულტურული ლანდშაფტების ჰარმონიული თანაარსებობის მოშლა.

ძეგლთა დანგრევის ერთ-ერთი მიზეზი გახდა ის ფაქტი, რომ მესტიისა და ლენტეხის რაიონებში მიწის პრივატიზაციის დროს კერძო საკუთრებაში გასცეს ადგილები, სადაც ბუნებისა და მატერიალური კულტურის ძეგლების არსებობაა დადასტურებული.

არსებულ ვითარებაში, უკვე შეწყდა სვანეთის ისტორიული და ბუნების ძეგლების აქამდე წარმატებით მიმდინარე კვლევა-ძიება. სამეცნიერო ინსტიტუტებმა (ექსპედიციებმა), სპეციალისტებმა, დისერტანტებმა, ასპირანტებმა, რესტავრატორებმა და ტექნიკურმა თანამშრომლებმა დაკარგეს სამეცნიერო-თეორიული, საველე და პრაქტიკულ-ორგანიზაციული მუშაობისათვის აუცილებელი პირობები.

სვანეთის კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობის დაცვის, შესწავლის, მოვლა-პატრონობისა და გამოყენების სფეროში შექმნილი მძიმე მდგომარეობის მთავარი მიზეზია დღეისათვის უკვე მოძველებული

ორგანიზაციულ-სტრუქტურული და მეთოდოლოგიური სესტემა – ფორმალურად ძეგლების: *მრავალპატრონიანობა* (მეცნიერებათა აკადემიისა და კულტურის სამინისტროს სხვადასხვა დაწესებულებები, საპატრიარქო, სოფელი, გვარი, ხატისკაცები) და ფაქტიური *უპატრონობა*.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ უკიდურესად გაძნელდა და პრაქტიკულად შეუძლებელი გახდა ამ შორეულ, ძნელადმისაღწევ მაღალმთიან რეგიონში, თბილისიდან ორგანიზაციული და სამეცნიერო მუშაობის მართვა-ხელმძღვანელობა.

მოხსენებაში დასმული საკითხები, ასევე სვანეთის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების განსჯისა და გადაწყვეტის აუცილებლობის შესახებ საგანგაშო კორესპონდენციები და სარეკომენდაციო წერილები არაერთხელ გამოქვეყნდა გაზეთებში ("ლიტერატურული საქართველო" – 1994 წ. 04.2 და 04.3; "საქართველოს რესპუბლიკა" – 1994 წ. 20.8; "კავკასიონი" – 1995 წ 20.04. და 1995 წ. 15.04; "ლემი" – 1993 წ. 24.4. და 03.6; "ლილე" – 1994 წ. 23.11 და 1995 წ. 10.10; და ა, შ.) მაგრამ პრაქტიკული შედეგები ვერ მიეიღეთ.

დღევანდელი სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის განსახილველად შემოგვაქვს წინადადება – სვანეთის კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობის გადარჩენის, შესწავლის, მოვლა-პატრონობისა და გამოყენების კორდინაციის გაუმჯობესების, ადგილობრივი სამეცნიერი კადრების აღზრდის, უცხოეთის ქვეყნებთან სამეცნიერო და კულტურულ-საგანმანათლებლო ერთიერთობის განვითარების მიზნით, მესტიაში შეიქმნას – სვანეთის "რეგიონალური სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრი", სადაც გაერთიანდება: მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის დასავლეთ საქართველოს მთიანეთის რეგიონალური განყოფილების, სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის, კულტურის სამინისტროს ძეგლთა დაცვის სამმართველოს მესტიის უბნის, ლენტეხის ეთნოგრაფიული მუზეუმის და მესტიის რაიონში არსებული სახლ-მუზეუმების, უშგულის ნაკრძალისა და სხვა დაწესებულებების საშტატო ერთეულები, ფინანსები, ნაგებობანი და მიწის ნაკვეთები, ტრანსპორტი და სხვა მატერიალურ-ტექნიკური საშუალებანი.

ასეთი სამეცნიერო დაწესებულება კარგ წვლილს შეიტანს აგრეთვე რეგიონის ეკონომიკის, განათლების, კულტურის, სპორტისა და ტურიზმის განვითარების პერსპექტიული პროგრამების დამუშავებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების გაუმჯობესებისათვის პრაქტიკული რეკომენდაციების დამუშავების საქმეში.

შ. ჩართოლანი (თბილისი)

# ახლად აღმოჩენილი სამთამადნო წარმოების ძეგლები სვანეთში

ბრინჯაოს „კოლხურ კულტურაში“ ლითონის ნაწარმის სიუხვემ და მრავალფეროვნებამ ისტორიის, კულტურისა და ტექნიკის მკვლევართა წინაშე ადრევე დასვა საკითხი – მეტალურგიის, ლითონდამუშავებისა და განსაკუთრებით, სპილენძისა და პოლიმეტალური მადნების მოპოვებისა და დამუშავების ადგილის დადგენის შესახებ. ამ პრობლემის გადაწყვეტის პირველი ეტაპი იყო ჯერ მდ. რიონისა და შემდეგ მდ. ბზიფის სათავეებში გეოლოგიური ძიების დროს შემთხვევით გამოვლენილ ძველ სამთამადნო გამონამუშევრების პირველი არქეოლოგიური გათხრების შედეგები (გ. გობეჯიშვილი, შ. ჩართოლანი, ვ. ბჟანია და სხვ.)

სამთამადნო და მეტალურგიული წარმოების უძველესი ძეგლების კვლევა-ძიება ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა სვანეთის არქეოლოგიური ექსპედიციისა, რომელიც იკვლევს ისტორიული კოლხეთის მთიან ზოლს – მდინარეების: ცხენისწყლის, ენგურისა და კოდორის აუზებში. სადღეისოდ ამ ტერიტორიაზე მიგნებულია 12 გამონამუშევარი. მათი უმრავლესობა განლაგებულია კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთ ფერდობზე (ზღვის დონიდან 2000-2500 მ.), სადაც კავკასიონის ქედს ჰორიზონტალურად გასდევს სპილენძის, ფერადი ლითონებისა და პოლიმეტალების შემცველი ზოლი. 1996 წ. ექსპედიციამ დააფიქსირა კიდევ ერთი მიწისქვეშა გამონამუშევარი სვანეთის ქედის ჩრდ. მხარეს ადგილი „თეთელ“-ი, ზღვის დონიდან 2300 მ. სიმაღლეზე.

გათხრებისათვის შერჩეული იქნა აქამდე ხელუხლებელი in situ მდგომარეობაში აღმოჩენილი ძეგლები. ჩატარებული მუშაობის შედეგად დადასტურებულია მიწისქვეშა მაღაროების მარტივი (უძველესი) და რთული (განვითარებული) ტიპის სისტემები. კლდის მასივის მონგრევის,გვირაბის ჭერისა და შლადი გვერდების გამაგრების, მაღაროს განათებისა და განიავების (ვენტილაციის), მადნის მექანიკური გამდიდრების და სხვა კონსტრუქციულ-ტექნიკური ნიშნები და მეთოდები.

მაღაროებში აღმოჩენილია: სხვადასხვა ფორმის, წონისა და დანიშნულების განსხვავებული წონის (0,5 კგ. – 40 კგ.) და დანიშნულების, ქვის უროები, მადნისა და ინერტული მასალების გამოსაზიდი ხის საზიდრების, გობების, მაღაროს ჭერის გასამაგრებლად, განათებისათვის და სხვა დანიშნულებით გამოყენებული სხვადასხვა ჯიშის ხის მასალები, კერამიკული ჭურჭლის ნიმუშები, სპილენძის ზოდები და ა. შ., რაც საინტერესო ინფორმაციას იძლევა სვანეთის სამთამადნო წარმოების ძეგლების დათარიღების (ძვ. წ. II-I ათასწ.), სამთო საქმის დინამიური განვითარების, ბუნებრივ-ეკოლოგიური გარემოს გამოყენების, შრომის

* დაბეჭდილია: კავკასიის არქეოლოგია: უახლესი აღმოჩენები და პერსპექტივები, საერთაშორისო სამეცნიერო სესიის მოხსენებათა მოკლე შინაარსები, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, არქეოლოგიური კვლევის ცენტრი, გამ. “მეცნიერება“, თბილისი 1997, გვ. 46-47.

ორგანიზაციისა და სხვა ისტორიულ-ტექნოლოგიური მეთოდებისა და ჩვევების ჩასახვა-გავრცელების საკითხებზე.

სამთამადნო-მეტალურგიული და ლითონდამუშავების უძველესი ძეგლების გარდა, სვანეთში შემონახულია: მითოლოგიური, ტოპონიმიკური, ეთნოგრაფიული, ხეპირსიტყვიერ-ლინგვისტური და სხვა პარალელური მასალები.

ამ კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობის კომპლექსური შესწავლა საიმედო პერსპექტივას იძლევა უფრო ნათლად განისაზღვროს ძველი კოლხეთის ადგილი ბრინჯაოს ხანის ევრაზიის უძველეს სამთო-მეტალურგიულ სისტემაში.

Sh. Chartolani (Tbilisi)

# NEWLY DISCOVERED MINING SITES IN SVANETI

The quantity and variety of metal objects in Colchian Bronze culture confronted researchers of history, culture and technology with the problem of determining the place metallurgy, metal working and especially. the mining and working of copper and polymetals. The first stage of solving this problem was marked by the results of the first archaeological excavations of ancient mining sites, discovered accidentally during geological prospecting first in the upper reaches of the Rioni river and then of the Bzyb (G. GobejiShvili. Sh. Chartolani. V. Bzhania and others).

The search for ancient sites of mining and metallurgy is one of the main directions of the Svaneti archaeological expedition, studying the mountainous zone of historical Colchis in Tskhenistsqali. Enguri. and Kodori river basin. To date 12 mining sites have been discovered on this territory. Most of them being on the southern siope of the Caucasus Range (2000-2500 m. above sea level), traversed by place a zone of copper, nonferrous metals and polymetals.

In 1992 the expedition discovered another underground mining-site – the so-called "Teteli", on the northern side of the Svaneti Range (2300 above sea level).

Hitherto intact, in situ sites were chosen for excavations. The excavations have revealed types of simple (ancient) and complex (developed) systems of underground mines, as well as destruction of mountain mass, the support of the coiling of the tunnel and of loose walls. The lighting and the ventilation of the mine, mechanical ore-dressing and other constructive-technical signs and methods have been observed.

The finds include: various purpose stone hammers of differing in weight (0.5 to 4 kg), timbre carts for carrying ore and inert materials troughs. Timber materials made of different wood species supporting the ceiling. For lighting and other purposes, specimens pottery, bronze ingots, etc. These finds provide interesting information for dating the mining industry of Svaneti ($2^{nd}$-$1^{st}$ millennia B. C.) dynamic development of mining, the use of the natural ecological environment, the labour organization and the origin and spread of other historical-technological techniques.

Besides the ancient mining-metallurgical and metal-working sites, linguistic, toponymic, ethnographic and oral-mythological and other materials are preserved in Svaneti. The study of this cultural-hystorical heritage appears prospective complex in defining the place of ancient Colchis in the mining and metallurgical system of Caucasia in the bronze Age.

---

* დაბეჭდილია: Archaeology of Caucasus: new discoveries and perspeqtives, International Scientific Session: Abstracts of Papers, The Centre for Archaeological Studies of the Georgian Academy of Sciences, Tbilisi 1997, p. 20-21.

შოთა ჩართოლანი

# ძველი კოლხეთის მთიანეთი და გარე სამყარო

ძველი კოლხეთის ანუ დასავლეთ საქართველოს მთავარი მდინარეების – რიონის, ცხენისწყლის, ენგურის, კოდორისა და ბზიფის ხეობათა მთიანი ზოლი მკვეთრადაა ლოკალიზებული კავკასიონის მთაგრეხილებითა და კლდეკარებით. რთული რელიეფურ-კლიმატური და საგზაო-სატრანსპორტო პირობები მნიშვნელოვან ბარიერს ქმნიდა მეზობელ და შორეულ რეგიონებთან ურთიერთობისათვის. ასეთი რეალობიდან გამომდინარე ადრევე გაჩნდა საზოგადოებრივი და მეცნიერული ილუზია – მთის მოსახლეობის კარჩაკეტილობის, კონსერვატულობისა და კულტურული ჩამორჩენილობის შესახებ.

ამ მხარეში უხვად შემონახული მრავალფეროვანი კულტურულ ისტორიული მემკვიდრეობის დარგობრივი მეცნიერული შესწავლის შედეგად, სადღეისოდ უკვე ცნობილია კოლხეთის მთიანეთის საპატიო ადგილი და როლი, არა მარტო კოლხურ, არამედ მთლიანად კავკასიის კულტურებს შორის. განსაკუთრებით საინტერესო ინფორმაციას იძლევა სვანეთის, რაჭისა და ლეჩხუმის არქეოლოგიური და ნუმიზმატიკური ძეგლები; რელიგიურ – მითოლოგიური, ენობრივი, ეთნოგრაფიული და სხვა მასალები. მათი შედარებითი ანალიზი აშკარად მიგვითითებს ამ კულტურული მემკვიდრეობის ტიპოლოგიურ და ქრონოლოგიურ კავშირებზე, არა მარტო კოლხეთის (საქართველოსა) და მთლიანად კავკასიის, არამედ ძველი აღმოსავლეთისა და ანტიკური ხანის, ბერძნული სამყაროს კულტურებთან, რასაც ბუნებრივია, საფუძვლად ედო, მეზობელ და შორეულ რეგიონებთან კოლხეთის მთიანეთის ხანგრძლივი სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობები.

არქეოლოგიური მონაცემებით, კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთ ფერდობის მაღალმთიანი ზოლის სამეურნეო ათვისება ნეოლითის ხანაში იწყება. ამის დასტურია კავკასიონის სამხრეთ ფერდობზე – ძეგვნარის, ბუღნარის, ლებიქვისა და ჩრდილოეთ კავკასიაში – სოსრუკის „მთის ნეოლითური“ ძეგლების სიახლოვე. ამავე პერიოდიდან იწყება ჩრდილოეთ კავკასიის შესაბამის ზოლთან ურთიერთობების (ე. ი. მარადყინულოვანი უღელტეხილების ათვისების) პროცესი.

ბრინჯაო–ადრერკინის ხანაში მთა კოლხური კულტურის სამთამადნო და მეტალურგიული წარმოების ძლიერი კერაა. მისი სიმძლავრე აღემატებოდა ლითონზე ადგილობრივ მოთხოვნილებას. ფერადი და იშვიათი ლითონებით ამარაგებდა კოლხეთის ბარს და შესაძლოა უფრო შორეულ რეგიონებსაც.

საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ სვანეთსა და ზემო რაჭაში აღმოჩენილი სპილენძისა და ბრინჯაოსაგან დამზადებული წამყვანი

* დაბეჭდილია: V სამეცნიერო სესია: „მსოფლიო კულტურულ- ისტორიული პროცესი და საქართველო“, (არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით), საქართველოს მეცნიერებათა აკადემია არქეოლოგიური კვლევის ცენტრი, თბილისი 1998, გვ. 8-10.

სახეობის სამეურნეო, საბრძოლო და სარიტუალო დანიშნულების იარაღების, ხელოსნური წარმოების, წამყვან ნიმუშების ანალოგები აღმოჩენილია არა მარტო საქართველოში, არამედ წინააზიაში, სომხეთში, აზერბაიჯანში და ჩრდილო კავკასიაში; ნიშანდობლივია ისიც, რომ ზემოაღნიშნული კულხური მასალების პარალელები აღმოსავლეთ საქართველოში და ჩრდილო კავკასიაში უპირატესად სწორედ, ამჯერად ჩვენი საკელეთი ტერიტორიის მოსაზღვრე რეგიონებშია აღმოჩენილი: შიდა ქართლი – თლი, წსი, სტირფაზი, ჩრდ. კავკასიაში – მაიკოპი, ნოვოსვობოდნაია, კოსტრომსკაია, ყობანი, დიგორი და სხვა.

ანტიკური ხანის არქეოლოგიურ და ნუმიზმატიკურ მასალებში კარგად ჩანს, ერთის მხრივ, მთისა და ბარის, ხოლო მეორეს მხრივ, ამ რეგიონისა და მთლიანად კოლხეთის სამეფოს საგარეო, სავაჭრო-ეკონომიკური და ნაწილობრივ კულტურული ურთიერთობების გეოგრაფია, რომელიც მოიცავს იმდროინდელი ბერძნული სამყაროსა და მცირე აზიის სავაჭრო-საწარმოო ცენტრებს, საიდანაც ფუფუნების საგნები, კოლხეთის სავაჭრო ცენტრების მეშვეობით შემოდიოდა მდ. რიონის, ცხენისწყლის, ენგურისა და კოდორის ხეობებში. აქედან კი – უღელტეხილების გაყოლით – ჩრდილოეთ კავკასიაში (ლარილარის,ბრილისა და ყუბანის, ლუგოეოეს, რუთხის სამაროვნების მასალები).

ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთში აღმოჩენილი ანტიკური ხანის ადგილობრივ-ქართული და უცხოური მონეტების რაოდენობა 400 ცალს აღემატება.

საკელეე თემასთან დაკავშირებით ასევე მნიშვნელოვანია კოლხეთის მთიანეთში, კერძოდ სვანეთში, ოქრომრავლობის შესახებ ბერძნული და რომაული წერილობითი წყაროების (სტრაბონის, აპიანეს, პლინიუსის) ცნობები, გეოლოგიური მონაპოერები, არქეოლოგიური მონაცემები, ოქროს მოპოვებისა და ოქრომჭედლობის, ბოლომდე შემონახული, უძველესი ხალხური ტრადიციები.

სადღეისოდ ჩვენს ხელთ არსებული მასალები უფლებას გვაძლევს ვამტკიცოთ, რომ გარე სამყაროსთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობისათვის მთიან კოლხეთს გააჩნდა საკუთარი ბუნებრივი და სამეურნეო-ეკონომიკური ბაზა: მძლავრი სამთამადნო, მეტალურგიული და ხელოსნური წარმოება, სპილენძი, რკინა, ფერადი მადნეული და იშვიათი ლითონები; ძვირფასი ბეწვეული, გემთმშენებლობისა და აეეჯის დასამზადებლად საჭირო მერქანი, ფისი, ცვილი, თაფლი და სხვა სავაჭრო ნომენკლატურა, რითაც წინააზიური და ბერძნული სამყარო იყო დაინტერესებული.

კოლხეთის მთიანეთის მეზობელ და შორეულ რეგიონებთან კავშირ-ურთიერთობებს ადასურებს აგრეთვე შეხვედრები მითოლოგიურ და რელიგიურ ასპექტებში. აქ შემონახულ მითოლოგიურ-რელიგიურ რიტუალებს, სიუჟეტებსა და პერსონაჟებს პარალელები ეძებნებათ წინააზიურ, ანტიკურ თუ ძველი აღმოსავლეთის ხალხების მითოლოგიასთან და რელიგიურ ტრადიციებთან მელია-ტულეპია და ტელეფინუსი, ამირანი და გილგამეში, ამირანი და პრომეთე, ოქროს საწმისი (ცხვრის კულტი) და

არგონავტები, სვანური დალი და ბერძნული არტემიდე და სხვ. ნიშანდობლივია თანამედროვე მითოლოგთა მოსაზრება ამირანისა და პრომეთეს მითების ურთიერთ გაელენის შესახებ.

საეაჭრო-ეკონომიკური მიზნების გარდა, ბერძნული ციეილიზაციის სამყაროს ინტერესს კოლხეთისადმი აძლიერებდა კავკასიონის მაღლივი მთების რომანტიკა, ესტეტიკური ხიბლი და ემოციური განცდები. ამის დასტურია პრომეთეს მიჯაჭვის ადგილად კავკასიის მთების, კერძოდ ორთავა პირქუში მწვერვალის დასახელება, ჩვენი აზრით აქ მწვერვალი უშბა უნდა იგულისხმებოდეს.

კოლხეთის მთიან ზოლში დაფიქსირებული ძველი სამიმოსელო გზების მიმართულებების, გამტარუნარიანობის მონაცემებისა და არქეოლოგიური ძეგლების განლაგების შედარებითი ანალიზი მიგვანიშნებს, რომ მთიანი ზოლის საგზაო სისტემების გამტარუნარიანობის სეზონური ხასიათის მიუხედავად, კავკასიონის მთაგრეხილი თავისებურ გამაერთიანებელი ხერხემლის ფუნქციასაც ასრულებდა, მის გარშემო მოსახლე ტომების ურთიერთობაში. ხოლო კოლხეთის მთიანეთი გეოგრაფიული მდებარეობისა და კულტურული ნაკადების მიმართულებათა შესაბამისად „შემაერთებელი ხიდია“ კავკასიონის ქედის ორივე მხარის ქვეყნებისათვის.

Шота Чартолани

# НАГОРЬЕ ДРЕВНЕЙ КОЛХИДЫ И ОКРУЖАЮЩИЙ МИР*

Нагорная полоса ущелий главных рек древней Колхиды или Западной Грузии – Риони, Цхенисцкали, Ингури, Кодори и Бзыпи – резко локализована хребтами и узкими проходами между скалами Кавкасиони. Тяжелые рельефно-климатические и дорожно-транспортные условия создавали значительный барьер для взаимоотношений с соседними и дальними регионами. Исходя из такой реальности, возникла общественная и научная иллюзия о замкнутости, консерва-тивности и культурной отсталости горного населения.

Вследствие отраслевого научного изучения многообразного культурно-исторического наследия, так богато сохранившегося в этом краю, на сегодняшний день уже известна важная роль и место Колхидского нагорья не только среди колхских, но и в целом, кавказских культур. Особенно интересную информацию дают археологические и нумизматические памятники Сванетии, Рачи и Лечхуми, религиозно-мифологические, языковые, этнографические и другие памятники. Их сравнительный анализ явно указывает на типологическую и хронологическую связь этого культурного наследия не только с Колхидскими (грузинскими) и, в целом, Кавказскими культурами, но и с культурами Древнего Востока и Греческого мира античного периода.

Естественно, в основу этого легли длительные торгово-экономические и культурные взаимоотношения Колхидского нагорья с соседними и дальними регионами.

По археологическим данным, хозяйственное освоение высокогорной полосы южного склона главного Кавказского хребта начинается в период неолита. Подтверждением этого является близость памятников Дзегвнари, Бугнари, Лебиква, Лазга на южном склоне Кавкасиони и памятников "горного неолита" Сосрукона на Северном Кавказе. С этого же периода начинается процесс взаимоотношений с соответствующей полосой Северного Кавказа (т. е. освоение ледниковых перевалов).

В период бронзы и раннего железа горы являются мощным очагом горнодобывающего и металлургического производства Колхидской культуры, Его мощность превышала местную потребность в металле. Горы снабжали цветными и редкими металлами Колхидскую низменность и, возможно, более отдаленные регионы.

Заслуживает внимания и тот факт, что аналогии ведущих медных и бронзовых орудий хозяйственного, военного и ритуального назначения, обнаруженных в Сванетии и Верхней Раче, найдены не только в Грузии, но и в Передней Азии, Армении, Азербайджане и на Северном Кавказе. Примечательно и то, что параллели вышеупомянутых колхских материалов в Восточной Грузии и на Северном Кавказе обнаружены преимущественно в пограничных регионах исследуемой нами территории: в Шида Картли – Тли, Цси, Стирфаз: На Северном Кавказе – Майкоп, Новосвободная, Костромская, Кобан, Дигор и др.

* დაბეჭდილია: V სამეცნიერო სესია: „მსოფლიო კულტურულ-ისტორიული პროცესი და საქართველო", (არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით), საქართველოს მეცნიერებათა აკადემია არქეოლოგიური კვლევის ცენტრი, თბილისი 1998, გვ.

В археологических и нумизматических материалах античного периода хорошо видна география внешних торгово-экономических и, частично, культурных взаимоотношений, с одной стороны, горной и равнинной части, а с другой – этого региона и всего Колхидского царства, которая включает торгово-производственные центры тогдашнего Греческого мира и малой Азии, откуда через посредничество Колхидских торговых центров ввозили предметы роскоши в ущелья рек Риони, Цхенисцкали, Энгури и Дори, а отсюда – через перевалы – на Северный Кавказ (материалы могильников Ларилар, Бриль и Кобан, Луговое, Рутха).

Примечателен тот факт, что в Рача-Лечхуми-Сванетии обнаружено более 400 штук местных грузинских и иностранных монет античного периода.

В связи с исследуемой темой относительно многочисленности золота в Колхидском нагорье, в частности, в Сванетии, важны сведения греческих и римских рукописных источников (Страбона, Апиана, Плиниуса), геологические данные, археологические сведения о добыче золота и златокузнечество, до последнего времени сохранившиеся старинные народные традиции.

Имеющиеся в наших руках на сегодняшний день материалы дают возможность утверждать, что для торгово-экономических взаимоотношений горной Колхиды с внешним миром появилась собственная природная и хозяйственная база: мощное горнодобывающее, металлургическое и ремесленное производство; месторождения меди, железа, цветных и редких металлов; дорогая шерсть, необходимая для кораблестроения и изготовления мебели древесина, смола, воск, мед и другая торговая номенклатура, в которой Переднеазиатский и Греческий мир был заинтересован.

Взаимосвязь Колхидского нагорья с соседними и отделенными регионами подтверждается данными также в мифологических и религиозных аспектах. Сохранившимся здесь мифологически-религиозным ритуалам, сюжетам и персонажам можно найти параллели в переднеазиатской, античной и древневосточной мифологии и религиозных традициях (Мелия-телупия и Телефинус, Амирани и Гильгамеш, Амирани и Прометей, золотое руно (культ овцы) и аргонавты, сванская Дали и греческая Артемида и др.). Примечательна точка зрения современных мифологов о взаимовлиянии мифов об Амиране и Прометее.

Помимо торгово-экономических целей интерес Греческого мира к Колхиде усиливается романтикой и очарованием высоких гор Кавкасиони, эмоциональными переживаниями. В частности, в описывании двугорбой, угрюмой вершины, к которой был прикован Прометей, по нашему мнению, нужно подразумевать вершину Ушба.

Старые дороги и их направления, зафиксированные в горной полосе Колхиды, сведения о проходимости дорог, сравнительный анализ расположения археологических памятников показали, что несмотря на сезонную проходимость дорожных систем горной полосы, хребты Кавкасиони выполняли функцию своеобразного объединяющего косяка для взаимосвязи окружающего их населения. А в результате своего географического расположения и направления культурных потомков Колхидское нагорье является "связующим мостом" для населения по обе стороны хребта Кавкасиони.

შ. ჩართოლანი, მ. ცინდელიანი (თბილისი)

# ახალი არქეოლოგიური აღმოჩენები და კვლევა-ძიების პერსპექტივები მაღალმთიან სვანეთში

საქართველოს სხვა რეგიონებთან შედარებით სვანეთის არქეოლოგიური შესწავლა ბევრად უფრო გვიან დაიწყო. ამ მიზნით, არქეოლოგიური კვლევის ცენტრმა ჩამოაყალიბა საგანგებო - 'სვანეთის არქეოლოგიური ექსპედიცია", რომელმაც 1980 წლისათვის მდინარეების: კოდორის, ენგურისა და ცხენისწყლის ხეობათა მაღალმთიან ზოლში აღმოაჩინა ნეოლითის, ბრინჯაოს, ანტიკური და შუასაუკუნეების ორასამდე ძეგლი: ნასახლარები, სამაროვნები, სასიმაგრო და საკულტო ნაგებობები, სამთამადნო და მეტალურგიული ობიექტები, კერამიკული წყალსადენები, ძველი ნახიდურ-ნაგზაურები და ა. შ.

90-იან წლებში საქართველოში შექმნილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების პირობებში სვანეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ შეწყვიტა სტაციონარული გათხრები და აგრძელებს დაზვერვითი ხასიათის საველე სამუშაოებს. 1996-1997 წწ. სვანეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ მდ. ენგურისა და ცხენისწყლის ხეობებში გამოავლინა სხვადასხვა ეპოქებისა და სახეობის 37 ძეგლი, კერძოდ:

1. შუასაუკუნეების ეკლესიათა ნანგრევები – 10:

სოფ. ცხუმარში – "ლეზგარას ჯგრაგ" (ლეზგარას წმ. გიორგი)

სოფ. ლატალში – "ბაალის ჯგრაგ","ბაალის ცხირლადაასგ","ლეშკი თაარინგზელ", "ნახულდაში მაცხვაარ"

ლაჰირის ნაეკლესიარი.

სოფ. მესტიაში – "ლამურმალდ", "ჩახ", "ლენჰარი ჯგრაგ"

სოფ. მულახში – "ახში ჯგრაგ"

სოფ. წვირმიშში – "უღვირი ლამარია"

2. შუა საუკუნეების სასიმაგრო ძეგლები /"ნამურყვამ"/ – 21:

ს. ცხუმარში – 2, ს. ლატალში – 3, ს. ლენჯერში – 10, მესტიაში – 2, ს. მულახში – 2, ს. იფარში – 2.

3. შუა საუკუნეების ნასოფლარი – 1 /"ხეშკილი"/.

4. წინაქრისტიანული ხანის საკულტო ძეგლები – "ვითინი" – 3:

/ს. ლატალში – 1, ადიშის მთაზე – 1; ს. უშგულში – 1/.

II. გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამთამადნო გამონამუშევრები – 2 /"თეთელის" მთაზე/

---

* დაბეჭდილია: კაკასიის არქეოლოგიური კონფერენცია – 1. მოხსენებათა მოკლე შინაარსები, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, კავკასიის ქვეყნებთან სამეცნიერო თანამშრომლობის კომისია, საქართველოს არქეოლოგიური კომისია, თბილისი, 1998, გვ. 38-39.

* Напечатано: Археологическая конференция Кавказа – 1, Краткие содержания докладов, Академия наук Грузии, Комиссия по научному сотрудничеству со странами Кавказа, Археологическая комиссия Грузии, Тбилиси 1998, стр. 38-39.

დასახლებული ძეგლების ზოგადი ტიპოლოგიურ-ქრონოლოგიური ნიშნები დადგენილია ზედაპირული სადაზვერვო გათხრების შედეგად. გამონაკლისს წარმოადგენს "თეთელის" 2 მაღარო და "ხეშკილის" ნაეკლესიარი, სადაც ექსპედიციამ სისტემატური ხასიათის გათხრები დაიწყო.

თეთელის 2 მაღარო მდებარეობს სვანეთის ქედის ჩრდილოეთ ფერდობზე, ზღვის დონიდან დაახლოებით 2600 მ. სიმაღლეზე, ამავე დასახლების მწვერვალის ჩრდილოეთ კედელში. გამონამუშევარი რთული კონსტრუქციისაა. შესასვლელიდან 5 მ. სიღრმეში დერეფანი ორად იტოტება; გვირაბის მოავარი-მარცხენა ღერძი /განიეკვეთის, საშუალო განზომილებაა; სიმაღლეზე 2,3 მ. X სიგანე 2,75 მ/ სიღრმეში უერთდება დიდ დარბაზს, რომლის ფსკერი მთელ ფართობზე დატბორილია.

მარცხენა განტოტება /განიეკვეთი 1,8 მ. X 1,6 მ/ ეშვება 4მ. დაბლა, შემდეგ გადაკეტილია ნანგრევებით.

ფუჭი ქანებისაგან გამონამუშევარის გაწმენდის მიზნით გაითხარა შესასვლელი ღიობი ფსკერზე. ქვის უროების ნატეხებთან ერთად აღმოჩნდა თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები, რაც ზოგადად ადრე ანტიკური ხანით შეიძლება დათარიღდეს.

ხეშკილის ნაეკლესიარის ნანგრევების გათხრა ექსპედიციის მისვლამდე უკვე დაწყებული ჰქონდა მეზობელი სოფ. ლენჯერის მოსახლეობას, ეკლესიის რესტაერაციის მიზნით.

ექსპედიციამ გააგრძელა გაწმენდილი ნაგებობის გათხრა. გამოვლინდა და დაფიქსირდა ეკლესიის გეგმა და ოთხივე კედლის თლილი ქვის წყობა, მაქსიმალური სიმაღლე 2მ.

გათხრების შედეგად აღმოჩენილია საეკლესიო ნივთები: ბრინჯაოს ზარაკები, ჯვარი და სხვადასხვა ტიპის რკინის ისრისპირები, რაც ძირითადად XII საუკუნეს განეკუთვნება.

მომავალში არქეოლოგიურად შესასწავლია ეკლესიის იატაკის დონე, გარეთა მინაშენის კედლები და შიგნითა ფართი.

საანგარიშო წლებში ექსპედიციამ შეაგროვა არქეოლოგიურ ძეგლებთან დაკავშირებული მდიდარი ტოპონიმიკური, ეთნოგრაფიული და ონომასტიკური მასალები.

შოთა ჩართოლანი, რევაზ ხვისტანი, მალხაზ ცინდელიანი

# ხეშკილდის წმინდა გიორგი

ბოლო წლებში სვანეთში გახშირდა რესტავრაციის საბაბით წარმოებული თვითნებური გათხრები. 1997 წლის ზაფხულში არქეოლოგიური დაზვერვების დროს არქეოლოგიური კვლევის ცენტრის სვანეთის ექსპედიცია (ხელმძღვ. შ. ჩართოლანი) ნასოფლარ ხეშკილდში წააწყდა ჩამომხობილი კედლებითა და მცენარეებით დაფარული წმინდა გიორგის სახელობის ნაეკლესიარის გათხრისა და დაზიანების ფაქტს, რის გამოც აუცილებელი გახდა ძეგლის არქეოლოგიური შესწავლა. ნაწილობრივ შესწავლილ იქნა ეკლესიასთან დაკავშირებული სამაროვანი, აიზომა და დაფიქსირდა ნასოფლარის ტერიტორიაზე ზედაპირულად შემორჩენილა შუა საუკუნეების ძეგლები. არქეოლოგიური სამუშაოები მიმდინარეობდა ორი წლის განმავლობაში (1997-98 წწ.).

ნასოფლარი მდებარეობს დაბა მესტიის სამხრეთ-დასაელეთით 10 კმ-ის დაშორებით, მდინარეების – ენგურისა და მულხურას წყალგამყოფ ქედის სამხრეთ კალთაზე, ტყით საფარულ ფერდზე, რომელიც ქედიდან ენგურის ნაპირამდე ერცელდება, სადაც შემორჩენილია ზვავსაშიშროებისაგან დაცულ და მტრის დასახედრად მოხერხებულ მკვეთრად მოყელილ კლდოვან ბორცვებზე განლაგებული, შუა საუკუნეების თავისუფალ მეთემეთა კოშკიანი საცხოვრებელი კომპლექსებისა და ეკლესიათა ნაშთები. ექვსი უბნისაგან (უაბარ, ჩვაბარ, ნაკდრალ, ლადგეიილ, ტეშნიერ, აბრამშერა) შემდგარ ნასოფლარში ზედაპირულად ოთხი ეკლესიის (წმინდა გიორგი, ელია, მაცხოვარი, წმინდა ბარბარე), ცამეტი კოშკისა და თვრამეტი მაჩუბ-დარბაზის ნაშთია შემორჩენილი, რომელთაგან განსაკუთრებით საინტერესოა წმინდა ბარბარეს სახელობის ეკლესიის კომპლექსებში მოქცეული ნაგებობის ნაშთი, რომლის კედლების მშრალ წყობაში მასიური ლოდებია გამოყენებული.

მესტია-იელის გზის მშენებლობის დროს, ხეშკილდის ჩრდილო-აღმოსაელეთ საწილში, დაუნგრევიათ თიხის ჭურჭლის გამოსაწვავი ქურები. ძეგლის დანგრევის შემდეგ ადგილზე აკრეფილი კერამიკული მასალა (დიდი ზომის შაეკეციანი დერგებისა და წითლად გამომწვარი სხვადასხვა ფორმის მცირე ზომის ჭურჭლის ნატეხები) ძვ. წ. I ათასწლეულის მეორე ნახევარითაა დათარიღებული [7, გვ. 61, ტაბ. XXXVIII].

ენგურის მარცხენა ნაპირზე, მდ. ჰაირაშის ხეობაში, რომელიც ნასოფლარის ტერიტორიაში შედის, ადგილ ლაშკდაშში (სვანური – ლაშკდაშ, ქართული - სამჭედლო) ზედაპირულად ჩანს წრიული ფორმის ორმოები, რომლებიც ძლიერ ცეცხლში გამომწვარი ქვებითაა ამოვსებული. საკირე ქურების მსგავს ამგვარ ოქროსსადნოებში კვარცის (ადგილობრივ დიალექტზე „ჩეერხა“) გამოწვის შედეგად გამდნარი ოქრო ქანიდან

---

* დაბეჭდილია: „ძიებანი“, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ჟურნალი, „Dziebani“, The Journal of the Centre for Archaeological Studies Georgian Academy of Sciences, №6, თბილისი, Tbilisi, 2000, გვ. 87-90.

ცალკევდებოდა [6]. აღნიშნული წესით ოქროს მოპოვების ტექნოლოგია საინტერესოა და საგანგებო კვლევა-ძიებას მოითხოვს.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ გეოლოგიური კვლევების ჰაირაშის მთაზე დადასტურებულია ოქროს მადანი, ჰაირაშის ხეობაში კი ცალკეული პირების მიერ დღესაც წარმოებს ოქროს მოპოვება მდინარეული სილის ღამუშაევების წესით.

სტრატეგიული თვალსაზრისით ხეშკილდი მნიშვნელოვან პუნქტს წარმოადგენს. იგი აკონტროლებს ენგურის ხეობისა და წილიდის უღელტეხილით სვანეთის ქედზე გამავალ გზებს.

სოფლის ამოწყვეტა-გაუკაცრიელება, გადმოცემით, უკავშირდება წარსულში სოფლის მკვიდრთა შორის მიწის სიმცირის ნიადაგზე აღმოცენებულ სისხლიან კონფლიქტს.

წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია მდებარეობს ნასოფლარის ჩრდილო ნაწილში, დამრეცი ფერდის მცირე გაეაკებაზე, ადგილ გრდაშში. ძეგლზე მცენარეული საფარისა და ნაყარის მოხსნის შედეგად გამოჩნდა სამნაწილიანი ნაგებობის მიწის ქვეშ მოქცეული სხვადასხვა სიმაღლის კედელი. იგი წარმოადგენს აღმოსაელეთ-დასაელეთ ხაზზე დამხრობილ (მცირეოდენი გადახრით) ერთნავიან დარბაზული ტიპის მცირე ეკლესიას (6,5X4,5 მ.) დასაელეთი (3,5X9 მ.) და სამხრეთი (6,5X3,5 მ.) ოთხკუთხა მინაშენებით (ტაბ. I).

ცენტრალური სათავსოს (დარბაზის) კედლების შემორჩენილი სიმაღლე 1,5 მ-დან 2 მ-დეა, დასაელეთის სათაესოსი 10 სმ-დან 50 სმ-მდე, სამხრეთის სათავსოდან მარტო საძირკველია შემორჩენილი.

დარბაზის დონესთან შედარებით ერთი საფეხურით ამაღლებული (სიმაღლე – 0,6 მ.), აღმოსაელეთისაკენ მიმართული საკურთხეელის აბსიდი გეგმით ნახევარწრიულია (გაშლილი ნახევარწრე). იგი დარბაზს ცენტრალურ ნაწილში მოწყობილ, შირიმის კვადრების ორი საფეხურისაგან შემდგარი აღსაელით (კიბით) უკავშირდება. აღსაელის ორივე მხარეზე შემორჩენილია შირიმის კვადრებისაგან შემდგარი საკურთხეელის წინ აღსამართავი ჯვრების ბაზები (სიმაღლე – 20 სმ., სიგანე – 35 სმ.).

აბსიდის მოედნის (არდაბაგის) კიდეზე გაყოლებულია შირიმის კვადრებისაგან გამოყვანილი 20 სმ. სიმაღლისა და 40 სმ. სიგანის შელესილი კანკელის (ზღუდარის) ქვედა ნაწილი, რომელზეც მოხატულობის კვალია შემორჩენილი. აბსიდის აღმოსაელეთ კედლის ცენტრში მოწყობილია კედელზე მოგდებული, კირის ხსნარზე შირიმით გამოყვანილი შელესილი ტრაპეზე (შემორჩენილი სიმაღლე – 42 სმ., სიგანე – 60 სმ., სისქე 45 სმ.), რომლის მარჯვნივ შემორჩენილია კედელში დატანებული პატარა, ოთხკუთხა ნიში.

ინტერიერში, ჩრდილოეთისა და სამხრეთის კედლების ძირში, დარბაზს 35 სმ. სიგანისა და 20 სმ. სიმაღლის შირიმის კვადრებისაგან შედგენილი შელესილი ხარიხა (ჩამოსაჯდომი) შემოუყვება. ანალოგიური ზომის ერთსაფეხურიანი ცოკოლი ნავს საფასადო მხრიდანაც ჰქონდა შემოვლებული. მომცრო კარი (სიგანე – 1 მ.) დარბაზსა და დასაელეთის მინაშენსაც დასაელეთ კედელში აქვს დატანებული. აბსიდის მოედნისა და დარბაზის იატაკი მოსწორებულია კირის ხსნარის სქელი ფენით.

ეკლესიის ცენტრალური სათავსოს კედლის (სისქე – 80 სმ.) წყობა ჰერანგულია, საშენად გამოყენებულია შირიმის (ადგილობრივ დიალექტზე „სბენდიკის“) კვადრები. საშუალო ზომის კვადრების ორ პარალელურ რიგს შორის სიერცე ამოვსებულია წვრილი ქვითა (ადგილობრივ დიალექტზე „ხალიკ“) და კირის ხსნარით. თითოეული რიგის სიმაღლე მერყეობს 35-40 სმ-ს შორის. მოსაპირკეთებელი კვადრების სისქე 15-20 სმ-ია. კედლებში სიმძიმის მასის ძირითად დატვირთვას არა გარეთა კვადრები, არამედ მათ შორის სიერცის შემვსები დუღაბი ღებულობს. ნაკერის სისქე მინიმუმამდეა დაყვანილი. კვადრების შორის წარმოქმნილი ღრიჭოები კირის ხსნარითაა ამოვსებული. კვადრები საგულდაგულოდ ერთმანეთზე ისეა მორგებული, რომ ხსნარი გარეთ არ დაღვრილიყო.

დასავლეთისა და სამხრეთის მინაშენების კედლის (სისქე – 80 სმ.) წყობაში გამოყენებულია სხვადასხვა ზომის ნატეხი ქვა, შემკრავად – კირის ხსნარი. ორიეე სათავსოს იატაკი თიხატკეპნილია.

ეკლესიის აღმოსავლეთ კედლის ძირში, სადაც ზედაპირულად მოჩანდა რამდენიმე საფლავის ქვა, გაითხარა ქვების შესაბამისი ორი სამარხი, რომლებშიც აღმოჩნდა ქრისტიანული წესით დაკრძალული თითო მიცვალებულის ჩონჩხი. ჩონჩხები კარგად იყო დაცული, ინვენტარი სამარხებში არ აღმოჩენილა.

ხეშკილდის არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი მასალების საერთო რაოდენობა (საველე ნუმერაციით) ასორმოცდაათს აღემატება. მასალები დაცულია სვანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ბა'ხა-ფონდსაცავში (დაბა მესტია).

არქეოლოგიურ მასალაში განსაკუთრებით დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი ეკლესიისათვის სხვადასხვა დროს შეწირული, დარბა'ხისა და აბსიდის იატაკზე დაფიქსირებული, რკინის იარაღი – ისრისპირები (ტაბ. II).

საქართველოს ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრებისა და მიწის სამუშაოების დროს 3000-ზე მეტი რკინის ისრისპირია აღმოჩენილი. ზოგიერთი მათგანი წარმოდგენილია განძის სახით, სხვები აღმოჩენილია სამარხეული კომპლექსებში. ისრისპირები დიდი რაოდენობითაა დაცული ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, ქუთაისის, მესტიის, ცაგერის, ზუგდიდისა და სხვა მუზეუმებში.

მარტო სვანეთის მუზეუმსა და ეკლესიებში 2000-ზე მეტი ისრისპირია დაცული [7, გვ. 30-35].

საქართველოში აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალების მიხედვით დადგენილია, რომ მჭედლები ამზადებდნენ სამი სახის – საბრძოლო, სანადირო და საკულტო დანიშნულების – ისრისპირებს.

ხეშკილდის ისრისპირებს შორის გამოიყოფოდა სანადირო და საბრძოლო ანუ საყალნო ისრისპირები. სანადირო ისრისპირებს გაჩეკუთვნება ორკაპა ბოძალი და ქიბორჯი ისრისპირები. ვახუშტის ცნობით, მათი ფუნქცია მსხვილ ნადირზე გამოყენება ყოფილა [1, გვ. 14]. ბოძალზე გამოირჩევა სხვადასხვა ზომის გაშლილი, ვიწრო წახნაგოვანი და გლუვი, ერთ ან ორიეე მხარეს ალესილი ფორმის მქონე ისრისპირები. ქიბორჯ ისრისპირებში ფართო და ვიწროკაპიანი ფორმები გამოირჩევა.

სანადირო დანიშნულების მქონე ჯგუფში შეიძლება გაერთიანდეს ე. წ. ქვიბური,პირდიდი და ფრთამაღალი ისრისპირები. ეს ტიპიც მსხვილ ნადირზე სანადიროდაა განკუთვნილი.

ხეშკილდის ისრისპირების ძირითადი ჯგუფიდან აღსანიშნავია ფოთლისებური ანუ ალისებური, რომბული და ბრტყელი სატეხისებური.

საბრძოლო ისრისპირებს შორის ხეშკილდის მასალაში ტექნიკური და მხატვრული გაფორმებით გამოირჩევა ოთხკუთხა განივკვეთიანი, სამკუთხა და რომბული, რომელთაც სულხან-საბას მიხედვით, სარჩა ისრისპირები ეწოდება [4].

ხეშკილდის ბოძალი ისრისპირების ერთი სახეობა (ტაბ. $II_{15}$) მსგავსია ურბნისის ადრეული შუა საუკუნეების პერიოდის ისრისპირების ფორმებისა [8, გვ. 126, სურ. 55]. მეორე სახეობა (ტაბ. $II_{11}$) კი ჩვაბიანის მთავარანგელოზის ეკლესიაში (XI ს.) შელესილობაზე ადრეულ ნადირობის ამსახველ გრაფიკულ ნახატზე გამოსახულ ისრისპირებთან პოულობს მსგავსებას [5, ტაბ. $XXII_4$]. სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია, რომ საქართველოში ორკაპა ისრები გამოიყენება XIII ს-მდე [9, გვ. 200].

საბრძოლო იარაღს განეკუთვნება ეკლესიის დარბაზის იატაკზე ღაფიქსირებული რკინის უმბონი და კვერთხისთავი (ტაბ. $III_7$).

კვერთხისთავები,ანუ ლახტისთავები ეკლესიებისათვის შემოწირულ მასალებს შორის მნიშვნელოვანი რაოდენობითაა სვანეთში. ე. თაყაიშვილის აღრიცხვით, სვანეთის ეკლესიებში კვერთხისთავების საერთო რაოდენობა 12 ცალი იყო [2, გვ. 101, 117, 119, 202, 248, 291, 351].

1972-1974 წლებში სვანეთის კომპლექსური ექსპედიციის მიერ 5 კვერთხისთავი იქნა გამოვლენილი [7, ტაბ. XXX].

კვერთხი შუა საუკუნეებში სვანეთის ერთობლივი თუ ცალკეული თემის მიერ არჩეული მახვშის ხელში ხელისუფლების მიმანიშნებელი ინსიგნია იყო ლაშქრობის თუ ყრილობებისა და სახალხო კრებების ცერემონიალში [3, გვ. 90-93].

ეკლესიების ფასადების მორთულობაში ცხოველთა რელიეფური გამოსახულების ჩართვა, საბრძოლო-სანადირო იარაღის (ცულები, მშვილდები, შუბისპირები, ისრისპირები, კვერთხები, სატევრები, საპირის-წამლეები და სხვ.) და გარეული ნადირის (ირემი, არჩვი, ჯიხვი) რქების შეწირვა წარმართული რწმენებიდან მომდინარეობს.

როგორც ცნობილია, ქრისტიანული ეკლესიები და წმინდანები ერთგვარად შეეცვალნენ წარმართულ სამლოცველოებსა და ღვთაებებს და მათი ფუნქციების თანაზიარნი გახდნენ. წმინდა გიორგიმ მიითვისა ნადირთ ღვთაების ფუნქცია, თუმცა რწმენიდან მისი სრული განდევნა ვერ შეძლო. სვანეთში წმინდა გიორგის ერთ-ერთ ძირითად ფუნქციას მონადირეთა მფარველობა შეადგენდა.

ეკლესიის აბსიდის იატაკზე დაფიქსირებულ ნივთებს შორისაა რკინის მომცრო ჯვარი, სპილენძის ზარაკები, ჟღარუნები და ვარდულის ფორმის სასანთლე. ხეშკილდის ელიფსური მოყვანილობის ზარაკისა ($III_8$) და სფერული ფორმის მქონე ჟღარუნის ($III_3$) ანალოგიური ზარაკი და ჟღარუნა უღვალის ეკლესიაშია დაცული [7, სურ. 35-36].

ბრინჯაოს ნიეთებიდან ხეშკილდში გვაქვს ანჯამების ფრაგმენტები (ტაბ. $IV_{10-14}$).

ხეშკილდის არქეოლოგიური მასალის ნაწილს ეკლესიის მინაშენებისა და სამაროვანზე გამოვლენილი კერამიკული ჭურჭლის ფრაგმენტები შეადგენს (ტაბ. V). თიხის ჭურჭელი ძალზე ერთფეროვანია. ძირითადად გვხვდება სამეურნეო დანიშნულების ჭურჭელი: ქოთნები, ქილები, დოქები და დერგები. მცირე რაოდენობითაა მოჭიქული და მოუჭიქავი თიხის სასუფრე ჭურჭელი: ჯამები, თეფშები, ხელადები და სხვ.

მოუჭიქავი ჭურჭელი დამზადებულია საკმაოდ უხეშად დამუშავებული ჭარბი მინარევებიანი თიხისგან, გამომწვარია სხვადასხვა ფერად: წითლად, ყავისფრად, ლეგად, მონაცრისფრო. ყველა სახის ჭურჭელი ჭარბად ქარსნარევია, რაც, როგორც ეტყობა, თიხის ადგილობრივი კარიერების თაეისებურება უნდა იყოს.

ჭურჭელი ერთფეროვანია, როგორც დანიშნულების, ისე ფორმის მიხედვით. გვხვდება ერთი სახეობის, თითქმის ერთი ტიპის ჭურჭელი. მოზრდილი (მაგ. დერგები) უფრო სქელკედლიანია, დანარჩენებს კი შედარებით თხელი კეცი აქვს. ყველა ჭურჭელს აქვს თითქმის ერთი ფორმის ბრტყელი ძირი.


ჭურჭლის შესამკობად საკმაოდ ძუნწადაა გამოყენებული ორნამენტად ქცეული კონცენტრულად და ტალღისებურად ამოღარული ხაზებით შედგენილი სარტყლები. ძირის ფორმების, კეცისა და გამოწვის მიხედვით ხეშკილდის მასალის დიდი ნაწილი ანალოგებს პოულობს გეიანი შუა საუკუნეების (XVI-XVII სს.) ხაიშის ციხისა და დიზის სამაროვნებზე აღმოჩენილ შესაბამის თიხის მასალებთან.

კეცის, ანგობისა და ჭიქურის მიხედვით, ხეშკილდის მოჭიქული ჭურჭლის ფრაგმენტები (ტაბ. $V_{16,17,19,20}$) ანალოგიურია სვანეთშიც, ეცერის სამაროვანზე აღმოჩენილ XVII ს-ის დასასრულით დათარიღებულ თიხის მოჭიქული ჯამისა [7, გვ. 63, ტაბ. $XLII_1$].

მოჭიქული კერამიკა ხანგრძლივი დროის მანძილზე ყოფილა გაერცელებული სვანეთში. საამისოდ ყველაზე ადრეული არქეოლოგიური დასტურია ბეჩოში აღმოჩენილი მწვანე ჭიქურიანი დოქი, რომელიც საქართველოს ანალოგიური მონაპოვრების მიხედვით XII ს-ით თარიღდება [7, გვ. 63. ტაბ. XLIII].

ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ სვანეთის ეკლესიებში შემონახულია სხვადასხვა საუკუნეების ადგილობრივი მოჭიქული ჭურჭლის ნატეხები. სვანეთში მრავლადაა გამოვლენილი შორეული რაოდენობიდან შემოტანილი მოჭიქული ჭურჭელი, რაც ადგილობივი მოსახლეობის მიერ ამ სახის ფუფუნების საგნებზე გაზრდილი მოთხოვნილების საბუთია.

ეკლესიის დასაელეთის მინაშენში აღმოჩნდა ირანული ვერცხლის მონეტა წარწერით: „არ არს ღმერთი გარდა ალაჰისა“ (სურ. I), რომელიც სეფიანთა დინასტიის წარმომადგენლის, აბას II (1642-1666 წწ.) დროსაა მოჭრილი (მონეტა განსაზღვრა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა ი. ჯალაღანიამ).



როგორც ცნობილია, სვანეთში მრავლადაა აღმოჩენილი ანტიკური და შუა საუკუნეების (ბიზანტიური, ქართული, სპარსული, თურქული, არაბული და სხვ.) მონეტები, რაც მნიშვნელოვანი საბუთია ამ მხარის საეაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობისა [7, გვ. 56].

ეკლესიის თაღებით სამად დანაწევრებულ კანკელის ანალოგიური ფორმის კანკელები სვანეთის ეკლესიებში მრავლადაა (ადიშის მაცხოვარი – X-XI სს.; ადიშის წმინდა გიორგი – XI ს.; იელის წმინდა გიორგი – X-XI ს.; იფარის მთავარანგელოზი – XI ს.; ნაკიფარის წმინდა გიორგი; ქურაშის წმინდა გიორგი – XI ს. და სხვ.).

აღნიშნულ ეკლესიებში კანკელები ან ორნამენტირებული დეკორით არის მოხატული, ან წმინდანების გამოსახულებებით. როგორც შემორჩენილ ნიმბისა და რეგისტრის გამყოფი გეომეტრიული ორნამენტის (ტაბ. VI$_2$) ფრაგმენტებით ირკვევა, ხეშკილდში კანკელი წმინდანებით ყოფილა მოხატული. წმინდანების გამოსახულებით მოხატული კანკელები სვანეთში გვაქვს ლაგურკასა (XI ს.) და ქურაშის „ჯგრაგში“ (XI ს.).

ეკლესიის აღმოსავლეთ კედლის ძირში აღმოჩნდა სარკმლის სათაური ქვები, რომლებზეც აყვავებული (განედლებული) ჯვრის ფრესკული გამოსახულებაა (ტაბ. XV$_1$) და შირიმის ქვაში გამოკვეთილი ცხვრის თავ-კისერი, რომელიც ალბათ ფასადს ამკობდა. ანალოგიური რელიეფებით შემკულია წვირმის მთავარანგელოზისა (X ს.) და ნაკიფარის წინდა გიორგის (XI ს.) ფასადები.

ხეშკილდის არქეოლოგიურმა გათხრებმა საშუალება მოგვცა დაგვედგინა ეკლესიის ორი სამშენებლო პერიოდი: ზედა ჰორიზონტი წარმოდგენილია დასავლეთისა და სამხრეთის ოთხკუთხა სათავსოებით, ქვედა ჰორიზონტის ნაგებობა კი – დარბაზული ტიპის მცირე ეკლესიით.

ძეგლის სტრატიგრაფია, არქიტექტურული სტილის ანალიზი, არქეოლოგიური მასალის (რკინის ისრისპირები, მოჭიქული და მოუჭიქავი კერამიკა, ფრესკის ფრაგმენტები, პროტომა, მონეტა, არქიტექტურული დეტალები) შესწავლა და არსებული პარალელები საფუძველს გვაძლევს ხეშკილდის წმინდა გიორგის პირველი სამშენებლო პერიოდის ნაგებობის (ცენტრალური სათავსოს) აშენების თარიღად X-XI სს-ის მიჯნა მივიჩნიოთ, მეორე სამშენებლო პერიოდის ნაგებობისა (დასავლეთისა და სამხრეთის სათავსოები) კი XVI ს-ის ბოლო. XVII ს-ის ბოლოს ეკლესია წყვეტს არსებობას.

Sh. Chartolani, R. Khvistani, M. Tsindeliani

## ST. GEORGE OF HESHKILDI
(Summary)

In 1997-98 the Svaneti archaeological expedition (director Sh. Chartolani) carried out archaeological investigations at the site of the former church of St. George (site of the former village of Heshkildi) situated on the right bank of the river Inguri.

Archaeological materials, such as: glazed and non-glazed pottery, iron arrow-heads, a silver coin, copper rattles and bells and a candlestick, bronze hinge, head of the sheep, carved in travertine stone, capitals, columns, parts of an arch, fragments of frescoes, etc. revealed two construction horizons of the monument.

The lower horizon is represented by a small single nave darbazi-type church which was built at the turn of the 10th century (6,5 x 4,5 m.).

The upper horizon is represented by store-room annexed to the building from the West (3,5 x 9 m.) and the South (6,5 x 3,5).

At the end of the 17th century the church of St. George ceased functioning.

### ლიტერატურა

1. ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა „ქართლის ცხოერება“ ტ. IV. ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ., 1973.

2. თაყაიშვილი ე. არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს. პარიზი, 1937.

3. ნიჟარაძე ბ. ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, I. თბ., 1962.

4. ორბელიანი სულხან-საბა, ქართული ლექსიკონი. თბ., 1984.

5. სვანეთი, I, მასალები მატერიალური და სულიერი კულტურის ისტორიისათვის, თბ., 1977.

6. ფილფანი ე., ცხარეაშელი ჯ. ხეშკილის ტრადიცია. - „ახალი სვანეთი“, №71, 1979.

7. ჩართოლანი შ. მასალები სვანეთის არქეოლოგიისათვის. თბ., 1976.

8. ჭილაშვილი ლ. ურბნისი. თბ., 1964.

9. **Артилаква В.** Железообрабатывающее ремесло древней Грузии. Тб., 1976.

## სურათისა და ტაბულების აღწერილობა

სურ. 1. ირანული მონეტა, ვერცხლი.

ტაბ. I – ხეშკილდის წმინდა გიორგი. გეგმა და ჭრილები.

ტაბ. II – რკინის ისრისპირები.

ტაბ. III – 1. რკინის ჯვარი; 2-3. სპილენძის ჟღარუნები; 4-5-6. სპილენძის ზარაკები; 7. რკინის კვერთხისთაევები; 8. სპილენძის სასანთლე.

ტაბ. IV – 1-9. რკინისა და სპილენძის ნალები; 10-14. ბრინჯაოს საკეტები.

ტაბ. V – 1-15. კერამიკა; 16, 17, 19, 27. მოჭიქული კერამიკა; 18. ძვლის ორნამენტირებული ფირფიტა.

ტაბ. VI – 1. აყვავებული ჯვარი; 2. გეომეტრიული ორნამენტი; 3, 4. კაპიტელები.

## Description of the Plates and the Figuren

**Fig. 1 – Iranian silver coin.**

**Pl. I – Plan and section of the Church of st. George in Kheshkildi.**


**Pl. II – Iron arrow-heads.**


**Pl. III – 1. Iron cross; 2-3. Copper bells, cymbals; 4-6. Copper bells; 7. Iron heads of rods; 8. Copper cendleholders.**


**Pl. IV – 1-9. Iron and copper horseshoes; 10-14. bronze locks.**


**Pl. V – 1-15. Fragments of clay vessels; 16, 17, 19-27. Fragments of glazed pottery; 18. Bone plaque.**

**Pl. VI – 1. Blooming cross; 2. Geometric ornament; 3-4. Capitals.**


0
3 m


1
2
3
4
5
6
7
8
9
10
11
12
13
14
15
16
17
18
19
20
21
22
23
24
25
26
27
28
29
30
31
32
33
0
4



1
2
3
4
5
6
7
8
0
2


1
2
3
4
5
6
7
8
9
0 2
10
11
0 2
12
13
14
0 2

# ტაბულა V



# ტაბულა VI



# ქრისტიანული მემკვიდრეობის შესწავლისა და გადარჩენის პრობლემები სვანეთში

შოთა ჩართოლანი*

არქეოლოგიური კვლევის ცენტრი
საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
თბილისი, საქართველო

საქართველოს ყველაზე მაღალმთიანმა, ისტორიულ-ეთნოგრაფიულმა მხარემ სვანეთმა კომპაქტურად შემოგვინახა მრავალფეროვანი ქრისტიანული კულტურული მემკვიდრეობა, რისთვისაც სამართლიანად დაიმკვიდრა "ეროვნული კულტურის საგანძურის" საპატიო სახელი.

XIX ს. შუახანებიდან დაწყებული დღემდე, სვანეთის ძეგლები ქართველი და უცხოელი მეცნიერების აქტიური შესწავლის საგანია. ამ კვლევა-ძიების ძირითადი შედეგები მრავალრიცხოვან პუბლიკაციებშია გამოქვეყნებული. ჩვენი საუკუნის 70-იან და მომდევნო წლებში შეიქმნა ახალი საგანგებო სამეცნიერო უჯრედები, სრულად აღირიცხა საეკლესიო ფასეულობანი. შეიქმნა მათი დაცვის ზონალური სისტემა და შემცირდა ძეგლთა ხელყოფისა და ქურდობის შემთხვევები.

არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილია ადრე შუა საუკუნეების ქრისტიანული სამაროვნები და საკულტო ძეგლები. ამ აღმოჩენებმა რამოდენიმე საუკუნით დააძველა საქართველოს მაღალმთიან ზოლში ქრიატიანობის გავრცელების ქვედა ქრონოლოგიური თარიღი.

უკანასკნელი 10 წლის მანძილზე, სვანეთში შექმნილ მწვავე კრიმინოგენური ვითარების, საზოგადოებრიეი და სარწმუნოებრიეი დესტაბილიზაციისა და განუკითხაობის პირობებში კერძო პირებმა დაისაკუთრეს ადგილები, სადაც კულტურის ძეგლების არსებობაა დადასტურებული. ბუნებრიე-კლიმატური მოვლენების, განძის მაძიებლებისა და ე. წ. კერძო რესტავრატორების ხელით ზიანდება და ნადგურდება საკულტო ძეგლები. შეწყდა მეცნიერებათა აკადემიის კვლევითი ინსტიტუტების მუშაობა სვანეთში, არ ფუნქციონირებს კულტურის სამინისტროს ძეგლთა დაცვის სამსახური. დაზუსტებას მოითხოვს ძეგლთა მესაკუთრის, შესწავლისა და სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრიეი ნორმები და პრინციპები. მრავალი საეკლესიო ნივთი ინახება ოჯახებში. ეკლესიებში დაცული ხატები და ჯვრები უკანასკნელი 25 წლის მანძილზე,

---

* დაბეჭდილია: ქრისტიანობა: წარსული, აწმყო, მომავალი, საერთაშორისო სიმპოზიუმი, მოხსენებათა მოკლე შინაარსები, რედაქტორები მარიამ ჩხარტიშვილი და ლადო მირიანაშვილი, 2000 წლის 11-17 ოქტომბერი, თბილისი, საქართველო, საქართველოს საპატრიარქო, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, არასამთავრობო ორგანიზაცია ფონდი „უდაბნო", „მემატიანე", თბილისი, 2000, გვ. 91.

შეუფერებელ კლიმატურ-ეკოლოგიურ პირობებში – რკინის სეიფებშია ჩაკეტილი.

კვლევაც იკარგება და მახინჯდება ძველი საწესო-რელიგიური რიტუალი. ფართოვდება სექტანტიზმი და მკვეთრად მცირდება მართლმადიდებელი მორწმუნე მრევლის რაოდენობა, რაც სოციალურ და კულტურულ-საგანმანათლებლო ფუნქციას უკარგავს ეკლესიას.

სვანეთში ქრისტიანულ – მართლმადიდებლური სარწმუნოებისა და კულტურული მემკვიდრეობის გადარჩენის, შესწავლისა და გამოყენების პრობლემების გადასაწყვეტად, საჭიროდ გვესახება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ და საპატრიარქომ შეიმუშავონ ერთიანი ორგანიზაციულ-მეთოდოლოგიური პროგრამა და მისი განხორციელების სამართლებრივი საფუძვლები.


სვანეთის კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობა მთელი საქართველოს საკუთრებაა. ამიტომაც იგი განსაკუთრებულ ყურადღებას და მზრუნველობას იმსახურებს.

# ALTER BERGBAU IN SWANETIEN

Schota Tschartolani


Swanetien ist ein historisch und geographisch abgegrenztes Gebiet Georgiens im Hochgebirge des Landes (s. die Abbildung auf Seite 4). Es liegt am Südabhang des Kaukasus und wird durchzogen von den tiefen Schluchten der Flussläufe des Zcheniszkali, Enguri und Kodori. Im Norden grenzt Swanetien an den Hauptgebirgskamm des Kaukasus, im Osten an den Letschchumi, im Südwesten an die Bergketten Egrissis, Kodoris und Adchasiens und an die durch das Gebirge führenden Pässe Muri, Dschwari und Bagada-Kobtschara. Bis heute hat sich Swanetien ein eigenständiges, reiches historisch-kulturelles Erbe bewahrt, das tief in die weitgehend unberührte und ursprüngliche Natur der Landschaft eingebettet ist: Deshalb wird es heute als „Schatzkammer der nationalen Kultur" bezeichnet.

Swanetien ist bereits in griechisch-römischer Zeit erwähnt worden, doch erst seit dem 19. Jahrhundert rückte das Gebiet in den Mittelpunkt des Interesses von Wissenschaftlern, Reisenden, Schriftstellern und Künstlern. Neben den Denkmälern des Kulturellen Erbes wurden nun auch die Geographie und der geologischer Aufbau intensiv erforscht und zahlreiche Vorkommen von Kupfererzen und anderen Buntmetallen wiederentdeckt.




*Alter Bergbau und Schmelzplätze in Swanetien aus der Bronze- und Früheisenzeit.*
*1. Bzypi-Schlucht - Schchabsia (3 Stollen) - 2. Baschkazara (9 Stollen) - 3. Kodori-Schlucht - Ptischi - Tschchalta (4 Stollen) - 4. Twibraschera (1 Stollen) - 5. Enguri-Schlucht-Nenowra - Dalari (3 Stollen) - 6. Nakra (2 Stollen) - 7. Mestia - Saargasch (4 Stollen) -8. Zcheniszkali-Schlucht - Zana - Lapuri (5 Stollen) - 9. Sochumi-Berg - 10. Kodori-Schlucht (2 Stollen) - 11. Tschuberi (6 Stollen) - 12. Dissi - Ipari (2 Stollen) - 13. Rzchmeluri - Laschkili (4 Stollen) -14. Laskadura (2 Stollen)*


* დაბეჭდილია: Georgien, Schätze aus dem Land des Goldenen Vlies, Bochum, 2001, გვ. 120-129.



*Blick auf das Bergbaugebiet bei Mestia in Semo Swaneti. Im Hintergrund die Doppelspitze des Uschba*

Alter Bergbau in Swanetien

So haben Geologen im Rahmen ihrer geologisch-petrographischen Geländearbeiten im Jahre 1958 in den Schluchten von Bsipi und Kodori in Abchasien in 2000 m. bis 2400 m. Höhe prähistorische Kupferbergwerke entdeckt und im Gebiet von Schchabsia, Adange, Baschkazara, Ptischi und Twibraschera in den Jahren zwischen 1969 bis 1988 neunzehn alte Stollen aufgenommen und in Teilbereichen untersucht. Bei den montanarchäologischen Ausgrabungen in den alten Bauten von Baschkazara und Twibraschera konnten neben anderen Gegenständen auch Steinhämmer und Fragmente von Holzstempeln geborgen werden.




*Archäologische Funde aus dem spätbronzezeitlichen Gräberfeld von Kartwani in Swanetien*

Umfangreiches archäologisches Fundgut aus Umgebung alter Gruben wurde auch im Gebiet von Enguri und Zcheniszkali geborgen sowie typologisch und chronologisch klassifiziert; es befindet sich heute entweder in Privat- oder aber in kirchlichem Besitz bzw. wird in lokalen Museen Georgiens aufbewahrt. Unter den Kupfer- und Bronzeobjekten befinden sich zahlreiche Waffen, Haushaltsgeräte und Kultgegenstände wie Äxte, Speerspitzen, Standarten, Nadeln, Anhänger und Statuetten aus der gesamten Bronzezeit, darunter kupferne Schrägrückenbeile, Speerspitzen und auch Meißel aus dem 3. Jahrtausend v. Chr. Die Typologie des Fundmaterials aus Swanetien stimmt mit der aus den benachbarten und auch weiter entfernten Kulturgebieten derselben Zeit im Prinzip überein, doch zeigen die Detailformen einen eigenen, lokalspezifischen Charakter, der sich allerdings in das überregionale Gesamtbild einordnet.

Die Metalldarstellung, vor allem die des Kupfers, wurde in Swanetien offenbar in außergewöhnlich großem Umfang betrieben. Das geht aus zahlreichen alten Bergwerken hervor, die an neun verschiedenen Stellen und ausnahmslos im Hochgebirge Swanetiens entdeckt wurden. Weiterhin wurden etwa 30 Kupferbarren und eine Reihe keramischer Schmelztiegel gefunden: Alle Fundorte liegen nicht weit voneinander entfernt in tiefer gelegenen, waldreichen Gebieten und in der Nähe von Siedlungen. Dieses Verteilungsmuster trifft sowohl auf die Kupfer- als auch später für die Eisenmetallurgie zu.

Während der Feldarbeiten in Swanetien wurden von den Archäologen insgesamt über 200 in die Bronze- bis in die Früheisenzeit datierende Fundplätze kartiert, darunter 15




*Das alte Bergwerk von Baschkazara in Abchasien.*

verschiedene Kupferbergwerke und 31 Metallwerkstätten. Ausgrabungen wurden in dem bei Saargasch entdeckten Bergwerkskomplex durchgeführt.

Die Bergwerke von Saargasch

In Saargasch wurde eine Vererzung mit Chalkopyrit und anderen Kupfererzen abgebaut. Die Stelle liegt 5 km. von der Siedlung Mestia entfernt in Semo Swaneti auf der linken Seite des Mestiatschala, eines Nebenflusses des Enguri in rd. 2000 m. Höhe. Die Freilegung der verschütteten Mundlöcher, Kammern und der beiden Grubenanlagen N1 und N2 haben zu wichtigen Erkenntnissen über die grundlegenden Abbauverfahren und das technischen „Know How" der alten Bergleute geführt. Die beiden Gruben setzen am Ausbiss der Erzgänge an der Oberfläche an, folgen ihnen kontinuierlich in die Teufe, verengen sich, sobald die Vererzungen abnehmen oder aussetzen, bzw. erweitern sich bei reichlicher Erzführung zu regelrechten Kammerbauen.

Die Grube N1 setzt mit einem Stollen ein, der auf einer Länge von 29 m. bis zu einem Versturz befahrbar ist. Nahe beim Mundlochs befindet sich eine erste Kammer, dahinter teilt sich der Stollen nach 12 m. in zwei Strecken. An diesem Abzweig ist der Stollen etwas über 1 m. hoch und 2,5 m. breit, die Breite der beiden Strecken nimmt dann auf 0,7 m. bis 1 m. ab. Nach rd. 5,5 m. treffen sich beide Streken erneut und sind mit Stempeln gesichert worden. Die zweite Kammer misst etwa 5,7 m. mal 6,9 m. und weist eine Höhe von 4,3 m. auf. Vom nördlichen Stoß gehen zwei Strecken ab, von denen die eine 2,5 m., die andere noch 9 m. zu verfolgen ist. Beide Streken sind zwischen 0,7 m. und 0,8 m. hoch. Die dritte Kammer ist rd. 1,5 m. vom zweiten entfernt. In der vierten Kammer ließ man aus Sicherheitsgründen zwei Pfeilern aus massivem Gestein stehen. Nach Süden führt eine verschüttete Strecke ab, an den Seiten der Kammer sind Versatzmauern zu erkennen.

Vergleichbar mit diesem Bergwerk und seinem Grubengebäude sind die bei Tschkomali am Oberlauf des Rioni und aus Twibraschera am Kodori gelegenen Gruben. Die Bergwerke aus Tschkomali datieren nach $^{14}$C-Messungen in das beginnende 1. Jahrtausend v. Chr.



*Blick auf das Stollenmundloch des alten Bergwerks von Saargasch*


Die Grube N2 liegt höher und rd. 25 m. vom Bergwerk N1 entfernt, erreicht eine größere Teufe und besitzt zwei Sohlen. Vom Mundloch aus ist ein Stollen auf 132 m. befahrbar, in der Nähe des Mundlochs wurden parallel zur Richtung des Stollens mehrere Kammerbaue angelegt, zu denen ein Verbindungsquerschlag führt. Im weiteren Verlauf des Stollens zweigt zunächst eine kurze Nebenstrecke (B-B) sowie die sog. Vorratskammer (C-C) ab, im weiteren Verlauf (bei Schnitt D-D) führt ein Überhauen

nach oben, das sich wiederum in zwei Strecken verzweigt. Die Kammern besitzen unterschidliche Dimensionen: Die Kammer I ist 5,7 m. mal 6,0 m. groß und 4 m. hoch, die Kammer II 10,4 m. mal 3,4 m. weit bei 2,4 m. Höhe, die Kammer III 6,2 m. mal 4,0 m. groß und 1,6 m. hoch, die Kammer IV besitzt Abmessungen von 3,2 m. mal 2,8 m. und 1,9 m. Höhe und die Kammer V schlißlich ist 2,0 m. mal 4,2 m. weit und 1,4 m. hoch. Die Entfernung zwischen den kammern I und II beläuft sich auf 7,2 m., zwischen den Kammern II und III auf 4,7 m., zwischen den Kammern III und IV auf 21,5 m. und zwischen den Kammern IV und V auf 16,5 m. Die Länge der aus dem Stollen abzweigenden Strecke bis zur sog. Vorratskammer beträgt 25,4 m. Die Strecke zwischen den kammern III und IV ist z. T. nur 0,65 m. hoch, in den Kammern selbst wurden verschiedentlich Sicherheitspfeiler stehengelassen oder Holzstempel eingesetzt, auch Versatzmauern entlang der Strecken sind vorhanden. Zur Verbesserung der Wetterführung wurde ein Luftschacht mit einem Durchmesser von 0,5 m. und einer Höhe von 9 m. in die Firste hochgebrochen: Er folgt der Vererzung und diente damit auch der Erzgewinnung.



*Die Grube Saargasch N 2. Die Vererzung ist oben in der Bildmitte erkennbar. Neben der abgebildeten Person Versatz.*

Die Grubenanlagen N1 und N2 weisen zwar einige Gemeinsamkeiten auf, doch sind erhebliche Untererschiede in der Anlage der Baue zu erkennen. Es ist ersichtlich, dass die Anlage N2 wesentlich komplexer angelegt ist. Zudem sind in ihr die Vorgänge der Prospektion, des Vortriebs und der Hereingewinnung von Erz viel deutlicher nachvollziehbar: Dieses Bergwerk kann mit denen aus Ratscha sowie Tschwescho und Baschkazara in Abchasien verglichen werden, die nach Radiokabonmessungen in das 2. Jahrtausend v. Chr. datiert werden müssen.




*Das Stollenmundloch von Grube Saargasch N 1.*

Während der Ausgrabungen wurden verschiedentlich auch Werkzeuge und bergmännisches Gezähe gefunden, das offenbar zur Erzförderung und in der –aufbereitung eingesetzt wurde. Alle zeigen Abnutzungsspuren, waren also tatsächlich im Einsatz: Steinhämmer, Hammer- und Ambosssteine, eine Bronzeaxt, Holztröge und geflochtene Matten für die Förderung des Erzes sowie Holzkohle zur Verhüttung.


Die zwischen rd. 1 kg. und 11 kg. schweren Steinhämmer wurden aus Granit, Gabbro oder Sandstein hergestellt, besitzen in der Regel einen ovalen Querschnitt, sind an einer Seite abgeplattet und weisen eine typische Einkerbung zur Befestigung des Schaftes auf, die nahe der abgerundeten Seite angebracht wurde. Daneben wurden gleichmäßig abgerundete Rillenschlägel gefunden, bei denen die Einkerbung in der Mitte angebracht wurde. Auf einen einzigartigen Fund muss besonders hingewiesen werden, der in den Bergbaugebieten von Ratscha oder Abchasien sonst nicht mehr auftaucht: Es handelt sich um einen riesigen Rillenschlägel mit einem Gewicht von 44,2 kg (!) aus Grube N2 mit Abmessungen von 37 cm. mal 30 cm. Es erscheint ausgeschlossen, dass man einen so schweren Hammer an einen Holzgriff befestigt und zur Erzgewinnung unter Tage eingesetzt hat. Deshalb liegt die Vermutung nahe, dass dieser Rillenschlägel an einer einfachen Holzkonstruktion an einem Seil aufgehängt gewesen war, mit dessen Hilfe das anstehende Gestein zertrümmert werden konnte.


Die bergmännischen Aktivitäten in der Grube N2 werden anhand einer Tüllenaxt in die Mittelbronzezeit und anhand einiger Keramikfragmente in das 7./6. Jahrhundert v. Chr. datiert. Die Funde stammen aus der sog. Vorratskammer.

Das gewonnene Erz wurde wahrscheinlich mit der Hand oder mit Holzschaufeln in Holztröge und geflochtene Körbe gefüllt und über Tage nahe bzw. vor dem Mundloch ausgelesen; dort fanden sich reichlich Erzreste und Steinwerkzeuge zur Aufbereitung.




*Risse und Schnitte der beiden alten Gruben von Saargasch*






*In den Gruben von Saargasch wurden zahlreiche Rillenschlägel mit unterschiedlichen Formen gefunden. Der hier rechts abgebildete ist mit Abstand der schwerste, der in Georgien gefunden wurde: Er wiegt 44 kg! Im Vordergrund sind einige Kupferbarren abgebildet, die in der nähe-ren Umgebung der Gruben im Gelände gefunden wurden.*

Die archäologischen Funde und Befunde weisen auf eine hochentwickelte Rohstoffgewinnung und -weiterverarbeitung sowie auf umfangreichen Bergbau, Metalldarstellung und -bearbeitung hin; das Montanwesen muss im wirtschaftlichen und Kulturellen Leben Swanetiens eine erhebliche Rolle gespielt haben. Dieser archäologische Befund spiegelt sich auch im Sprachschatz wieder, in dem zahlreiche Ortsnamen und Wortstämme zu finden sind, die entweder auf Erzvorkommen oder auf den Gebrauch von Metallen hinweisen. Etliche metallurgische Bezeichnungen sind aus der georgischen Muttersprache abgeleitet, andere sind dagegen für die swanische Sprache charakteristisch, die ein Dialekt des Georgischen ist.


Letzteres gilt z. B. für das Wort Kupfer (=„Spelendsh" [georgisch „Spilendsi"]), Arsen (=„Malgimisch" [georgisch „Darischchani"]), Bronze (=„Tschei" [georgisch „Brindschao"]), Eisen (=„Beresch" [georgisch „Rkina"]), usw. In der swanischen



*Rekonstruktionsvorschläge zur Schäftung von Rillenschlägeln*

